საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

გონელი არახამია

ძველი ქართული საგვარეულო მატიანეები

(წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა)

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1988

63.2 (2 Г)
ა 772

წიგნი ეძღვნება ძველი ქართული საგვარეულო მატიანეების, სუმბატ დავითის-ძის თხზულებისა და „ძეგლი ერისთავთას“ წყაროთმცოდნეობით შესწავლას. განხილულია აღნიშნული მატიანეების წყაროთმცოდნეობითი კრიტიკის აქტუალური საკითხები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სოციალური, პოლიტიკური და სამოხელეო წყობილების შესასწავლად „ძეგლი ერისთავთას“ ცნობების მნიშვნელობის წარმოჩენას.

წიგნი განკუთვნილია ისტორიკოსებისა და ძველი ქართული საისტორიო მწერლობით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი ისტ. მეცნ. დოქტორი რ. კიკნაძე

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. დოქტორი | შ. ხანთაძე |
ისტ. მეცნ. კანდიდატი მ. ბერძნიშვილი

ა $\frac{0502000000}{М\ 607(06)-88}$ 177—89

ISBN 5—520—00427—7

© [redacted]ბა „მეცნიერება“, 1988

ვუძღვნი მამის ხსოვნას

შესავალი

შუა საუკუნეების ქართულ საისტორიო მწერლობაში არის ერთი ჯგუფი ძეგლებისა, რომლებიც ცალკეულ საგვარეულოთა ისტორიას მოგვითხრობენ. ასეთი ძეგლები თხრობის ფორმის მიხედვით ძირითადად სამი სახისაა: 1. საგვარეულო მატიანე. ესაა ტექსტი, სადაც ამბები გადმოცემულია წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, ფაქტები და მოვლენები გააზრებულია კომპოზიციურ მთლიანობაში და თხრობა წარმართულია ერთი გარკვეული მიზნით, ე. ი. არის ნაწარმოები ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. 2. საოჯახო-საგვარეულო ქრონიკა. ამ სახელწოდებით აღვნიშნავთ ტექსტს, სადაც თავმოყრილია კომპოზიციურად ერთმანეთთან დაუკავშირებელი სხვადასხვა დროისა და შინაარსის ჩანაწერები ოჯახისა და საგვარეულოს წარმომადგენელთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ცალკეული ფაქტებისა და ეპიზოდების შესახებ. საოჯახო-საგვარეულო ქრონიკის ტიპური ნიმუშია ე. წ. „მესხური დავითნის ქრონიკა"[1]. 3. საოჯახო-საგვარეულო მოსახსენებელი. ასეთად ვგულისხმობთ ტექსტს, სადაც დასახელებულია ოჯახისა თუ გვარის შორეული და უახლოესი წარმომადგენლები, რომელთა სულის შენდობასა თუ დღეგრძელობას შესთხოვს ღმერთს ტექსტის შემდგენელი. ტიპურ მაგალითად დავასახელებთ აბუსერიძეთა მოსახსენებელს (შედგენილია 1233 წ.)[2].

წინამდებარე ნაშრომში განვიხილავთ მხოლოდ საგვარეულო მა-

---

[1] ტექსტი დაბეჭდილია: ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ხრონიკა. ტფ., 1890, გვ. 81—116; სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI სს.), ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქ. შარაშიძისა, თბ., 1961, გვ. 36—56. ქრონიკის შესახებ იხ. ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ხრონიკა, გვ. CXXVII—CXLIX; ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. — თხზ., VIII. თბ., 1977, გვ. 270—279; ქ. შარაშიძე, გამოკვლევები, შენიშვნები. — წიგნში: სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 102—132.

[2] ტბელი აბუსერიძე, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერიძეთა საგვარეულო მატიანე, გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა, თბ., 1941, გვ. 66—69; ტბელ აბუსერიძე, ცხოვრება ქვითხუროთისა ბასილისა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ი. სიხარულიძემ, ბათუმი, 1981, გვ. 12—13.

ტიანეეს. (დამოუკიდებელი სახით ჩვენამდე მოღწეულია ორი საგვარეულო მატიანე: სუმბატ დავითის-ძის თხზულება და „ძეგლი ერისთავთა", ცალკეული ფრაგმენტები შემონახულია მაჩაბელთა საგვარეულო მატიანიდან[3].

სუმბატის თხზულება „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, ჩუენ ქართველთა მეფეთასა, თუ სადით მოიწივნეს ამას ქუეყანასა იგინი, ანუ რომლით ჟამითგან უპყრიეს მეფობა ქართლისა"[4], როგორც სათაურიდან ჩანს, (ქართული სამეფო დინასტიის, ბაგრატიონთა გვარის ისტორიას ეძღვნება. იწყება ის ამ საგვარეულოს ბიბლიური წინაპრების ჩამოთვლით და წყდება 1031 წლის ამბების აღწერით.

სუმბატის თხზულება შემონახულია ძველი ქართული მატიანეების კრებულის, „ქართლის ცხოვრების" ე. წ. მცხეთური რედაქციის ნუსხებში (მარიამისეული, მაჩაბლისეული და მცხეთური ნუსხის 1697 წ. გადაწერილი პირი), სადაც ის მოსდევს დავით აღმაშენებლის (1089—1125) ისტორიას და, ამდენად, ჩაკერებულია მექანიკურად, კრებულის კომპოზიციისა და ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დარღვევით. „ქართლის ცხოვრების" ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებში (XVIII ს.) თხზულების ტექსტი ნაწილ-ნაწილ შერწყმულია VI—XI სს. ისტორიის ამსახველი მონაკვეთის თხრობაში[5]. მისი, როგორც დამოუკიდებელი თხზულების არსებობა მეცნიერებისათვის ცნობილი გახდა „ქართლის ცხოვრების" ვახტანგამდელი, ე. წ. მარიამისეული ნუსხის (XVII ს.) აღმოჩენით (1884 წ.). ამის შემდეგ თხზულების ტექსტი ოთხგზის გამოიცა[6], გამოქვეყნდა ორი რუსული თარგმანი[7].

ისტორიოგრაფიაში ფართოდაა განხილული სუმბატის თხზულების წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული შესწავლის ძირითადი საკითხები: სუმბატ დავითის-ძის ვინაობა, მოღვაწეობის ხანა, თხზულების დათარიღება, წყაროები, წარმოშობის პირობები, იდეური

---

3 იხ. ს. ყაუხჩიშვილი, ახალი ქართლის ცხოვრების ტექსტები. — ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 025—026.

4 იხ. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I. თბ., 1955, გვ. 372—386 (ქვემოთ ვუთითებთ: სუმბატ დავითის-ძე).

5 კ. გრიგოლია. ახალი ქართლის ცხოვრება. თბ., 1954, გვ. 235—239.

6 ე. თაყაიშვილი. სამი ისტორიული ხრონიკა, გვ. 41—79; ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი ე. თაყაიშვილის გამოცემა, ტფ., 1906, გვ. 336—361; სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით და ოთი გენეალოგიური ტაბულით ე. თაყაიშვილმა. — მსკი, 27, 1949.

7 Е. Такайшвили, Три Хроники.—СМОМПК, XVIII, Тифлис, 1900, с. 174 др.; Сумбат Давитис-дзе, История и повествование о Багратионах. Перевод, введение и примечания М. Д. Лордкипанидзе, Тб., 1979.

მიმართულება, სანდოობა, სამეცნიერო ღირებულება, ტექსტის დადგენის მეთოდიკა[8].

„ძეგლი ერისთავთა“ მოგვითხრობს ცხრაზმის ერისთავების, ქვენიფნეველთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიას ცხრაზმაში დამკვიდრებიდან XV ს. დასაწყისამდე.)

მატიანის ავტოგრაფი ამჟამად ინახება სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა საცავში[9].

ავტოგრაფი 1848 წლამდე საქართველოში ინახებოდა. ის ხელში ჩაუვარდა მ. ბროსეს ქართველ კორესპონდენტს დიმიტრი მელვინეთ-

---

[8] დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, ტფ., 1889, გვ. 55; ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ხრონიკა, გვ. CII—CXXV; ე. თაყაიშვილი, შესავალი.— სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, გვ. 3—53; დ. კარიჭაშვილი, ვინ უნდა იყვეს სუმბატის ქრონიკის ავტორი? — ძველი საქართველო, I. ტფ., 1909, გვ. 36—42; ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 195—197; თ. ლომოური, სუმბატ დავითის ძისა და გიორგის მერჩულის ცნობები ქართველ ბაგრატიონთა შესახებ. — არილი. ტფ., 1925, გვ. 47—56; პ.. ინგოროყვა, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა. — თხზ., IV. თბ., 1978, გვ. 430—431; ს. ჯანაშია, კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობები ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ. — შრომები, V. თბ., 1987, გვ. 246—266; კ. გრიგოლია, ახალი „ქართლის ცხოვრება“, გვ. 227—239; ს. ყაუხჩიშვილი, „ქართლის ცხოვრების“ ძეგლთა წყაროებისათვის. — ქართლის ცხოვრება, II, გვ. 034—039; ნ. ლომოური, კონსტანტინე პორფიროგენეტის ერთი ცნობის გარკვევისათვის. — თსუ შრომები, 59, 1955, გვ. 134—145; გ. გელაშვილი, სუმბატ დავითის ძე და „მატიანე ქართლისა“. — თსუ შრომები, 87, 1960, გვ. 239—255; რ. კიკნაძე. ფარსადან გორგიჯანიძის ერთი ქართული წყაროს შესახებ. — საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები, I, თბ., 1982, გვ. 31—41; მ. ლორთქიფანიძე, ლეგენდა ბაგრატიონთა წარმოშობის შესახებ. — კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ. 144—149; М. Д. Лордкипанидзе, Сумбат Давитис-дзе и его историческое сочинение. —В кн.: Сумбат Давитис-дзе. История и повествование о Багратионах, с. 3—25; Г. В. Цулая, Введение.—В кн.: Летопис. Картли, Тб., 1982, с. 29—30; Ш. А. Бадридзе, „Картлис цховреба“ о грузино-византийских взаимоотношениях первой трети XI в.— В кн.: Источниковедческие разыскания, 1979. Тб., 1984, с. 47—54; გ. აღასანია. რიცხვი და მისტიკა ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში.—მაცნე. ისტორიის სერია, 1984, № 4, გვ. 36—37; Г. Г. Аласания, Классификация грузинских письменных исторических источников. Тб., 1986, с. 172—173; Г. М. Арахамия, Вопросы источниковедческой критики хроники Сумбата Давитис-дзе.—В кн.: Актуальные проблемы изучения и издания письменных исторических источников. Тезисы докладов, Тб., 1985, с. 12.

[9] საინვენტარო ნომერი К — 28.

ხუციშვილს, რომელსაც სხვა მასალებთან ერთად ეს ხელნაწერიც პეტერბურგში გაუგზავნია მ. ბროსესთვის[10].

[დღეისათვის მოღწეულია დავით ერისთავის მეუღლის, მარიამ ქობულაშვილის მიერ 1828 წ. 28 მარტს ავტოგრაფიდან გადმოღებული პირი[11]. „ძეგლი ერისთავთას" ტექსტის ერთი ნაწილი შეტანილია „ქართლის ცხოვრების" გადაკეთებული გაგრძელების ტექსტში, სადაც „ყოველთვის არ არის დაცული „ძეგლი ერისთავთას" ტექსტის თხრობის თანმიმდევრობა, ზოგან კიდევ იგი შემოკლებულია, ან კიდევ შევსებულია ცალკეული წინადადებების, ფრაზისა თუ თარიღების დამატებით"[12]. აღსანიშნავია, რომ „ქართლის ცხოვრების" გადაკეთებული გაგრძელების ავტორს უსარგებლია „ძეგლი ერისთავთას" იმ ცნობებით, რომლებიც ეხებიან საქართველოს ზოგადი ისტორიის ფაქტებს.

„ძეგლი ერისთავთას" ტექსტი თავდაპირველად მოთავსებული იყო ლარგვისის მონასტრის სვინაქსარში. შემდგომში სვინაქსარიდან ამოღებულ ფურცლები, რომლებზედაც მატიანის ტექსტი იყო დაწერილი[13]. დღეისათვის თხზულების ავტოგრაფს დასაწყისი და ბოლო აკლია.] შედარება გვიჩვენებს, რომ როგორც მარიამ ქობულაშვილის გადმოღებული პირის (1828 წ.), ისე დღეისათვის დაკარგული, XIX ს. 20—30-იან წლებში შესრულებული გადანაწერების დასაწყისი და დასასრული ავტოგრაფის ამჟამად ცნობილი ტექსტის იდენტური ყოფილა. ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ თ. ჟორდანიას გამოქვეყნებული ტექსტი, რომელიც 1828 წ. ავტოგრაფიდან გადმოღებული პირის მესამე გადანაწერს ემყარება[14], იწყება და მთავრდება ისე, როგორც ავტოგრაფი. ამით ცხადი ხდება ისიც, რომ ავტოგრაფი იგივე სახით ყოფილა დაცული XIX ს. 20—30-იან წლებშიც, როგორც დღესაა.

[„ძეგლი ერისთავთას" ავტოგრაფი შეიცავს სხვადასხვა შინაარსის მინაწერებს[15], რომელთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ქრო-

---

10 შ. ხანთაძე. დიმიტრი მეღვინეთხუციშვილის წერილები მარი ბროსესადმი. — საისტორიო მოამბე, № 6, 1952, გვ. 9; შ. მესხია. გამოკვლევა. — ძეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე), მსკი, 30, 1954, გვ. 308.

11 კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, H — 2496.

12 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბ., 1959, გვ. 443—446, 449; შ. მესხია. გამოკვლევა, გვ. 323.

13 იხ. თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. I, შენ. 1.

14 იხ თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. I, შენ. 1; შ. მესხია. გამოკვლევა, გვ. 321—322.

15 მატიანის ერთ-ერთი მხედრული მინაწერი შეიცავს „ვეფხისტყაოსნის"

ნიკალურ მინაწერებს ენიჭება. ზოგიერთი ქრონიკალური მინაწერი ეხება მატიანეში დასახელებულ ისტორიულ პირებს. ამ მხრივ მათ გარკვეული სამსახურის გაწევა შეუძლიათ ძეგლის ისტორიულ პირთა იდენტიფიკაციისა და ქრონოლოგიის დადგენაში. აღნიშნული მინაწერები მიგვანიშნებს იმაზეც, თუ როგორ იყო გაგებული მოგვიანო პერიოდში ძეგლში მოთხრობილი ამბების ქრონოლოგია, რომელთა გათვალისწინება სხვა წყაროების ცნობებთან ერთად უდავოდ დაგვეხმარებოდა ძეგლში გადმოცემული მოვლენებისა და ფაქტების დათარიღებაში. ქრონიკალური მინაწერების მნიშვნელობა განსაკუთრებულია თუ გავითვალისწინებთ მატიანის სიღარიბეს თარიღების მხრივ. აღნიშნული მინაწერების მონაცემებს ვიყენებთ გზადაგზა სათანადო ადგილას.

ძეგლის ხელნაწერი შეიცავს სულ 11 ქრონიკალურ მინაწერს. აქედან მ. ბროსეს აღრიცხული აქვს რვა მინაწერი[16], თ. ჟორდანიასეულ ქართულ გამოცემაში მითითებულია — 6[17]. შ. მესხიას თავის გამოცემაში დამატებით მოტანილი აქვს ერთი ქრონიკალური მინაწერი, რომელიც მ. ბროსეს გამორჩა (სულ 9)[18]. საურმაგ კაკაბაძემ ძეგლის რუსული თარგმანის კომენტარებში შეიტანა კიდევ ორი მინაწერი, რომლებიც მ. ბროსესა და შ. მესხიას გამორჩათ (სულ 11)[19].

მატიანის აღნიშნული მინაწერები შესრულებულია ასომთავრული და მხიდრული დამწერლობით.

ძეგლის ზოგიერთი ქრონიკალური მინაწერის შესრულების ზედა ზღვარის გარკვევა შესაძლებელი ხდება „ქართლის ცხოვრების" გადაკეთებული გაგრძელების ტექსტის საშუალებით, სადაც შეტანილია ძეგლის სხვადასხვა ფრაგმენტი და, რაც ჩვენთვის ყველაზე მთავარია, ფრაგმენტთან ერთად შეტანილია ყველა ის თარიღი, რომელიც მინაწერის სახით თან ახლავს ძეგლის ტექსტის შესაბამის ნაწილს. მა-

---

რამდენიმე სტროფს (იხ. შ. ონიანი, ინდო-ხატაელთა ამბავი „ვეფხისტყაოსანში", თბ., 1982, გვ. 49—65).

[16] M. Brosset, Additions et eclaircismentes à l' Histoire de la Géorgie, SPb., 1851. p. 374, n. 2; p. 375, n 1; p. 376 (ორი მინაწერი შეტანილია ტექსტში).

[17] თ. ჟორდანია. ქრონიკები, II, გვ. 4, შენ. 52; გვ. 5, შენ. 8; გვ. 7, შენ. 28; გვ. 15, შენ. 58; გვ. 16, 21.

[18] ძეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე), ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო შ. მესხიამ. — მსკ, 30, 1954, გვ. 346, სქ.; გვ. 347, სქ.; გვ. 349, სქ.; გვ. 354, სქ. 27.

[19] С. С. Какабадзе. Примечания к переводу хроники. — В. кн.: Памятник Эриставов, Тб., 1979, с. 42, прим. 22, 23, 24, 38; с. 43, прим. 39. 40; с. 44, прим. 63, 65; прим. 80, 83, 84.

ტიანის ტექსტის იმ ნაწილს, რომელიც შეტანილია „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებაში, ახლავს სულ სამი ქრონიკალური მინაწერი და სამივე შესულია გაგრძელებაშიც. მინაწერები, რომლებიც გაკეთებულია ძეგლის ხელნაწერის აშიებზე, გაგრძელებაში ტექსტშია მითითებული. ძეგლის ზემოთ აღნიშნული სამი ქრონიკალური მინაწერიდან ორი „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელების ტექსტში გადაადგილებულია, ე. ი. არ ზის იმ ადგილას, როგორც ეს ძეგლის ხელნაწერშია. სახელდობრ: „ქრონიკონი ჳმ“ ძეგლის ხელნაწერში მიწერილია შემდეგ წინადადებაზე: „და მოკუდა მეფე (ადარნასე — გ. ა.), დაშთა ძე მისი ვახტანგ ექუსისა წლისაჲ“[20], ე. ი. ქრონიკალური მინაწერი შეეხება ადარნასეს გარდაცვალებას. „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებაში კი იგივე ქრონიკონი გადატანილია აბზაცის დასაწყისში, სადაც ის გამოდის ადარნასეს გამეფების თარიღად: „ქ~კ~ნს უმ დაჯდა მეფედ ადარნასე“[21]. მსგავსი მდგომარეობაა მეორე შემთხვევაშიც. ძეგლის ხელნაწერის შემდეგ წინადადებას: „წარგზავნა ძე შალვა ერისთავისაჲ რომელსა ერქუა პიპაჲ“ ახლავს მინაწერი: „ქ~კ~ნი ი-ზ“[22]. აღნიშნული მინაწერი „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელების ტექსტში გადატანილია 10 სტრიქონით ზევით და ათარიღებს გიორგი მეფისა და შალვა ერისთავის ერთობლივ ლაშქრობას მაღაროში[23]. მესამე ქრონიკალური მინაწერი: „ქკნი: ჲა“, მართალია, ორივეგან ერთსა და იმავე ამბავს ეხება („მოვიდეს თურქნი წინაძღომითა ბაედარის ძისა ხოსიაჲსითა“[24]), მაგრამ „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებაში მინაწერი გავრცობილია თვისა და რიცხვის ჩვენებით: „ქრკნსა ჲა აგვისტოსა Ჩ“[25].

აღნიშნული ფაქტები გვარწმუნებს იმაში, რომ „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელების ავტორს ხელთ ჰქონია „ძეგლი ერისთავთა“ ხელნაწერი, რომელიც ამ დროისათვის უკვე შეიცავდა აღნიშნულ ქრონიკალურ მინაწერებს, რომლებიც ძეგლის ტექსტის ნაწყვეტებთან ერთად შეიტანა თავის ნაშრომში. მაგრამ გაუგებრო-

---

20 K — 28, 2_{23}; ძეგლი ერისთავთა, გვ. 347, შენ.

21 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 443, შენ. 1; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, H — 988, გვ. 461; S — 354, გვ. 498; S — 25, გვ. 229.

22 K — 28, 4r19.

23 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 444; H — 988, გვ. 462; S — 354, გვ. 499; S — 25, გვ. 289.

24 K — 28, II_{26}; ძეგლი ერისთავთა, გვ 354.

25 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 446; H — 988, გვ 463; S — 354, გვ. 502; S — 25, გვ. 291 ა.

ბის გამო, თუ საკუთარი შეხედულების თანახმად, მინაწერებს თავის თხზულებაში ხან ადგილი შეუცვალა, ხან განავრცო.

როგორც ჩანს, ძეგლის აღნიშნული ქრონიკალური მინაწერები შესრულებულია უფრო ადრე, ვიდრე დაიწერებოდა „ქართლის ცხოვრების" გადაკეთებული გაგრძელება. ამ უკანასკნელის დაწერის დროის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. მოსაზრებათა განსხვავება მერყეობს XVIII ს. 30—50-იან წლებს შორის[26]. აქედან გამომდინარე, ძეგლის ზემოთ დასახელებული ქრონიკალური მინაწერების შესრულების ზედა ზღვარი XVIII ს. 30—50-იანი წლებით უნდა განისაზღვროს.

რაც შეეხება ძეგლის ხელნაწერის სხვა ქრონიკალურ მინაწერებს, საკონტროლო წყაროების უქონლობის გამო მათი შესრულების დროის შესახებ დაბეჯითებით რაიმეს თქმა ძნელია. უდავოა ის, რომ მხედრული დამწერლობით შესრულებული მინაწერების ხელი ყველგან ერთი და იგივეა, ხოლო ასომთავრული მინაწერების ხელი განსხვავებულია.

შესაძლებელი ხდება ზოგიერთი ქრონიკალური მინაწერის წარმომავლობის გარკვევაც, რაშიც გვეხმარება ჩვენამდე მოღწეული საისტორიო თხზულებების ცნობებთან ძეგლის მინაწერების შედარება. ძეგლის მხედრული ქრონიკალური მინაწერები: „39 მეფე გუარამ ქ-ეს 525" ($2v_8$), „65 მეფე დავითის დროს ყოფილა ქ-ეს 1296" (4_{11}) ემთხვევიან როგორც ვახტანგისეული რედაქციის, ისე ვახუშტის ცნობებს, რომელთა თანახმად, 39-ე მეფეა გუარამ, 65-ე მეფე კი დავით VIII[27].

ქრონიკალური მინაწერი, რომელიც გიორგი VII-ს ეხება, ასე იკითხება: „75 მეფე გიორგი 12 წელ იმეფა" (8v). ცნობა ემთხვევა მხოლოდ და, ისიც ნაწილობრივ, ვახუშტის ჩვენებას, რომლის თანახმად „ო — დ (74-ე — გ. ა.) მეფე გიორგი ი-ბ (12 — გ. ა.). წელი მე-

---

[26] Е. Такайшвили, Описание рукописей. — СМОМПК. XXXVI. Тф., 1906, с. 90—91; ს. კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია. — საისტორიო მოამბე, II. ტფ., 1925, გვ. XII; ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 316—324; ს. ყაუხჩიშვილი, ახალი ქართლის ცხოვრების ტექსტები. — წიგნში.: ქართლის ცხოვრება, II, გვ. 027—028; კ. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 264; გ. ალასანია, XVIII საუკუნის ქართული ანონიმური ქრონიკა. — წიგნში: ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა). თბ., 1980, გვ. 31—35.

[27] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 218; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 297; ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, — წიგნში: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, IV. თბ., 1973, გვ. 120.

ფაქტ. დასახელებული ქრონიკალური მინაწერები მხედრული დამწერლობითაა შესრულებული. სხვა ქრონიკალური მინაწერების წარმომავლობის დადგენა ვერ ხერხდება.

[ყველაზე გვიანდელი საისტორიო თხზულება, რომლის ცნობებთან შეიძლება დაკავშირებული იყოს მატიანის ქრონიკალური მინაწერების წარმომავლობა, არის ვახუშტის ნაშრომი, რომელიც შედგენილია 1745 წელს რუსეთში[29] და საქართველოში ცნობილი გახდა XVIII ს. 80-იანი წლებიდან[30]. რადგანაც მატიანის მხედრული ქრონიკალური მინაწერები ყველა ერთი ხელითაა დაწერილი და, ამდენად, ერთ პიროვნებას ეკუთვნის, ამიტომ აღნიშნული მინაწერების ერთი ნაწილის წარმომავლობის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ იმავე დამწერლობით შესრულებულ სხვა მინაწერებზეც. მხედრული ქრონიკალური მინაწერები მატიანის ხელნაწერის აშიებზე ვერ გაჩნდებოდა XVIII ს. 80-იან წლებზე ადრე და 1828 წელზე გვიან[31]. ვერ ხერხდება ასომთავრული ქრონიკალური მინაწერების წარმომავლობის დადგენა.

„ძეგლი ერისთავთას" ტექსტის პირველი ქართული გამოცემა კომენტარებითურთ განახორციელა თ. ჟორდანიამ[32]. აღნიშნულ გამოცემას საფუძვლად დაედო დედნიდან მომდინარე XIX ს. 30-იან წლებში შესრულებული მესამე გადანაწერი[33].]

[როგორც პირველი ქართული გამოცემის დროს, ისე შემდგომში ხელნაწერის დედანი ქართველ მეცნიერებისათვის ხელმიუწვდომელი და უცნობი დარჩა. მიუხედავად მ. ბროსეს განცხადებისა, რომელიც მან დაურთო ძეგლის ფრანგულ თარგმანს (1851 წ.), რომ მატიანის თარგმანისას ხელთ ჰქონდა მისი დედანი, „ხუცური დამწერლობით შესრულებული ეტრატზე ნაწერი ათი ფურცელი", ძეგლის დედანი მაინც დაკარგულად ითვლებოდა, რადგანაც თ. ჟორდანია, მ. ჯანაშვილი, ი. ჯავახიშვილი ფიქრობდნენ, რომ მ. ბროსეს განკარგულებაში ყოფილა დედნიდან დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის მიერ გადაწერილი პირი და არა თვით დედანი[34]. ასეთი ვითარება იყო ჩვენი საუკუნის 50-იან წლებამდე.

---

28 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 268.

29 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 325.

30 ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ვახუშტი ბაგრატიონი, თბ., 1969, გვ. 188.

31 1828 წლის გადანაწერიდან მომდინარე ხელნაწერის მიხედვით თ. ჟორდანია მიერ გამოცემულ ტექსტში, როგორც ზემოთ ვნახეთ, შეტანილია აღნიშნული მინაწერები. ე. ი. 1828 წლისათვის ავტოგრაფი უკვე შეიცავდა მინაწერებს.

32 თ ე ო რ დ ა ნ ი ა. ქრონიკები, II, გვ. 1—19.

33 ი. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 1. შენ. 1.

34 იქვე, გვ. 1, შენ. 1; ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 263; მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართველთა მატიანე, გვ. 12.

1949 წ. ლენინგრადში მ. ბროსეს არქივში დაცულ მასალებში შ. მესხიამ გამოავლინა მატიანის დედანი, რომლის ტექსტის მეცნიერული გამოცემა გამოკლევითა და სამეცნიერო აპარატურით განახორციელა 1954 წელს[35].

იგივე ტექსტი უცვლელად განმეორდა 1965 წ. „ქართული სამართლის ძეგლების" ი. დოლიძისეული გამოცემის II ტომში[36].

„ძეგლი ერისთავთა" პირველად ფრანგულ ენაზე თარგმნა მ. ბროსემ 1851 წ. (ამავე დროს ეს იყო ძეგლის პირველი გამოცემა)[37]. მ. ბროსეს თარგმანს საფუძვლად დაედო ავტოგრაფიული ნუსხა[38].

ძეგლის პირველი რუსული თარგმანი ემყარება თ. ჟორდანიასეული გამოცემის ტექსტს. აღნიშნული თარგმანი პირველად გამოაქვეყნა ზ. ვანეევმა 1941 წ.[39] შ. მესხიას მიერ გამოცემული ტექსტის მიხედვით შესწორებული მ. ჯანაშვილისეული რუსული თარგმანი ხელმეორედ გამოსცეს გ. თოგოშვილმა და ნ. ცხოვრებოვმა 1962 წ.[40].

მატიანის ტექსტი უშუალოდ დედნიდან თარგმნა, გამოკვლევით და კომენტარებით გამოსცა საურმაგ კაკაბაძემ 1970 წ.[41] იგივე თარგმანი ხელმეორედ გამოიცა, ამჯერად, თბილისში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის მიერ დამტკიცებული „ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლთა რუსულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის წესების" მოთხოვნათა შესაბამისად[42].

„ძეგლი ერისთავთა", როგორც ისტორიული წყარო, მართალია,

---

35 ძეგლი ერისთავთა, გვ. 307—374 (ტექსტს უკავია გვ. 344—362).

36 ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, II, თბ., 1965, გვ. 102—117.

37 M. Brosset, Additions, p. 372—384.

38 იქვე, p. 372, n. 1.

39 Хроника эриставов Ксанских. — В кн.: З. Ванеев. Исторические известия об Аланах—Осах (материалы для древней и средневековой истории Осетии). Сталинир, 1941, с. 71—85.

40 „Памятник эриставов"—родословная хроника ксанских эристатов. —в кн.: История Осетии в документах и материалах (с древнейших времен до конца XVIII века), I, составители: Г. Д. Тогошвили, Н. А. Цховребов, Цхинвали, 1962, с. 85—100.

41 С. С. Какабадзе, Памятник эристатов. — Письменные памятники Востока. Историко-филологические исследования. Ежегодник, 1968. М., 1970, с. 101—126.

42 Памятник эриставов. Перевод, исследование и примечания С. С. Какабадзе, Тб., 1979, с. 21—28.

მონოგრაფიული შესწავლის საგანი არ ყოფილა, მაგრამ მის მეცნიერულ კვლევას დიდი ხნის ისტორია აქვს. მ. ბროსეს, თ. ჟორდანიას, ი. ჯავახიშვილს, ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილს, ირ. სურგულაძეს, დ. გვრიტიშვილს, ვ. გაბაშვილს, გ. მელიქიშვილს, ბ. ლომინაძეს, თ. პაპუაშვილს, ს. კაკაბაძეს, ე. ხოშტარია-ბროსეს, ვ. კიკნაძეს გამოთქმული აქვთ საყურადღებო მოსაზრებები თხზულების წყაროთმცოდნეობითი კრიტიკის სხვადასხვა საკითხებზე. განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის მატიანის შესწავლის საქმეში შ. მესხიას. დასახელებულ მკვლევართა თვალსაზრისები განხილული იქნება ნაშრომის სათანადო თავებში.

თავი პირველი

საგვარეულო მატიანეების წყაროთმცოდნეობითი კრიტიკის საკითხები

საბჭოურ წყაროთმცოდნეობაში საკმაოდ ნათლადაა ჩამოყალიბებული როგორც წყაროთა ერთობლიობის, ისე ცალკეული, კონკრეტული წყაროს წყაროთმცოდნეობითი კრიტიკის ამოცანები და ეტაპები.

კონკრეტული წყაროს (ისე, როგორც წყაროთა კომპლექსის) წყაროთმცოდნეობითი კრიტიკა საკითხების ფართო წრეს მოიცავს. იგი ითვალისწინებს წყაროს ტექსტის რედაქციების, შედგენის დროის, ადგილისა და ისტორიული ვითარების, ავტორის ვინაობის, იდეური მიმართულებისა და პოლიტიკური ტენდენციის, მიზანდასახულობის, საზოგადოებრივი ფუნქციის, ცნობათა სისრულისა და სანდოობის, გადმოცემული ფაქტების სამეცნიერო ღირებულების დადგენას, წყაროს ზოგად დახასიათებას და მისი ადგილის გარკვევას წყაროთა მრავალფეროვან სისტემაში[1].

ჩამოთვლილი საკითხები შეადგენენ წერილობითი წყაროების კრიტიკის ამოცანებს საერთოდ, ხოლო კონკრეტულ წყაროზე მუშაობისას მათი თანმიმდევრობა და განხილვის მიზანშეწონილობა დამოკიდებუ-

---

1 ი. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 25—26; В. И. Стрельский, Основные принципы научной критики источников по истории СССР. Киев, 1961, с. 53—104; А. П. Пронштейн, Б. В. Задёра, Методика работы над историческими источниками. М., 1969, с. 10—37; А. П. Пронштейн. Методика исторического источниковедения. Ростов Н/Д, 1976, с. 14 и др.; Я. С. Лурье. О некоторых принципах критики источников.—В кн.: Источниковедение отечественной истории. М., 1973, с. 87; И. А. Булыгин, Л. Н. Пушкарев. Источниковедение. Советская историческая энциклопедия, с. 594—596; М. А. Варшавчик. О структуре источниковедческой критики.—В кн.: Источниковедение отечественной истории, 1979. М., 1980, с. 25—26; Источниковедение истории СССР: Учебник (под ред. И. Д. Ковальченко, 2-е изд., перераб. и доп. М., 1981, с. 18—22).

ლია იმ თავისებურებებსა და ინდივიდუალურ ნიშნებზე, რომლებიც ახასიათებს განსახილველ წყაროს.

ქვემოთ შევეხებით სუმბატის თხზულების წყاროთმცოდნეობითი კრიტიკის მხოლოდ ზოგიერთ საკითხს.

სუმბატის თხზულების დასაწყისი, სადაც გადმოცემულია ბაგრატიონთა გენეალოგია ქართლში მოსვლამდე, რასაც ის ადამიდან იწყებს და დანის ძე სოლომონამდე მოჰყავს, ემყარება ბიბლიის ქართულ თარგმანსა და ევსევი კესარიელის „საეკლესიო ისტორიას"[2]. აღნიშნულ თხრობას საფუძვლად უდევს, აგრეთვე ლეგენდა ბაგრატიონთა საგვარეულოს დავით წინასწარმეტყველისაგან წარმომავლობის შესახებ, რომელიც შეთხზულია IX ს. პირველ მეოთხედში[3]. ამ ლეგენდით ხელმძღვანელობდა სუმბატი, როდესაც ბაგრატიონთა წარმოშობის ბიბლიურ სქემას ადგენდა. რაკი მისთვის ცნობილი იყო, რომ ბაგრატიონთა ბიბლიური მამამთავარი დავით წინასწარმეტყველია, აქედან გამომდინარე, მან ჩამოთვალა ბიბლიაში დასახელებული წინაპრები და ჩამომავლები დავით წინასწარმეტყველისა, რომლის უკანასკნელი ჩამომავლის, სოლომონ დანის ძის შვილებად გამოაცხადა პირველი ბაგრატიონები[4].

ძირითადი წყარო სუმბატის თხზულების იმ მონაკვეთისა, სადაც გადმოცემულია ამბები გუარამ კურაპალატის გაერისთავებიდან აშოტის გახელმწიფებამდე, არის „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ისტორიული ქრონიკა[5].

დღეისათვის მოღწეულია „მოქცევაჲს" ორი რედაქცია: შატბერდული (X ს. ხელნაწერი) და ჭელიშური (XIV—XV სს. ხელნაწერი)[6].

---

2 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. სამი ისტორიული ხრონიკა, გვ. XIII; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, შესავალი, გვ. 13; ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 196; М. Д. Л о р д к и п а н и д з е. Сумбат Давитис-дзе, с. 19: გ. მ ა მ უ ლ ი ა. სუმბატ დავითის-ძის ერთი წყაროს საკითხისათვის, გვ. 115—116.

3 ლეგენდის წარმოშობის თარიღის შესახებ ვრცლად იხ. მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ლეგენდა ბაგრატიონთა წარმოშობის შესახებ, გვ. 144—149.

4 სუმბატ დავითის-ძე, გვ. 373.

5 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, სამი ისტორიული ხრონიკა, გვ. CIX; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. შესავალი, გვ. 13; ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 196; პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, გვ. 430; М. Д. Л о р д к и п а н и д з е, Сумбат Давитис-дзе и его историческое сочинение, с. 19.

6 მოქცევაჲ ქართლისაჲ. — ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, ი. აბულაძის რედაქციით, თბ., 1965, გვ. 81—97 (ქვემოთ ყველგან ამ გამოცემას ვუთითებთ).

შედარება გვიჩვენებს, რომ სუმბატის თხზულების „მოქცევაჲდან“ მომდინარე მონაკვეთის ტექსტი ხან შატბერდულს უახლოვდება, ხან ჭელიშურს, მაგრამ ცალ-ცალკე მთლიანად არც ერთს არ ემთხვევა. საილუსტრაციოდ მოვიტანთ ერთ-ერთი ტიპურ მაგალითს:

შ ა ტ ბ ე რ დ უ ლ ი	ჭ ე ლ ი შ უ რ ი
„და მეფემან ჰრქუა: ესრეთ იყოს სიტყუაჲ, მე მიგაგო მისაგებელი შენი. და დაუტევა ჯიბღო ერისთავი ბრძოლად და თჳთ წარვიდა ბ ა ღ დ ა დ ს ბრძოლად ხუასრო მეფისა“[7].	„და თქუა ერაკლე: უკუეთუ ესე ესრ[ე]თ იყოს სიტყუაჲ წინასწარმეტყუელისა[ჲ] ჩემთჳს, მე მიგაგო მ რ ჩ ო ბ ლ ი მისაგებელი შენ. დაუტევა ჯიბღო ერისთ[ა]ვი კალას ბრძოლად. და იგი წარვიდა ბ ა ბ ი ლ ო ვ ნ ა დ ბრძოლად ხუასრო მეფისა“[8].

ს უ მ ბ ა ტ ი ს თ ხ ზ უ ლ ე ბ ა

„და თქუა მეფემან: უკეთუ იყოს ჩემდა სიტყუა ეგე კადნიერებისათჳს ჩემისა, მისაგებელი ო რ კ ე ც ი დაგიტეო შენ. და დაუტევა ტფილისს ჯიბღუ ერისთავი ბრძოლად ციხესა ტფილისისა და თჳთ წარემართა ბ ა ღ დ ა დ ს“[9]. სუმბატის ტექსტი სიტყვით „ორკეცი“ უახლოვდება „მოქცევაჲს“ ჭელიშურ რედაქციას, სადაც გვაქვს სიტყვა „მრჩობლი“ (შატბერდულში არ არის), ხოლო სიტყვით „ბაღდადს“ — შატბერდულს (ჭელიშურში ამ სიტყვის ნაცვლად წერია „ბაბილოვანს“).

ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ სუმბატი სარგებლობს „მოქცევაჲს“ იმ რედაქციის ტექსტით, რომელიც საერთოა შატბერდული და ჭელიშური რედაქციებისათვის[10]. აქედან თავისთავად გამომდინარეობს დასკვნა, რომ სუმბატის ხელთ არსებული „მოქცევაჲს“ ტექსტი რედაქციულად უფრო ადრინდელია, ვიდრე დღეისათვის ცნობილი შატბერდული და ჭელიშური ტექსტები.

---

7 მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 95—96 (ხაზგასმა ყველგან ჩვენია).

8 იქვე.

9 სუმბატ დავითის-ძე, გვ. 374—375.

10 „მოქცევაჲს“ ასეთი ტიპის რედაქციით უსარგებლია, აგრეთვე, „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შეტანილი ერთ-ერთი თხზულების ავტორს, ლეონტი მროველს (იხ. მ. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი, აღმოსავლეთ საქართველოს ქრისტიანიზაციის წყაროთმცოდნეობითი პრობლემები, საკანდ. დისერტაცია, თბ., 1982, გვ. 29—30, 33).

შესაძლებელია ძიახლოებით განისაზღვროს სუმბატის მიერ გამოყენებული „მოქცევაჲს“ რედაქციის ჩამოყალიბების ზედა ქრონოლოგიური ზღვარი. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ „მოქცევაჲს“ იმ ტექსტს, რომლითაც სუმბატი სარგებლობდა, დართული ჰქონდა სტეფანოზ II-ის შემდგომი დიდი ერისთავების სია[11]. აღნიშნული სია, მკვლევართა დაკვირვებით, „მოქცევაჲს“ ისტორიული ქრონიკის ტექსტში შეტანილია IX საუკუნეში[12], აშოტ დიდის (გარდ. 826 წ.) სიცოცხლეში[13] ან მისი უშუალო მემკვიდრეების ხანაში[14]. აქედან გამომდინარე, „მოქცევაჲს“ ჩვენთვის საინტერესო რედაქციის ჩამოყალიბების ზედა ზღვარი IX ს. 80-იან წლებზე უნდა დაიდოს (882 წ. გარდაიცვალა გვარამ აშოტის ძე). რაც შეეხება ხელნაწერის თარიღს, ამის დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია.

ტექსტების შედარებიდან ნათლად ჩანს, რომ სუმბატის განკარგულებაში არსებული „მოქცევაჲს“ ტექსტი (იგულისხმება ზემოთ აღნიშნული მონაკვეთის ფარგლებში), უფრო სრული ყოფილა, ვიდრე დღეისათვის ცნობილი ხელნაწერებია[15].

ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიტანთ შესაბამის ფრაგმენტებს:

მ ო ქ ც ე ვ ა ჲ	ს უ მ ბ ა ტ ი ს თ ხ ზ უ ლ ე ბ ა
„მაშინ ჩამოვლო ჰერაკლე მეფემან ბერძენთამან. და უჴმო ციხისთავმან კალაჲთ ტფილისისაჲთ მეფესა ჰერაკლეს ვაცბოტობით. ხოლო მან ფერჯი დააპყრა და დანიელ მოიღო და მოიძია სახე ესე: „მოვიდეს ვაცი იგი მზის დასავალისაჲ და შემუსრნეს რქანი ვერძისა მის მზის აღმოსავალისანი“. და მეფემან რქუა: „ესრეთ იყოს სიტყუაჲ, მე მიგაგო მისაგებელი შენი“. და დაუტევა ჯიბ-	„და ამის-ზე წარვლო ერეკლე მეფემან ბერძენთამან, და მივიდა ტფილისად, და დადგა დამართებით ციხესა კალისასა, და ციხისთავმან ჴმა უყო ციხით გამოღმართ და ჰრქუა ერეკლე მეფესა: „რომელსა გასხენ წუერნი ვაცისანი და ვაცბოტისა კისერი გათქს“. მაშინ, ესმა ერეკლე მეფესა, განრისხნა მისთჳს და აღმოიკითხა წიგნისაგან დანიელ წინასწარმეტყუელისა სიტყუა იგი

11 შდრ. მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 97; სუმბატ დავითის-ძე, გვ. 376.

12 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, სამი ისტორიული ხრონიკა, გვ. XCIII—XCIV.

13 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, IX, გვ. 111.

14 გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის წყაროები, — სინ, I, თბ., 1970, გვ. 47.

15 ამ-ტომ სუმბატის ‚თხზულებას გარკვეული მნიშვნელობა აქვს „მოქცევაჲს“ ისტორიული ქრონიკის ტექსტის ისტორიის შესასწავლად.

ღო ერისთავი ბრძოლად და თუთ
წარვიდა ბაღდადს ბრძოლად ხუ-
ასრო მეფისა. ხოლო ამან ჯიბღო
მცირეთა დღეთა შემდგომად კა-
ლაჲ გამოიღო და ციხისთავი იგი
შეიპყრა და პირი დრაჰკნითა აღუ-
ვსო და მერმე მრთელსა ტყავი
გაჰკადა და მეფესა უკუანა მისწია
გარდაბანს ვარაზ გრიგოლისსა
შინა"[16].

ვითარმედ: „აღმოვიდეს ვაცი და-
სავლისა და შემუსრნეს რქანი
აღმოსავლისა ვერძისანი". და
თქუა მეფემან: „უკეთუ იყო ჩემ-
და სიტყუა ეგე, კადნიერებისათჳს
ჩემისა, მისაგებელი ორკეცი და-
გიტეო შენ". და დაუტევა ტფი-
ლისს ჯიბღუ ერისთავი ბრძოლად
ციხესა ტფილისისასა და თუთ / წა-
რემართა ბაღდადს. და მივიდა
გარდაბანს ვარაზ გაგე-
ლისასა[18] და დაილაშქრა
ადგილსა მას, რომელსა
ჰქჳანხუზა შენი, დანათე-
ლსცა ჰერაკლე ვარაზგა-
გელსა და ყოველსა ერსა
მისსა, და იწყო შენებად
ეკლესიასა, რომელი იგი
უბრწყინვალეს არს ყო-
ველთა ეკლესიათა, და
წარვიდა ბერდუჯს და
დადგა გულსასოფლისა-
სა და აღმართა ჯუარი
ქჳსა და დადვა საფუძვე-
ლი წმინდისა ღთისმშო-
ბლისა ეკლესიისა, და
აღასრულა გუმბათი მი-
სი. ხოლო მან ჯიბღუ წარიღო
კალა და ციხისთავი იგი შეიპყრა,
და დრაჰკანითა პირი აღუვსო ამი-
სათვის რამეთუ თქუა სადიდებე-
ლი იგი მეფისა ერეკლესი, ხოლო
კადრებისა მისთჳს ტყავი გაჰხადა
და მეფესა მისწია იგი გარდაბანს
ვარაზ გაგელისსა. და გარდა-
ბნით მეფემან მიცვალა

---

16 მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 95—96.
18 უნდა იყოს „ვარაზ გრიგოლისსა" (იხ. ქვემოთ).

ლ ა ლ ს, დ ა უ წ ო დ ა მ ე წ ე კ ე-
ვ ნ ე ლ თ ა მ თ ა ვ ა რ ს ა დ ა ნ ა-
თ ე ლ-ს ც ა დ ა წ ა რ ვ ი დ ა ბ ა-
ღ დ ა დ ს“[19].

როგორც ვხედავთ, „მოქცევაჲს“ დღეისათვის ცნობილი ტექსტების მიხედვით არ ჩანს ჯიბღუს უცნაური საქციელის მოტივი, კერძოდ, თუ რატომაა, რომ მან თბილისის ციხისთავს „მრჩობლი მისაგებელი“ მიაგო: ჯერ „დრაჰკნითა პირი აღუვსო“, მერე კი ტყავი გასადა. სუმბატის თხზულებაში მოცემულია აღნიშნული ფაქტის ახსნა. ჯიბღუმ თბილისის ციხისთავს „დრაჰკნითა პირი აღუვსო“ იმიტომ, რომ მან ერეკლე კეისრის ვაცბოტთან შედარებით კეისრის „სადიდებელი“ თქვა, მაგრამ თავისი სიტყვებით, ამავე დროს, შეურაცხყოფაც მიაყენა, რისთვისაც ტყავი გაჰხადეს. სუმბატის ტექსტში მოთხრობილია ისეთი დეტალები, რომლებიც არა გვაქვს „მოქცევაჲს“ შატბერდულ და ჭელიშურ რედაქციებში (იხ. სუმბატის თხზულების ზემოთ მოტანილი ფრაგმენტის ხაზგასმული სტრიქონები[20]). ეს გარემოება მოწმობს იმას, რაც ზემოთ ითქვა: „მოქცევაჲს“ ტექსტი, რომლითაც სუმბატი სარგებლობდა, უფრო ვრცელი იყო, ვიდრე დღეისათვის ცნობილი შატბერდული და ჭელიშურია.

სუმბატის თხზულებაში „მოქცევაჲს“ ისტორიული ქრონიკის აღნიშნული მონაკვეთის თხრობა თითქმის სიტყვა-სიტყვითაა გადმოტანილი, მაგრამ სუმბატს ამ თხრობაში იმდენად არსებითი ხასიათის ცვლილებები შეაქვს, რომ მისი ისტორიულ-გენეალოგიური კონცეფცია ძირფესვიანად განსხვავდება წყაროს თვალსაზრისისაგან.

უწინარეს ყოვლისა, აღვნიშნავთ ცვლილებებს, რაც „მოქცევაჲს“ ტექსტმა სუმბატის ხელში განიცადა. „მოქცევაჲს“ ტექსტში აღნიშნული არაა გუარამ კურაპალატის (VI ს.) მამისშვილობა[21]. სუმბატი იმეორებს ყველაფერს, რაც „მოქცევაჲში“ ნათქვამია გუარამ კურაპალატის შესახებ და, ამავე დროს, მის გენეალოგიაზე გვაწვდის სავსებით ორიგინალურ ცნობებს, რომელთა თანახმად ბიბლიური სოლო-

---

19 ს უ მ ბ ა ტ დ ა ვ ი თ ი ს-ძ ე, გვ. 374—375.

20 სუმბატის აღნიშნულ ციტატებში ხაზგასმული სტრიქონების „მოქცევაჲს“ ტექსტიდან მომდინარეობას მოწმობს ის გარემოება, რომ „მოქცევაჲს“ შატბერდულ რედაქციაში აღნიშნულია ერეკლე კეისრის ყოფნა „ვარაზ გრიგოლისასა“. ასე რომ, „მოქცევაჲს“ დღეისათვის დაკარგული ხელნაწერები უთუოდ შეიცავდა ცნობებს ერეკლე კეისრისა და ვარაზ გრიგოლის ურთიერთობის შესახებ. ამიტომ ეჭვი არ გვეპარება, რომ სუმბატს აღნიშნული სტრიქონებიც „მოქცევაჲს“ ტექსტიდან აქვს აღებული.

21 მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 95.

მონ დანის ძის შვილები, შვიდი ძმა ფილისტიმიდან „მოწივნეს ეკლეცს წინაშე რაქაელ დედოფლისა და მისგან ნათელ იღეს“[22]; სამი მათგანი სომხეთში დამკვიდრდა, დანარჩენი ოთხი ძმა მოვიდა ქართლში. ერთი მათგანი ყოფილა გუარამი, რომელიც ქართლის ერისთავად „განაჩინეს“, „ქართლისა ბაგრატონიანნი შვილისშვილნი და ნათესავნი არიან მის გუარამისნი“[23]. ამის შემდეგ სუმბატი იმეორებს „მოქცევაჲს“ თხრობას გუარამის შესახებ, მაგრამ სუმბატის გუარამი წარმომავლობითა და გვარიშვილობით უკვე აღარაა „მოქცევაჲს“ გუარამი.

„მოქცევაჲს“ მიხედვით არ ჩანს სტეფანოზ გუარამის ძის შემდგომი დიდი ერისთავის ადარნასეს მამისშვილობა[24]. სუმბატი კი ამ ადარნასეს მისი წინამორბედი დიდი ერისთავის, სტეფანოზის ძედ წარმოგვიდგენს[25]. „მოქცევაჲს“ ტექსტში აღნიშნული არაა სტეფანოზ II-ის მომდევნო გუარამ II კურაპალატის მამისშვილობა[26]. სუმბატის მიხედვით, გუარამ II სტეფანოზ II-ის ძეა[27]. ესაა ცვლილებები, რაც „მოქცევაჲს“ თხრობამ განიცადა სუმბატის თხზულებაში.

აღნიშნული ცვლილებები არსებითად განპირობებულია იმ პრობლემებით, რომელთა გააზრებასაც სუმბატი ისახავდა მიზნად. სუმბატის ძირითადი ამოცანა, როგორც თხზულების სათაური გვაუწყებს, იყო გაშუქება იმისა, ბაგრატიონები „სადათ მოიწივნეს ამას ქუეყანასა... ანუ რომლით ჟამითგან უპყრიეს მათ მეფობა ქართლისა“. პირველი საკითხი „თუ სადით მოიწივნეს“ ბაგრატიონები ქართლში, სუმბატმა, როგორც ზემოთ ვნახეთ, ბაგრატიონთა ბიბლიური წარმოშობის ლეგენდის საფუძველზე გადაწყვიტა. მეორე ძირითადი საკითხის (თუ „რომლით ჟამითგან უპყრიეს“ ბაგრატიონებს ხელისუფლება ქართლში) გაშუქების დროს სუმბატს ბაგრატიონთა საგვარეულოში შემუშავებული თვალსაზრისით უნდა ეხელმძღვანელა. აღნიშნული თვალსაზრისი წერილობით ფიქსირებულია X ს. შუა წლებისათვის. ბიზანტიის იმპერატორის, კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულებაში ნათქვამია, რომ ბაგრატიონების იერუსალიმიდან წამოსვლისა და ქართლში დამკვიდრების დროიდან დღემდე (იგულისხმება 952 წ.) ოთხასი ან ხუთასი წელია გასული[28]. ეს შეხედულება, ცხადია, თავდა-

---

22 სუმბატ დავითის-ძე, გვ. 373.

23 იქვე.

24 მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 95.

25 სუმბატ დავითის-ძე, გვ. 376.

26 მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 97.

27 სუმბატ დავითის-ძე, გვ. 376.

28 კონსტანტინე პორფიროგენეტი, De administrando imperio. — გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV_2, ბერძნუ-

პირველად საქართველოში, ბაგრატიონთა საგვარეულოში შემუშავდა და აქედან შეაღწია კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულებაში საქართველო-ბიზანტიის მჭიდრო პოლიტიკური და კულტურული კავშირების წყალობით.

როგორც ვხედავთ, X ს. შუა ხანებისათვის ბაგრატიონებს თავიანთი წინაპრების ქართლში დამკვიდრების ფაქტი შორეული წარსულის კუთვნილებად მიაჩნიათ და V—VI საუკუნეებით ათარიღებენ (როგორც ჩანს, აღნიშნული ფაქტის კონკრეტული თარიღი ამ დროისათვის ჯერ კიდევ დაუზუსტებელია). სუმბატისათვის ერთგვარი გზამკვლევის მნიშვნელობა ჰქონდა აღნიშნულ შეხედულებას, შემუშავებულს იმ საგვარეულოში, რომლის ისტორიასაც ის წერდა. სუმბატის ამოცანად რჩებოდა ბაგრატიონთა წინაპრების ქართლში დამკვიდრებისა და პოლიტიკური აღზევების დროის შესახებ ოფიციალური თვალსაზრისის ილუსტრირება ქართლის ისტორიის კონკრეტული მასალით. საამისოდ სუმბატს, ბუნებრივია, ქართლის ისტორიის ამსახველი ნაწარმოებები უნდა მოეძია. IX საუკუნემდელი ქართლის ისტორიის გასაცნობად სუმბატს ერთადერთი თხზულება, „მოქცევაჲ ქართლისაჲ ჰქონია (იქნებ ეს ფაქტი შემთხვევითი არ არის და სუმბატმა გარკვეული მოსაზრებით მისთვის ხელმისაწვდომი სხვა ძეგლებიდან მხოლოდ „მოქცევაჲ“ შეარჩია). ასეა თუ ისე, ხელმძღვანელობდა რა ბაგრატიონთა ზემოთ აღნიშნული ოფიციალური თვალსაზრისით, სუმბატი შეუდგა ბაგრატიონთა შორეული წინაპრის ძიებას „მოქცევაჲს“ ისტორიულ ქრონიკაში ჩამოთვლილ V—VI საუკუნეების ქართლის პოლიტიკურ ხელისუფალთა შორის. ამ მოსაზრებით „მოქცევაჲს“ ისტორიული ქრონიკის ტექსტის „ჩხრეკისას“ მასში დასახელებულ V—VI სს. ქართლის ხელისუფალთაგან პირველ ბაგრატიონად მიჩნევისათვის ყველაზე მეტ „საცთურს“ გუარამ კურაპალატის პიროვნება ქმნის. ამ თვალსაზრისით „მოქცევაჲს“ თხრობაში ყურადღებას იქცევს ორი გარემოება: ა) გუარამ კურაპალატის შესახებ თხრობის დაწყებამდე საუბარია ბაკურის მეფობის ამბებზე. აქ, სხვათა შორის, ნათქვამია: „ამის ბაკურის ზევე დაესრულა მეფობაჲ ქართლისაჲ“[29]. ბ) ამის შემდეგ აღწერილია ქართლში სპარსთა გაბატონება. ასეთ ვითარებაში „ნელად-რე შეკრბა ქართლი და განაჩინეს ერისთავად გუარამ და მერმე კურაპალატადცა“[30]. ბაკურის ზეობით ქართლში მეფობის დასასრული შეიძლებოდა აღქმულიყო როგორც დინასტიის დასას-

---

ლი ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1952, გვ. 259—269.

29 მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 94.

30 იქვე, გვ. 94—95.

რული. ეს გარემოება სუმბატს ხელსაყრელ საფუძველს უქმნიდა იმისათვის, რომ ბაკურის ზეობის შემდგომ ხელისუფლების სათავეში ახალი დინასტიის მოსვლა ერწმუნა. რაკი სუმბატის მიერ ძველი დინასტიის აღსასრულად გაგებული „მეფობის დასრულების" შემდგომ ერისთავად „განჩენილი" გუარამ კურაპალატის მამისშვილობა „მოქცევაჲს" ტექსტში აღნიშნული არაა, ხელს არაფერი უშლიდა იმას, რომ აღნიშნული გუარამი, როგორც „მეფობის" შემდგომი ქართლის პირველი ხელისუფალი, ახალი, ბაგრატიონთა დინასტიის პირველ წარმომადგენლადაც ყოფილიყო მიჩნეული. ვფიქრობთ, აღნიშნულმა გარემოებებმა განაპირობეს ის, რომ სუმბატმა V—VI სს. ქართლის პოლიტიკურ ხელისუფალთა შორის პირველი ბაგრატიონის ძიებისას ყურადღება შეაჩერა გუარამ კურაპალატზე და არა სხვაზე.

რადგანაც სუმბატმა პირველი ბაგრატიონი გუარამ კურაპალატში დაინახა, აქედან მისთვის ბუნებრივად გამომდინარეობდა დასკვნა, რომ „მოქცევაჲში" ჩამთთვლილი გუარამ კურაპალატის შემდგომი დიდი ერისთავები აშოტ ბაგრატიონამდე გუარამის პირდაპირი ჩამომავლები და, ამდენად, ბაგრატიონები არიან. ასე გაავლო მან უშუალო ჩამომავლობითი ხაზი გუარამ კურაპალატსა და აშოტ ბაგრატიონს შორის. ამით სუმბატმა ქართლის ისტორიის კონკრეტული ფაქტების ფონზე საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახე მისცა ბაგრატიონთა საგვარეულოში შემუშავებულ თვალსაზრისს მათი წინაპრების ქართლში დამკვიდრებისა და აღზევების დროის შესახებ.

გარკვევა იმისა, თუ რამდენად შეესაბამება რეალურ სინამდვილეს სუმბატის ცნობები აშოტ დიდის (გარდ. 826 წ.) წინამორბედი ქართლის დიდი ერისთავების ბაგრატიონობის შესახებ, სცილდება ჩვენი ინტერესების სფეროს[31]. ჩვენი მიზანი იყო გვეჩვენებინა „მოქცევაჲს" ისტორიული ქრონიკის, როგორც წყაროს წვლილი სუმბატის

---

31 მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ სუმბატის აღნიშნული თვალსაზრისი არასწორია (იხ. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, გვ. 14—15, 35—38; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, IX, გვ. 108—114; გ. მ ა მ უ ლ ი ა, არჩილ „მეფის" (VIII ს.) რეფორმის გენეზისი და მისი პოლიტიკური ტენდენცია. — წიგნში: ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან. თბ., 1976, გვ. 117—124). მკვლევართა მეორე ნაწილი სარწმუნოდ მიიჩნევს VI ს. ქართლში ხელისუფლების სათავეში ბაგრატიონთა მოსვლას (იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. გვ. 118—121; M. B r o s s e t. Histoire de la Géorgie. SPb., 1858, p. 216; მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია, I, ტფ., 1906. გვ. 249; პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 78; ნ. ლ ო მ ო უ რ ი, კონსტანტინე პორფიროგენეტის ერთი ცნობის გარკვევისათვის, გვ. 136 და შემდ.; გ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბ., 1977, გვ. 48).

თხზულების შედგენის საქმეში და წყაროსადმი სუმბატის დამოკიდებულების მეთოდი.

სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია საკამათოდაა ქცეული სუმბატის თხზულების ბოლო მონაკვეთის წყაროს საკითხი. აღნიშნული მონაკვეთი, სადაც გადმოცემულია 1021—1031 წლების ამბები, ტექსტობრივად ძალიან ახლოსაა „მატიანე ქართლისას" იმავე პერიოდის ამსახველ მონაკვეთთან[32]. ასეთი ვითარება ი. ჯავახიშვილმა ახსნა იმით, რომ ორივე თხზულების ავტორს აღნიშნული პერიოდის ამბების გადმოსაცემად ერთი საერთო წყაროთი უსარგებლიათ[33]. შემდგომში ასეთი ახსნა დამაკმაყოფილებელი არ აღმოჩნდა და ზემოთ ნახსენები მონაკვეთების ტექსტობრივ მსგავსებასთან დაკავშირებით საკითხი დაისვა ასეთი ალტერნატივის სახით: ან სუმბატმა გამოიყენა „მატიანე ქართლისას" ტექსტი ან „მატიანე ქართლისას" ავტორმა ისარგებლა სუმბატის თხზულებით. კვლევის ამ მიმართულებით გამოიკვეთა ორი საპირისპირო თვალსაზრისი. პირველი თვალსაზრისი, რომლის თანახმად, სუმბატის წყაროა „მატიანე ქართლისა", წამოაყენა კ. გრიგოლიამ. მკვლევარი ემყარება შემდეგ არგუმენტებს:

1. სუმბატის თხზულების ბოლო მონაკვეთი განსხვავდება თხზულების ძირითადი ნაწილისაგან სტილითა და თხრობის ხასიათით (ძირითადი ნაწილი მშრალი და ერთფეროვანია და მასში უხვადაა ქრონოლოგიური ცნობები, ბოლო მონაკვეთში კი კონკრეტულ ფაქტებსა და პიროვნებებზე მსჯელობა გაცილებით ვრცელია, თარიღები კი — შესამჩნევად ნაკლები)[34].

2. სუმბატის თხზულების აღნიშნულ ნაწილებში ფაქტები დათარიღებულია სხვადასხვა მეთოდით[35]. ყოველივე ამის გამო, მკვლევრის აზრით, სუმბატის თხზულების ბოლო მონაკვეთი არ არის ძირითადი ტექსტის ორგანული გაგრძელება. ამავე დროს, კ. გრიგოლიას აზრით, დასახელებულ თხზულებათა საზიარო ნაკვეთი თხრობის სტილით ორგანულად ეხამება „მატიანე ქართლისას" ტექსტს[36]. ამას, გ. ალასანიას დაკვირვებით, მხარს უჭერს ისიც, რომ სუმბატის თხზულების ბოლო და ძირითად ნაწილებს შორის დასტურდება განსხვავება რიცხვებისადმი დამოკიდებულებაში[37].

აღნიშნული ხასიათის განსხვავებები თხრობის ცალკეულ მონა-

---

32 სუმბატ დავითის-ძე, გვ. 383_4—386_{31}; მატიანე ქართლისა, — ქართლის ცხოვრება, I, გვ. 284_9—294_7

33 ი. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 206.

34 კ. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 233—234.

35 იქვე, გვ. 234.

36 იქვე, გვ. 235.

37 გ. ალასანია. რიცხვი და მისტიკა ძველ ქართულ საისტორიო მწერ-

კვეთებს შორის მხოლოდ სუმბატის თხზულებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშანი არ არის. ასეთი განსხვავებები ადვილად შეიძლება გამოვლინდეს ყველა იმ ავტორის თხზულებაში, რომელიც ხანგრძლივი პერიოდის ამბებს სხვადასხვა წყაროების საფუძველზე აღწერს, რის გამოც სტილი, ინფორმაციის სივრცელე და სიმოკლე, დათარიღების მეთოდი, რიცხვების სიმბოლიკა და ა. შ. უპირატესად დამოკიდებულია იმ წყაროებზე, რომლებითაც თხზულების ავტორი სარგებლობდა ამა თუ იმ მონაკვეთში. ამ თვალსაზრისით „მატიანე ქართლისას" ტექსტიც არ არის თავიდან ბოლომდე ერთგვაროვანი (მასში თხრობა ზოგან ვრცელია, ზოგან მოკლე, ცხადია, იმის მიხედვით, ვრცელი ინფორმაცია ჰქონდა თუ მწირი). მაშასადამე, რა ლოგიკითაც სუმბატის თხზულების ბოლო მონაკვეთი ძირითადი ტექსტის არაორგანულ გაგრძელებადაა მიჩნეული, იმავე ლოგიკით, „მატიანე ქართლისას" 1021—1031 წლების ისტორიის ამსახველი მონაკვეთიც შეიძლება განხილულ იქნეს დანარჩენი ტექსტის არაორგანულ ნაწილად. ამიტომ ზემოთ განხილული არგუმენტი არ გამოდგება იმის სამტკიცებლად, რომ „მატიანე ქართლისა" არის სუმბატის წყარო.

„მატიანე ქართლისაში" არ მოიპოვება არც ერთი ისეთი ცნობა, აღნიშნავს კ. გრიგოლია, რომელიც სუმბატის თხზულების შესაბამის მონაკვეთში არ იყოს, მაშინ როდესაც სუმბატის თხზულებაში გვაქვს ზოგიერთი ისეთი ფაქტი, რომელიც „მატიანე ქართლისაში" არ გვხვდება. სუმბატის თხზულება ბერძენ-ქართველთა ომის ორ დამატებით ეპიზოდს გადმოგვცემს: პირველი, ბასილი კეისრის მიერ გიორგი მეფის ფიცის წიგნის ჰოროლის წვერით დახევა და, მეორე, ბერძენთა ჯარში რუსების რაზმის მონაწილეობა. ყველაფერი ეს, კ. გრიგოლიას აზრით, მიუთითებს იმაზე, რომ „მატიანე ქართლისას" ავტორი სუმბატის თხზულებას არ იცნობდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ძნელი ასახსნელი იქნებოდა მის მიერ ბერძენ-ქართველთა ომის ამ ორი საყურადღებო ეპიზოდის გამოტოვება. სუმბატის თხზულების ბოლო ნაკვეთი თუ სიტყვა-სიტყვით გადმოწერილი არა, ყოველ შემთხვევაში „მატიანე ქართლისას" მიხედვით გადმოკეთებული ჩანს. ეს

ლობაში. — მაცნე, ისტორიის სერია, 1984, № 4, გვ. 36—37; Г. Г. Алексания. Классификация грузинских письменных исторических источников, Тб., 1986. с. 172—173.

აღნიშნულ გარემოებათა ახსნა ჩვენ ვცადეთ იმით, რომ შესაძლოა სუმბატის თხზულების ბოლო მონაკვეთი ეკუთვნის სხვა ავტორს, სუმბატის თხზულების გამგრძელებელს, რომელიც „მატიანე ქართლისას" ტექსტით სარგებლობდა (იხ. Г. М. Арахамия, Вопросы источниковедческой критики хроники Сумбата Давитисдзе, с. 13). საკითხის შემდგომმა შესწავლამ სხვა დასკვნამდე მიგვიყვანა.

ოპერაცია შეიძლება პირადად სუმბატს არც ეკუთვნოდეს და სხვა, გვიანდელი ავტორის ნახელავი იყოს[38].

მოტანილ მსჯელობაში არის ერთი უზუსტობა. როგორც ქვემოთ დავინახავთ, „მატიანე ქართლისაში" არის მთელი წყება ისეთი ფაქტებისა, რომლებიც სუმბატის თხზულებაში არა გვაქვს. რაც შეეხება სუმბატის თხზულებაში „მატიანე ქართლისასთან" შედარებით ზოგიერთი ზედმეტი ფაქტის არსებობის ახსნას, ამ საკითხს ქვემოთ შევეხებით.

კ. გრიგოლიას მოსაზრება მთლიანად გაიზიარა ს. ყაუხჩიშვილმა და ახალი არგუმენტებიც მოიტანა მის სასარგებლოდ. ის გარემოება, რომ „მატიანე ქართლისაში" საუბარია დალასანოსებზე, სუმბატის თხზულებაში კი ამის შესახებ არაფერია ნათქვამი, ს. ყაუხჩიშვილის აზრით, აიხსნება იმით, რომ სუმბატი სარგებლობდა „მატიანე ქართლისას" ტექსტით და აღნიშნული ცნობა გაუგებრობის გამო გამოტოვა. ბუნებრივია, ასკვნის მკვლევარი, წყაროდ მივიჩნიოთ ის თხზულება, რომელშიც უფრო მეტი ცნობებია[39].

ადვილი შესამჩნევია, რომ ს. ყაუხჩიშვილის მიერ მოტანილი არგუმენტი კი არ ამაგრებს კ. გრიგოლიას მოსაზრებას, არამედ არღვევს მას. როგორც ზემოთ ვნახეთ, კ. გრიგოლიასათვის ამოსავალი იყო ის, რომ სუმბატის თხზულებაში უფრო მეტია ფაქტობრივი მასალა, ვიდრე „მატიანე ქართლისაში", ს. ყაუხჩიშვილისათვის, პირიქით, ამოსავალია ის, რომ „მატიანე ქართლისა" უფრო მდიდარია ფაქტობრივი მონაცემებით, ვიდრე სუმბატის თხზულება. დასახელებულ მკვლევართა მსჯელობის განსხვავებული პრინციპები შეუძლებელია ერთსა და იმავე მოსაზრებას ასაბუთებდეს. ს. ყაუხჩიშვილის არგუმენტი, თავისთავად აღებული, უთუოდ ლოგიკურია, მაგრამ ნაკლებ დამაჯერებელია იმდენად, რამდენადაც იმავე არგუმენტით სუმბატის ქრონიკაც შეიძლება მივიჩნიოთ „მატიანე ქართლისას" წყაროდ. საქმე ისაა, რომ არა მარტო „მატიანე ქართლისა" შეიცავს სუმბატის თხზულებაში არარსებულ ფაქტებს, არამედ სუმბატის თხზულებაშიც გვაქვს „მატიანე ქართლისაში" არარსებული ფაქტები (ამაზე ქვემოთ).

გ. გელაშვილის თვალსაზრისით, სუმბატის თხზულებაა „მატიანე ქართლისას" წყარო და არა პირიქით. აღნიშნული მოსაზრების სასარგებლოდ მკვლევარს მოაქვს შემდეგი არგუმენტები: 1. სუმბატის

---

38 კ. გ რ ი გ ო ლ ი ა. ახალი „ქართლის ცხოვრება", გვ. 234—235.

39 ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, „ქართლის ცხოვრების" ძეგლთა წყაროების საკითხისათვის. წიგნში: ქართლის ცხოვრება, I, გვ. 034—039; მკვლევარი სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრებას გვთავაზობს „მატიანე ქართლისას" ტექსტისათვის დართულ კომენტარებში, სადაც აღნიშნულია, რომ „მატიანე ქართლისას" წყაროა სუმბატის თხზულება (იხ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 284, შენ. 4).

თხზულებაში „მატიანე ქართლისას“ ტექსტისაგან განსხვავებით ზედმეტი ფაქტების არსებობა მიუთითებს იმაზე, რომ „მატიანე ქართლისას“ ტექსტით ისარგებლა სუმბატმა. 2. სუმბატის თხზულება ქრონოლოგიურად უსწრებს „მატიანე ქართლისას“ (ის გარემოება, რომ სუმბატის ქრონიკაში თხრობა მოულოდნელად წყდება 1032 წლის ამბებზე, მკვლევარს იმის მოწმობად მიაჩნია, რომ სუმბატი ამ დროს გარდაიცვალა, რაც თავის მხრივ, მიუთითებს იმაზე, რომ ქრონიკა იმავე 1032 წ. არის შედგენილი); 3. სუმბატის თხზულებაში ზოგიერთი ფაქტის („ვალანგისა“ და დემეტრე კლარჯის ვინაობა) შესახებ სწორი ცნობებია, „მატიანე ქართლისაში“ კი მცდარი. ყველაფერი ეს მიუთითებს იმაზე, რომ სუმბატის თხზულების ტექსტს ემყარება „მატიანე ქართლისა“[40]. აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებენ მ. ლორთქიფანიძე[41] და გ. წულაია[42], თუმცა ეს უკანასკნელი არ გამორიცხავს აღნიშნული ორი თხზულების საზიარო მონაკვეთების საერთო წყაროდან მომდინარეობას. გარდა ამისა, მას დამაფიქრებლად მიაჩნია ის გარემოება, რომ „მატიანე ქართლისას“ ავტორი სუმბატის თხზულებას თავის წყაროებს შორის არ ასახელებს, მაშინ როცა ის სხვა წყაროებს უთითებს[43].

გ. გელაშვილის პირველი არგუმენტი მისაღები იქნებოდა იმ შემთხვევაში, რომ ზედმეტი ფაქტები იყოს მხოლოდ სუმბატის თხზულებაში და არ იყოს „მატიანე ქართლისაში“. მაგრამ, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ეს ასე არ არის. გაუმართლებელია სუმბატის თხზულების შედგენის თარიღის 1032 წლით განსაზღვრა იმ მოტივით, რომ თხზულების თხრობა ამ წლის ამბებით წყდება. აღნიშნული თარიღით შეიძლება თხზულების შედგენის მხოლოდ ქვედა ზღვარი მოვნიშნოთ, მაგრამ ზედა ზღვარი ხომ გაურკვეველი რჩება. რაც შეეხება იმას, რომ სუმბატის თხზულებაში ზოგიერთი ფაქტის შესახებ ცნობები ზუსტია, „მატიანე ქართლისაში“ კი მცდარი, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მაინცდამაინც პირველი იყო მეორის წყარო. ხომ შეიძლებოდა სუმბატს გაესწორებინა წყაროს („მატიანე ქართლისა“) არასწორი ცნობები, მაშინ რა უშლის ხელს იმას, რომ „მატიანე ქართლისა“ მივიჩნიოთ სუმბატის წყაროდ?

აღნიშნულ საკითხს შეეხო შ. ბადრიძე, რომელიც მხარს უჭერს

---

[40] გ. გ ე ლ ა შ ვ ი ლ ი. სუმბატ დავითის-ძე და „მატიანე ქართლისა“, გვ. 239—255.

[41] М. Д. Л о р д к и п а н и д з е. Сумбат Давитис-дзе и его историческое сочинение, с. 19.

[42] Г. В. Ц у л а я. Введение.—В кн.: Летопись Картли. Тб., 1982, с. 29.

[43] იქვე.

ი. ჯავახიშვილის მოსაზრებას, რომლის თანახმად ორივე თხზულების ავტორები ტექსტობრივად საერთო წყაროს ემყარებიან[44].

სუმბატის თხზულებისა და „მატიანე ქართლისას“ ურთიერთმიმართების გასარკვევად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რა ვითარებაა თითოეულ თხზულებაში ფაქტების მეტობა-ნაკლებობის თვალსაზრისით. ტექსტების ზერელე შედარებითაც კი აშკარა ხდება, რომ ორიგინალურ, ზედმეტ ფაქტებს შეიცავს როგორც ერთი, ისე მეორე თხზულება.

ჯერ აღვნუსხავთ ისეთ დეტალებს, რომლებიც სუმბატის თხზულებაში დასტურდება, მაგრამ „მატიანე ქართლისაში“ არა გვაქვს. ესენია: 1. ბასილი კეისართან ბრძოლაში დამარცხებული გიორგი მეფე „წარვიდა ნიალის კერძო სამცხედ“[45]; 2. ბასილი კეისრის მიერ ჯავახეთისა და არტაანის აოხრება მოხდა „დღეთა შინა ზამთრისათა“[46]; 3. ბიზანტიაში „მეფე იქმნა ქსიფი“[47]; 4. ბასილი კეისრის ბრძანებით გიორგი მეფის „სიმტკიცისა და ზავის“ წერილის „დამოკიდება წუერსა ჰოროლისასა“[48]; 5. ბიზანტიის ლაშქარში იყვნენ „ტაღმანი მეფისანი რუსნი“[49]; 6. ბაგრატ IV-ის დედა მარიამი იყო „ნაშობი დიდთა მეფეთა არშაკუნიანთა“[50].

„მატიანე ქართლისას“ თხრობა შეიცავს ზოგიერთ ისეთ დეტალს, რომელიც სუმბატის თხზულებაში არ გვხვდება, სახელდობრ: 1. თრიალეთში, ბასილი კეისართან საომრად გამზადებულ გიორგი მეფეს „დაუშალეს შებმა მეორედ“[51]. 2. ბასილი კეისრის წინააღმდეგ აჯანყებული წარვეზის შეპყრობა დალასანოსთა მიერ[52]; 3. ჯარების საბრძოლო გამზადების აღმნიშვნელი სიტყვა „სკნდაქსი“[53]; 4. ბასილი კეისარმა საქართველოს გარკვეული ტერიტორიის მიტაცების შემდეგ „რომელნიმე ამა ქუეყანათაგან ეკლესიანი, სოფელნი და ადგილნი დაულოცნა გიორგი მეფესა“[54]; 5. „ციხე არტანუჯისა ჰქონდა იოვანეს

---

[44] Ш. А. Бадридзе, „Картлис цховреба“, о грузино-византийских взаимсотношениях первой трети XI в., с. 47—54.

[45] სუმბატ დავითისძე, გვ. 383_{22}.

[46] იქვე, გვ. 383_{26}.

[47] იქვე, გვ. 383_{31}.

[48] იქვე, გვ. 384_{14}.

[49] იქვე, გვ. 384_{22}.

[50] იქვე, გვ. 385_{25-26}.

[51] მატიანე ქართლისა, გვ. 285_{12}.

[52] იქვე, გვ. 286_{4}.

[53] იქვე, გვ. 287_{10-11}.

[54] იქვე, გვ. 288_{7-10}.

ურისთავსა აბუსერსა"[55]; 6. ბიზანტიის კეისარმა, კონსტანტინემ თავის თანამოსაყდრეს, რომანოზს „შერთო ცოლად ასული თუსი ზოია"[56].

როგორც ვხედავთ, ზედმეტი დეტალები მოიპოვება როგორც სუმბატის თხზულებაში, ისე „მატიანე ქართლისაში". ზემოთ მოტანილი კონკრეტული მასალა ადასტურებს იმ მკვლევართა (ი. ჯავახიშვილი, შ. ბადრიძე) მოსაზრებას, რომლის თანახმად სუმბატი და „მატიანე ქართლისას" ავტორი სარგებლობდნენ ერთი და იგივე წყაროთი. საერთო წყაროს ტექსტიდან ზოგი რამ სუმბატმა გამოტოვა, ზოგი რამ — „მატიანე ქართლისას" ავტორმა, რის გამოც თითოეულს ერთმანეთისაგან განსხვავებული ზედმეტი ფაქტები აღმოაჩნდა.

აშკარაა, რომ სუმბატის თხზულების ბოლო მონაკვეთში გადმოცემული ამბები მთლიანად წერილობით წყაროს ემყარება. ეს გარემოება მიუღებელს ხდის მოსაზრებას, რომ თხზულების ბოლოს მოთხრობილი ამბები სუმბატს აღწერილი აქვს ვითარცა თვითმხილველს[57].

სუმბატის ვინაობისა და მოღვაწეობის დროის შესახებ პირდაპირი ცნობები არა გვაქვს. აღნიშნულ საკითხებზე გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება. დ. ბაქრაძის აზრით, თხზულების ავტორი და იმავე თხზულებაში მოხსენიებული სუმბატ დავით მამფალის ძე (გარდაიცვალა 988 წ.) ერთი და იგივე პირია. მკვლევრის აზრით, აღნიშნულ სუმბატს აღუწერია ამბები 988 წლამდე, თხზულების დანარჩენი ნაწილი უცნობ ავტორს ეკუთვნის[58].

თ. ჟორდანია თხზულების ავტორს აიგივებს ათონის აღაპებში მოხსენიებულ სუმბატ კურაპალატთან (გარდაიცვალა 922 წ.), რომელსაც, მისი აზრით, დაუწერია თხზულების ის მონაკვეთი, სადაც გადმოცემულია ამბები 922 წლამდე, შემდგომი ნაწილი კი ათონის აღაპებში დასახელებულ გურგენს, სუმბატ კურაპალატის ძეს[59].

დ. კარიჭაშვილის აზრით, თხზულება მთლიანად ეკუთვნის სუმბატ დავითის ძეს, რომელიც გარდაიცვალა 1032 წ. სუმბატი ეკუთვნოდა მეფის ახლობელ ნათესავთა წრეს, რაზედაც მიუთითებს ის, რომ თხზულების შედგენისას მას გამოყენებული აქვს სამეფო საგვარეუ-

---

55 მატიანე ქართლისა, გვ. 293.

56 იქვე.

57 დ. კარიჭაშვილი, ვინ უნდა იყვეს სუმბატის ქრონიკის ავტორი? გვ. 40; ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 196; პ. ინგოროყვა, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, გვ. 431; გ. გელაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 248.

58 დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, გვ. 55.

59 თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, ტფილისი, 1892, გვ. 149, შენ. 9.

ლოს დოკუმენტები, რომლებიც ხელმისაწვდომი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ სამეფო ოჯახთან დაახლოებული პიროვნებისათვის[60].

აქედან გამომდინარე, მკვლევარს სუმბატ დავითის-ძე ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენლად მიაჩნია. აღნიშნული ორიენტირების (სუმბატის გარდაცვალების თარიღი და გვარი) საფუძველზე დ. კარიჭაშვილი განაგრძობს ბაგრატიონთა საგვარეულოში იმ დავითის ძიებას, რომლის შვილი შეიძლებოდა ყოფილიყო XI ს. პირველ მესამედში მცხოვრები პიროვნების მამა. ასეთად მკვლევარმა მიიჩნია დავით ადარნასეს ძე, რომელიც სუმბატის თხზულების მიხედვით, მამის, ადარნასეს გარდაცვალების (983 წ) დროს მცირეწლოვანი ყოფილა[61]. ამ დავითს, დ. კარიჭაშვილის აზრით, შეიძლებოდა ჰყოლოდა შვილი, სახელით სუმბატი, რომელსაც უნდა ემოღვაწნა XI ს. პირველ ნახევარში. ვინაიდან სუმბატი თავის თხზულებაში ასახელებს დავითის დაბადების წელს და არ უჩვენებს გარდაცვალების თარიღს, მკვლევარი ფიქრობს, რომ სუმბატი მამის გარდაცვალებას არ მოსწრებია[62].

ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „როდესაც მკვლევარმა დანამდვილებით არ იცის, ჰყავდა თუ არა დასახელებულ პირს (დავით ადარნასეს ძეს — გ. ა.) შვილი, რა ფასი აქვს ცალიერ შესაძლებლობას? ვიდრე თვით სუმბატის არსებობის შესახებ გარკვეული ცნობები არ გვექნება, ამგვარი სათუო საბუთებით, რასაკვირველია, საკითხს ვერ გამოვარკვევთ"[63].

ე. თაყაიშვილი, რომელიც სუმბატს ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა წარმომადგენლად მიიჩნევს[64], მთლიანად იზიარებს დ. კარიჭაშვილის ვარაუდს[65].

გ. გელაშვილის ჰიპოთეზით, სუმბატი უნდა იყოს იმ დავითის ძე, რომელიც თხზულების მიხედვით, 944 წ. გარდაიცვალა[66].

გ. მჭედლიძე, რომელიც ემყარება კ. გრიგოლიასა და ს. ყაუხჩიშვილის თვალსაზრისს სუმბატის მიერ „მატიანე ქართლისას" (1072/73)

---

60 დ. კარიჭაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 40—41.

61 დ. კარიჭაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 41; სუმბატ დავითის-ძე, გვ. 381.

62 დ. კარიჭაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 42.

63 ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. ტფილისი, 1916, გვ. 135, შენ. 1.

64 ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ხრონიკა, გვ CVIII—CIX.

65 ე. თაყაიშვილი, შესავალი, გვ. 11—12.

66 გ. გელაშვილი, დასახ ნაშრომი, გვ. 245—246; სუმბატ დავითის-ძე, გვ. 381—382.

ტექსტით სარგებლობის შესახებ, სუმბატის თხზულებას XI ს. ბოლო მეოთხედით ათარიღებს[67].

სუმბატის თხზულების დათარიღება 1032 წლით, ჩვენი აზრით, დამაჯერებელი არ არის. მართალია, თხზულების დღეისათვის ცნობილი ტექსტი 1032 წლის ამბებზე თხრობით მთავრდება, მაგრამ ნაწარმოების თავდაპირველი ტექსტი უფრო ვრცელი უნდა ყოფილიყო. ამას მოწმობს ის გარემოება, რომ თხზულების ბოლო წინადადება დასრულებული არ არის. ტექსტის დასასრულს აღნიშნულია, რომ ბაგრატ IV-ის დედა, მარიამ დედოფალი „წარვიდა კოსტანტინეპოლედ წინაშე რომანოზ მეფისა ვედრებად მისა, რათა მშვდობა ყოს აღმოსავლეთისათჳს... და რათა მიუთხრეს პატივი ძესა თჳსსა ბაგრატ მეფესა წესისაებრ სახლისა“[68]. წინადადებიდან არ ჩანს, ვის სახლს ეხება საუბარი. ცხადია, თავდაპირველ ტექსტში ეს აღნიშნული იქნებოდა („მატიანე ქართლისას“ შესაბამისი თხრობის მიხედვით ჩანს, რომ საუბარია ბაგრატიონთა სახლზე[69]). აღნიშნული წინადადების დაუსრულებლობა თუნდაც დღეისათვის ცნობილი ხელნაწერების ნაკლულევანებით აიხსნას, დამოუკიდებელი ნაწარმოების ასეთი მოულოდნელი დამთავრება მაინც გაუგებარი რჩება. წარმოუდგენელია ნებისმიერმა ავტორმა ნაწარმოები იმგვარად დაასრულოს, როგორც სუმბატის თხზულების დღეისათვის ცნობილი ტექსტი მთავრდება. სავსებით ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ თხზულებას დასასრული აკლია. ტექსტი ნაკლული სახით ყოფილა შეტანილი „ქართლის ცხოვრების“ კრებულში, ვინაიდან კრებულის ყველა ნუსხაში ის ერთი და იგივე მოცულობითაა წარმოდგენილი.

სუმბატის თხზულების დათარიღების საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი გარემოება. თხზულების ბოლო მონაკვეთი უკანასკნელ წინადადებამდე, როგორც ზემოთ ვნახეთ, წერილობით წყაროს ემყარება, რაც ბუნებრივად სვამს კითხვას: თუ სუმბატი თხზულების ბოლოში აღწერილი ამბების თანამედროვე და თვითმხილველია, გაუგებარია, რატომ დასჭირდა მას მისი თანადროული ამბების აღწერაში წერილობითი წყარო? ხომ შეეძლო მას, როგორც თვითმხილველს, თანადროული ვითარება წერილობითი წყაროს გამოუყენებლად, უშუალოდ ცოცხალი სინამდვი-

---

[67] Г. А. Мчедлидзе, Хронология в древнегрузинской исторической литературе V—XIV вв. Автореферат канд. диссертации. Тб., 1963, с. 18.

[68] სუმბატ დავითის-ძე, გვ. 386. მითითებულ გამოცემაშია: „სახელისა“. სწორი ფორმაა „სახლისა“ (იხ. М. Д. Лордкипанидзе, Примечания. — В кн.: Сумбат Давитис-дзе, История и повествование о Багратионах, с. 59, прим. 157).

[69] იქვე, გვ. 294.

ლიდან აღეწერა? თუ სუმბატი იმავე წელს გარდაიცვალა, რომელი წლის ამბებზეც წყდება მისი თხზულების ტექსტი, მაშინ გამოდის, რომ სუმბატის წყარო და სუმბატის თხზულება ერთდროულად იწერებოდა, უკეთეს შემთხვევაში, თხზულება, სადაც გადმოცემული იყო 1021—1031 წლების ამბები, დამთავრებისთანავე, „ცხელ კვალზე" მოიძია და წყაროდ გამოიყენა სუმბატმა. ასეთ გაურკვეველობამდე და ნაძალადევ დასკვნებამდე მივყავართ სუმბატის მიჩნევას მისი თხზულების ბოლო გვერდებზე აღწერილი ამბების თვითმხილველად.

ის ფაქტი, რომ სუმბატი თავისი თხზულების ბოლო მონაკვეთს წერილობითი წყაროს მიხედვით წერს, მოწმობს იმას, რომ თხზულებაში მოთხრობილი უკანასკნელი ეპიზოდის თარიღს ის საკმაო დროითაა დაშორებული. აქედან გამომდინარე, სუმბატის მიჩნევა საკუთრივ თხზულებაში დასახელებული რომელიმე დავით ბაგრატიონის შვილად, სარწმუნო არაა.

სუმბატის თხზულების ტექსტმა „ქართლის ცხოვრების" კრებულში შეტანილ სხვა თხზულებების მსგავსად, გარკვეული ტექსტობრივი ცვლილებები და დამახინჯებანი განიცადა. კვლევა ქრონიკის თავდაპირველი ტექსტის დადგენის მიმართულებით დაიწყო მისი პირველი ქართული გამოცემით, რომელიც ე. თაყაიშვილმა განახორციელა. ტექსტის შემდგომი გამართვა, როგორც ძველი „ქართლის ცხოვრების", ისე ვახტანგისეული რედაქციების ხელნაწერთა მიხედვით ეკუთვნის ს. ყაუხჩიშვილს. ამ უკანასკნელი გამოცემის შემდგომ თხზულების ტექსტის ცალკეული ბუნდოვანი და ლოგიკურად გაუმართავი ადგილები დააზუსტეს და გაასწორეს რ. კიკნაძემ[70] და მ. ლორთქიფანიძემ[71]. ქვემოთ შევეხებით ორიოდე ადგილის დაზუსტებას.

სუმბატი მოგვითხრობს, რომ ბიზანტიის კეისარმა, ერეკლემ, თბილისი ალყაში მოაქცია (627 წ.). გარემოცვის გაჭიანურების გამო კეისარმა თბილისის ციხის აღება და ურჩი ციხისთავის დასჯა თავის მოკავშირეს, თურქთა მხედართმთავარს დაავალა „და თვთ წარემართა ბაღდადს და მივიდა გარდაბანს ვარაზ გ ა გ ე ლ ი ს ა ს ა და დაილაშქრა ადგილსა მას, რომელსა ჰქჳან ხუზაშენი, და ნათელსცა ერეკლე ვარაზ გრიგოლსა და ყოველსა ერსა მისსა". ამის შემდეგ აღნიშნულია, რომ ჯიბღუმ თბილისი აიღო, ციხისთავი შეიპყრო, „ტყავი გაჰკადა და მეფესა (ე. ი. ერეკლეს — გ. ა.) მისწია იგი გარდაბანს ვარაზ გრიგოლისასა". ასე იკითხება მოტანილი ფრაგმენტი ძველი „ქართ-

---

70 რ. კ ი კ ნ ა ძ ე. ფარსადან გორგიჯანიძის ერთი ქართული წყაროს შესახებ, გვ. 31—41.

71 М. Д. Л о р д к и п а н и д з е, Примечания.—В кн.: С у м б а т Д а в и т и с д з е, История и повествование о Багратионах, с. 48, прим. 41; с. 59, прим. 157.

ლის ცხოვრების“ ნუსხებში (მარიამისეული, მაჩაბლისეული, მცხეთური ნუსხის პირი)[72].

ჩვენი ყურადღება მიიპყრო შემდეგმა: პიროვნება, რომელსაც ერეკლე კეისარი ეწვია გარდაბანში, ჯერ იხსენიება როგორც „ვარაზ გაგელი“, შემდეგ ორგზის — „ვარაზ გრიგოლი“.

ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებში ეს პიროვნება სამივე შემთხვევაში იხსენიება ფორმით „ვარაზ გაგელი“[73].

სუმბატის თხზულების ექვთიმე თაყაიშვილისეულ გამოცემებსა[74] და რუსულ თარგმანში[75] აღნიშნული საკუთარი სახელის წაკითხვები დატოვებულია ისე, როგორც ძველი „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებშია.

ს. ყაუხჩიშვილმა უპირატესობა ვახტანგისეული რედაქციის ნუსხათა ჩვენებას მიანიჭა და ძირითად ტექსტში სამივე გზის „ვარაზ გაგელი“ შეიტანა[76]. ასევეა აღნიშნულ გამოცემაზე დამყარებულ რუსულ თარგმანშიც[77].

ე. თაყაიშვილისა და მ. ჯანაშვილის ვარაუდით, „გაგელი“ გაგის ციხის მფლობელს ნიშნავს და ვარაზ გრიგოლის, როგორც გაგის ციხის პატრონის ზედწოდებაა[78]. ეს ვარაუდი, ჩვენი აზრით, უსაფუძვლოა, რადგანაც VII საუკუნეში არავითარი „გაგელის“ სამფლობელო და „გაგელობა“ არ არსებობდა.

სუმბატის ტექსტის აღნიშნული ორი ჩვენებიდან („ვარაზ გაგელი“ და „ვარაზ გრიგოლი“) თუ რომელია სწორი, ამის შემოწმება, როგორც დ. მუსხელიშვილი შენიშნავს, შესაძლებელია სუმბატის წყაროს, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტით[79]. მართალია, „მოქცევაჲს“ დღეისათვის ცნობილ ხელნაწერებში შესაბამისი თხრობა უფრო შემოკლებულია, ვიდრე „მოქცევაჲს“ სუმბატის ხელო აოსე-

---

72 ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 340—341; სუმბატ დავითის-ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, გვ. 59—60. ციტირებული ტექსტი უმნიშვნელო სხეაობითაა წარმოდგენილი მაჩაბლისეულ ნუსხასა და მცხეთური ნუსხის პირში (ხაზგასმა ჩვენია).

73 ქართლის ცხოვრება, I, გამოცემული მ. ბროსეს მიერ, სპბ., 1849. გვ. 167.

74 სამი ისტორიული ხრონიკა, გვ. 47—48; სუმბატ დავითის-ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, გვ. 15.

75 Жизнь и известие о Богратионах, с. 127—128, 132.

76 სუმბატ დავითის-ძე, გვ. $375_{4,5,11}$.

77 Сумбат Давитис-дзе, с. 29.

78 Жизнь и известие о Багратионах, с. 127 — 128, прим. 3; მ. ჯანაშვილი. საქართველოს ისტორია, გვ. 269.

79 დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბ., 1980, გვ. 42—43.

ბული ტექსტი, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის მთავარი ისაა, რომ „მოქცევაჲს" შატბერდული რედაქციის მიხედვით, ჯიბღუმ თბილისის ციხისთავი შეიპყრო, „ტყავი გაჰკადა და მეფესა (კეისარს — გ. ა.) უკუანა მისწია გარდაბანს ვარაზ გრიგოლისსა შინა"[80]. აშკარაა, რომ სუმბატის განსახილველი ფრაგმენტის წყარო მხარს უჭერს სახელის წაკითხვას ფორმით „ვარაზ გრიგოლი". ამას მოწმობს ისტორიული რეალიებიც. ჰერაკლე კეისრის ქართლში ლაშქრობის (627 წ.) ახლო ხანებში, კერძოდ, VII ს. 30-იან წლებში, სომეხი ავტორის მოვსეს კალანკატუაცის ცნობით, გარდაბნის მხარეში ჩანს ვარაზ გრიგორი, ალვანთა მთავარი[81]. მისი რეზიდენცია იყო ციხე გარდმანი (ქართული წყაროების გარდაბანი) იმავე სახელწოდების მხარეში[82].

ამრიგად, „მოქცევაჲს" ტექსტში დადასტურებული ფორმა სახელისა „ვარაზ გრიგოლი", აგრეთვე, ისტორიული რეალიები საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ სწორია სუმბატის ტექსტის ჩვენება „ვარაზ გრიგოლი", რაც შეეხება წაკითხვას „ვარაზ გაგელი", რაც ერთხელ გვხვდება ძველი „ქართლის ცხოვრების" ნუსხებში, ხოლო უველგან ვახტანგისეული რედაქციის ხელნაწერებში, „ვარაზ გრიგოლის" დამახინჯებული ფორმაა (დამახინჯების გზა ასეთია: ვარაზ გრგლ—ვარაზ გგლ—ვარაზ გაგელი).

ზემოთქმულის გათვალისწინებით, სუმბატის ტექსტის განსახილველი წინადადება ასე გასწორდება: „თჳთ წარემართა ბაღდადს და მივიდა გარდაბანს ვარაზ გრიგოლისსა". შემდეგ როგორც ძველი „ქართლის ცხოვრების" ნუსხებშია.

სუმბატი გვაუწყებს, რომ ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე VIII-მ (1025—1028 წწ.) საქართველოში სალაშქროდ გამოგზავნა თავისი მოხელე. საქართველო-ბიზანტიას შორის გაჩაღებული ბრძოლების დროს, აღნიშნულია სუმბატის თხზულებაში, „ჩანჩახამან, ერისთავმან შავშეთისამან, მისცა (ბიზანტიელებს — გ. ა.) ციხე წეფთისა, და თჳთ წარვიდეს იგინი საბერძნეთს"[83]. როგორც ვხედავთ, წინადადება სინტაქსურად გაუმართავია, ტექსტის მიხედვით, საუბარი ეხება ერთ პიროვნებას (შავშეთის ერისთავს), ნაცვალსახელი კი მრავ-

---

[80] მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 96.

[81] მ ო ვ ს ე ს კ ა ლ ა ნ კ ა ტ უ ა ც ი ა, ალვანთა ქვეყნის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძეტატიშვილმა. თბ., 1985, გვ. 88, 89, 159„ 166.

[82] იქვე, გვ 87—88; დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 38—48. მხარე გარდაბნის სახელწოდებით არსებობდა როგორც საქართველოში, ისე მეზობელ ჰერეთში. „მოქცევაჲსა" და სუმბატის თხზულებაში საუბარია ჰერეთის გარდაბანზე (იხ. დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 41—42).

[83] ს უ მ ბ ა ტ დ ა ვ ი თ ი ს-ძ ე, გვ. 385—33-34.

ლობით რიცხვშია („იგინი“). ორში ერთია: ან ნაცვალსახელი წერია არასწორად (მაშინ უნდა იყოს „იგი“ და არა „იგინი“) ან ჩანჩახ ერისთავის გარდა სხვაც თუ სხვებიც წასულან „საბერძნეთს“.

საკითხში გარკვეულობა შეაქვს „მატიანე ქართლისას“ ტექსტს. როგორც ზემოთ ითქვა, სუმბატის თხზულებისა და „მატიანე ქართლისას“ 1021—1031 წლების ამსახველი მონაკვეთები ემყარებიან საერთო წყაროს. ეს გარემოება შესაძლებლობას იძლევა სუმბატის თხზულების აღნიშნული მონაკვეთის ფარგლებში ბუნდოვანი ადგილის გასამართავად მივმართოთ „მატიანე ქართლისას“ შესაბამის სტრიქონებს. „მატიანეში“ აღნიშნულია, რომ ჩანჩახ ფალელს ბიზანტიისათვის ჩაუბარებია გარყლობის ციხე; რაც შეეხება წეფთის ციხეს, რომელიც „მატიანეში“ წერეფთის სახელწოდებით იხსენიება, მტრისათვის გადაუცია არჯევან ჰოლოლას-ძეს („მასვე ჟამსა წარვიდა ჩანჩახი ფალელი საბერძნეთს, მისცა ციხე გარყლობისა, მიერთო ბერძენთა. და არჯევან ჰოლოლას-ძემან მისცა ბერძენთა ციხე წერეფთისა“[84]).

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეს ცნობები „მატიანის“ ავტორსა და სუმბატს ერთი და იგივე წყაროს ტექსტიდან მოაქვთ, აგრეთვე, იმას, რომ სუმბატის თხზულების განსახილველ წინადადებაში გვაქვს ნაცვალსახელი მრავლობითის ფორმით („იგინი“), მაშინ აშკარაა, რომ სუმბატის თხზულების თავდაპირველ ტექსტში აღნიშნული იქნებოდა არჯევან ჰოლოლას-ძის ღალატის ფაქტიც, მაგრამ შემდგომში გადამწერის დაუკვირვებლობის გამო დაიკარგა. „მატიანის“ ტექსტის გათვალისწინებით სუმბატის თხზულების განსახილველი წინადადება დაკარგული სიტყვების აღდგენის შემდეგ ასეთ სახეს მიიღებს: „ჩანჩახამან, ერისთავმან შავშეთისამან, მისცა ციხე [გარყლობისა და არჯევან ჰოლოლას-ძემან მისცა ციხე] წეფთისა და თჳთ წარვიდეს იგინი საბერძნეთს“.

კუთხოვან ფრჩხილებში ჩასმული ფრაზის დაკარგვა, ვფიქრობთ, მიეკუთვნება ე. წ. კიდურმსგავსებით გამოწვეული შეცდომების რიცხვს. ძველ ტექსტებში უამრავია იმის მაგალითები, რომ „გადამწერთ გამოეპარებათ ხოლმე მთელი გამოთქმები, ხშირად მთელი სტრიქონებიც, იმის გამო, რომ უკანასკნელი სიტყვები ორი გამოთქმისა ან სტრიქონისა, ერთნაირია“[85].

---

84 მატიანე ქართლისა, გვ. 292_{5-7}.

85 ს. ყაუხჩიშვილი, ქართლის ცხოვრება და მისი ანასეული ხელნაწერი. — წიგნში: ქართლის ცხოვრება. ანა დედოფლისეული ნუსხა. თბ., 1942, გვ. CXIII.

* * *

ქვენიფნეველთა საგვარეულო მატიანის ავტორისეული სათაური უცნობია, რადგანაც ხელნაწერს აკლია დასაწყისი, სადაც აღნიშნული იქნებოდა სათაური. მატიანის ჩვენამდე მოღწეული ერთ-ერთი ხელნაწერი, რომელიც თავბოლონაკლული დედნიდან 1828 წ. გადმოღებულ პირს წარმოადგენს, გადამწერის მიერ ასეა დასათაურებული: „ქსნის ერისთვიანთ ისტორია ანუ ნამდვილი [ამბავი]"[86]. იმავე ხელნაწერის მინაწერში ერისთავთა სახლის წარმომადგენლები აღნიშნავენ: „ესე ჩვენი ძ ე გ ლ ა დ წოდებული... ისტორია დაფუძნება ჩვენისა გვაროვნობისა"....[87].

მატიანის ქართული ტექსტის პირველ გამოცემაში, რომელსაც საფუძვლად დაედო დასახელებული ხელნაწერის მეორე გადანაწერი, თ. ჟორდანიამ სათაურად აღნიშნა „ძეგლი ერისთავთა"[88], საფიქრებელია, ზემოთ მოტანილი მინაწერის გავლენით. ამ დროიდან სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული სათაური დამკვიდრდა.

მკვლევრები, ალბათ, იმ მიზნით, რომ მიუთითონ ნაწარმოების თხრობის ობიექტზე, სათაურს („ძეგლი ერისთავთა") ურთავენ ნაწარმოების განსაზღვრასაც. მაგალითად: „ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე"[89], „ქსნის ერისთავთა ძეგლი"[90], „ქსნის ერისთავთა საგვარეულო ქრონიკა"[91]. ქსნის ერისთავთა ისტორიის ამსახველ ნაწარმოებად მიიჩნევენ მას მ. ბროსე[92], თ. ჟორდანია[93], მ. ჯანაშვილი[94], ი. ჯავახიშვილი[95], დ. გვრიტიშვილი[96]. აღნიშნული თვალსაზრისი გავრცელებულია დღესაც.

---

86 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, H—2496, 1r; შ. მ ე ს ხ ი ა, გამოკვლევა, გვ. 322.

87 H — 2496, 8v; შ. მ ე ს ხ ი ა, გამოკვლევა, გვ. 322 (ხაზგასმა ჩვენია).

88 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, ტფ., 1897, გვ. 1.

89 შ. მ ე ს ხ ი ა, გამოკვლევა, გვ. 308 და სხვ.

90 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, მეფე გიორგი ანდრონიკეს შვილი ალასტანელი. — წვრილი შტუდიები საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ, ტფ., 1914, გვ. 17; მისივე, შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, თბ., 1966, გვ. 97.

91 С. С. Какабадзе, Хроника ксанских эриставов начала XV века.— В кн.: Памятник эриставов, с. 7 и др.

92 M. Brosset, Additions, p. 372.

93 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 19.

94 მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართველთა მატიანე. — მოამბე, 1903, № 2, გვ. 12.

95 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 263.

96 დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 55 და შემდ.; თუმცა უთითებს იმასაც, რომ საერისთაო თავდაპირველად ცხრაზმის საერისთაოს სახელს ატარებდა, ხოლო ერისთავებს ცხრაზმისხეების ერისთავები ეწოდებოდათ (იქვე, გვ. 63, 68).

აღნიშნული განსაზღვრა ნაწარმოებისა აშკარა უხერხულობას ქმნის, რადგანაც ის არ გამომდინარეობს თვით ნაწარმოების შინაარსიდან და, აგრეთვე, იმ ადმინისტრაციული ერთეულის (საერისთავო) სახელწოდებიდან, რომლის გამგებლების (ერისთავების) საგვარეულოს ისტორიასაც აღწერს განსახილველი თხზულება. საქმე ისაა, რომ ძეგლში ქვენიფნეველთა საგვარეულოს მამამთავარი და პირველი ერისთავი სახელდებულია, როგორც „ერისთავ ცხრაზმისკევისა"[97]. გარდა ამისა, ქვენიფნეველთა საგამგებლო ტერიტორიის სახელწოდებად მატიანეში ყველგან აღნიშნულია „ცხრაზმა" ან „ცხრაზმისკევი", რომელიც ფართო მნიშვნელობით მოიცავს ქსნის ხეობის ზემო ნაწილს. მატიანეში „ქსნის საერისთავო" არსად ნახსენები არაა. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან ქვენიფნეველები „ქსნის ერისთავებად" იწოდებიან დაახლოებით XVII ს. შუა წლებიდან, როდესაც მათი რეზიდენცია ქვენიფნევიდან (ცხრაზმა) ახალგორში (მდ. ქსნის შუა წელი ხეობის დაბლობი) იქნა გადმოტანილი[98]. ხოლო მატიანეში აღწერილი პერიოდისათვის ქვენიფნეველები ცხრაზმის ერისთავები არიან. ასე რომ, თუ აუცილებელია მატიანის სათაურთან ერთად მითითებულ იქნეს ისიც, თუ რომელი საერისთავოს გამგებელი მოხელეების ისტორიის ამსახველ ნაწარმოებთან გვაქვს საქმე, მართებულია განსაზღვრა შემდეგი სახით: „ცხრაზმის ერისთავთა საგვარეულო მატიანე".

„ძეგლი ერისთავთას" დედანი, როგორც ითქვა, ჩვენამდე სრული სახით არ შემონახულა. მას აკლია როგორც დასაწყისი, ისე დასასრული. ხელნაწერის ტექსტი წყდება 1403/4 წლის ამბებზე, — თემურ-ლენგის დასავლეთ საქართველოში ლაშქრობის (1403 წ.) შემდგომ გიორგი VII-ის ერისთავ ვირშელ III-სთან ერთად დვალეთში ლაშქრობის გადმოცემით.

მატიანის ბოლო ნაწილში საუბარია ერისთავ ვირშელ III-ის მოღვაწეობის შესახებ, რომელიც ცოცხალი ჩანს 1403/4 წლისათვის. ძეგლის ერთ-ერთი ქრონიკალური მინაწერით, ვირშელ III დაბადებულა 1376 წ. იგივე ვირშელი გამოსახულია ხელნაწერის ერთ-ერთ გვერდზე დახატულ პორტრეტზე, რომლის მინაწერში ერისთავი ცოცხლად იხსენიება. ტექსტისა და პორტრეტის მთლიანობა ეჭვს არ იწვევს, რაზედაც მიუთითებს ის ფაქტი, რომ ხელნაწერის მე-9 ფურცლის recto გვერდის უკანასკნელი სტრიქონის პირდაპირ გაგრძე-

---

97 ძეგლი ერისთავთა, გვ. 346.

98 ჯ. გ ვ ა ს ა ლ ი ა, ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. — საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, III. თბ., 1967, გვ. 49—50; იხ. აგრეთვე П. Иоселиани, Икортский монастырь в Карталинии. — საქართველოს სასულიერო მახარებელი, ტფ., 1865, XI, გვ. 69; Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства.—АКАК, т. V. Тифлис, 1873, с. 1045.

ლებას წარმოადგენს მე-10 ფურცლის recto გვერდის პირველი სტრიქონი. ხოლო მე-9 ფურცლის verso გვერდი მთლიანად ერისთავის პორტრეტს უჭირავს. ეს კი მოწმობს ტექსტისა და პორტრეტის მთლიანობასა და სინქრონულობას. აქედან გამომდინარე, მატიანე იწერებოდა ერისთავ ვირშელ III-ის სიცოცხლეში[99].

ვარდა წარმოდგენილი მონაცემებისა, ვირშელ III-ის მოღვაწეობის დროის შესახებ ცნობა დაცულია ყანჩაეთის სვინაქსარის ერთ-ერთ ალაში, რომლის თანახმად ვირშელ III-ის შვილი ქვენიფნეველი ერისთავად ჩანს 1422 წ., რაც მოწმობს იმას, რომ XV ს. 20-იანი წლების დასაწყისისათვის ვირშელ III ცოცხალი აღარ არის. აქედან გამომდინარე, „ძეგლი ერისთავთას" შედგენის დრო, ვინაიდან ის ვირშელ III-ის სიცოცხლეში იწერებოდა, XV ს. 20-იან წლებს ვერ გადმოსცილდება[100]. მატიანის დაწერის ქვედა ზღვარი, თვით მატიანის შინაარსის მიხედვით 1404 წელი ჩანს.

„ძეგლი ერისთავთა" მ. ბროსეს, თ. ჟორდანიას, ი. ჯავახიშვილის, შ. მესხიას დაკვირვებით, ლარგვისის მონასტერში შექმნილი ნაწარმოებია. მატიანე რომ ლარგვისის მონასტერში იწერებოდა, ამაზე ძეგლის არაერთი ადგილი მიუთითებს. სახელდობრ: „ხოლო შალვა მოიყვანა ცოლად ოვსთა მეფისა ასული, სახელით შირდი, რომელმან განადიდა პატივი მ ო ნ ა ს ტ რ ი ს ა ა მ ი ს"[101], „შემოიწირა ე კ ლ ე ს ი ა ს ა ა მ ა ს სკნაქსარი ესე კეთილი"[102], „ადიდნა ქსანი და მოჰმართა მ ო ნ ა ს ტ ე რ ს ა ა მ ა ს და წარუხუნა ზღუდენი და სამრეკლონი და გამოთხარა ძირი ეკლესიისა. მაშინ ერისთავმან იოვანე მასვე კკრიასა შინა იწყო შენებად ზემოჲსა ა მ ი ს ე კ ლ ე ს ი ი ს ა"[103], „მაშინ დააქცივნეს ე კ ლ ე ს ი ა ე ს ე აშენებული ერისთავისა იოვანესაგან"[104].

მატიანის ავტორი, ი. ჯავახიშვილის აზრით, სასულიერო პირია, რაზედაც მიუთითებს ის, რომ „მოთხრობის ერთადერთ ღირსეულ საგნად მას ან სამხედრო მოქმედება და ომი მიაჩნია, ან ეკლესიათა აგება და შემკობა-გამშვენება. სამხედრო მოქმედების გარდა მემატიანეს გულისყური მხოლოდ საეკლესიო შენობების აგებისა, შემკობისა, მღვდელმსახურთა პატივისცემისა და დასაჩუქრების ამბებისაკენ

---

99 შ. მ ე ს ხ ი ა, გამოკვლევა, გვ. 310, 313.

100 ვ. კ ი კ ნ ა ძ ე, ყანჩაეთის სვინაქსარი და მისი მნიშვნელობა „ძეგლი ერისთავთას" დათარიღებისათვის, — წიგნში: ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, თბ., 1982, გვ. 54—56.

101 ძეგლი ერისთავთა, გვ. 348 (ხაზგასმა აქ და ქვემოთ ჩვენია).

102 იქვე, გვ. 352.

103 იქვე, გვ. 355.

104 იქვე, გვ. 360.

იყო მიპყრობილი. მას გულმოდგინედ აღნუსხული აქვს, თუ რომელმა ლარგველმა რა ხატი შემოსწირა და მოაჭედინა, ან ტაძარი ააშენებინა და მოახატვინა"[105]. ამის საილუსტრაციოდ ძეგლში უამრავი მაგალითია: „შექმნა დიდი ესე ხატი მაცხოვრისა საზომითა ტანისა თჳსისათა და მოჭედა იგი. ამანვე შეამკო დიდი ესე ხატი თეოდორესი და შექმნა ორი კანდელი და დაუკიდნა"[106]. „განადიდა პატივი მონასტრისა ამის და შექმნა ყოველი სამსახური ეკლესიისაჲ: ოქროჲსა და ვერცხლისაჲ ბარძიმი, ტაბაკნი, კანდელი და სხუა ყოველი სამკაული, და მოჭედნა ხატნი და შეამკო ხატი თეთროსანი წმიდათა ნაწილებითა და ყოვლითა სამკაულითა"[107]. „ამან (ქვენიფნეველმა ვირშელის ძემ — გ. ა.) აღაშენა ქვენიფნევს ეკლესია და შეკრიბნა მღდელნი და მონაზონნი და პატივსცა უმეტეს ყოველთა ერისთავთა პირველთა"[108]. იოვანე ერისთავმა „მოიყვანნა მეუღლე პატივოსანი, კეთილი, ღმრთისმოყუარე და სრული ყოვლითურთ. ამან შეჰმატა ღმრთისმსახურებასა"[109] და სხვ.

ასე რომ, მიახლოებით ცნობილია ავტორის მოღვაწეობის ხანა — XIV ს. მეორე ნახევარი და XV ს. დასაწყისი. ცხადია ისიც, რომ ავტორი ლარგვისის მონასტერში მოღვაწე სასულიერო პირია.

მატიანის ხელნაწერის ჩვენამდე მოღწეული ტექსტი არავითარ პირდაპირ ცნობას არ შეიცავს ავტორის ვინაობის შესახებ. საკითხის გარშემო საუბარი შესაძლებელია მხოლოდ ვარაუდების ფარგლებში. რამდენადაც ცნობილია ავტორის მოღვაწეობის ხანა — XIV ს. მეორე ნახევარი და XV ს. დასაწყისი — და ადგილი — ლარგვისის მონასტერი, მკვლევრები, ჩვეულებრივ, ყურადღებას ამახვილებენ XIV—XV სს. ლარგვისის მონასტრის ცნობილ მოღვაწეებზე. ამ დროისათვის ლარგვისის მონასტერში მოღვაწეობდნენ ისეთი ცნობილი მწიგნობრები, როგორიც არიან გიორგი თაბაური, ავგაროზ ბანდაჲსძე და გრიგოლ ავგაროზის ძე ბანდაჲსძე[110]. რომელი მათგანი შეიძლება მივიჩნიოთ მატიანის ავტორად? ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს მატიანეში დაცული ერთი საინტერესო ცნობა, სადაც საუბარია XIV ს. 10-იან წლებში პიპა ქვენიფნეველის ნება-სურვილით ლარგვისის მოძღვართ-მოძღვრად იოვანე ბანდაჲსძის დანიშვნის შესახებ.

---

105 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 264.

106 ძეგლი ერისთავთა, გვ. 349.

107 იქვე, გვ. 348.

108 იქვე, გვ. 352.

109 იქვე, გვ. 354.

110 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწეროა ინსტიტუტი, A—575, ფ. 310, 373; H—2125, 2v, 76r; თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 204; შ. მ ე ს ხ ი ა, გამოკვლევა, გვ. 317.

ავტორი ამ ფაქტზე საგანგებოდ ჩერდება. ეს გარემოება არ შეიძლება შემთხვევითი იყოს, რადგანაც მატიანეში ნახსენები არ არის XIII—XV სს. ლარგვისის მონასტრის არც ერთი მოღვაწე, ხოლო იოვანე ბანდაჲსძეზე ყურადღების გამახვილება შეიძლება იმის მანიშნებლად ჩაითვალოს, რომ ძეგლის ავტორი დაკავშირებულია ბანდაჲსძეთა საგვარეულოსთან[111]. ნ. ბერძენიშვილმა ყურადღება შეაჩერა ავგაროზ ბანდაჲსძეზე. აღნიშნული მოსაზრება განავითარა და სათანადო არგუმენტაციით გაამაგრა შ. მესხიამ[112].

ავგაროზ ბანდაჲსძის მოღვაწეობის დროის შესახებ ცნობა დაცულია ლარგვისის XIV ს. პარაკლიტონის მინაწერში, საიდანაც ვგებულობთ, რომ 1400 წლის „შემდგომად მცირედისა ჟამისა“ ავგაროზის შვილი გრიგოლ ბანდაჲსძე მამისა და ძმების ქონების ერთადერთი განმკარგულებელია. აღნიშნულ მინაწერში ვკითხულობთ: „შემდგომად მცირედისა ჟამისა (საუბარია 1400 წ. მაისში თემურლენგის შემოსევაზე — გ. ა.) დაწვისაგან მოოჯრებული აღვაშენე ხუთი სახლი. ამისსა შემდგომად იხილა ღმერთმან სიმრავლე ცოდვათა ჩემთა და მიმიხუნა ექუსნი შვილნი, სამნი ვაჟნი და სამნი ქალნი დედით მათითურთ, მაშინ უღირსმან შევიმოსე სახე მონაზონებისაჲ“[113]. მოტანილი ამონაწერიდან ჩანს, რომ ავგაროზ ბანდაჲსძე გარდაიცვალა 1400 წლის უწინარეს[114]. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ის ვერ მოესწრებოდა 1403/4 წ. ამბებს, რომლებზედაც საუბარია მატიანის დასასრულს. ამიტომ, საურმაგ კაკაბაძის მართებული შენიშვნით, ავგაროზ ბანდაჲსძეს მატიანის ავტორად ვერ მივიჩნევთ[115]. საურმაგ კაკაბაძის მოსაზრებით, უფრო მისაღები ჩანს, რომ მატიანის ავტორად მიჩნეულ იქნეს ავგაროზის შვილი გრიგოლ ბანდაჲსძე, რომელიც თანადამხვდურია XV ს. დასაწყისის ამბებისა, რასაც მოწმობს მისი მინაწერი ხსენებულ პარაკლიტონზე, რომლის თანახმად იგი 1400 წლის შემდგომ ხანაში ეწევა სამშენებლო-აღდგენით საქმიანობას, იწყებს მოღვაწეობას ბერად ლარგვისის მონასტერში[116]. გარდა აღნიშნულისა, ვფიქრობთ, გრიგოლ ბანდაჲსძის ავტორობის სასარგებლოდ შეიძლება მეტყველებდეს ძეგლისა და ლარგვისის ზემოთ ხსენე-

---

111 შ. მ ე ს ხ ი ა, გამოკვლევა, გვ. 312; ძეგლი ერისთავთა, გვ. 350.

112 შ. მ ე ს ხ ი ა, გამოკვლევა, გვ. 318—321.

113 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 204.

114 შ. მ ე ს ხ ი ა. გამოკვლევა, გვ. 320; С. С. К а к а б а д з е, Хроника ксанских эриставов начала XV века, с. 12.

115 Там же, с. 11—12.

116 Там же, с. 12; ამ მოსაზრებას იზიარებს შ. ონიანი ნაშრომში: ინდოხატაელთა ამბავი „ვეფხისტყაოსანში“, გვ. 40—48.

ბული პარაკლიტონის გრიგოლ ბანდაძისეული მინაწერის ერთი და იმავე ამბის — თემურ-ლენგის საქართველოში 1400 წ. შემოსევის ამსახველი ადგილების შედარება:

„ძ ე გ ლ ი ე რ ი ს თ ა ვ თ ა“

„მოვიდა თემურ ს ა მ ა ნ გ ნ ე ლ ი ყოვლითა სპითა ჩ ა ლ ა ნ ე ლ-ქ ა შ ა ნ ე ლ-ს ი ყ ა ლ ბ ე ლ-ნ ა ჰ რ ო მ ე ლ-ი ნ დ უ ს ტ ა ნ ე ლ ი თ ა და ყოვლითა სპარსეთისა და აღმოსავლისა ლაშქარითა“[117]...

ლარგვისის პარაკლიტონის მინაწერი

„მოვიდა თემურბეგ ს ა მ ა რ ყ ა ნ ე ლ ი და გამოიტანნა ყაანი სინიჩარისაჲ, ჩინეთისაჲ, ქომანეთისაჲ, ხვარაზმისაჲ, ქ ა მ ა ნ ი ს ა ჲ, ნ ა ჰ რ ო ე თ ი ს ა ჲ, ა ლ ა ბ ი ს ა ჲ, ს ი ნ დ ე თ ი ს ა ჲ, ხატავეთისაჲ... და სიმრავლისა მათისა არა იყო რიცხჳ“...[118]

ძეგლისა და ლარგვისის პარაკლიტონის მინაწერიდან მოტანილი ამონაწერების ტექსტობრივი მსგავსება-სიახლოვე შეიძლება მათი ერთი და იმავე ავტორისადმი კუთვნილებაზე მიუთითებდეს.

ამრიგად, თუ გავითვალისწინებთ ორიენტირებს, რომელთა მიხედვით ძეგლი დაიწერა ლარგვისში XV ს. დასაწყისში (1404 წლის შემდგომ, არა უგვიანეს 20-იანი წლების დამდეგისა) ლარგვისის მონასტრის სასულიერო პირის მიერ, რომელიც ცხოვრობდა XIV ს. მეორე ნახევარსა და XV ს. დასაწყისში, მაშინ ვარაუდი, რომ „ძეგლი ერისთავთას“ ავტორად უნდა მიჩნეულ იქნეს გრიგოლ ბანდაძე, უფრო მართებული ჩანს.

„ძეგლი ერისთავთას“ ავტორის უშუალო მიზანდასახულობა ცხრაზმის ერისთავების, ქვენიფნეველთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიის გადმოცემაა. ამგვარი მიზანდასახულობის მატიანის შედგენის მიზეზები უნდა განეპირობებინა იმ კონკრეტულ ისტორიულ ვითარებას, რომელშიც ის იწერებოდა.

მატიანის წარმოშობის სოციალური. პოლიტიკური თუ სხვა ვითარებისა და პირობების შესახებ ორი ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებაა გამოთქმული, რაც გამოწვეულია ქვენიფნეველთა სახლის

---

117 ძეგლი ერისთავთა, გვ. 358 (ხაზგასმა ჩვენია).

118 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1966, გვ. 298—299 (ხაზგასმა ჩვენია).

სტატუსის სხვადასხვაგვარი გაგებით. მკვლევართა ერთი ნაწილი ავითარებს მოსაზრებას, რომლის თანახმად XIV ს. ბოლოსათვის ქვენიფნეველთა საერისთავო სამოხელეო ერთეულიდან ამ საგვარეულოს ფეოდალურ მამულად ანუ სათავადო-სენიორიად გარდაიქმნა, რასაც, თავის მხრივ, უნდა გამოეწვია ქვენიფნეველთა მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ და დაპირისპირება ცენტრალურ ხელისუფლებასთან. ყოველივე ამან განაპირობა ქვენიფნეველთა განმადიდებელი მატიანის წარმოშობა, რომელიც იდეურად ამართლებდა შექმნილ ვითარებას[119]. არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის მიხედვით, მატიანის შედგენის დროისათვის ქვენიფნეველებს საერისთავოს მიმართ სენიორალური უფლებები არ გააჩნიათ, არ დასტურდება, აგრეთვე, სამეფო ხელისუფლებასთან ამ საგვარეულოს დაპირისპირების ტენდენცია. ამიტომ არ შეიძლებოდა ქვენიფნეველთა სენიორალური უფლებების ჩამოყალიბება დადებოდა საფუძვლად მატიანის წარმოშობას[120].

XV ს. დასაწყისისათვის, როდესაც განსახილველი მატიანე იწერებოდა, ქვენიფნეველთა სახლი აღმოსავლეთ საქართველოში ერთ-ერთ ძლიერ ფეოდალურ საგვარეულოს წარმოადგენდა. ქვენიფნეველები, როგორც სამეფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული ერთეულის გამგებლები, აქტიურად მონაწილეობდნენ სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. დასახელებული საგვარეულოს წარმომადგენლები, გარდა ერისთავის ხელისუფლებისა, სხვადასხვა დროს სამეფო კარზე ფლობდნენ ისეთ მნიშვნელოვან თანამდებობებს, როგორიცაა, ამირეჯიბისა და ამირახორის სახელოები[121]. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ XIV ს. 70-იან წლებში ქვენიფნეველთა სახლი ქორწინების გზით უმოყვრდება საქართველოსა და ოსეთის სამეფო დინასტიებს[122], რაც (გარდა იმისა, რომ ამ საგვარეულოს საპატიო მდგომარეობის მაჩვენებელია) საგვარეულო ამბიციებისათვის გარ-

---

119 შ. მ ე ს ხ ი ა, გამოკვლევა, გვ. 316; დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 68; ი რ. ს ურ გ უ ლ ა ძ ე, „ძეგლი ერისთავთა“ და მისი მნიშვნელობა საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის ზოგიერთი საკითხისათვის. — ენიმკის მოამბე, 1943, XIII, გვ. 221; ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, XIII—XV სს. წყაროები. — სინ, III, თბ., 1979, გვ. 23.

120 С. С. К а к а б а д з е, Хрошика ксанских эриставов начала XV века. с. 17 — 19; ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა-ბ რ ო ს ე, „ძეგლი ერისთავთას“ ზოგიერთი რეალიის გაგებისათვის. — ფეოდალური ხანის საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობის საკითხები. თბ., 1984, გვ. 85—86. ნაშრომი პირველად გამოქვეყნდა 1980 წ. (იხ. მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, VII).

121 თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 19.

122 ძეგლი ერისთავთა, გვ. 355, 360.

კვეულ საფუძველს ქმნიდა[123]. ძეგლის წარმოშობის პირობებზე საუბრისას მხედველობაშია მისაღები ის ზოგადად დამახასიათებელი გარემოებაც, რომ ფეოდალურ ეპოქაში ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების აქტიურ ელემენტს მსხვილი ფეოდალური სახლები წარმოადგენენ[124]. ყოველი საგვარეულოს როლი და წონა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე, სხვათა შორის, მოტივირებული იყო მისი სიძველითა და ისტორიულ წარსულში საქმიანობით. ეს იწვევდა მსხვილი ფეოდალური გვარების მესვეურთა შეუნელებელ ყურადღებას საგვარეულო ამბიციების, გვარის წინაპართა საქმიანობის თუ ქვეყნის წინაშე მათი დამსახურების წარმოჩენის მიმართ. ამიტომ ყოველი საგვარეულოს წარსული მისი წარმომადგენლებისათვის მხოლოდ ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების საგანი კი არ ყოფილა, არამედ აქტუალური, პრაქტიკული დანიშნულების საკითხი იყო. ზემოთ აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით განსახილველი მატიანის შედგენის მიზეზად უნდა მივიჩნიოთ ქვენიფნეველთა სახლის მესვეურების სურვილი ისეთი წერილობითი ძეგლის შექმნისა, სადაც მათი ინტერესების შესაბამისად გადმოცემული იქნებოდა ამ საგვარეულოს ისტორია უძველესი დროიდან უახლოეს თანამედროვეებამდე.

რამდენადაც ავტორის მიზანდასახულობას ქვენიფნეველთა საგვარეულოს ისტორიის აღწერა შეადგენს, ამდენად მისი თხრობის ყველა ნიუანსი უშუალოდ აღნიშნული მიზნის განხორციელებას ემსახურება. ავტორი ფაქტების თვითნებურ ან უწესრიგო აღნუსხვას კი არ ახდენს; არამედ გარკვეული მიზნის შესაბამისად შერჩეული ფაქტების სისტემურ გადმოცემას იძლევა (სხვა საკითხია ყველა ფაქტის რეალურობა და სამეცნიერო ღირებულება). ამ თვალსაზრისით „ზედმეტი" პასაჟი, რომელსაც უშუალო კავშირი არა აქვს ერისთავების მოღვაწეობასთან, ძნელია მოინახოს მატიანეში. ამ მხრივ „ძეგლი ერისთავთა" იცავს შუა საუკუნეების ქართულ საისტორიო მწერლობაში ამბების თხრობის მტკიცედ დამკვიდრებულ წესს, რომლითაც „იდებოდა ის „საზღვარი სიტყვისაჲ" და „სიტყუათა სარბიელი", რომელიც საისტორიო ნაშრომს გარკვეულს შინაარსს აძლევდა და მოთხრობადის ასპარეზს შემოფარგლავდა"[125].

---

123 ნიშანდობლივია, რომ ფეოდალური პრინციპის თანახმად, რაც ფიქსირებულია ვახტანგ VI-ის სამართალში (XVIII ს. დამდეგი), „კაცი... უფროსის კაცის. მოყუსად მოკიდებით ამაღლდების და სისხლი გაუდიდების" (ქართული სამართლის ძეგლები, I, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ. თბ., 1963, გვ. 487, მუხ. 22).

124 იხ. ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკვ. I. ტფ., 1928, გვ. 23—24.

125 ი ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 33.

რაკი ქვენიფნეველთა მოღვაწეობის ასპარეზს ძირითადად (მხოლოდ ძირითადად) ცხრაზმის საერისთავო და მის მეზობლად მდებარე ოლქები შეადგენდნენ, მატიანეში გადმოცემული ამბების უმეტესი ნაწილი სწორედ ამ რეგიონს ეხება. მიუხედავად ამისა, მატიანის გეოგრაფიული არეალი, რამდენადაც ის დამოკიდებულია ერისთავთა მოღვაწეობის დიაპაზონზე, არაა მკაცრად განსაზღვრული, ვინაიდან ავტორის ყურადღების არეშია ნებისმიერი ამბავი, რომელშიც ქვენიფნეველები უშუალოდ მონაწილეობენ ან რომელთანაც არაპირდაპირი კავშირი აქვთ, დამოუკიდებლად იმისა, თუ სად ხდება ის გეოგრაფიულად — ცხრაზმაში, არაგვის ხეობაში, დვალეთში, გორში (ზედა ქართლი), ლორეში (ქვემო ქართლი), ალინჯაში (ნახჭევანი) თუ იერუსალიმში[126].

ძეგლის წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით შესწავლისათვის საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება ავტორის იდეური პოზიციის გათვალისწინებას. მემატიანის იდეურ, კლასობრივ თუ პოლიტიკურ პოზიციას მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა მატიანის წარმოშობის ზემოთ აღნიშნული პირობები. ამ უკანასკნელიდან გამომდინარე მისი იდეური მიმართულება თვალნათლივ მეღავნდება მისწრაფებაში, რელიეფურად წარმოაჩინოს ქვენიფნეველთა სახლის წარმომადგენლების ღვაწლი და დამსახურება სამეფო ხელისუფლებისა და ქვეყნის წინაშე, ხაზი გაუსვას კეთილგანწყობილებას სამეფო კარსა და ერისთავებს შორის. ეს გარემოება იმთავითვე განსაზღვრავდა ავტორის მიერ ფაქტების შერჩევის პრინციპს და გავლენას ახდენდა ცნობების სისრულეზე. მატიანიდან მოვიტანთ ერთ ნიშანდობლივ მაგალითს. მონღოლთა მფლობელობის წინააღმდეგ აჯანყებული მეფე დავითი VIII-ისაგან (1293—1311) შალვა ქვენიფნეველის განდგომის მოტივად ავტორი წარმოგვიდგენს იმას, რომ დავითი ტახტის უკანონო მიმტაცებელია, ხოლო ვახტანგ უფლისწული, რომლის მომხრედ გამოდის შალვა ერისთავი დავით მეფის წინააღმდეგ, ტახტის კანონიერი მემკვიდრეა და შალვა ერისთავიც ამ „კანონიერ“ მეფეს ერთგულად უპერს მხარს[127]. ფაქტობრივი ვითარებით კი ვახტანგი, როგორც დავითის უმცროსი ძმა, სრულებით არ ყოფილა ტახტის კანონიერი პრეტენდენტი დავითის სიცოცხლეში. მაგრამ აღნიშნული

---

126 რამდენადმე გადაჭარბებული ჩანს ი. ჯავახიშვილის მოსაზრება, რომ ძეგლს ავტორის „თვალთა ხედვის ასპარეზი ქსნისა და არაგვის ხეობათა ამბებს ვერ გადასცილებია... საქართველოს დანარჩენი და უმეტესი ნაწილი მისთვის თითქოს არ არსებობდა“ (ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 264).

127 იხ. ძეგლი ერისთავთა, გვ. 347.

ფონის შექმნა ავტორს ხელს აძლევს იმისათვის, რომ შალვა ქვენი-ფნეველი წარმოგვიდგინოს არა „ღვთითდამყარებული“ მეფის მოწინააღმდეგედ (რაც დიდი მკრეხელობა იქნებოდა), არამედ უზურპატორი მეფისაგან განდგომილად, რაც სრულებით არ ნიშნავდა სამეფო ხელისუფლების ღალატს საერთოდ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში დავით — შალვასა და ვახტანგ — შალვას ურთიერთობის ამბებიდან ავტორმა აქცენტი აიღო ვახტანგისადმი შალვას ერთგულების ფაქტზე, რომელიც, ვახტანგის ტახტის კანონიერ მემკვიდრედ წარმოჩენის შემდეგ, სავსებით ეთანხმებოდა მის იდეურ პოზიციას. ეს უკანასკნელი გარემოება განაპირობებდა იმასაც, რომ აღნიშნული ამბების გადმოცემისას ავტორი გვერდს უვლის დავით VIII-ის წინაშე შალვა ერისთავის მიერ ღალატის მონანიებისა („თავზე ნაცრის გადაყრის“ საკმაოდ არასახარბიელო ჟესტით) და მასთან კვლავ შემორიგების ფაქტს, რაც ცნობილია სხვა სარწმუნო წყაროს მონაცემებით (ამაზე ქვემოთ).

ავტორის იდეური პოზიცია ვლინდება მის დამოკიდებულებაში ერისთავების პიროვნებისა და საქმიანობისადმი. ის ქება-დიდებას ასხამს ერისთავების სამხედრო, სამშენებლო, საეკლესიო თუ სხვა საქმიანობას. ხაზს უსვამს მათს სამართლიანობას, გულუხვობას, დიდსულოვნებას, კეთილგონიერებას და სხვა დადებით ადამიანურ თვისებებს. მემატიანე აშკარად ანტიპათიითაა განწყობილი ერისთავების მოწინააღმდეგე როგორც დვალებისა თუ არაგვისხეველთა, ისე ცალკეული პირების მიმართ. მთლიანად ნაწარმოებისათვის დამახასიათებელია თვალსაზრისი, რომ ერისთავების ნება-სურვილი თუ მოქმედება ყველგან და ყოველთვის მიზანშეწონილი და მისაღებია. ავტორი თავგამოდებული მომხრეა ერისთავების პოლიტიკისა და დაურიდებლად უპირისპირდება ამ პოლიტიკის აშკარა თუ ფარულ „ურჩთა და წინააღმდგომთა“. ასე რომ, მართალია, მატიანის ავტორი პირდაპირ და უშუალოდ არ გამოხატავს თავის იდეურ, კლასობრივ თუ პოლიტიკურ პოზიციას, მაგრამ მატიანეში აღწერილი ამბების მიმართ მისი მიდგომა მოწმობს, რომ მისი იდეური მიმართულება ერისთავების კლასობრივი და პოლიტიკური ინტერესების დაცვაა. რაკი ცხრაზმის ერისთავები ფეოდალთა კლასის წარმომადგენლები არიან, ამდენად, მატიანის ავტორის იდეური პოზიცია ფეოდალურ-კლასობრივია. ეს გარემოება განაპირობებს სინამდვილის თავისთავად მხრავალმხრივი მოვლენების მიმართ ავტორის დაინტერესებას გარკვეული თვალსაზრისით, რაც, თავის მხრივ, ხშირად მატიანეში სინამდვილის ამა თუ იმ მოვლენის ცალმხრივი ასახვის საფუძველი იყო[128], ვინაიდან „წყა-

[128] მხედველობაში გვაქვს მხოლოდ წყაროში სინამდვილის მოვლენის ცალ-

როს შემდგენელი ნაკლებად ითვალისწინებდა იმას, თუ მის თანადროულობაზე რა სახის ცნობები შეიძლებოდა გამოდგომოდა მომავალთაობათა წარმომადგენლებს. ნებისმიერი ძეგლის წარმოშობა გამოწვეული იყო ცხოვრების მოთხოვნილებით და მისი შინაარსი ასახავდა ცხოვრებას იმ კუთხით, რა კუთხითაც იყო საინტერესო ძეგლის შემქმნელისათვის"[129].

მატიანის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ტენდენციურობა. აშკარად ტენდენციურია ავტორი ერისთავების პიროვნების დახასიათებისას. საილუსტრაციოდ მოვიტანთ მრავალთაგან ერთ-ერთ მაგალითს, სადაც იოვანე ქვენიფნეველის შესახებ ნათქვამია: „იყო მჯნე გოლ(ი)ათი. ბრძოლათა შინა უძლეველი, განმზრახი ქებული, უშიში, ვითარცა უკორცოჲ... იყო ფრიად განთქმულ და სახელოვან და უმჯობეს ყოველთა მბრძოლთა"[130]. იმავე იოანეზე სხვაგან ასე წერს: „იყო... მამა ობოლთა, შემწე უღონოთა, ჯელის ამპყრობელ დაღონებულთა და ფრიად საზარელ მტერთა და მრისხანე ბოროტის მოქმედთა ზედა, მოშიშ ღმრთისა, მოყუარე მღდელთა, პატივისმცემელ მონაზონთა, განმადიდებელ ეკლესიათა... სათნო ღმრთისა, საყუარელ კაცთა, საქებელ მთავართა და უნაკლო საღმრთოჲთა ქველის საქმითა და ურცხჳნელ საკაცობოჲთა მოქმედებითა"[131]. მატიანის მოტანილი და სხვა მსგავსი არაერთი ადგილი[132] ერთხმად მოწმობენ იმას, რომ ერისთავებისა და მისი სახლის წარმომადგენელთა ავტორისეული მეტნაკლებად ტრაფარეტული დახასიათება იმდენად გაზვიადებული და არაბუნებრივია, რომ აღნიშნული პიროვნებები ქრისტიანული მორალის ცნებათა შესაბამისად ხელოვნურად შექმნილი იდეალური ადამიანები უფროა, ვიდრე რეალური, ცოცხალი სინამდვილის წარმომადგენლები.

ავტორის ტენდენციურობა თავს იჩენს ამა თუ იმ ერისთავის მოღვაწეობასთან დაკავშირებული ამბების გადმოცემაშიც. მაგ., როსტომის ცხრაზმაში გაერისთავების აღწერისას ავტორი ხაზს უსვამს ცხრაზმის „ყოველი ერის" მხარდაჭერას მისადმი. თითქოსდა „თქუეს ყოველთა ცხრაზმისკეველთა: არა განვიშოროთ ჩუენგან ამიერიდან კაცი ესე გოლიათი (ე. ი. როსტომი — გ. ა.), არამედ უყოთ ყოველი, რაჲცა უნდეს მას". ამიტომ „ჰრქუა ყოველმან ერმან როსტომს: რაჲ

ყველი ფაქტის ასახვა ანუ მატიანეში დაცული ცალმხრივად ასახული ფაქტი მრავალმხრივი სინამდვილისა და არა ფაქტის შეგნებული დამახინჯება ავტორის მიერ.

[129] А. П. Пронштейн, Методика исторического источниковедения, с, 21.

[130] ძეგლი ერისთავთა, გვ. 353.

[131] იქვე. გვ. 354.

[132] იქვე, გვ. 352, 355, 356, 358.

ვნებავს, რაჲთა ვყოთ შენთჳს. ხოლო მან მოითხოვა საფლავი ლარგჳს[ს] და საჯდომად სახლი შუა საყდრისშვილთა და ცხრაზმას ციხისთავისა ნაქონები მამული, და მისცეს ესე ყოველი ცხრაზმისკეველთა"[133]. როდესაც „იქმნა დიდებულთა და აზნაურთაგან თხოვად ერისთავობისა ბირებითა ერისაჲთა" აღმოჩნდა, რომ „ყოველ ერს" ერისთავად „ჰნებავს" როსტომი[134]. ისტორიული სინამდვილე, ცხადია, ასეთი იდილიური არ იყო. პიროვნება, რომელიც ეკონომიკური და პოლიტიკური გაბატონებისაკენ მიისწრაფვის, საზოგადოების ერთსულოვან მხარდაჭერას ვერ მოიხვეჭდა[135]. მაგრამ ზემოთ აღნიშნული გარემოებით ავტორს სურს როსტომის გაერისთავება ცხრაზმის მთელი მოსახლეობის ერთსულოვანი ნებისა და დასტურის შედეგად წარმოგვიდგინოს, რომ მან „პატივით იპყრა" „ყოველი განსაგებელი ეკლესიისაჲ და მთავრობაჲ შჳდთა მათ ჴევთაჲ"[136].

განსახილველი მატიანისათვის, ისე როგორც შუა საუკუნეების ისტორიოგრაფიისათვის საერთოდ, დამახასიათებელია პროვიდენციალიზმი ანუ შეხედულება, რომლის თანახმად საზოგადოების განვითარების ისტორიული პროცესი განსაზღვრულია ღმრთის ნებით, ხოლო ისტორიის ცალკეული მოვლენები „ღვთიური განგების" გამოხატულებაა[137]. მატიანეში არაერთი მოვლენაა განხილული, როგორც „ღვთიური განგების" შედეგი. მაგ., როსტომ ქვენიფნეველი რომ გახდეს „წინამძღვარ ცხრაზმისკეველთა", შესაძლებელია იმ შემთხვევაში, „თუ ღმერთსა უნდეს"[138]. ეს მოწმობს ავტორის რწმენას, რომლითაც ადამიანის მისწრაფების განხორციელება, დასახული ამოცანის მიღწევა ღმერთის ნება-სურვილზეა დამოკიდებული. სხვა ადგილას იოვანე ერისთავის შესახებ ავტორი აცხადებს: „ნებითა

---

133 ძეგლი ერისთავთა, გვ. 345.

134 იქვე, გვ. 346.

135 შდრ. ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე.— შრომები, II. თბ., 1949, გვ. 164—165.

136 ძეგლი ერისთავთა, გვ. 346.

137 იხ. О. Л. Вайнштейн, Историография средних веков. М.—Л., 1940, с. 20—21; О. Л. Вайнштейн, Западноевропейская средневековая историография, М.—Л., 1964, с. 46—47, 49, 69; Советская историческая энциклопедия, т. XI, М., 1968, с. 575. პროვიდენციალიზმის შესახებ ქართულ საისტორიო მწერლობაში იხ. ვ. გაბაშვილი, ვახუშტი XVII—XVIII ს. ს. ევროპული ისტორიოგრაფიის სინათლეზე.—ანალები. ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, 1947, გვ. 59—60; Ш. А. Хантадзе, К историографической характеристике „Картлис цховреба".—ქართული ისტორიოგრაფია, II. თბ., 1972, გვ. 206—229; მ. ლორთქიფანიძე, ადრეფეოდალური ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1966, გვ. 5.

138 ძეგლი ერისთავთა, გვ. 345 (ხაზგასმა აქ და ქვემოთ ჩვენია).

ღმრთისათა იყო სახლი მისი სარწყო აღმომდინარედ კეთილთა და ულევნელ ვითარცა ზღუაჲ"[139]. ამ შემთხვევაში ერისთავის ამქვეყნიური კეთილდღეობა და სიმდიდრე, ავტორის შეხედულებით, განპირობებულია „ნებითა ღმრთისაჲთა". ნიშანდობლივია ერთი ეპიზოდიც: დვალებმა გადაწყვიტეს ესარგებლათ შემთხვევით და მათ სოფელში დროებით მყოფი ვირშელ ერისთავი მოეკლათ. მავრამ, ავტორის სიტყვებით, „უფალმან არა მისცა მონა თჳსი სიკუდილად ჴელთა მ[ათ], არამედ აუწყა კაცმან კეთილმან განზრახვა მათი და წარმოვიდა ვირშე[ლი] ყოვლითურთ"[140]. ე. ი. ერისთავის მიერ განსაცდელიდან თავის დაღწევა ღვთის ნებით გადაწყდა.

„ძეგლი ერისთავთა", როგორც ითქვა, გადმოსცემს ცხრაზმის ერისთავების, ქვენიფნეველთა საგვარეულოს ისტორიას VI საუკუნიდან XV საუკუნის დასაწყისამდე. წყაროები, რომლებსაც ემყარებოდა ავტორი ასეთი ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის მოვლენებისა და ფაქტების აღწერისას, ჯერ კიდევ ნაკლებადაა გამოვლენილი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ძეგლის დასაწყისი ნაწილის წყაროების საკითხი, იმ ნაწილისა, სადაც აღწერილია ცხრაზმაში საერისთავოს წარმოშობა და ქვენიფნეველთა გაერისთავება, სადაც, აგრეთვე, დაცულია უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობები სოციალური ურთიერთობის შესახებ, რომელთაც არა მარტო კონკრეტული (ცხრაზმის მასშტაბით), არამედ, ზოგად-ისტორიული მნიშვნელობაც ენიჭებათ[141].

მკვლევრები ზოგადად შენიშნავენ, რომ მატიანის დასაწყისი ნაწილი უმეტესწილად ზეპირგადმოცემებზეა აგებული[142]. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ დასტურდება ცხრაზმის ერისთავებისა და საერისთავოს წარმოშობის შესახებ არსებული ზეპირგადმოცემების განსხვავებული ვარიანტები, რომლებიც ხშირად ერთმანეთის საწინააღმდეგო მონაცემებს შეიცავენ. ეს გარემოება, ბუნებრივია, წამოჭრის იმის საჭიროებას, რომ შესაძლებლობის ფარგლებში გაირკვეს, კონკრეტულად რომელი ვარიანტი დაედო საფუძვლად

---

139 ძეგლი ერისთავთა, გვ. 354.

140 იქვე, გვ. 359—360.

141 ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, გვ. 163.

142 ვ. ბროსე, საქართველოს ისტორია, I, ტფ., 1895, გვ. 91—92; თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 1, შენ. 1; ირ. სურგულაძე, „ძეგლი ერისთავთა" და მისი მნიშვნელობა, გვ. 320; ნ. ბერძენიშვილი, კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობებში. — საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, გვ. 7, შენ. 3; Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, с. 404; ე. ხოშტარია-ბროსე, „ძეგლი ერისთავთას" ზოგიერთი რეალიის გაგებისათვის, გვ. 149.

ავტორის მსჯელობას მატიანის უძველეს ნაწილში (ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, მჭიდროდ უკავშირდება ძეგლის ცნობების წარმომავლობისა და სანდოობის საკითხს). ამ მიზნით შევეცდებით განვიხილოთ ზეპირგადმოცემები ქვენიფნეველთა საგვარეულოს შესახებ და მათი მიმართება ძეგლის დასაწყის ნაწილთან.

აღნიშნული ზეპირგადმოცემები ფიქსირებულია როგორც დოკუმენტურ წყაროებში, ასევე XVIII—XIX სს. ქართველ ისტორიკოსთა ნაშრომებში, ზოგან ფრაგმენტულად, ზოგან კიდევ შედარებით სრული სახით (აღსანიშნავია, რომ ამ მასალებში არ შეინიშნება ძეგლის გავლენა).

ჩვენთვის ხელმისაწვდომი ქრონოლოგიურად ყველაზე ადრინდელი წერილობითი წყარო, სადაც დაცულია ქვენიფნეველთა შესახებ ზეპირგადმოცემების ფრაგმენტი, დათარიღებულია 1460 წ. ესაა ე. წ. „ჟურულიანთ გვარის სიგელი"[143]. ასევე ფრაგმენტის სახით გვხვდება იგი 1470 წლით დათარიღებულ შალვა ერისთავ ქვენიფნეველის სიგელში[144]. ზეპირგადმოცემების შედარებით ვრცელი ვარიანტები შესულია იოანე ბაგრატიონის[145], სულხან ბარათაშვილისა[146] და ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის[147] თხზულებებში.

ე. წ. „ჟურულიანთ გვარის" სიგელი 1460 წ. გაცემულია გიორგი VIII-ის (1446—1466) მიერ ქვენიფნეველთა სახლის ერთ-ერთი შტოს, ჟურულთა საგვარეულოს წარმომადგენლებისადმი. სიგელის გამცემი მასში აღნიშნავს: „ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი (ე. ი. ჟურულის — გ. ა.), ვქენით მოკითხული და ძუელთა მეფეთაგანცა შეწყალებული იყო ცხრაზმა და თქუენი გუარისა კაცი მისი მონაპირე ყოფილა და მონასტრისა და ციხისა შვილი და მქონებელი"[148].

---

143 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, I, ტფ., 1920, გვ. 3—6; თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 278—280.

144 ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 140—143.

145 შემოკლებითი აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა. — კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, S — 550, გვ. 7—8.

146 С. Баратов, История Грузии, тетр. II—III, СПб., 1871, с. 47—48. ს. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს საშუალო საუკუნეთა ისტორია, რუ. II, ნათარგმნი ს. ხუნდაძის მიერ. ქუთაისი, 1895, გვ. 83—84.

147 ა ლ. ჯ ა მ ბ ა კ უ რ-ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, შეფის ირაკლის მეორის დროის ცოტ-ცოტა ამბები ანუ ზოგიერთნი მაშინდელნი პირნი, 1866. — წიგნში: ს ა რ გ ი ს კ ა კ ა ბ ა ძ ე. წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, I, ტფ., 1914, გვ. 44.

148 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, I, გვ. 41; თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 278. აღნიშნულ სიგელს ნაყალბევად მიიჩნევდა ი. ჯავახიშვილი (იხ. ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა,

მოტანილი ამონაწერიდან ჩანს, რომ იმ დროს არსებული თვალსაზრისის თანახმად, ქვენიფნეველთა საგვარეულოს წარმომადგენლები ძველთაგანვე ცხრაზმის მონაპირე, — ე. ი. განაპირა მხარის ერისთავები არიან, ამავე დროს მათი სახლი ცხრაზმაში „მონასტრის შვილი" და „ციხის მქონებელი" ყოფილა. ზეპირგადმოცემის ფრაგმენტის ამ ცნობებს უდავო სიახლოვე ახასიათებს ძეგლის დასაწყისი ნაწილის მონაცემებთან, რომელთა თანახმად ცხრაზმაში ქვენიფნეველთა საგვარეულოს ფუძემდებელი, როსტომ ბიბილური, ცხრაზმაში დამკვიდრების პერიოდში „საყდრისშვილი" და „ციხეთა და სახლებისა დიდ-დიდებისა" მქონებელი ხდება[149]. მართალია, სიგელში ქვენიფნეველთა სახლისათვის დამახასიათებელი აღნიშნული ატრიბუტების („მონასტრის შვილი", „ციხის მქონებელი", „ცხრაზმის მონაპირე") შესახებ ლაპარაკია სტატიკური ფორმით, ხოლო ძეგლში კი ყველაფერი ეს გადმოცემულია თხრობის დინამიკაში, მაგრამ ჩვენთვის მთავარი ისაა, რომ ორივეგან დასტურდება ფაქტების იგივეობა.

ზეპირგადმოცემების შედარებით მოზრდილი ფრაგმენტი ფიქსირებულია შალვა ერისთავის ლარგვისისადმი შეწირულობის წიგნშიც (1470 წ.), სადაც ნათქვამია: „შევამკე მონასტერი ესე ჩუენი საძ[illegible]ალე და საუკუნო სამკვიდრებელი... პირველითაგან... ისტუნიანესაგან ბერძენთა მეფისა და თუთმპყრობელისა აღშენებული და ჩუენთა ჩამომავალთა ერისთავთა ნათესავთათუს საძვალედ ბოძებული"[150].

იმავე დოკუმენტში სხვა ადგილას ვკითხულობთ: „... ბერძენთა მეფისა ისტუნიანესაგან საღმრთოჲთა გამოცხადებითა აღშენებული ეკლესიაჲ და ჩუენთა პაპ[ა]თათუს საძუალედ ბოძებული, აღმიშენებია, შემომკვია და გამიდიდებია"[151].

სიგელში დაცული გადმოცემის ძეგლის დასაწყის ნაწილთან შედარება ცხადჰყოფს, რომ მათ შორის თანხმობა მდგომარეობს შემდეგში: ძეგლის მიხედვით, იუსტინიანემ როსტომ ქვენიფნეველს ერისთავობასთან ერთად მიუბოძა „განსაგებელნი ეკლესიისანი" და თვით ეკლესია, რითაც საბოლოოდ სანქციონირებულ იქნა ცხრაზმისხეველების მიერ როსტომისთვის ლარგვისის ეკლესიაში საფლავის

ტფ., 1926, გვ. 162, 176, 177). ამავე დოკუმენტის ნაყალბეობა-ნამდვილობას ვრცლად შეეხო ჯ. ოდიშელი, რომელიც მიეიდა დასკვნამდე, რომ „ეურულების სასისხლო სიგელში ნაყალბეობა არ ჩანს" (ჯ. ოდიშელი, ქართული დიპლომატიკის ისტორიიდან. ზოგიერთი სასისხლო სიგელის შესახებ. — მაცნე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზ. მეცნიერებათა განყოფილების ორგანო, № 4, 1966, გვ. 216—220).

149 ძეგლი ერისთავთა, გვ. 345.

150 ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 140.

151 იქვე, გვ. 143.

მიცემის ფაქტი[152]. გადმოცემის თანახმად, ქვენიფნეველებისათვის ლარგვისის ეკლესია უბოძებია იუსტინიანეს. ძეგლის მონაცემებით, იუსტინიანე ლარგვისის „აღმშენებელია"[153], გადმოცემით, ლარგვისის თავდაპირველ ამშენებლად გამოცხადებულია იუსტინიანე კეისარი („პირველთაგან ისტკნიანე ბერძენთა მეფისა აღშენებული"). უთუოდ ნიშანდობლივია, აგრეთვე, ორივეგან იმპერატორის სახელის ერთი და იგივე ფორმით („ისტკნიანე") — გადმოცემა.

ზემოთ დასახელებულ ორ სიგელში ფიქსირებულია ქვენიფნეველთა საგვარეულოში დაცული ზეპირგადმოცემა მათი ცხრაზმაში დამკვიდრებისა და აღზევების შესახებ. ეს გადმოცემა ქვენიფნეველთა საგვარეულოში რომ ყოფილა შემუშავებული, ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ აღნიშნული გადმოცემა შემონახულია ერისთავთ-ქვენიფნეველთა საგვარეულო სიგელებში. გადმოცემის სხვა ვერსიებისაგან განსასხვავებლად მას შეიძლება ვუწოდოთ „ოფიციალური ვარიანტი", სადაც ასახულია ქვენიფნეველთა საგვარეულოს თვალსაზრისი მათი უძველესი ისტორიის შესახებ.

გადმოცემის ერთ-ერთი ვარიანტი შესულია სულხან ბარათაშვილის „საქართველოს ისტორიაში", სადაც ვკითხულობთ: „ქსნისა და არაგვის ერისთავთა წინაპრების შესახებ არსებობს შემდეგი, ამ პერიოდის (ავტორს მხედველობაში აქვს VI ს. — გ. ა.) ამსახველი გადმოცემა. მდინარეების — არაგვისა და ქსნის ხეობათა მცხოვრებნი წმინდა გიორგის ეკლესიის (რომელიც აღმართულია ამ ორი ხეობის გამყოფი ქედის ერთ-ერთ მაღლობზე) დღესასწაულზე ნიადაგ იმაზე დავობდნენ, თუ რა ადგილი დაეჭირა და რა უფლებებით ესარგებლა თითოეულ მათგანს ამ დღესასწაულის დროს, რასაც ყოველთვის მოსდევდა საშინელი სისხლისღვრა. მაგრ ᲐᲐ ერთ-ერთ ასეთ დღესასწაულზე გარედან მოსულ მლოცველთა შორის მოვიდნენ ორნი ძმანი, ოსეთის თავადები დუდარუკები, რომლებმაც ბოლო მოუღეს მათს კინკლაობას და მათ შორის ზავის პირობები დადვეს. პატივისცემის ნიშნად, ერთი მათგანი, სიდამონი არაგვის, ხოლო მეორე, — როსტომ ქსნის ხეობის საზოგადოებამ მიიწვია თავიანთ ხეობათა მამასახლისებად. საქართველოს მეფემ კი მას შემდეგ, რაც მხედველობაში მიიღო მათი დამსახურება და წარმომავლობა, ერისთავობა მიანიჭა. ასე იწყება ამ ორი საგვარეულოს კავშირი საქართველოსთან"[154].

იგივე ვერსია შედარებით სრული სახით ფიქსირებულია ალექ-

---

152 ძეგლი ერისთავთა, გვ. 346.

153 იქვე, გვ. 345.

154 С. Баратов, История Грузии, тетрадь II — III, СПб., 1871, с. 47 — 48.

სანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის თხზულებაში, სადაც ავტორი წერს: „ქვენიფნეველთა გვარი პირველად რომ საქართველოში მოვიდა, მგონია ან მეექვსე ან მეშვიდე საუკუნე იყო. ოსეთითგან ორნი თუ სამნი ძმანი გადმოვიდნენ ლომისის ეკლესიის დღესასწაულში მთიულეთს, სადაც შფოთი იყო მთიულეთის და ქსნისხეველების ხალხში, რომელთაც ამ ყმაწვილ კაცთა დაამშვიდეს და დებულება დაუდეს, რომ ამათში შფოთი აღარ იყოს და შემდგომ იმისა აქამომდე აღარ მოხდენიათ. ამის მადლობისათვის უფროსი ძმა სიდამონ მთიულეთის ხალხმა წაიყუანეს, აქ არაგვის ერისთავად დაისუეს და მერე უმცროსი ძმა როსტომ ქსნის ხალხმა ქსნის ერისთავად. ეს ორნი ძმანი მგონია თაგაურები უნდა იყვნენ, დუდაროები ოსეთის მეფის ჩამომაელობისა. გამიგონია, მითამ ჩერქეზითგან დუდარუკოების გუარისანი იყვნენ. დუდარუკოები სადაც დგანან, შორს არის და ამის გამო მე უფრო დუდაროები მგონია“[155].

როგორც ვხედავთ, ს. ბარათაშვილთან და ალ. ჯამბაკურ-ორბელიანთან დაცულია შინაარსობრივად ერთმანეთთან ახლო მდგომი ვერსიები ქსნის ხეობაში ქვენიფნეველთა გვარის დამკვიდრების დროისა და ვითარების შესახებ. სიუჟეტი ორივე ვერსიისა ერთი და იგივეა, დასტურდება განსხვავება ერთ დეტალში. ეს შეეხება როსტომის თავდაპირველ სტატუსს ცხრაზმაში. ბარათაშვილისეული ვერსიით, როსტომი ჯერ მამასახლისი ხდება, ხოლო ერისთავობას მხოლოდ ამის შემდგომ მიიღებს საქართველოს მეფისაგან. ორბელიანისეული ვერსიის თანახმად კი — როსტომს უშუალოდ ერისთავად დასვამენ ქსნისხეველები. სხვა დანარჩენში ორივეგან სრული თანხმობა გვაქვს. უეჭველია, რომ როგორც ს. ბარათაშვილთან, ასევე ალ. ჯამბაკურ-ორბელიანთან დაცულია შინაარსობრივად ერთი და იგივე გადმოცემა. ამასთანავე, ორივე ავტორისათვის ინფორმაციის წყარო სხვადასხვაა. შინაარსის იგივეობის გამო ორივეს ვაერთიანებთ და პირობითად გადმოცემის მეორე ვარიანტს ვუწოდებთ.

გადმოცემის ეს ვარიანტი საგრძნობლად განსხვავდება როგორც ე. წ. „ოფიციალური ვარიანტისაგან“, ასევე ძეგლის თხრობისაგან. მეორე ვარიანტის თანახმად, როსტომი მთიულებსა და ქსნისხეველებს შორის ჩამოვარდნილ ხანგრძლივ დავას აწესრიგებს, ხოლო ძეგლის მიხედვით, როსტომი ძმებითა და თანმხლები შეირაღებული რაზმით ჩაებმება ცხრაზმელებსა და გრუსხეველებს შორის ატეხილ ბრძოლაში ცხრაზმელების მხარეზე[156]. როგორც ვხედავთ, განსხვავე-

---

155 ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი, მეფის ირაკლის მეორის დროის ცოცოტა ამბები ანუ ზოგიერთი მაშინდელი პირნი, გვ. 44.

156 ძეგლი ერისთავთა, გვ. 344—345.

ბულადაა წარმოდგენილი როსტომის ცხრაზმაში გადმოსვლისა და დამკვიდრების ვითარება. მეორე ვარიანტით, როსტომის აღზევება ქსნისხეველებისა და საქართველოს მეფის წყალობით ხდება, ძეგლით კი — როსტომის დაწინაურებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს ბიზანტიის კეისარი იუსტინიანე[157]. ეს უკანასკნელი მეორე ვარიანტში საერთოდ არ ჩანს.

ძეგლისა და გადმოცემის მეორე ვარიანტის ცნობებს შორის თანხმობა გამოიხატება შემდეგში: 1. ერისთავთა საგვარეულოს ფუძემდებელი ქსნის ხეობაში არის როსტომი; 2. როსტომი ქართლის მთიანეთში გადმოდის ოსეთიდან; 3. ის წარმოშობით ოსეთის დიდგვარიანთა წრეს ეკუთვნის; 4. ქსნის ხეობაში მისი დამკვიდრება დათარიღებულია VI საუკუნით.

ზეპირგადმოცემის რამდენადმე განსხვავებული ვარიანტი ფიქსირებულია იოანე ბაგრატიონის მიერ 1799 წ. შედგენილ თხზულებაში „შემოკლებითი აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“, სადაც ქსნის ერისთავის შესახებ ნათქვამია შემდეგი: „თავადი ქსნის ერისთავი ძველთა დროთანი არვინღა არიან, რომელნიც მოსულნი იყვნენ თურქისტანის მხრიდგან ეგარიელნი ხალხნი, რომელთაც დაიპყრეს კასპიის ზღვიდგან შავ ზღვამდის და დაეშენენ მუნ დროსა საქართველოს მეფისა გვარამ ბაგრატიონისასა. მეფე ესე მარადის ბრძოდა და ავნებდა მათ, რათა დაეტევებინა ადგილი იგი და მაშინ მივიდნენ ბეგნი ამათნი წინაშე კეისრისა იუსტინიანესა და სთხოვეს შუამდგომლობა მეფისა თანა საქართველოსა და აღუთქვეს მსახურება ვითა ქვეშევრდომთა და მაშინ თხოვეს მეფესა საქართველოსასა კეისარმან ზავყოფა მათთანა და ამან ინება და რომელიმე დაასახლა მთასა შინა კავკასიისა... უჩინებულესი მათგანი მოიყვანნა და დაასახლა ქართლსა შინა და იყვნენ თავადობისა ხარისხითა. ამის შთამომავლობათაგან დაიდგინა მთავრად შიდა ქართლისა კონსტანტინე... და მერმე ამისა შთამომავლობითგან თორნიკე დაიდგინა ერისთავად ქსნისა... შემდგომად ამისა იყუნენ მონათესავენიცა მათნი ერისთავად, გარნა ასწყდნენ იგინიცა. მაშინ მართვიდნენ ქსანსა სხუადასხუა მოხელენი მთისანი და სხუანი თავადნი სხვათა და სხვათა დროთა შინა. უკანასკნელ, მეფისა რუსუდანისასა, იქმნა რა აღრეულობა საქართველოსა შინა და ბრძოლაი ნოინთაგან, მაშინ მოვიდნენ ეს აწ წოდებულნი, ერისთავთა წინაპარნი სამეფოსა ოსეთის ხეობითგან, რომელ არს ნარად წოდებული ადგილი, რომელნიც იყვნენ გვარით გორჯიანნი, რომელნიცა აწცა არიან ნარსა შინა გუარნი მათნი. ამათი უკუმ მოვიდნენ ორნი მამანი: პირველსა ეწოდა ბიბილა, მეო-

157 ძეგლი ერისთავთა, გვ. 346.

რესა რატი. რომელნიცა დაეშენენ ქსნისა ხეობასა შინა, წელსა ქ-ეს აქეთ 1235. ბიბილა უკუჱ დაესახლა ადგილსა წოდებულსა ქვენა ფხვენს, რომელიც აწ იწოდების იფნევად. რატი დაესახლა ჟამურის ხეობას შინა და უკანასკნელ დროსა მეფობისა კონსტანტინესა მსახურეპისათვის მიიღეს თავადობისა ხარისხი წელსა 1412-სა შინა და იწოდენ ბიბილურები ქვენაფხოველებად გუარითა და იყვნენ ნაიბად ერისთავთა და მართვიდნენ ადგილთა მათ. შემდგომად რა მიიღო მეფობა სვიმონ მეფის ძმამან, დაუთხანად წოდებულმან, ამან იმოყურა ელიზბარ ქვენაფხოველი და დაუმტკიცა ერისთობა... წელსა ქ-ეს აქეთ 1569 და მუნითგან იწოდებიან გვარნი ამათნი ერისთავად, რომელიც ამათ შთამომავლობათა შინა იქმნებოდა პირველი, იგი მიიღებდა მხოლოდ ერისთავობასა"[158].

იმავე გადმოცემის ნაწყვეტი იოანე ბაგრატიონს შეუტანია თავის „კალმასობაში": „ქსნის ერისთავი იყო გუარით ბიბლიური, რომელნიც მოვიდნენ ორნი ძმანი ნარადამ ოსებნი. ერთსა ეწოდა ბიბილა, ხოლო მეორესა რატი. ბიბილა უკუჱ დაესახლა ქსანზედ ქვემოფხოვს, აწ რომელსა ეწოდების იფნევი, ხოლო რატი ჟამურში, და მერე განძლიერდენ და იწოდა ბიბილა ერისთავად ქსნელთაგან აღრეულობისა გამო თათართა"...[159].

უნდა ითქვას, რომ იოანე ბაგრატიონის თხზულებაში გვაქვს ზეპირგადმოცემის არა უცვლელი სახით ფიქსაცია, არამედ ერთგვარი რედაქტირებული ვარიანტი ფიქსატორისეული ჩანართებით. ეს შეეხება, პირველ ყოვლისა, გადმოცემაში მოთხრობილი ამბების კონკრეტულ თარიღებს, რომლებიც უდავოდ იოანეს ეკუთვნის.

გადმოცემის რედაქტირებულ ვარიანტსა და მატიანის დასაწყის ნაწილს შორის თვალსაჩინო სხვაობაა, რაც გამოიხატება იმაში, რომ პირველის მიხედვით ერისთავთა წინაპრების ქსნის ხეობაში მოსვლა მოჰხდარა XIII საუკუნეში (1235 წ.), მეორის თანახმად — VI საუკუნეში. რედაქტირებული ვარიანტით, ერისთავთა გვარის მამამთავრის სახელია ბიბილა, ძეგლით — როსტომი.

გარდა სხვაობისა, რედაქტირებული ვარიანტის მონაცემები ზოგიერთ დეტალში ემთხვევა ძეგლის ცნობებს, სახელდობრ: გვარი ქვენიფნეველი ნაწარმოებია ადგილის სახელწოდებიდან — ქვენიფნევი; ქვენიფნეველის გვარის მიღებამდე ერისთავთა წინაპრები ბიბი-

---

158 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, S — 550, გვ. 7—8; დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 59—60.

159 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, H — 2134, ფ. 745.

ლურებად იწოდებოდნენ; ბიბილურები წარმოშობით ოსეთიდან არიან.

ამრიგად, ჩვენთვის ხელმისაწვდომ წერილობით წყაროებში ფიქსირებულია ზეპირგადმოცემათა სამი ძირითადი ვარიანტი. ამ ვარიანტებს შორის ადგილი აქვს როგორც მსგავსებას, ასევე სხვაობას. მათგან „ძეგლი ერისთავთას" ტექსტთან ყველაზე ახლოს დგას ე. წ. „ოფიციალური ვარიანტი", — ერისთავთა საგვარეულოში დაცული ტრადიცია, რომლის დღემდე შემორჩენილი ფრაგმენტული მონაცემები სავსებით ემთხვევა ძეგლის ცნობებს. ნიშანდობლივია, რომ ქვეინფნეველთა აღზევების დაკავშირება ბიზანტიის კეისრის იუსტინიანეს სახელთან გვხვდება ზეპირგადამოცემით მხოლოდ ამ ვარიანტში, რაც ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს მის სიახლოვეს ძეგლის შინაარსთან.

საგვარეულო ტრადიციაში დასტურდება როგორც სოციალური, ასევე პოლიტიკური ხასიათის ცნობები, რომლებიც მთლიანად ეთანხმებიან ძეგლის მონაცემებს. ამის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ „ძეგლი ერისთავთას" დასაწყისი ნაწილის ერთ-ერთი წყაროა ერისთავთა საგვარეულოში დაცული გადმოცემა. მართლაც, ბუნებრივია, რომ მატიანის ავტორი პირველ რიგში დაყრდნობოდა გადმოცემას, რომელიც გავრცელებული იყო იმ საგვარეულოში, რომლის ისტორიის აღწერასაც ისახავდა იგი მიზნად[160]. მართალია, აღნიშნული გადმოცემა წერილობით ფიქსირებულია „ძეგლი ერისთავთას" დაწერის შემდგომ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ გადმოცემა „ძეგლი ერისთავთას" შედგენამდე არ არსებობდა.

ძეგლის დასაწყისი ნაწილის სხვა წყაროების მიკვლევა არ ხერხდება. თ. ჟორდანია მატიანის ტექსტის ერთ-ერთ კომენტარში, რომელიც ეხება წყაროს შემდეგ ადგილს: „და მოკუდა ლარგუელი და დაჯდა ძე მათი დიმიტრი. და გარდაიცვალნეს მეფენი: კ ვ:-ნი (26 — გ.ა.) და ერისთავნი: კ-დ:-ნი (24 — გ. ა.) და წელიწადნი არამცირედნი. მაშინ დაჯდა მეფედ ადარნასე..."[161] აღნიშნავს, რომ აქ დასახელებული „ადარნასე" უნდა იყოს ან ვახტანგ II (1289—1292) ან ვახტანგ III (1297—1308). ამაზე ადრე დასახელებული მეფე „დავით ბაგრატონიანი" კი ქართლის 39-ე მეფე გუარამი. ამ უკანასკნელის შემდგომ 26-ე მეფე, მისი აზრით, „იყო ვახტანგ II ან ვახტანგ III, რომლის დროსაც დაახლოებით აღგვიწერს შემდეგი ნაწილი ძეგლისა". აქედან გამომდინარე თ. ჟორდანია დაასკვნის, რომ „სჩანს „ძეგლის" აღმწერს „ქართლის ცხოვრება" საკმაოდ შესწავლილი ჰქონია"[162].

---

160 გ. ა რ ა ხ ა მ ი ა, „ძეგლი ერისთავთას" ერთი წყაროს საკითხისათვის. — მაცნე, ისტორიის სერია, 1982, № 4, გვ. 159.

161 ძეგლი ერისთავთა, გვ. 347.

162 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 4, შენ, 5; გვ. 5, შენ. 6.

ამასთან. დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მატიანის „დავით ბაგრატონიანის" თ. ჟორდანიას მიერ 39-ე მეფე გუარამთან გაიგივება ემყარება მატიანის მის ხელთ არსებულ ხელნაწერს, სადაც ავტოგრაფული ნუსხის გვიანდელი ქრონიკალური მინაწერები ტექსტშია შეტანილი. სინამდვილეში აღნიშნულ მინაწერებს არავითარი კავშირი არა აქვთ მატიანის ავტორისეულ ტექსტთან. ასე რომ, ავტორი მისთვის უცნობი გუარამის მეფობით 26-ე მეფის ზეობის აღვილას ვერ შეუდგებოდა. ამიტომ, მოსაზრება, რომ „ძეგლის" აღმწერს „ქართლის ცხოვრება" საკმაოდ შესწავლილი ჰქონია", მართებული არაა.

მატიანის წყაროებზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ „ქართლის ცხოვრების" კრებულში შემავალი რომელიმე თხზულების გამოყენების კვალი მატიანეში არსად შეინიშნება.

ძეგლის ე. წ. მეორე ნაწილი, სადაც გადმოცემულია XIII—XV საუკუნეების ისტორია, შეიძლება ვივარაუდოთ, ძირითადად წერილობით წყაროებს ემყარება. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ აქ გადმოცემული ფაქტებისა და მოვლენების რეალურობა ძეგლისაგან დამოუკიდებელი სხვა წყაროებითაც დასტურდება. ეს ეხება, უპირატესად. ცხრაზმის საერისთავოს ამბებს, რომელთა შესახებ XIII ს. 90-იანი წლებიდან მოცემული გვაქვს გაბმული და თანმიმდევრული თხრობა. საამისო მასალები ლარგვისში მოღვაწე ავტორისათვის, ცხადია, უფრო ხელმისაწვდომი იქნებოდა. საკუთარი დასაშვებად გვეჩვენება, რომ ლარგვისის მონასტერში ფიქსირებული ყოფილიყო ერისთავთა საქმიანობის ამსახველი ამბები სხვადასხვა ხასიათის ჩანაწერების სახით, რომლითაც უნდა ესარგებლა ძეგლის ავტორს.

მატიანის ცნობები, რომლებიც საქართველოს ზოგადი ისტორიის ამბებს ეხება, ხასიათდება არაერთი უზუსტობით, რაც გამოიხატება XIII ს. მეორე ნახევრის საქართველოს მეფეების სახელების, მამისშვილობის, XIII—XIV სს. მიჯნის საქართველოს ისტორიის პოლიტიკური ფაქტების გადმოცემაში არსებული ზოგიერთი ხარვეზით. ეს იმის მოწმობად უნდა ჩაითვალოს, რომ მატიანის ავტორი აღნიშნული პერიოდის საქართველოს ზოგად ისტორიაში საკმარისად არ იყო ინფორმირებული და ნაკლებად სანდო წყაროებით სარგებლობდა.

ავტორი თვითმხილველი და თანადამხვდურია XIV ს. მეორე ნახევრისა და XV ს. დასაწყისის ამბებისა, რომელთა აღწერაში იგი, ცნადია, საკუთარ მეხსიერებას ემყარებოდა. ამიტომაც „რაც უფრო მემატიანე მოთხრობის უკანასკნელ ნაწილს უახლოვდება, თვით აღწერილობაც უფრო და უფრო ვრცელი და ცხოველი ხდება"[163].

---

163 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 265.

თავი მეორე

„ძეგლი ერისთავთას“ ცნობები ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე

საკმარისია გავითვალისწინოთ ქართლის მთიანეთის ისტორიული წარსულის შესახებ არსებული წყაროების სიმცირე, რომ ნათელი გახდეს „ძეგლი ერისთავთას“ როგორც უშუალოდ ამ რეგიონში და ადგილობრივი წარმოშობის ავტორის მიერ შედგენილი თხზულების მნიშვნელობა აღნიშნული რეგიონის, უპირატესად, ცხრაზმის საერისთავოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების შესასწავლად. ცხრაზმისხევი, რომელსაც, ძირითადად, ქსნის ხეობის ზემო ნაწილი უჭირავს, ფიზიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით მთიან რეგიონს წარმოადგენს. ამ გარემოების გათვალისწინებას აღნიშნული მხარის ეკონომიკური და სოციალური განვითარების შესწავლისას საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება. მთიანი რეგიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებანი შუა საუკუნეებში მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ სამეურნეო ყოფასა და ეკონომიკური განვითარების დონეს.

ქართულ ისტორიულ წყაროებში რელიეფურადაა ასახული განსხვავება მთისა და ბარის მეურნეობას შორის. ამ მხრივ განსაკუთრებულია ცნობილი ქართველი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის (XVIII ს.) წვლილი. მან მოგვცა შუა საუკუნეების საქართველოში გეობოტანიკური ზონების გავრცელების დაწვრილებითი სურათი[1]. ვახუშტის თვალსაზრისით, საქართველოს ტერიტორია დანაწევრებულია „მთად“ და „ბარად“. ვახუშტის მიერ მოცემული ამგვარი დანაწილება ქვეყნისა „გეოგრაფიულ თვისებებთან ერთად იმავე დროს ორ ბოტანიკურ და სასოფლო-სამეურნეო ზოლად გაყოფასაც გულისხმობდა. მთის ზოლის თვისებას ამ მხრივ უვენახობა, უხილობა და

---

1 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 44, 358—359, 363; ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, I, ტფ., 1930, გვ. 290—315.

მარცვლეულის მოსავლის სიმცირე წარმოადგენდა, ბარის ზოლისას კი — სწორედ ვენახიანობა, ხილიანობა და მოსავლიანობა"[2].

ამით აშკარაა, რომ „ვახუშტის მთა-ბარი ბოტანიკურადაც და სასოფლო-მეურნეობის ეკონომიკის თვალსაზრისითაც სრულებით გარკვეულ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ, არეებად ჰქონდა ნაგულისხმევი". ი. ჯავახიშვილის მოსაზრებით, ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაშიც, ისევე როგორც ვახუშტისთან, „მთა და ბარი მარტო გეოგრაფიულად კი არა, არამედ... მთისა და ბარის ზოლებად და მეურნეობად უნდა ყოფილიყო ნაგულისხმევი"[3].

ასე რომ, „მთის" ცნებაში, პირველ ყოვლისა, იგულისხმება მეურნეობის გარკვეული სახე, რომლისთვისაც, ბარისაგან განსხვავებით, დამახასიათებელია უვენახობა, უხილობა და მარცვლეული კულტურების სიმცირე. მკაცრი კლიმატური პირობები და ინტენსიური მიწათმოქმედების განვითარებისათვის არახელსაყრელი რელიეფი განაპირობებდა „მთური" მეურნეობის სიმწირესა და შეზღუდულობას ბართან შედარებით[4].

ქსნის ხეობა იყოფა ორ ძირითად, „მთისა" და „ბარის" სამეურნეო-ეკონომიკურ რაიონად, რომელთა შორის საზღვარი ზებეყურალევის მთებზედ გაივლის. ვახუშტის მიხედვით, ზებეყურის „მთა ჩამოადგების ცხვრად კსანს დასავლიდამ და აღმოსავლეთიდამ ალევის მთის ცხვრი, და დაავიწროვებს კსანს კლდითა. ამ კლდეს ქუეით (ე. ი. სამხრეთის — გ. ა.) მტკურამდე კსანი არს ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, და ამ კლდეს ზევით (ე. ი. ჩრდილოეთით — გ. ა.) იწრო და მჭიდრო, უვენახო, უხილო, მწირი, ვითარცა სხუანი მთის ალაგნი მოსავლითა, ტყიან-კლდიანობითა"[5].

ცხრაზმის საერისთავოს უდიდეს ნაწილს შეადგენს ზებეყურალევის ზეითი „მთის ალაგნი", რომელსაც შეადგენენ საკუთრივ ცხრაზმისხევი, ჭურთისხევი, ქარჩოხი, ჟამური, ისროლისხევი, აწერისხევი, მდინარეების პატარა ლიახვისა და მეჯუდის ხეობათა ზემო ნაწილი. საერისთავოს საზღვრები ნაწილობრივ ბარის ზოლსაც მოიცავს, სახელდობრ: გრუსხევი, ლოწობანი (მდ. ქსნის მარცხენა სანაპიროზე), ყანჩაეთი (მდ. ქსანსა და მდ. ლეხურას შორის), იკორთა (მდ. მეჯუდის შუა წელზე).

---

2 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, გვ. 294.

3 იქვე.

4 მ. ბ ერ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი, მთის ცნების შესახებ ქართულ საისტორიო წყაროებში. — საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი ფეოდალიზმის ხანაში, თბ., 1983, გვ. 80 და შემდ.; ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, არაგვის ხეობა, თბ., 1986, გვ. 24 და შემდ.

5 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 359.

„მთისა“ და „ბარის“ ზემოთ აღნიშნულ თავისებურებათა გათვალისწინება ცხრაზმის ეკონომიკური და სოციალური განვითარების შესახებ ძეგლში დაცული ცნობების შესწავლისას, ვფიქრობთ, აუცილებელი უნდა იყოს. ცნობილია, რომ მთის სამეურნეო-ეკონომიკური განვითარების ხასიათზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მთის საზოგადოების სოციალური ურთიერთობის განვითარების თავისებურება, რაც მდგომარეობს იმაში, რომ მთის სინამდვილეში ფეოდალიზაციის პროცესის განვითარება ბართან შედარებით ნელი ტემპით ხასიათდება. „მთური“ მეურნეობის შეზღუდული ხასიათი „არ ქმნიდა ზედმეტი პროდუქტის წარმოების რეალურ საფუძველს და საზოგადოების შიგნით დიფერენციაციისა და ექსპლუატაციის გაღრმავების პროცესს ობიექტურად ხელს უშლიდა“[6].

„ძეგლი ერისთავთაში“ აისახა ცხრაზმის სამეურნეო ცხოვრების სხვადასხვა მხარე. მასში დაცულია ცნობა, რომელიც მიუთითებს ცხრაზმის საერისთავოში მევენახეობის განვითარებაზე. ერისთავმა ქვენიფნეველ ვირშელის ძემ ლარგვისის მონასტრისათვის „შემოიწირა ცხრაჲ ვენახი“[7]. საერისთავოში მევენახეობის გავრცელებაზე მიუთითებს ჟურულიანთ გვარის სიგლის ცნობაც, სადაც იხსენიება „ვენახის სახლი“[8]. ლარგვისის პარაკლიტონის მინაწერში გრიგოლ ბანდაჲსძე საუბრობს ლარგვისის მონასტერში მარნის აშენებასა და ჭურების შექმნაზე[9]. მევენახეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები საერისთავოს მთიან ნაწილში, როგორც ითქვა, არ არსებობს. ძეგლის მოტანილი ცნობა მევენახეობის შესახებ უნდა ეხებოდეს საერისთავოს ბარის რაიონს[10].

ძეგლის ცნობებიდან ჩანს, რომ ცხრაზმაში განვითარებული ყოფილა მესაქონლეობაც. წყაროში ვკითხულობთ: „დვალთა წაასხეს ხუასდაგი ჟამურით“[11] „ამას ჟამსა იყო შფოთი და პოეს ჟამი დვალთა და წაასხეს ღუდით ზროხაჲ[12]. „ამას ჟამსა ქუემო დვალთა წაა[ს]ხეს ზროხაჲ აწერისკევით“[13]. თემურ-ლენგის ცხრაზმის საერისთავოში

---

6 გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ქართველ მთიელთა სოციალურ-ეკონომიკური წყობილების დახასიათებისათვის. — მაცნე, ისტორიის სერია, № 1, 1979, გვ. 26—29.

7 ძეგლი ერისთავთა, გვ. 352.

8 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, I, გვ. 6; თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 279.

9 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 204.

10 შდრ. ჯ. გ ვ ა ს ა ლ ი ა, ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, — საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, III, თბ., 1967, გვ. 21—22.

11 ძეგლი ერისთავთა, გვ. 353.

12 იქვე, გვ. 355.

13 იქვე, გვ. 356.

შემოსევის დროს (1400 წ.) „ერისთავი ვირშელი უკუდგა ციხესა ბეხუჩისასა დედაწულითა და ჯოგითა“[14].

საზაფხულო საძოვრებისა და სათიბი ფართობების გამოყენება ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ცხრაზმაში ინტენსიური მესაქონლეობის განვითარებისათვის. საერისთავოს მთიანი ნაწილის მეურნეობის ძირითად დარგს მესაქონლეობა წარმოადგენს[15].

საერისთავოს მოსახლეობის, აგრეთვე მეზობელ მთიელთა ეკონომიკური შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს, ძეგლის ცნობებით, მეკობრული თავდასხმების შედეგად მოპოვებული „ალაფიც“ წარმოადგენდა, რაც ერთგვარად ავსებდა მთის მოსახლეობის ქონებრივ სივიწროვეს.

„ძეგლი ერისთავთა“ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს როგორც წყარო, რომელშიც მრავლად მოიპოვება ცნობები მშენებლობაზე. ძეგლში გვხვდება ტერმინები „შენება“ — „აღშენება“ და „კუალად მეორედ აღშენება“. „შენება“ — „აღშენება“ ძეგლში იხმარება ძირითადად ახლის აშენების მნიშვნელობით. ამავე დროს იგივე ტერმინი ერთგან აღდგენის მნიშვნელობითაც დასტურდება. მაგ.: წყალდიდობამ „წარიხუნა ზღუდენი და სამრეკლონი და გამოთხარა ძირი უკლესიისაჲ. მაშინ ერისთავმან... იწყო შ ე ნ ე ბ ა დ... ეკლესიისა რომელ სამ წელ ა ღ ა შ ე ნ ა“[16]. ძეგლში დამოწმებული „კუალად მეორედ აღშენება“ განახლება-რესტავრაციას ნიშნავს, ხოლო ნაგებობის აღდგენა-განახლების ინიციატორს „მეორედ აღმაშენებელი“ ეწოდება: „კუალად უანჩაეთს მ ე ო რ ე დ ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ იქმნეს ტაძარსა დედისა ღმრთისასა“[17].

ძეგლის ცნობებიდან ჩანს, რომ ცხრაზმაში მშენებლობას ფართო ხასიათი ჰქონია. მატიანის ავტორი საგანგებოდ ჩერდება ქვენიფნეველთა საგვარეულოს ამა თუ იმ წარმომადგენლის მიერ ჩატარებულ აღდგენით თუ სამშენებლო საქმიანობაზე. მაგ., როსტომ ბიბილურმა და მისმა სახლეულებმა „იწყეს შენებად ციხისა და სახლებისა დიდ-დიდებისა“[18]. ერისთავმა ლარგველ II-მ „აღ[ა]შენა უკანციხე თავსა ისროლის ჴევისასა“[19]. ერისთავმა ქვენიფნეველმა „აღაშენა ქუენიფნევს ეკლესიაჲ... ამან იწყო შენებად ზღუდეთა ამის მონასტრისათა

---

14 ძეგლი ერისთავთა, გვ. 358.

15 ჯ. გ ვ ა ს ა ლ ი ა, ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, გვ. 22—23.

16 ძეგლი ერისთავთა, გვ. 355 (ხაზგასმა ჩვენია).

17 ძეგლი ერისთავთა, გვ. 356; შდრ. შ. მ ე ს ხ ი ა, ხელოსნობა ძველ საქართველოში (V—XII სს.) — წიგნში: საისტორიო ძიებანი, I, თბ., 1982, გვ. 26—27.

18 იქვე, გვ. 345.

19 იქვე, გვ. 349.

(საუბარია ლარგვისის მონასტერზე — გ. ა.) და აღაშენა სამრეკლოჲთა და ყოვლითა სამკაულითა შეამკო ეკლესიაჲ"[20]. იოვანე ერისთავმა სარესტავრაციო სამუშაოები ჩაატარებინა ლარგვისის სამონასტრო კომპლექსში. წყალდიდობამ „წარიხუნა" მონასტრის „ზღუდენი და სამრეკლონი და გამოთხარა ძირი ეკლესიისაჲ. მაშინ ერისთავმა იოვანე მასვე კკრიასა შინა იწყო შენებად ზემოჲსა... ეკლესიისაჲ, რომელი სამ წელ აღაშენა და მოაქმნა ბჟე და სამრეკლოჲ"...[21] იოვანეს ერისთავობის ხანაში „მოშლილ იყო დიდი იგი საყდარი იკორთას... და იწყეს შენებად და კუალად ყანჩაეთს მეორედ აღმაშენებელ იქმნეს ტაძარსა დედისა ღმრთისასა"[22]. ერისთავმა ვირშელ III-მ „პირველსავე წელსა ერისთავობისა მისისასა აღაშენა ქვითკირითა ეკლესია წმინდისა ნიკოლოზისი"[23]. მანვე „იწყო შენებად ეკლესიისა სახელსა ზედა მოწამისასა, საზღვარსა ვარნისასა"[24].

ძეგლში დამოწმებულია საერო დანიშნულების ნაგებობათა არსებობაც. ერისთავმა ლარგველმა „აღაშენა... ტფილურითა წესითა დარბაზოვანი ქვენიფნევს"[25]. „ტფილური წესით დარბაზოვანის" აშენება ნიშნავს სასახლის აგებას იმ არქიტექტურული წესების მიხედვით, რომელიც მიღებული იყო თბილისში სასახლეთა შენებისათვის[26]. „ტფილური წესით" სასახლის მშენებლობა, ცხადია, იმ დროის ქვაყლობაზე სოლიდური სახსრების გაღებას მოითხოვდა, რაც, თავის მხრივ, ცხრაზმის ერისთავების ეკონომიკურ სიძლიერეზე მიუთითებს. ერისთავმა ქვენიფნეველმა „აღაშენა ქვენიფნევს... დარბაზოვანი დიდ-დიდი და შუენიერი"[27]. მოტანილი ცნობიდან ჩანს, რომ, გარდა „ტფილური წესით" ნაგები დარბაზიანი სასახლისა, ერისთავებს ჰქონიათ ჩვეულებრივი, ალბათ, შედარებით მცირე მოცულობის დარბაზიანი სასახლეც. სასახლეებთან ერთად ერისთავებს ჰქონდათ „სახლებიც". მარტო ქვენიფნევში ერისთავების კუთვნილი ათი „სახლია" დასახელებული. „სახლები" ერისთავებს საერისთავოს სხვადასხვა ადგილებში ჰქონიათ. კერძოდ, ძეგლში იხსენიება „სახლი ნაკაფოვნისაჲ", „სახლი წინუბნისაჲ", თემურ-ლენგის მარბიელი ლაშქრის შემოსევის შემდეგ, მატიანის გადმოცემით, „დარჩეს ერისთავსა ზემოჲთ თავადი ციხე ქუენიფნევს და სახლები: ი: (10 — გ. ა.)... სახლი ნაკაფოვნისაჲ და სახ-

---

20 ძეგლი ერისთავთა, გვ. 352.
21 იქვე, გვ. 355.
22 იქვე, გვ. 356.
23 იქვე.
24 იქვე, გვ. 361.
25 იქვე, გვ. 349.
26 შ. მ ე ს ხ ი ა, ლექსიკონი. — ძეგლი ერისთავთა, გვ. 369.
27 ძეგლი ერისთავთა, გვ. 352.

ლი წინ [უბნისაჲ] და სხუაჲ ყოველი აღაოჴრეს"[28]. როგორც ვხედავთ, აქ საუბარია ერისთავების კუთვნილ მხოლოდ იმ ნაგებობებზე, რომლებიც თემურ-ლენგის ლაშქარს აუოხრებელი გადაურჩა. ვფიქრობთ, ძეგლში დასახელებული „სახლები" გულისხმობს ზოგადად ნაგებობას, როგორც საცხოვრებელი, ისე სამეურნეო დანიშნულებისას.

ძეგლის ცნობებით, თვალსაჩინოა ციხეთა სიმრავლე ცხრაზმაში. ხაზგასმულია ერისთავების გამუდმებული ზრუნვა ციხეთა მშენებლობაზე. ქვენიფნველთა საგვარეულოს მამამთავარმა როსტომმა ცხრაზმაში დამკვიდრებისთანავე „იწყო შენებად ციხისა"[29]. ერისთავმა ლარგველ II-მ „აღაშენა უკანციხე თავსა ისროლის ჴევისასა"[30]. ძეგლის მიხედვით, ცხრაზმაში მრავალი ციხე-სიმაგრე არსებობდა: „თავადი ციხე ქუენიფნევს", „ციხე ქოლოთისაჲ", „ციხენი ისროლისანი", „ციხე ბეხუშისაჲ", „ციხენი უკანუბნისანი", „ციხე ლოწობნისა", „ციხე ქარჩოხისა"[31].

მშენებლობის ასეთი ფართო ხასიათი ცხრაზმის საერისთავოში, ბუნებრივია, სათანადო ფულად სახსრებთან და მუშა-ხელის ექსპლუატაციასთან იყო დაკავშირებული.

ცხრაზმის ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ძეგლის ცნობა ლარგვისის მონასტერთან ზეთსახდელი ნაგებობის გამართვაზე: ერისთავმა ქვენიფნველმა ლარგვისში „აღაშენა საზეთე"[32].

ძეგლის ცნობები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის საეკლესიო ქონების შესახებ. შედარებით სიუხვით გამოირჩევა ცნობები ლარგვისის მონასტრის საქონებელზე, რომელიც, ძირითადად, წარმოქმნილია ერისთავთა სახლის შეწირულობებით. შალვა ერისთავის მეუღლემ „შექმნა ყოველი სამსახური ეკლესიისაჲ: ოქროჲსა და ვერცხლისაჲ ბარძიმი, ტაბაკნი, კანდელი და სხუა ყოველი სამკაული, და მოჴედნა ხატნი და შეამკო ხატი თეთროსანი წმიდათა ნაწილებითა და ყოვლითა სამკაულითა"[33]. ერისთავმა ლარგველ II-მ „შექმნა დიდი ხატი მაცხოვრისა საზომითა ტანისა თუსისაჲთა და მოჴედა იგი. ამანვე შეამკო დიდი ესე ხატი თედორესი და შექმნა ორი კანდელი და

---

28 ძეგლი ერისთავთა, გვ. 360.

29 იქვე. გვ. 345.

30 იქვე, გვ. 349.

31 იქვე, გვ. 347, 348, 360.

32 იქვე, გვ. 352. ზეთსახდელი სარეწების შესახებ შუა საუკუნეების საქართველოში იხ. ლ. მ ო ლ ო დ ი ნ ი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან (ხალხური ზეთსახდელი იარაღები), თბ., 1963.

33 ძეგლი ერისთავთა, გვ. 348.

დაუკიდა წინა"[34]. ქვენიფნეველმა „შეამკო ჯუარი (წმინდა გიორგისა — გ. ა.) და კუბო მისი და მოჭედა ვერცხლითა და ოქროჲთა"[35].

ძეგლის ცნობები ცხრაზმის ეკონომიკური განვითარების შესახებ არც სრულია და არც ამომწურავი. მიუხედავად ამისა, აღნიშნული მატიანე მნიშვნელოვან ადგილს იკავებს იმ წყაროებს შორის, სადაც დაცულია მონაცემები ამ რეგიონის ეკონომიკურ ცხოვრებაზე.

მატიანეში ქვენიფნველთა საგვარეულოს ისტორიასთან დაკავშირებული ამბების თხრობაში ჩართულია ისეთი ხასიათის ცნობები, რომლებიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის იმ სოციალური გარემოს შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ცხრაზმის სინამდვილეში, მიუხედავად იმისა, რომ ძეგლის პირდაპირი დანიშნულება სხვაა. რადგანაც ძეგლის ცნობები ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ არაპირდაპირი ხასიათისაა, ამიტომ ისინი ცხრაზმის სოციალური განვითარების საკითხის გაშუქებაში სრული ამომწურავობის პრეტენზიას, ცხადია, ვერ დაიჩემებენ, თუმცა ამით როდი მცირდება მათი მნიშვნელობა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მატიანის ე. წ. უძველესი ანუ დასაწყისი ნაწილი, რომელიც მრავალმხრივ საინტერესო ცნობებს შეიცავს. მკვლევრები ძეგლის აღნიშნული ნაწილის მონაცემებს იხილავენ რეტროსპექტული მეთოდის მომარჯვებით და ხშირად იყენებენ როგორც საანალოგიო მასალას საზოგადოებრივი განვითარების ადრეული საფეხურისათვის დამახასიათებელი ურთიერთობების რეკონსტრუირებისათვის. ხსენებული მონაცემების საფუძველზე ირ. სურგულაძე განიხილავს საქართველოს სახელმწიფოს წარმოშობის გზებსა და მიმართულებებს[36]. ს. ჯანაშია ფართოდ იყენებს მას როგორც საანალოგიო მასალას უძველეს პერიოდში ქართველ ტომთა სოციალური დიფერენციაციის პროცესის გასაშუქებლად[37]. ძეგლის იმავე მონაცემების რეტროსპექტული მეთოდის საფუძველზე განხილვის შედეგად გ. მელიქიშვილი აღადგენს ანტიკური პერიოდის ქართლში სატაძრო მიწათმფლობელობის სურათს, თემური მმართველობის ფორმებს და სხვ.[38] დასახელებული მკვლევრებისათვის „ძეგლი ერისთავ-

---

34 ძეგლი ერისთავთა, გვ. 349.

35 იქვე, გვ. 360.

36 ირ. სურგულაძე, „ძეგლი ერისთავთა" და მისი მნიშვნელობა, გვ. 220—231.

37 ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, გვ. 163—167.

38 Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, с. 405—406; გ. მელიქიშვილი, ახ. წ. პირველი საუკუნეების ქართლის სოციალურ-ეკონომიკური წყობილების საკითხები. — წიგნში: სინ, I. თბ., 1970, გვ. 581—583.

თას" ცნობები. უმეტესწილად, საინტერესოა როგორც ზოგადი მოდელის წარმოსადგენი მასალა. რეტროსპექციის მეთოდით ძეგლის ცნობების განხილვის შედეგად მიღებული დასკვნები, ცხადია, არ გულისხმობს იმ საზოგადოებრივი ურთიერთობის კვალიფიკაციას, რომელიც უშუალოდ აისახა მატიანეში. ამის შესახებ ს. ჯანაშია შენიშნავდა, რომ, მართალია, ძეგლის დასაწყის ნაწილს საანალოგიოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ „მთელი ეს სურათი (აღწერილი მატიანის აღნიშნულ ნაწილში — გ. ა.) საკუთრივ ფეოდალურ სამყაროს ეკუთვნის და, პირველ რიგში, ამ სამყაროს განვითარებისათვის არის საინტერესო"[39].

უნდა აღინიშნოს, რომ ძეგლში დადასტურებულია ისეთი სოციალური ინსტიტუტები, რომლებიც დამახასიათებელია საქართველოს ისტორიული სინამდვილისათვის საერთოდ და, ამ მხრივ, თხზულების ცნობების რეალურობა მტკიცებას არ მოითხოვს.

ჩვენი მიზანია წარმოვაჩინოთ, ჯერ ერთი, თუ რას გვაძლევს ძეგლის ცნობები ცხრაზმის სოციალური განვითარების შესახებ და ამ თვალსაზრისით რა სამსახურს უწევს იგი ისტორიული წარსულის შესწავლის საქმეს, რაც, თავის მხრივ, გვაჩვენებს მისი, როგორც ისტორიული წყაროს ღირებულებას; და, მეორე, ძეგლში დაცული სოციალური ხასიათის ცნობების ქრონოლოგიური ლოკალიზაცია, რაც დაკავშირებულია ძეგლის, როგორც წყაროს სანდოობისა და ისტორიული კვლევის პროცესში მისი ცნობების გამოყენების ქრონოლოგიური ჩარჩოების განსაზღვრის საკითხთან.

ცხრაზმის „ქუეყანა", ძეგლის მიხედვით, წარმოადგენს გარკვეულ საზღვრებში ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივ-ორგანიზაციულ ერთეულს, რომელსაც, მემატიანის სიტყვებით, „ყოველი ცხრაზმისკევი" ეწოდება. ეს უკანასკნელი თავის ტერიტორიულ ფარგლებში შვიდ ხევს აერთიანებს.

„ყოველი ცხრაზმისკევის" მიწა-წყალზე მკვიდრობს გარკვეული საზოგადოება, რომელსაც შეადგენენ „ყოველნი ცხრაზმისკეველნი", ან „ყოველი ერი ცხრაზმისკევისა". ეს უკანასკნელი არ არის სოციალურად ერთგვაროვანი საზოგადოება. მასში გამოიყოფა პრივილეგირებული საზოგადოებრივი ფენა „საყდრისშვილების" სახით და მოსახლეობის ძირითადი მასა — „წურილი ერი" ან „ერი". ცხრაზმის „ყოველი კევი" კუთვნილების მიხედვით შეადგენს დანაწევრებულ მიწა-წყალს, რომელიც, ძირითადად, დაყოფილია ეკლესიის კუთვნილ და „ერის" განკარგულებაში არსებულ მიწებად. ეკლესიის კუთვნილ

---

39 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, გვ. 167.

ადგილ-მამულს შეადგენს „სოფელნი... რომელნი შემოწირულ არიან სამეფო ხელისუფლებისაგან[40] და რომელიც განიხილება, როგორც „განსაგებელნი ეკლესიისანი". ძეგლის მიხედვით, „ყოველი ცხრაზმის-ჯევისაგან" მკვეთრად განსხვავებულია „განსაგებელნი ეკლესიისანი" ანუ ის მიწა-წყალი, რომელიც უშუალოდ ეკლესიის სამამულო მფლობელობას შეადგენს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „ყოველი ჯევის" მიწების არსებობა ანუ საეკლესიო მიწათმფლობელობა გამოცალკევებულია საზოგადოებრივი თუ სხვა სახის მფლობელობისაგან. ეკლესიის სამამულო უფლებები ვრცელდება ცხრაზმისხევის გარკვეულ ნაწილზე და არა მთლიანად ცხრაზმის ხევზე, რაზედაც მიუთითებს ძეგლის შემდეგი ადგილი: „უკუეთუ ინებოს მეფობამან თქუენმან, მას (როსტომს — გ. ა.) შეჰგავს ყოველი გ ა ნ ს ა გ ე ბ ე ლ ნ ი ე კ ლ ე ს ი ი ს ა ჲ, მსახურებაჲ თქუენი და მთავრობაჲ შჳდთა მათ ჯევთა... მაშინ მიუბოძნა შჳდნი ესე ჯევნი, განსაგებელნი ეკლესიისანი"[41]. ტერიტორია, რომელზედაც ვრცელდება გამოთქმა „განსაგებელი ეკლესიისაჲ", როგორც წყაროს ზემოთ მოტანილი ჩვენებიდან ჩანს, არ ფარავს იმ მიწა-წყალს, რომელზედაც ვრცელდება ფრაზა „მთავრობაჲ შჳდთა ჯევთაჲ", საიდანაც ცხადი ხდება, რომ ეს „შჳდი ჯევი" ანუ „ყოველი ცხრაზმისჯევი" არ შეადგენს მთლიანად „ეკლესიის განსაგებელს".

„ეკლესიის განსაგებელი" ადგილ-მამულის გამგებლობის ცენტრად ლარგვისი უნდა მივიჩნიოთ, სადაც თვით ეკლესიაც მდებარეობს. ამავე დროს, ლარგვისის ეკლესია მთელი ცხრაზმის სასულიერო ცენტრიცაა, რაზედაც მიუთითებს ცხრაზმის „ყოველი ერის" დაინტერესება და მონაწილეობა მის მშენებლობაში[42].

ძეგლში აღწერილი საეკლესიო მიწათმფლობელობა გენეტიკურად დაკავშირებულია საზოგადოებრივი განვითარების ადრეული საფეხურისათვის დამახასიათებელ სათემო-სატაძრო მიწათმფლობელობასთან[43], რომლის შემდგომი ევოლუციის შედეგად ძეგლში ასახული ეპოქისათვის უკვე საქმე გვაქვს ფეოდალური ხასიათის საეკლესიო მიწათმფლობელობასთან. ნიშანდობლივია, რომ ეკლესიის განკარგულებაში არსებული ადგილ-მამული ანუ „სოფელნი... განსაგებელნი ეკლესიისანი" შეწირულია სამეფო ხელისუფლებისაგან.

ყურადღებას იქცევს ძეგლში დასახელებული „ლარგვისის მა-

---

40 ძეგლი ერისთავთა, გვ. 345.

41 იქვე, გვ. 346 (ხაზგასმა ჩვენია).

42 იქვე, გვ. 344.

43 იხ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, გვ. 165—166; Г. А. М е л и к и ш в и л и, К истории древней Грузии, с. 406; გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ახ. წ. პირველი საუკუნეების ქართლის სოციალურ-ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი წყობილების საკითხები, გვ. 583.

შასახლისი", რომლის კომპენტენციები მთლად ნათელი არ არის. ძეგლის მიხედვით, მისი „ველი" (მამასახლისობა) „მეფეთაგან მოცემული არს"[44] ანუ ლარგვისის მამასახლისი სახელმწიფო ადმინისტრაციის წარმომადგენელია, მეფის მოხელეა[45]. ძეგლიდან ცხადად ჩანს და საგანგებოდ ხაზგასმულია ლარგვისის მამასახლისის კავშირი ლარგვისის ეკლესიასთან და ეკლესიის კუთვნილ მიწა-წყალთან, რაც საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ ლარგვისის მამასახლისის კომპეტენციებს მივაკუთვნოთ სამეფო ხელისუფლების მიერ შემოწირული თუ მისი სანქციით განსაკუთრებული საეკლესიო მიწების გამგებლობა, რომელსაც იგი ეკლესიის სახელით და „საყდრისშვილთა" თანადგომით ახორციელებს. ლარგვისის მამასახლისი, ამავე დროს, უნდა ყოფილიყო მთელი ცხრაზმისხევის სასულიერო ხელისუფალიც.

საეკლესიო მამულები, როგორც ძეგლიდან ჩანს, მდებარეობს „ყოველი ცხრაზმისკევის" ცენტრალურ ნაწილში, რაზედაც მიუთითებს ძეგლის ჩვენება იმის შესახებ, რომ „შუა საყდრისშვილთა" ადგილი ამავე დროს წარმოადგენს ადგილს „შუა ყოველთა კევთა".

ეკლესიის კუთვნილ ადგილ-მამულზე სხედან „საყდრისშვილები", რომლებიც, ავტორის ნომენკლატურით, „დიდებულები" და „აზნაურები" არიან[46]. „დიდებული" და „აზნაური" ავტორისაგან ნაგულისხმევი ხანის (VI ს.) ქართლის მთიანეთის სინამდვილეში, ცხადია, ანაქრონიზმია, რაც აიხსნება იმით, რომ XV ს. ავტორი თავისი თანადროული ეპოქისათვის დამახასიათებელი ცნებებით მსჯელობს შორეული წარსულის შესახებ. მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ ავტორი „საყდრისშვილებს" გაბატონებული ფენის წარმომადგენლებად სახავს, უდავოდ მიუთითებს იმაზე, რომ „საყდრისშვილები" „ერისაგან" გამოყოფილ პრივილეგირებულ საზოგადოებრივ კატეგორიას ქმნიან.

საყდრისშვილებს უპირატესი მდგომარეობა უკავიათ მთელი ცხრაზმის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, რაზედაც მიუთითებს ის ფაქტი, რომ „შუა საყდრისშვილთა" ანუ საყდრისშვილთა ცენტრში დამკვიდრება წარმოადგენს განსაკუთრებულ პირობას არა მარტო საყდრისშვილთა შორის, არამედ მთელ ცხრაზმაში დაწინაურებული მდგომარეობის მოპოვებისათვის. საყდრისშვილების აღზევებული საზოგადოებრივი მდგომარეობა გაპირობებულია მათი კავშირით ეკლესიის სამსახურთან. ასეთი სამსახური და მისგან გამომდინარე პრივილეგიები გამოხატულია საყდრისშვილების საპატიო უფლებით, ჰქონდეთ საფლავები ლარგვისის ეკლესიაში. ამასთანავე

---

[44] ძეგლი ერისთაეთა, გვ. 345.

[45] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, с. 405.

[46] ძეგლი ერისთაეთა, გვ. 345.

აღნიშნული პრივილეგიური უფლებით მხოლოდ საყდრისშვილები სარგებლობენ.

საყდრისშვილობის ინსტიტუტი დასტურდება საქართველოს როგორც ბარის, ისე მთის სინამდვილეში. „საყდრისშვილის" ანალოგიური მნიშვნელობით გვხვდება „ეკლესიისშვილი"[47], „მცხეთისშვილი" (მცხეთის საკათალიკოსო სენიორია)[48], რომლებიც „მცხეთისშვილი" განსხვავებული, ხოლო შინაარსით იდენტური ცნებებია.

ნ. ბერძენიშვილი, ეხება რა ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების საკითხს XIII—XVI სს. საქართველოში, აღნიშნავს, რომ საყდრისშვილები საეკლესიო სენიორიის „უმაღლეს ყმა აზნაურმოხელეთა ჯგუფს" შეადგენენ[49]. ბ. ლომინაძის დაკვირვებით, „საყდრისშვილობა" განვითარების ადრეულ ეტაპზე უფრო ფართო ცნება იყო და ეკლესიის ქვეშევრდომ-მსახურთა ყველა წრეს მოიცავდა, ხოლო შემდეგ მოხდა მისი დავიწროება და „საყდრიშვილობა" საეკლესიო სენიორიის ყმა-აზნაურთა პრივილეგირებულმა ჯგუფმა დაინარჩუნა[50].

მატიანის მიხედვით, ლარგვისის საყდრისშვილები ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ გაერთიანებულ ყველა ქვეშევრდომ-მსახურს არ მოიცავს. „საყდრისშვილის" შინაარსი იმდენად დავიწროებულია, რომ მასში ეკლესიის ქვეშევრდომ-მსახურთა მხოლოდ პრივილეგირებული წრე იგულისხმება, როგორც ეს ხდება საყდრისშვილობის ინსტიტუტის განვითარების შემდგომ საფეხურზე.

ამრიგად, ძეგლში დაცული ცნობები ასახავს საყდრისშვილობის ინსტიტუტის განვითარების გვიანდელ ეტაპს.

ცხრაზმაში საყდრისშვილობის ინსტიტუტის შემდგომ განვითარებაში მნიშვნელოვანი ტეხილი უნდა ყოფილიყო XIII საუკუნეში ერისთავის ხელისუფლების დამყარება, რაც საზოგადოებრივი განვითარების პროცესში ფეოდალური ელემენტების ჩამოყალიბების გარ-

---

47 ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, გვ. 165; გ. ბოჭორიძე, რაჭის ისტორიული ძეგლები. — საქართველოს მუზეუმის მოამბე, VIII, ტფ., 1935, გვ. 292; ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII სს.) — მსკი, ნაკე. 30, თბ., 1954, გვ. 246—248. აღსანიშნავია, რომ ძეგლში მცხეთის საკათალიკოსო სენიორიის ქვეშევრდომ-მსახურთა აღსანიშნავად იხმარება „საყდრისშვილი" (იხ. ძეგლი ერისთავთა, გვ. 358).

48 ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, გვ. 165.

49 Н. Бердзенишвили, Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII—XVI вв.). წიგნში: საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ.. 1965, გვ. 74.

50 ბ. ლომინაძის მოსაზრება მოტანილია ნაშრომიდან: ა. ბოგვერაძე, სოციალურ-ეკონომიკური ვითარება VI—VIII სს. აღმოსავლეთ საქართველოში. — წიგნში: სინ, II. თბ., 1973, გვ. 309.

კვეული ეტაპის მაჩვენებელია. ნიშანდობლივი ჩანს ის ფაქტი, რომ ავტორი საყდრისშვილებს „დიდებულებსა“ და „აზნაურებს“ უწოდებს, რაც იმის მოწმობად უნდა ჩაითვალოს, რომ ფეოდალური ელემენტების ჩამოყალიბება ცხრაზმის სინამდვილეში გენეტიკურად საყდრისშვილობასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

„საყდრისშვილობა“ სოციალური შინაარსით ფეოდალური ინსტიტუტია, მაგრამ, ცხადია, ის ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა. თავისი გენეზისით აღნიშნული ფეოდალური ინსტიტუტი ადრეკლასობრივი საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელ ჯვარისყმობის (ხატისყმობის) ინსტიტუტებს უკავშირდება[51]. მაგრამ გენეტიკური კავშირი აღნიშნულ ინსტიტუტებს შორის სრულებით არ ნიშნავს მათს ივივეობას. ძეგლში აღწერილი „საყდრისშვილობა“ წარმოადგენს ხანგრძლივი ისტორიული ევოლუციის შედეგად ჩამოყალიბებულ ფეოდალურ დაწესებულებას, რომელიც არსებითად განსხვავდება, მართალია, მისი მონათესავე, მაგრამ შორეული ჯვარისყმობის (ხატისყმობის) ინსტიტუტისაგან. ეს განსხვავება მდგომარეობს შემდეგში: ხევსურული თემის სტრუქტურის შესწავლის საფუძველზე დადგენილია, რომ თემის ყოველი წევრი სათემო ჯვარის მიმართ (და ეს სათემო ჯვარი თემის ტერიტორიაზე მთავარ საკულტო ცენტრს წარმოადგენს) განიხილება როგორც ამ უკანასკნელის ყმა[52]. ხოლო ცხრაზმისხევის მოსახლეობის ყველა წევრი მთავარი სასულიერო ცენტრის (საყდრის) „შვილად“ არ განიხილება. „საყდრისშვილთა“ ჯგუფს შეადგენდა არა ცხრაზმისხევის მოსახლეობა მთლიანად, არამედ მხოლოდ მისი გარკვეული ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ ლარგვისი მთელი ცხრაზმისხევის სასულიერო ცენტრია. ჯვარის (ხატის) საკუთრებად განიხილება თემის მთელი მიწა-წყალი, რომელზედაც ჯვარისყმები (ხატისყმები) სხედან[53]. ხოლო ლარგვისის მონასტრის საკუთრებაშია ცხრაზმისხევის მიწა-წყლის მხოლოდ გარკვეული ნაწილი და „საყდრისშვილები“ სწორედ ამ ტერიტორიაზე მოსახლეობენ. განსხვავებას ცხადჰყოფს ისიც, რომ ლარგვისის ეკლესიის საადგილმამულო საკუთრების ჩამოყალიბება დაკავშირებულია მიწაზე ფეოდალური საკუთრებისათვის დამახასიათებელ „შემოწირულობის“ ინსტიტუტთან.

ასე რომ, რაც არ უნდა უდავო იყოს აღნიშნულ ინსტიტუტებს

---

51 ვ. ბარდაველიძე, ხევსურული თემი. სტრუქტურა და ჯვარისყმობის ინსტიტუტი. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XIII, № 8, თბ., 1952, გვ. 498.

52 იქვე, გვ 496.

53 ვ. ბარდაველიძე, ხევსურული თემის მმართველობის სისტემა. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XIII, № 10, თბ., 1952, გვ. 622.

შორის გენეტიკური კავშირი, ეს მაინც არ იძლევა საფუძველს „საყრდისშვილების“ ჯვარისყმობასთან (ხატისყმობასთან) შედარებითი განხილვისათვის, რადგანაც მათ შორის არსებულ პრინციპულ სხვაობათა (როგორც ქრონოლოგიური, ასევე სოციალური და ეკონომიკური) პირობებში ასეთი შედარება ძეგლში აღწერილია „საყდრისშვილობის“ ინსტიტუტის შესწავლისათვის არაფერს მოგვცემდა.

ცხრაზმისხევის მეზობლად, ქართლის მთიანეთის იმავე რეგიონში, — კერძოდ, ხევში დასტურდება საყდრისშვილობის ინსტიტუტი, რომელსაც გარკვეული მსგავსება ახასიათებს ცხრაზმის სინამდვილიდან ჩვენთვის ცნობილ „საყდრისშვილობასთან“. ხევის სოფელ გერგეტის წმ. სამების მონასტრის „საყდრისშვილები“ დღეისათვის ცნობილი წყაროებიდან პირველად იხსენიება XIV ს. მეორე ნახევარში — ბაგრატ V-ის (1360—1393) მიერ გერგეტელ საყდრისშვილებისადმი გაცემულ სასისხლო სიგელში, სადაც ვკითხულობთ: „ქ. ჩუენ: ღვთივ: გუირგუინოსანმან: მეფეთა: მეფემა[ნ]: ბაგრატ: ესე: მტკიცე: [და]: უქცეველი: ბ-ბა: და: სიგელი: ამისად: ნიშნად: გიბოძეთ: თქუენ: გერგეტელთა: საყდარი: შვილთა: წმიდისა: სამებისა: მოსამსახურეთა: საყდარი: შვილობა: ასრე: და: ამა: პირსა: ზედა: და: რაიმე: თუ: ვისმე: თქუენი: განი: კაცი: შემოაკუდეს: სამ: სისხლად: აზღუევინეთ: ამისათუის: რომე: ძველი: სიგელიცა: გქონდა: და: ჩუენთა: გუართაცა: დაემტკიცნეს: ვნახენით: სიგელი: და: გავსინჯეთ: და: დიდი: სისხლი: ეწერა: თქუენი: და ჩუენცა: ახლად: დაგიმტკიცეთ“[54]. სიგლიდან ირკვევა, რომ გერგეტის წმ. სამების „საყდრისშვილობა“ ძველი წარმოშობისა ყოფილა. ამ მხრივ ნიშანდობლივია სიგლის ჩვენება იმის შესახებ, რომ გერგეტელებს ჰქონიათ „ძველი სიგელი“, სადაც საუბარი ყოფილა მათს ძველთაგანვე „საყდრისშვილობაზე“ და სადაც ამასთან დაკავშირებით მათთვის „დიდი სისხლი ეწერა“. „საყდრისშვილთა“ ფუნქციები, სიგლის მიხედვით, ეკლესიის „სამსახურთანაა“ დაკავშირებული[55]. ამავე დროს ეკლესიის „სამსახური“ გერგეტის საყდრისშვილებს ხევის მთელ მოსახლეობასთან შედარებით პრივილეგირებულ მდგომარეობას ანიჭებს: „საყდრისშვილებს“ ხევის რიგითი მცხოვრებისაგან განსხვავებული, „დიდი სისხლი“ ან კიდევ სამმაგი („სამსისხლად) „სისხლი“ ჰქონიათ დაწესებული. გერგეტელ „საყდრისშვილთა“, როგორც მთელი ხევის მთავარი სალოცავის და სასულიერო ცენტრის წმ. სამების საყდრის „მოსამსახურეთა“ პრივილეგიური მდგომარეობა გამოიხატება მათს წინაშე ხევის მთელი მოსახლეობის ვალდებულებაში. გერგეტის „სულ-

---

54 ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ხევი, ტფ., 1934, გვ. 228.
55 ქ. შ ა რ ა შ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 247—248.

თა მატიანეში“ დაცული 1439 წლის საბუთის მიხედვით, მთელი ხევი („კოპით გუელეთამდი[ს]“) გერგეტელებს მძევლებს გადასცემს. იქვე მითითებულია საამისო მოტივიც: „ესე მზევლები ამათ (ე. ი. გერგეტელებს — გ. ა.) საყდრისშვილობისათჳს მივეცით, რომე მეფესა შეეწყალნეს და ებრძანა ჩ-ნ თანა“[56]. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, „რომ გერგეტელების საყდრისშვილობა გარკვეულ უფლებებს ანიჭებთ და ეს უფლება, ჩანს, მთელ ხევზე ვრცელდებოდა“[57].

ლარგვისის საყდრისშვილობას, როგორც ითქვა, მნიშვნელოვანი სიახლოვე-მსგავსება ახასიათებს გერგეტის წმ. სამების მონასტრის საყდრისშვილობასთან. ორივეგან „საყდრისშვილობა“ დაკავშირებულია ეკლესიის სამსახურთან. ეს უკანასკნელი განაპირობებს საყდრისშვილთა პრივილეგიურ უფლებებს იმ ტერიტორიის მოსახლეობის მიმართ, რომლის მთავარ სასულიერო ცენტრის საყდრისშვილებსაც ისინი წარმოადგენენ. ორივეგან სამეფო ხელისუფლება „საყდრისშვილების“ მიმართ მფარველობა-მხარდაჭერის პოლიტიკას ახორციელებს[58].

ლარგვისის საყდრისშვილობა განვითარების თავისებურებებით მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს, აგრეთვე, საქართველოს მთიანეთის სხვა რეგიონის, კერძოდ, სვანეთის სინამდვილეში არსებულ იმავე ინსტიტუტთან და განსხვავდება ბარის საყდრისშვილობისაგან[59].

ცხრაზმის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი, ძეგლის თანახმად, წარმოდგენილია „ერის“ („წურილი ერის“) სოციალური ფენის სახით. ცხრაზმის „ყოველი ერი“ აქტიურად მონაწილეობს საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში. როსტომი ცხრაზმაში დამკვიდრებისა და უპირატესი მდგომარეობის მოპოვებისათვის იძულებული ხდება მი-

---

56 ქ. შარაშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 246, 247 (ხაზგასმა ჩვენია).

57 იქვე, გვ. 246. აღსანიშნავია, რომ გერგეტის საყდრისშვილების წინაშე ხევის ვალდებულების ერთ-ერთი სახეობა XIX საუკუნეშიც შემოინახა. ამ დროსაც მთელი ხევისა და თრუსოს ხეობის მოსახლეობა გერგეტელებს ყოველწლიურად თითო კომლზე თითო მათარა (ფუთნახევარ) ქერს აძლევდა (იხ. ქ. შარაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 251; ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 228—229).

58 გ. არახამია, „ძეგლი ერისთავთა“ საყდრისშვილობის სოციალური ინსტიტუტის შესახებ. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 110,2, 1983, გვ. 433—435; ე. ხოშტარია-ბროსე, „საყდრისშვილობის“ ინსტიტუტის საკითხისათვის ფეოდალური საქართველოს მთაში. — ფეოდალური ხანის საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობის საკითხები, გვ. 118, 120—122; გ. მამულია, პატრონყმობა, თბ., 1987, გვ. 147 და შმდ.

59 აღნიშნული საკითხის შესახებ ერცლად იხ. ე. ხოშტარია-ბროსე, „საყდრისშვილობის“ ინსტიტუტის საკითხისათვის, გვ. 105—123; გ. მამულია, პატრონყმობა, გვ. 156—158.

მართოს „ერს“. ლარგვისის მამასახლისი როსტომს რჩევას აძლევს: „უკეთუ გნებავს მკჳდ[რ]ყოფა ქუეყანასა ამას (ე. ი. ცხრაზმაში — გ. ა.), ითხოვე საფლავი მონასტერსა ამას“ (იგულისხმება ლარგვისი). პასუხად როსტომი აცხადებს, რომ ეს „მე მოვითხოვო ყოვლისა ერისაგან“.

ცხრაზმის საზოგადოებაში „ერი“ იმდენად ანგარიშგასაწევი ძალაა, რომ პრივილეგიური ფენის ესა თუ ის წარმომადგენელი შემდგომი აღზევებისაკენ მიისწრაფვის „ბირებითა ერისაჲთა“, რათა თავისი განზრახვის განხორციელების საქმეში მოიპოვოს „ერის“ მხარდაჭერა და თანხმობა. იმ ფაქტორებს შორის, რომლებმაც განაპიროებეს როსტომის „გაერისთავება“, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი შეასრულა „ყოველი ერის“ თანხმობამ[60].

„ერის“ უფლებრივი მდგომარეობის გასათვალისწინებლად მნიშვნელოვანია ძეგლის შემდეგი ცნობა: „ერისთავობა არავისი ინებეს, არამედ ეძიებდეს კაცსა ესევითარსა, რომელმანცა პატივით იპყრნა და არა მძლავრობით...“[61] ცნობიდან აშკარად ჩანს „ერის“ იდეალი — საზოგადოების გამგებლობის სათავეში იდგნენ „პატივით“, ე. ი. პირადი დამსახურებითა და ავტორიტეტით აღჭურვილი პირები, რასაც ადგილი ჰქონდა ძველი დაუშლელი „ერის“ არსებობის ხანაში — მნიშვნელოვნად შელახულია საზოგადოების შინაგანი განვითარების შედეგად წარმოშობილი ისეთი ფაქტორებით, რომლებიც ნიადაგს ქმნიან იმისათვის, რომ „ერისათვის“ არასასურველმა პირმა „მძლავრობით იპყრას“.

როგორც მატიანის ცნობებიდან ჩანს, „ერი“ წარმოადგენს საზოგადოების პირადად თავისუფალ წევრებს, რომელთა სუვერენული უფლებები საკმაოდ შეზღუდულია, მაგრამ, მიუხედავად ამისა. ჯერ კიდევ ინარჩუნებს გარკვეულ პოლიტიკურ წონას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ძეგლის ცნობებს „ერის“ საზოგადოებრივი მდგომარეობის შესახებ ეხმაურება ჩუმანაანთუბნის (მდებარეობს ქსნის ხეობის ცხავატში) მაცხოვრის ეკლესიის X საუკუნის წარწერა, სადაც ვკითხულობთ: „ხატო ღ(მრ)თ(აებ)ს(ა)ო ა(დი)დ(ე)ნ ერი ცხავატი...“[62]. „ცხავატის ერი“ გულისხმობს ცხავატის ხევის მოსახლეობას, რომე-

---

60 ძეგლი ერისთავთა, გვ. 344.

61 იქვე.

62 ქართული ლაპიდარული წარწერები, I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V—X სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 191—192.

ლიც ტაძრის მაშენებლად გამოდის, რაც მიუთითებს „ერის“ პირად თავისუფლებაზე[63].

ცხრაზმის სოციალური განვითარების დახასიათებისათვის მნიშვნელოვანია „შუა ქუეყანისა“, ე. ი. ცენტრის მნიშვნელობის გათვალისწინებაც. როგორც ძეგლიდან ჩანს, საზოგადოების სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განსაკუთრებული წონა მოუპოვებია ცენტრს, რომელიც ცხრაზმის არა მარტო გეოგრაფიული, არამედ „საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცენტრიცაა“[64]. ცენტრის მნიშვნელობის გათვალისწინებისათვის ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ მასზე ამა თუ იმ პიროვნების დამკვიდრება-დაუფლების საქმეში აქტიურ ინტერესს იჩენს მთელი ცხრაზმისხევის მოსახლეობა, რომელიც „ეძიებდეს კაცსა ესევითარსა, რომელმანცა პატივით იპყრნა და არა მძლავრობით და იგიმცა დაამკჯდრეს შუა ქუეყანასა მათსა“[65]. როგორც ვხედავთ, ცხრაზმისხეველთა საგანგებო ზრუნვის საგანი ხდება საკითხი, თუ ვინ და რა გზით დაეუფლა ამ ცენტრს, რომელიც ამ დროისათვის თავისუფალი ჩანს. ეს საგანგებო ზრუნვა აიხსნება იმით, რომ ცენტრის მფლობელი მასზე მკვიდრობით იძენს იმ განსაკუთრებულ უპირატესობებს, რომელთა რეალიზაცია გარკვეულ სოციალურ საფრთხეს უქმნის ცხრაზმის საზოგადოებას. როგორც ჩანს, „შუა ქუეყანისა“ მკვიდრი თავისი მდგომარეობის წყალობით შეიძლებს შეიძინოს „ძალი ქადილისა“, რომ „მძლავრობით იპყრას“ ანუ, თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, უზურპაციას მიმართოს იმავე საზოგადოებაში. ცხრაზმისხევის „ყოველი ერის“ მცდელობა მთელი ძალით მიმართულია ასეთი ტენდენციის წინააღმდეგ. მაგრამ აღნიშნული უარყოფითი რეაქცია არ ვრცელდება ისეთ პირზე, რომელიც „პატივით იპყრობს“, ე. ი. გარკვეული დამსახურების წყალობით გახდება ამ ცენტრის მფლობელი. წყაროს ამ ჩვენებაში ჩანს „ერის“ მისწრაფება, რომ გარკვეულ კალაპოტში ჩააყენოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური დამორჩილების შემდგომი გაღრმავებისაკენ მიმართული ტენდენცია, რომელიც ცხრაზმის საზოგადოებაში საკმაო სიძლიერით იჩენს თავს და რომელსაც თვით ეს ცენტრი აპირობებს. აღნიშნული ტენდენციის წინააღმდეგ „ერის“ ბრძოლის თვით მეთოდის სისუსტე თავისთავად იმის აშკარა მოწმობაა, რომ ცენტრი, როგორც ამ საზოგადოების განვითარების ლოგიკური შედეგი, იმდენად ძლიერი გავლენის სოციალური და პოლიტი-

---

63 ჯ. გეასალია, ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, გვ. 37—29.

64 ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, გვ. 167.

65 ძეგლი ერისთავთა, გვ. 344.

კური წონის მქონე ფაქტორია, რომ თვით მის წინააღმდეგ ბრძოლა საზოგადოებისათვის არა მარტო წარუმატებელია, არამედ უსარგებლოცაა და ეს იმდენად, რამდენადაც ქვეყნის ცენტრი ამ საზოგადოების, როგორც სოციალური ორგანიზმის განუყოფელი და აუცილებელი კომპონენტია. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ცხრაზმისხველთა მცდელობა მიმართულია იმ სოციალური და პოლიტიკური უთანასწორობის შემდგომი გაღრმავების წინააღმდეგ, იმ სოციალური შედეგების რეგულირებისაკენ, რომელთაც ეს ცენტრი ასაზრდოებს და არა თვით ცენტრის წინააღმდეგ. ყოველივე ეს განაპირობებს იმას, რომ ცენტრი კვლავ ცენტრად რჩება, ეს კი იმის ურყევი წანამძღვარია, რომ ბოლოს და ბოლოს იგი მის „შესავალ ქვეყანაზე“ სოციალური და პოლიტიკური გაბატონების აუცილებელ პირობად იქცევა (რაც განხორციელდა კიდეც მასზე დამკვიდრებული ქვენიფნეველთა სახლის ცხრაზმაში გაბატონებით). ამაზე მიგვითითებს ის გარემოება, რომ ცენტრი გვევლინება გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტორად (სხვა ფაქტორებთან ერთად) როსტომ ბიბილურის ცხრაზმაში სრული გაბატონების („გაერისთავება“) საქმეში. ძეგლში ნათქვამია, რომ როსტომ ბიბილურის „ერისთავობა“ „ყოველ ერს“ „ჰნებავს ყოველთა ჴევთა შუა მკვდრობისათჳს“[66]. როსტომის „ერისთაობა“, აღნიშნულ ხანაში მართალია, არარეალურია. მაგრამ ამას ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის არსებითი მნიშვნელობა არცა აქვს. აქ მთავარი სოციალურ აღზევებაში „ყოველთა ჴევთა შუა მკვდრობის“, როგორც ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორის ხაზგასმაა.

ცხრაზმის ცენტრს, როგორც ირკვევა, ქვენიფნევი წარმოადგენდა, რაზედაც მიუთითებს ძეგლის ცნობა, რომლის თანახმად როსტომმა მოითხოვა „საჴდომად სახლი შუა საყდრისშვილთა და ცხრაზმას ციხისთავისა ნაქონები მამული. და მისცეს ესე ყოველი ცხრაზმიჴეველთა: შუა ცხრაზმას ციხისთავისა ნაქონები სოფელნი და ქუეყანანი... და საჴდომი ქვენიფნევს“[67]. ე. ი. „საჴდომი სახლი“, რომელიც როსტომმა „შუა საყდრისშვილთა“ მოითხოვა. იგივე „შუა ცხრაზმას“ ანუ ცხრაზმის ცენტრში შდებარე ქვენიფნევში ყოფილა. ქვენიფნევის სანახებში უნდა ყოფილიყო ის „სოფელნი და ქუეყანანი“, რომლებიც ციხისთავს ეკუთვნოდა ქვენიფნევთან ერთად, ხოლო როსტომის გამოჩენის დროისათვის თავისუფალი ყოფილა. ასე რომ. ქვენიფნევი „ყოველი ცხრაზმიჴევის“ ადმინისტრაციული ცენტრი გამოდის, სადაც ზის ცხრაზმის ციხისთავი.

„ცენტრის“ სოციალური ასპექტების დაჭერა, სხვა ქართულ წყა-

---

66 ძეგლი ერისთავთა, გვ. 346.

67 იქვე, გვ. 345.

როებთან შედარებით, ძეგლში ყველაზე უკეთ ხერხდება. მატიანის ცნობები ამ თვალსაზრისით უნიკალურია არა მხოლოდ ცხრაზმის, არამედ ზოგადქართული სინამდვილისათვისაც.

ცხრაზმის საზოგადოების სოციალური განვითარების შესახებ გარკვეულ წარმოდგენას იძლევა მისი შედარება დვალთა საზოგადოებასთან. როსტომმა და მისმა რაზმმა თავდაპირველად სცადეს დვალეთში დამკვიდრებულიყვნენ. დვალებმა ისინი მიიღეს იმ პირობით, რომ უარს იტყოდნენ გაბატონების პრეტენზიებზე. მაგრამ, როდესაც ახალმოსულებმა „იწყეს შენებად ციხისა და სახლებისა დიდ-დიდებისა"[68] ანუ სოციალური აღზევების გზაზე დადგომა სცადეს, „მაშინ გულიჴმა-ყვეს დვალთა" და გააძევეს ისინი. დვალებისაგან განსხვავებით ცხრაზმის საზოგადოებაში არსებობს ისეთი პირობები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს აქ როსტომის დამკვიდრებასა და აღზევებას. ასეთ პირობებს, პირველ ყოვლისა, ქმნის არსებობა სოციალურად დაწინაურებული „საყდრისშვილების" ფენისა, რომელთა სახით როსტომს აღმოუჩნდა სოციალური მოკავშირე ცხრაზმის საზოგადოების შიგნით. განსხვავებით დვალეთისაგან[69].

მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ძეგლის ცნობები ციხის, როგორც სოციალური ფენომენის როლის შესახებ ცხრაზმის საზოგადოებაში. როსტომი და მისი რაზმი დვალებმა მიიღეს თავიანთ ქვეყანაში, როგორც ითქვა, იმ პირობით, რომ ხელს აიღებდნენ გაბატონების განზრახვაზე. მიუხედავად ასეთი განზრახვის უარყოფისა, მოსულები შეუდგნენ ციხეთა მშენებლობას: „იწყეს შენებად ციხისა და სახლებისა დიდ-დიდებისა, რომელ ეგევითარი არა იყო ქუეყანასა დვალეთისასა". ახალმოსულთა ასეთი საქმიანობა დვალთა ძლიერ შეშფოთებას იწვევს. საინტერესოა დვალთა უკმაყოფილების მიზეზი, რომლის შესახებ წყაროში ნათქვამია: „ვხედავთ, ვითარითა საქმითა იწყეს შენებად... და შემდგომად მცირედისა ეუფლნენ ყოველსა ქუეყანასა ჩუენსა"[70]. ძეგლის მოტანილ ჩვენებაში მოცემულია ციხის, როგორც „ქვეყნის ფლობის" აუცილებელი პირობის ხაზგასმა. ცხრაზმაში გადმოსვლის შემდეგაც როსტომმა და მისმა ძმებმა „იწყეს შენებად ციხისა და სახლებისა დიდ-დიდებისა"[71]. ბიბილურ-ქვენიფნეველთა გამუდმებული ზრუნვა ციხეთა მშენებლობაზე აიხსნება მხოლოდ ციხის სოცი-

---

68 ძეგლი ერისთავთა, გვ. 344.

69 დვალთა სოციალური განვითარების შესახებ იხ. ვ. გ ა ბ ა ხ ე ლ ი, სოციალური ბრძოლის ისტორიიდან ქართლის მთიანეთში XIII—XIV საუკუნეებში („ძეგლი ერისთავთას" მიხედვით) — საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, 1957, № 2, გვ. 239—245.

70 ძეგლი ერისთავთა, გვ. 344.

71 იქვე, გვ. 345.

ალური დანიშნულებით, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ციხე სოციალური და პოლიტიკური აღზევება-გაბატონების საქმეში ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტორია.

საყურადღებოა მატიანის ის ცნობები, სადაც აისახა შეირაღებული ძალის როლი და მნიშვნელობა სოციალური დაწინაურების პროცესში. დვალეთიდან ცხრაზმაში გადმოსულ როსტომს თან გადმოჰყავს შეიარაღებული რაზმი — „სამოცდაათი მონა კეთილი", რომლებიც შეადგენდნენ როსტომის მუდმივად თანმხლებ და, ამავე დროს, დასაყრდენ ძალას[72].

როსტომის „სახლის" მიერ „ცხრაზმის ქვეყნის" ცენტრში (ქვენიფნევი) ციხისთავის მამულის დაუფლებამ, ლარგვისის ეკლესიაში დასაფლავების უფლების მიღებამ, სამხედრო ორგანიზაციის ხელმძღვანელობის ხელში ჩაგდებამ განაპირობა ცხრაზმაში მისი გადაქცევა ერთ-ერთ პრივილეგირებულ სახლად და უპირატესი მდგომარეობის მოპოვება ცხრაზმის სოციალურად დაწინაურებული საზოგადოების წრეში.

დროთა განმავლობაში ფართოვდება ქვენიფნეველთა სახლის მფლობელობის ტერიტორიული ფარგლები. ეს პროცესი ასახულია ჩანს ქვენიფნეველთა საგვარეულოში გავრცელებულ საკუთარ სახელებში, როგორიცაა „ვირშელი", „ლარგუელი", რომელთა წარმოშობა უკავშირდება ცხრაზმისხევში არსებული გეოგრაფიული პუნქტების სახელწოდებებს. საკუთარი სახელი „ვირშელი", ცხადია, წარმოსდგება სოფლის სახელწოდებიდან — „ვირშა", ხოლო „ლარგუელი" — „ლარგვისიდან", რაც მიუთითებს აღნიშნულ სოფლებზე ქვენიფნეველთა სახლის მფლობელობის გავრცელებაზე. ცნობილია, რომ ფეოდალური ხანის საქართველოში სადაურობის აღმნიშვნელი საკუთარი სახელები უმეტესწილად ნაწარმოებია სამფლობელო ტერიტორიის სახელწოდებით[73].

ამრიგად, ძეგლის დასაწყისი ნაწილის მიხედვით, ცხრაზმის მოსახლეობა წარმოიდგინება როგორც სუსტად დიფერენცირებული საზოგადოება, რომელიც მოქცეულია ქართული ფეოდალური სახელმწიფოს ადმინისტრაციულ და პოლიტიკურ სისტემაში. ეს უკანასკნელი ხელშემწყობი ფაქტორის როლში გამოდის დაწინაურებული სოციალური ფენის პოზიციების განმტკიცების საქმეში.

მატიანის დასაწყისი ნაწილი ცხრაზმის სოციალური განვითარე-

---

72 ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, გვ. 163.

73 ნ. შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი. — წიგნში: შოთა რუსთაველი. ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, თბ., 1966, გვ. 50.

ბის შესწავლის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რაც მდგომარეობს იმაში, რომ მასში აისახა ფეოდალიზაციის პროცესის თავისებურებანი მთიანი რეგიონის პირობებში, სადაც აღნიშნული პროცესი ბარისაგან განსხვავებულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებაში მიმდინარეობდა და ნაკლები ინტენსივობით ხასიათდება. აღნიშნული თავისებურება, როგორც ძეგლის ცნობებიდან ჩანს, მდგომარეობს იმაში, რომ სუსტად დიფერენცირებულ მთის საზოგადოებაში, რომლის შემდგომი სოციალური დიფერენციაციის გაღრმავება მნიშვნელოვანწილად ზღვარდებულია მოსახლეობის ძირითადი მასის „ერის" პირადი თავისუფლების შენარჩუნებით[74], ფეოდალიზაციის პროცესის ძირითად მასტიმულირებელ ძალად ფეოდალური სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლება გვევლინება. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია მატიანის ცნობა ლარგვისის მამასახლისზე, რომლის „ჯელი... მეფეთაგან მოცემულ არს", ხოლო საეკლესიო მიწათმფლობელობის წარმოშობა ცენტრალური ხელისუფლების ღონისძიებებთანაა დაკავშირებული[75].

ერისთავობისდროინდელი, XIII—XV სს. ცხრაზმის სოციალური განვითარების შესახებ ცნობები დაცულია მატიანის ე. წ. მეორე ნაწილში. მასში დასტურდება ისეთი სოციალური კატეგორიები, როგორიცაა: გლეხი, „წურილი ერი", მსახური, მონა, მობეგრე, დიდებული, აზნაური, თავადი, მთავარნი, თავნი, პატრონი, ხევისბერი, მამასახლისი, საკუთარი და სხვ. შეინიშნება დასახელებული სოციალური კატეგორიების ზოგიერთი სპეციფიკური მხარე მთიანეთის პირობებში. ამასთანავე ძეგლის აღნიშნული ცნობები ეხება ცხრაზმის საერისთავოს მეზობელ რეგიონებსაც.

ერისთავმა ქვენიფნეველმა (გარდ. 1373 წ.) ლარგვისის ეკლესიისათვის „შემოიწირა ცხრაჲ ვენაკი და გ ლ ე ხ ნ ი მსახურად ეკლესიისა"[76]. მოტანილი ცნობა ცხადჰყოფს საეკლესიო გლეხთა ფენის არსებობას XIV ს. მეორე ნახევრის ცხრაზმაში. მართალია, ფაქტი XIV ს. მეორე ნახევარში დასტურდება, მაგრამ საეკლესიო გლეხობა აქ ადრეც უნდა ყოფილიყო. ნიშანდობლივია, რომ იმავე რეგიონში სხვაგან დასტურდება ანალოგიური ფაქტი, კერძოდ, გიორგი V ბრწყინვალის სამართალში (XIV ს. 30-იანი წლები) საუბარია ლომისის (მდე-

---

74 მსგავსი ვითარება საქართველოს მთიანეთის სხვა რეგიონებისათვის დადასტურებულია სხვადასხვა სახის მრავალ წყაროში (ამის შესახებ იხ. გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ქართველ მთიელთა სოციალურ-ეკონომიკური წყობილების დახასიათებისათვის, გვ. 22, 29).

75 ძეგლი ერისთავთა, გვ. 345.

76 ძეგლი ერისთავთა, გვ. 352 ხაზგასმა აქ და ქვემოთ ჩვენია.

ბარეობს ცხრაზმისა და მთიულეთის საზღვარზე) საეკლესიო გლეხებზე[77].

საინტერესოა ძეგლის ცნობა „წურილი ერის“ შესახებ: ცხრაზმის ერისთავის ქვნიფნეველის ლაშქართან ბრძოლაში „ბომკუდარ იყო გარეშე წ ურ ი ლ ი ს ა ე რ ი ს ა: ი: (18—გ. ა.) თავადი ჯევისბერი ცხავატელი“[78]. მოტანილ კონტექსტში „წურილი ერი“ უპირისპირდება საზოგადოების პრივილეგირებული ფენის წარმომადგენელს — ხევისბერს. „წურილი ერის“ ასეთ კონტექსტში მოქცევა მიუთითებს იმაზე, რომ იგი მოსახლეობის დაბალი სოციალური ფენის აღმნიშვნელი ტერმინია. „წურილი ერი“ ასეთივე მნიშვნელობით გვხვდება სხვა წყაროებშიც[79].

ყურადღებას იქცევს ტერმინ „მსახურის“ მატიანისეული გაგება. ერისთავი ვირშელ III ასე მიმართავს თავის ლაშქარს: „ანუ ავაოჯროთ ქუეყანაჲ მათი (დვალთა — გ. ა.) და ანუ შევქმნენთ მ ს ა ხ ურ და მობეგრედ ჩუენდა“. ამის შემდგომ შეშინებული ქვემო დვალები მოეგებნენ ერისთავს და „ფიცით აღუთქუეს ერთგულად მ ს ა ხ ურ ე ბ ა ჲ“, ასევე მოიქცნენ მაღრან-დვალნიც, რომლებმაც „აღუთქუეს (ერისთავს — გ. ა.) ერთგულებით მ ო ნ ე ბ ა ჲ“[80]. ძეგლის მოტანილ ამონაწერში ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ მსგავსი სიტუაციების აღსანიშნავად თანაბარი მნიშვნელობით იხმარება როგორც „მსახურებაჲ“, ისე „მონებაჲ. აქედან გამომდინარე, „მსახური“ და „მონა“ იდენტური ცნებები გამოდის, „მსახურად“ იწოდება, აგრეთვე, ეკლესიისათვის შეწირული გლეხიც („შემოიწირა... გლეხნი მსახურად ეკლესიისა“)[81]. ძეგლის მოტანილი ცნობების მიხედვით „მსახური“, ასევე „მონა“ გარკვეული ვალდებულებით დამორჩილებული სუბიექტის აღმნიშვნელი ზოგადი მნიშვნელობის ცნებაა. „მსახურის“ შესახებ ძეგლში დაცული მონაცემები გარკვეულწილად ავსებს ამავე საკითხის გარშემო სხვა წყაროებში არსებულ ცნობებს[82].

---

77 გიორგი ბრწყინვალის სამართალი, დასახ. გამოცემა, გვ. 117, მუხლი 41.

78 ძეგლი ერისთავთა, გვ. 352.

79 იხ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, გვ. 356—357; ე. ხ ო მ ტ ა რ ი ა-ბ რ ო ს ე, ქართული ნარატიული ძეგლების ცნებატერმინის „ერის“ გაგებისათვის. — ფეოდალური ხანის საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობის საკითხები, გვ. 40—50.

80 ძეგლი ერისთავთა, გვ. 356—357 (ხაზგასმა აქ და ქვემოთ ჩვენია).

81 იქვე, გვ. 352.

82 მსახურის შესახებ წყაროთა ცნობების განხილვა იხ. ნაშრომებში: ზ. რ ა ტ ი ა ნ ი, მსახურთა სოციალური წოდება. — ცისკარი, № 8, 1968, გვ. 117—123;

საინტერესოა ძეგლის თვალსაზრისი „ბეგარისა“ და „მობეგრის“ შესახებ. დამარცხებულმა დვალებმა ერისთავს „მ[ო]უსხეს მძევლები, ძღუენი და ბ ე გ ა რ ი“. ასევე მაღრან-დვალნიც ეახლნენ ერისთავს „მძევლითა. ბ ე გ ა რ ი თ ა და ძღუენისა სიმრავლითა“[83]. მოტანილი ცნობების მიხედვით, „ბეგარი“ განიხილება როგორც ერთდროული ნატურალური გამოსაღები, რომელიც ერთგვარი სასჯელის სახით ეკისრება დამორჩილებულ მხარეს. გიორგი ბრწყინვალის სამართალშიც „ბეგარად“ იწოდება დამნაშავეზე დაკისრებული ქონებრივი საზღაური, როგორც სასჯელის ფორმა[84]. ძეგლის ცნობების თანახმად (და ამას მხარს უჭერს გიორგი ბრწყინვალის სამართალიც), „ბეგარი“ ქართლის მთიანეთის სინამდვილეში ბარისაგან განსხვავებული სპეციფიკური ნიშნებით ხასიათდება. ბეგარა ბარის სინამდვილეში გულისხმობს როგორც შრომით ვალდებულებას, ისე ნატურალურ გამოსაღებს[85]. ბარის რეგიონისაგან განსხვავებით, ქართლის მთიანეთის (მათ შორის ცხრაზმის) სინამდვილეში „ბეგარის“ ქვეშ იგულისხმება მხოლოდ ნატურალური გამოსაღები, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ერთდროული, ისე მუდმივი. აქედან გამომდინარე, „მობეგრე“ ნატურალური გამოსაღებით ვალდებულებას აღნიშნავს. ცხრაზმის საერისთავოს ფარგლებში „ბეგარის“ გაღება, როგორც ირკვევა, სავალდებულო და პერიოდულ ხასიათს ატარებდა. ამას მოწმობს მატიანის ცნობა, სადაც ჟამურის ხეობაში შემოსული „ბეგრის მკრეფელნი ცხრაზმელნი“ იხსენიებიან. კონტექსტი ასეთია: „მოუჯდეს ყოველნი დვალნი, მაშინ ბრძოლა-უყვეს ჟამურელთა“, სწორედ ამ დროს ჟამურში „იყუნეს ბეგრის მკრეფელნი ცხრაზმელნი და მივიდეს იგიცა (საბრძოლველად — გ. ა.) და ვითარცა ესმა დვალთა მისლვაჲ ცხრა-

---

ზ. რ ა ტ ი ა ნ ი, საქართველოს სოციალური წყობა XIII—XIV საუკუნეებში (ბექაღბუღას სამართლის წიგნის მიხედვით), თბ., 1970, გვ. 107 და შემდ; ქ. ჩ ხ ა ტ ა რ ა ი შ ვ ი ლ ი, ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1979. გვ. 34—106; გ. ა კ ო ფ ა შ ვ ი ლ ი, ყმა, მსახური, ტაძრეული (ისტორიულ-ტერმინოლოგიური ძიებანი). — მაცნე, ისტორიის სერია, № 2, 1981, გვ. 139—145.

83 ძეგლი ერისთაეთა, გვ. 356—357.

84 გიორგი ბრწყინვალის სამართალი, დასახ. გამოცემა, მუხლები: 2, 8.

85 მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ადრეფეოდალური ხანის ისტორიის ზოგიერთი საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში. — ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, ნაკ. II, თბ., 1959, გვ. 197; მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, გლეხობის ეკონომიკური მდგომარეობა VI—XII საუკუნეებში. — წიგნში: ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან, I, თბ., 1967, გვ. 44—50; კ. გ რ ი გ ო ლ ი ა, ბიგარა ძველ საქართველოში და მისი დამახასიათებელი ნიშნები. — თსუ შრომები, 107, თბ., 1964, გვ. 63—64.

ზმელთაჲ, ზარი დაეცა და გაიქცეს"[86]. როგორც ვხედავთ, ჟამურში „ცხრაზმელთა" მისვლა „ბეგარის ასაკრეფად" ჩვეულებრივი მოვლენაა. მოტანილი ცნობიდან აშკარაა, რომ „ბეგრის მკრეფელნი ცხრაზმელნი" შეირაღებულ რაზმს შეადგენდნენ (ისინი დაუყოვნებლივ ებმებიან ბრძოლაში დვალთა წინააღმდეგ ჟამურელების მხარეზე). აქედან ისიც გამომდინარეობს, რომ „ბეგრის აკრეფა" შეირაღებულ რაზმს აქვს მინდობილი, რაც იმის მოწმობად უნდა მივიჩნიოთ, რომ „ბეგრის აკრეფისას" წინააღმდეგობის შემთხვევაში ძალდატანება არაა გამორიცხული. მოტანილ კონტექსტში „ცხრაზმელნი" უნდა გავიგოთ როგორც საკუთრივ ცხრაზმიდან (ვიწრო გაგებით) ანუ საერისთავოს ცენტრიდან (საკუთრივ ცხრაზმაში მდებარეობს ერისთავის ადგილსამყოფელი, — ქვენიფნევი, აქვეა საერისთავო კარი, სამოხელეო აპარატით) გამოსული „ბეგრის მკრეფელი" შეიარაღებული მოხელეები. ეს უკანასკნელნი, ცხადია, გარდა ჟამურისა, საერისთავოს სხვა კუთხეებშიც საქმიანობენ.

ჰატიანეში ფეოდალთა ფენის წარმომადგენლებს მიემართება ტერმინები: მთავარი, დიდებული, აზნაური. ძეგლის ცნობით, იოვანე ერისთავი იყო „საქებელ მ თ ა ვ ა რ თ ა ჲ"[87]. „ამათ ჟამთა მოვიდეს თურქნი... და მოკლეს მეფე გიორგი და ყოველნი მ თ ა ვ ა რ ნ ი და დ ი დ ე ბ უ ლ ნ ი ქართველნი"[88]. მეფე ვახტანგი შალვა ერისთავს „ყოველთა დ ი დ ე ბ უ ლ თ ა მისთა უმჯობეს ხედვიდა"[89]. უნდა შევნიშნოთ, რომ მატიანეში ცხრაზმის სინამდვილისათვის „მთავრისა" და „დიდებულის", ასევე „პატრონის" მიმართება დასტურდება მხოლოდ ერისთავისადმი. ფეოდალთა ფენის წარმომადგენლებიდან ცხრაზმის სინამდვილეში დამოწმებულია „აზნაურისშვილები". ბეხუშეს ციხესთან შეტევაზე გადმოსულ თემურ-ლენგის ლაშქარს ციხიდან „ჩამოეგებნეს აზნაურისშვილები"[90].

ყურადღებას იქცევს ცნობები „თავადის", „თავის" შესახებ. ვირშელ ერისთავმა „შეკრიბა ყოველი ლაშქარი მისი და ჰრქუა თ ა ვ ა დ თ ა და ლაშქართა ყოველთა"[91]. „მაშინ მთიულნი არაგვსანი ყოველნი დაესხნეს გრემისკევს... სუემან პატრონისა მათისამან მისცა ძლევაჲ გრემისკეველთა გააქცივნეს და დევნა-უყვეს... და მოიყვანეს თ ა ვ ა დ ი ორმოცი კაცი წინაშე ერისთავისა"[92]. ვირშელ III-მ

---

86 ძეგლი ერისთავთა, გვ. 353.
87 იქვე, გვ. 354 (ხაზგასმა აქ და ქვემოთ ჩვენია).
88 იქვე.
89 იქვე, გვ 348.
90 იქვე, გვ. 359.
91 იქვე, გვ. 356.
92 იქვე, გვ. 355.

ილაშქრა მნაველთა წინააღმდეგ. „მაშინ მოიკლნეს... თ ა ვ ნ ი და გოლიათნი ქუეყანისა მათისანი"[93]. ცხრაზმელებთან ბრძოლაში „მომკუდარ იყო გარეშე წურილისა ერისა: იჱ: (18 — გ. ა.) თ ა ვ ა დ ი ჴევისბერი"[94]. როგორც მატიანის მოტანილი ამონაწერებიდან ჩანს, „თავადი", „თავი" უფროსის, მეთაურის, ხელისუფლის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინია.

ძეგლში იხსენიება, აგრეთვე, „მამასახლისი. ერისთავ ქვენიფნეველის დროს „ჩამოვიდეს ცხავატელნი ჟამურს. და მისცა ღმერთმან გამარჯუებაჲ გიორგის, ძმასა ერისთავისასა და გააქცივნეს... დაუდგეს წინა მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ნ ი და აღარ სდევნეს"[95]. „მამასახლისი" თავისი მდგომარეობით თემის მოხელეთა კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს.

საინტერესოა ძეგლში დამოწმებული „თავადი ჴევისბერი", რომელიც იგივე უნდა იყოს, რაც სხვა წყაროებით ცნობილი „თავხევისბერი". ეს უკანასკნელი ერთი თემის რამდენიმე ხევისბერის უფროსია, „თავადია"[96]. მატიანისეული აქცენტირება ხევისბერზე („მომკუდარ იყო გარეშე წურილისა ერისა: იჱ: თავადი ხევისბერი") მიუთითებს ხევისბერთა განსაკუთრებულ მდგომარეობაზე ქართლის მთიანეთში. ხევისბერის ინსტიტუტი უძველეს ქართულ სოციალურ სტრუქტურებს განეკუთვნება. ბარის საზოგადოების ფეოდალიზაციის პროცესის თანდათანობით გაღრმავების შემდეგ ხევისბერის ინსტიტუტი სუსტად ფეოდალიზებულმა მთამ შემოინახა. ხევისბერის ანუ ხუცესის ხელში თავმოყრილი იყო თემის საერო და სასულიერო ცხოვრების ხელმძღვანელობა[97]. გიორგი ბრწყინვალის სამართლის მიხედვით, „ჴევისბერს დარბაზით (ე. ი. ცენტრალური ხელისუფლებისაგან — გ. ა.) ლაშქართ თავადობა ჰბოძებია"[98]. იმავე სამართლით, ხევისბერის სისხლი (ქონებრივი თუ ფიზიკური ზარალისათვის დაწე-

---

93 ძეგლი ერისთაეთა, გვ. 357.

94 იქვე, გვ. 352.

95 იქვე.

96 ვ. ე რ ი ა შ ვ ი ლ ი, უძველესი სოციალურ-რელიგიური ინსტიტუტები საქართველოს მთიანეთში, თბ., 1982, გვ. 138—141.

97 ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ხევსურული თემის მმართველობის სისტემა, გვ. 626—627.

98 გიორგი ბრწყინვალის სამართალი, დასახ. გამოცემა, მუხლი 10.

სებული საზღაური) 6000 თეთრადაა შეფასებული, რაც ნაკლებია მხოლოდ ერისთავის სისხლზე, თანასწორია გამგებლისა (ერისთავის მოადგილე) და მეტია ყველა სხვა მოხელისა თუ სოციალური ფენის წარმომადგენლის სისხლზე[99].

ასეთია, ძირითადად, ძეგლის ცნობები ცხრაზმის საერისთავოსა და ქართლის მთიანეთის ზოგი სხვა რეგიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების შესახებ.

---

99 გიორგი ბრწყინვალის სამართალი, დასახ. გამოცემა, მუხლები: 2, 6. 11, 13; ი. დ ო ლ ი ძ ე. ძეგლის წყაროები და სისტემა, — წიგნში: გიორგი ბრწყინვალის სამართალი, გვ. 37; ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, მდგომარეობა ქართლის მთიანეთში და სამეფო ხელისუფლების ღონისძიებანი, გვ. 633—634.

თავი მესამე

„ძეგლი ერისთავთას“ ცნობები პოლიტიკური ისტორიისათვის

1. ისტორიული პირები. „ძეგლი ერისთავთას“ წყაროთმცოდნეობითი შესწავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად უნდა ჩაითვალოს მასში დასახელებული ისტორიული პირების იდენტიფიკაცია და ქრონოლოგია. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მატიანის ტექსტში არ გვხვდება არც ერთი თარიღი. ასეთ ვითარებაში მასში გადმოცემული ამბების დასათარიღებლად გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება მატიანეში მოხსენიებული ისტორიული პირების ვინაობისა და ქრონოლოგიის დადგენას.

მატიანის ისტორიული პირების იდენტიფიკაციისა და ქრონოლოგიის საკითხის გარშემო სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა, რაც, უპირატესად, განპირობებულია მატიანის ტექსტში არსებული ანაქრონიზმებით, ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების საგრძნობი აღრევით. ასეთი ვითარება დამახასიათებელია, განსაკუთრებით, თხზულების დასაწყისი ნაწილისათვის.

მატიანის დასაწყის ნაწილში გადმოცემულია დვალეთიდან გადმოხვეწილი ოსი უფლისწულების, როსტომ ბიბილურისა და მისი ძმების ცხრაზმაში დამკვიდრებისა და გაერისთავების ამბები. ცხრაზმისხეველებისათვის გაწეული სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ როსტომმა მიიღო საფლავი ლარგვისში და „საჯდომი სახლი“ ქვენიფნევში. გარკვეული დროის შემდგომ მეფე ისტჯნიანე ცხრაზმის „ყოველი ერის“ თანხმობით როსტომს ცხრაზმის ერისთავობას უბოძებს.

როსტომის გარდაცვალების შემდგომ „დაჯდა ერისთავად ძე მისი ლარგუელი. და შემდგომად ისტჯნიანესსა დაჯდა მეფედ დავით ბაგრატონიანი. ამან ფრიად განადიდა ქუენიფნეველი ლარგუელი და სახელ-სდვა ერისთავთ ერისთავად... და მოკუდა ლარგუელი და დაჯდა ძე მათი დიმიტრი. და გარდაიცვალნეს მეფენი: კ ვ:-ნი (26— გ. ა.) და ერისთავნი: კ დ:-ნი (24 — გ. ა.) და წელიწადნი არამცირედნი“[1].

მატიანის „ისტჯნიანე მეფეში“, როგორც ირკვევა, იგულისხმება

---

1 ძეგლი ერისთავთა, გვ. 346—347.

ბიზანტიის იმპერატორი იუსტინიანე. მართალია, მატიანის ავტორი „ისტჳნიანეს“ ბერძენთა მეფედ (არც რომელიმე კონკრეტული ქვეყნის მეფედ) არ ასახელებს, მაგრამ, ზეპირ გადმოცემაში, რომლითაც ის სარგებლობს აღნიშნული ამბების თხრობისას, როგორც ზემოთ ვნახეთ, სწორედ „ისტჳნიანე ბერძენთა მეფეზეა“ საუბარი. თ. ჟორდანიას აზრით, მატიანის „ისტჳნიანე მეფე“ უნდა იყოს ბიზანტიის იმპერატორი იუსტინიანე II (565—578), ხოლო „დავით ბაგრატიონიანი“ — გუარამ „დავითიან ბაგრატოვანი“[2]. სარგის კაკაბაძე იუსტინიანეს აშოტ კურაპალატთან (826) აიგივებს[3]. საურმაგ კაკაბაძის მოსაზრებით, აღნიშნულ „ისტჳნიანე მეფეში“ საქართველოს რომელიმე უცნობი მეფე უნდა დავინახოთ, „დავით ბაგრატონიანი“ კი უნდა გაიგივებულ იქნეს დავით I კურაპალატთან (876—881)[4]. ე. ხოშტარიას აზრით, მატიანის როგორც იუსტინიანე, ისე დავით ბაგრატონიანი „ავტორის მიერ აბსტრაგირებული პიროვნება უნდა იყოს, რომელიც საერთოდ ქვენიფნეველთა მფარველ სამეფო ხელისუფლებას განასახიერებს“[5]. ასეთია, ძირითადად, მკვლევართა თვალსაზრისები მატიანის დასაწყის ნაწილში დასახელებული ისტორიული პირების შესახებ.

უსტინიანეს სახელით ცნობილია ბიზანტიის ორი იმპერატორი: იუსტინიანე I (527—565) და იუსტინიანე II (685—696, 705—711)[6]. მატიანის თხრობიდან, მართალია, ნათლად არ ჩანს, თუ კონკრეტულად რომელ იუსტინიანეზეა საუბარი, მაგრამ აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ასეთი კონკრეტიზაციის აუცილებლობა მატიანის ავტორის წინაშე არ მდგარა, რადგანაც მატიანის ავტორისა თუ მისი წყაროსათვის შეიძლებოდა ცნობილი ყოფილიყო იუსტინიანეს სახელის მქონე მხოლოდ ის იმპერატორი, უკეთ, მატიანეში გადმოცემული ამბები შეიძლებოდა დაკავშირებოდა სწორედ იმ იუსტინიანეს სახელს, რომელიც განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა საქართველოსა და კავკასიაში. ვინაიდან ასეთად იუსტინიანე I გვეელინება, აქე-

---

2 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 3—4. შენ. 4. ზეობის თარიღი, რომელსაც თ. ჟორდანია უთითებს, შეესაბამება არა იუსტინიანე II-ს, არამედ იუსტინ II-ს (იხ. История Византии, под. ред. С. Д. Сказкина, т. I, М., 1967, с. 355).

3 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, გვ. 97.

4 С. С. К а к а б а д з е, Хроника ксанских эриставов начала XV века, с. 14 — 15.

5 ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა-ბ რ ო ს ე, „ძეგლი ერისთავთას“ ზოგიერთი რეალიის გაგებისათვის, გვ. 82.

6 История Византии, т. I, с. 222; т. II, М., 1967, с. 41.

დან გამომდინარე, ვფიქრობთ, მატიანეში საუბარი ამ უკანასკნელს უნდა ეხებოდეს.

მატიანის ავტორის მიერ აღწერილ ამბებში ბიზანტიის იმპერატორის მონაწილეობა, ცხადია, არარეალურია, მაგრამ ჩვენთვის მთავარი იმის ძიებაა, თუ რას უნდა გამოეწვია იუსტინიანეს „გამოჩენა" ცხრაზმის საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულში. მართებული იქნებოდა, აღნიშნული ფაქტი აიხსნას მატიანის ავტორისა თუ მისი წყაროს ტენდენციით, რომ ქვენიფნეველთა საგვარეულოს პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენა, ამ საგვარეულოს განდიდების მიზნით, რომელიმე სახელგანთქმული ისტორიული პიროვნების (ამ შემთხვევაში იუსტინიანეს) სახელს დაუკავშიროს და, ამასთან ერთად, გვარს სიძველის პრესტიჟიც მიანიჭოს.

რაც შეეხება როსტომ ბიბილურის ოსთა მეფისაგან ჩამომავლობას, ეს „უცხოური" წარმოშობის შესახებ ფეოდალურ საგვარეულოებში ფართოდ გავრცელებული ტრადიციული თვალსაზრისის კონკრეტული გამოვლინებაა. ქართული ფეოდალური გვარების უმრავლესობა თავისი ძირძველობისა და ბრწყინვალე წარმომავლობის დასაბუთების მიზნით გვარის შორეულ წინაპრებს უცხო ქვეყნების სამეფო დინასტიებს ან სახელგანთქმულ პიროვნებებს უკავშირებდა[7].

იუსტინიანეს მომდევნო მეფედ ავტორი ასახელებს დავით ბაგრატიონს, რომელიც როსტომის ძე ლარგუელს ერისთავთერისთავობას უბოძებს. ლარგუელის შემდგომ ერისთავად მისი ძე დიმიტრი ხდება. ასე რომ, აქ როგორც მეფეების, ისე ერისთავების თანმიმდევრობაში დროის წყვეტილობა, ავტორის გადმოცემის თანახმად, არ იგულისხმება. ამის მიხედვით, აღნიშნული მეფეები, ერისთავები და მათი მოღვაწეობის თანადროული ამბები, გადმოცემული მატიანის დასაწყის ნაწილში, ქრონოლოგიურად VI საუკუნეში თავსდება. ამ დროიდან დასახელებულია 26 მეფე და 24 ერისთავი. აღნიშნული მეფეებისა და ერისთავების დასახელების შემდეგ ავტორის თხრობა მატიანის ე. წ. მეორე ნაწილში, როგორც ქვემოთ დავინახავთ, XIII ს. 50-იანი წლებით იწყება. აქედან გამომდინარე, მატიანის დასაწყის ნაწილში მოხსენიებული დიმიტრი, ლარგველი, მომდევნო 24 ერისთავი, მეფე დავით ბაგრატონიანი და მომდევნო 26 მეფე ავტორის მიერ ნაგულისხმევია როსტომის ცხრაზმაში დამკვიდრების ხანასა (VI ს.) და XIII ს. 50-იან წლებს შორის, ერისთავ ვირშელ I-ის მოღვაწეობის ხანამდე.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, ცხრაზმაში საერისთავოს არსებობა XIII საუკუნემდე არ დასტურდება (საერისთავოს წარმოშობის ქვე-

---

7 იხ. იოანე ბაგრატიონი, შემოკლებითი აღწერა..., გვ. 1 და შემდ-

და ზღვარია 1207 წ., ზედა ზღვარი — 1250-იანი წლები). აღნიშნულის საფუძველზე, ცხადია, არარეალურად უნდა ჩაითვალოს მატიანის დასაწყისი ნაწილის ჩვენება როსტომსა და ვირშელ I-ს შორის 24 თაობის ქვენიფნეველთა ერისთავობის შესახებ.

მატიანის დასაწყის ნაწილში დასახელებული როსტომი, ლარგველი და დიმიტრი, ფაქტობრივად, XIII ს. ერისთავები არიან, რომელთა მოღვაწეობა უშუალოდ წინ უსწრებდა მატიანის მეორე ნაწილში დასახელებული ვირშელ I-ის ერისთავობის ხანას.. ასევე, „მეფე დავით ბაგრატონიანი“ XIII ს. იმავე მონაკვეთში მოღვაწე მეფედ უნდა მივიჩნიოთ. მატიანის აღნიშნული ნაწილის ისტორიულ პირთა თანმიმდევრობაში ასეთი კორექტივი თუ სიმართლესთან ახლოა, მაშინ მატიანის „მეფე დავით ბაგრატონიანი“, რომელმაც ლარგველს ერისთავთერისთავობა უბოძა, უნდა გულისხმობდეს XIII ს. 10—30-იანი წლების საქართველოში დავითის სახელით ცნობილ მეფეს, უწინარეს ყოვლისა, დავით რუსუდანის ძეს. ეს უკანასკნელი დედის, რუსუდანის თანამოსაყდრედ აკურთხეს არაუგვიანეს 1230 წლისა[8] და ამ დროიდან რუსუდანთან ერთად მეფედ ითვლებოდა. ასეთი იდენტიფიკაცია არ ეწინააღმდეგება ცხრაზმის საერისთავოს წარმოშობის სავარაუდო თარიღს.

მატიანის ე. წ. მეორე ნაწილში ავტორი ასახელებს ადარნასე მეფეს, რომელსაც დარჩა „ძე ვახტანგ ექუსისა წლისაჲ. მაშინ მამის ძმამან მისმან დავით დაიპყრა მეფობაჲ და არარაჲ მისცა ძმისწულსა თჳსსა ვახტანგს“. მათ შორის გამართულ ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობს ცხრაზმის ერისთავი შალვა თავისი გაზრდილის, — ვახტანგის მხარეზე. მიუხედავად იმისა, რომ დავით მეფე „მრავლითა სიტკბოებითა და მრავლისა დიდებისა მინიჭებითა ეევდრებოდა შალვას“, ეს უკანასკნელი მაინც „წარჰყვა ძესა მას მეფისასა (ვახტანგს — გ. ა.) ურდოს“. ამით აღშფოთებული დავით მეფე ურიცხვი ლაშქრით მოადგა „ცხრასავე ჯევსა შალვაჲს საერისთავოსა“, რომელსაც აოხრებდა „შჳდ წელ“. ამის შემდგომ „მოვიდა ვახტანგ და შალვა სპარსთა ლაშქრითა ურიცხჳთა სპითა... მაშინ დავით დგა ბაზალეთს. და ვითარცა ცნა მოსლვაჲ მათი, მიჰმართა ციხესა დარ[ი]ალისასა“. დავით მეფეს კვალდაკვალ გაეკიდა ვახტანგისა და შალვას მიერ ჩამოყვანილი „სპარსთა“ ლაშქარი და „მოადგეს დავითს ციხესა გუელეთისასა“ დარიალის ხეობაში. ეს უკანასკნელი ბრძოლაში მარცხდება. „მაშინ მისცა ვახტანგ დავითს ჯავახეთი და ალასტანი და გამოიყვანა გუელეთით“. შემდგომ, ავტორის თხრობით, „მოკუდა დავით მეფე, და მასვე წელსა

---

8 ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში. — წიგნში: საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 21.

მოკუდა ვახტანგ მეფე. მაშინ დაიპყრა მეფობაჲ გიორგი, ძემან დავითისმან"[9].

ასეთია ძეგლში გადმოცემული ძირითადი ფაქტები, რომლებიც ეხება ამ ორი პიროვნების, დავითისა და ვახტანგის ურთიერთობას.

ძეგლის მოტანილ ამონაწერში დასახელებული ისტორიული პირების იდენტიფიკაციის საკითხი იმთავითვე მოექცა მკვლევართა ყურადღების ცენტრში. მ. ბროსე ძეგლის „ვახტანგ ადარნასეს ძეს" აიგივებდა ვახტანგ III დემეტრეს ძესთან, „დავით მეფეს" — დავით ნარინთან, „ადარნასე მეფეს" კი — დემეტრე II თავდადებულთან[10]. თ. ყორდანიას აზრით, „ადარნასე" ვახტანგ III-ის ზედმეტი სახელი უნდა ყოფილიყო[11]. საურმაგ კაკაბაძე „ადარნასე მეფეში" ადარნასე II ბაგრატიონს (888—923) გულისხმობს[12]. ე. ხოშტარია-ბროსეს აზრით, ძეგლის „ვახტანგ მეფე" უნდა გაიგივებულ იქნეს ვახტანგ III დემეტრეს ძესთან, იმ „დავით მეფეში", რომელიც, ძეგლის მიხედვით, ვახტანგის ბიძაა, უნდა იგულისხმებოდეს დავით VI ნარინი, ხოლო ის დავითი, რომელმაც ცხრაზმის საერისთავო ააოხრა, არის დავით VIII დემეტრეს ძე. მისივე მოსაზრებით, საერთოდ უნდა გამოირიცხოს ძეგლში დასახელებული „მეფე ადარნასე", ხოლო „დიმიტრი", რომელიც ძეგლის მიხედვით, ქვენიფნეველთა საგვარეულოს წარმომადგენელია, მეფე დიმიტრი II-ს უნდა გულისხმობდეს[13]. როგორც ვხედავთ. საკითხი მკვლევრების აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.

ძეგლის ვახტანგისა და დავითის მამისშვილობასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი „მეფე ადარნასე", რომლის ძმას ერქვა დავითი, ხოლო შვილს ვახტანგი, საქართველოს ისტორიაში ცნობილი არ არის. ასე რომ, ძეგლში წარმოდგენილი გენეალოგიით დავითისა და ვახტანგის იდენტიფიკაცია შეუძლებელი ხდება. მაგრამ მატიანეში გადმოცემული ამბები, რომლებიც დაკავშირებულია აღნიშნული ორი პიროვნების ურთიერთობასთან, ახლოს დგას XIII—XIV სს. მიჯნაზე საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილ მოვლენებთან, რომლებიც აღწერილია XIV ს. ქართველი ანონიმური ისტორიკოსის, ყამთააღმწერლის „ასწლოვან მატიანეში".

ყამთააღმწერლის ჩვენებით, დიმიტრი II-ს (1271—1289) დარჩა ერთ-ერთი მცირეწლოვანი შვილი ვახტანგი, რომელიც დიმიტრის

---

9 ძეგლი ერისთავთა, გვ. 347—348.

10 M. Brosset, Additions, p. 368, n. 2.

11 თ. ყ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 5, შენ. 8.

12 С. К а к а б а д з е, Хроника ксанских эриставов начала XV века, с. 15.

13 ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა-ბ რ ო ს ე, „ძეგლი ერისთავთას" ზოგიერთი რეალიის გაგებისათვის, გვ. 80—84.

ურდოში სიკვდილით დასჯის შემდეგ „იყო მთიულეთს“[14]. ეს ფაქტი ახლოსაა ძეგლის თხრობასთან, რომლის თანახმად, შალვა ერისთავი „ზრდიდა ყრმასა მას“ ვახტანგს. ე. ი. ვახტანგ უფლისწული ცხრაზმის ერისთავის კარზე იზრდებოდა. ყამთააღმწერელისა და ძეგლის აღნიშნული ცნობების მიმართებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ქართული წყაროების „მთიულეთის“ ცნებაში (ფართო გაგებით) აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა მხარეებთან ერთად ცხრაზმაც იგულისხმება[15]. როგორც ვხედავთ, ყამთააღმწერელთან გვაქვს ზოგადი, ხოლო ძეგლში კონკრეტული მითითება მცირეწლოვანი ვახტანგ უფლისწულის ადგილსამყოფელზე.

ყამთააღმწერელის ცნობით, არაგვის ხეობაში გამაგრებულ დავით VIII-ის წინააღმდეგ გამოსულ მონღოლთა მარბიელ ლაშქარს მეგზურობას უწევს შალვა ქვენიფნეველი, რომელიც დავით მეფის მიერ ყოფილა „აღსავსე ნიჭითა..., რომელნი მას ყამსა მიენიჭნეს“, მაგრამ ერისთავმაო „არა მოიხსენა წყალობა ეგოდენი“[16]. დავით მეფის მიერ შალვა ერისთავისათვის ბოძებული წყალობის შესახებ საუბარია ძეგლშიც: შალვა ერისთავს „დავით მრავლითა სიტკბოებითა და მრავლისა დიდებისა მინიჭებითა ევედრებოდა“.

ყამთააღმწერლის თანახმად, დავითისაგან განაწყენებული ვახტანგი, რომელმაც „ვერღარა თავს-იდვა უპატიოდ ყოფნა, წარვიდა ურდოს ყაზანის თანა“, სადაც „ვახტანგს დაუმტკიცეს მეფობა“[17]. ასევე, ძეგლშიც საუბარია ვახტანგის (და მასთან ერთად შალვა ერისთავის) ურდოში გამგზავრებაზე.

ყამთააღმწერლით, ვახტანგის ურდოდან საქართველოში დაბრუნების შემდგომ მონღოლთა ლაშქარი „წარვიდეს მთიულეთს და გარდახდეს გუელეთს, რამეთუ მეფე (იგულისხმება დავითი — გ. ა.) შედგომილ იყო“[18]. ძეგლის ცნობითაც, მონღოლთა „სპაჲ ყოველი მოადგეს დავითს ციხესა გუელეთისასა“[19].

ამრიგად, „ძეგლი ერისთავთაში“ აღწერილი ფაქტები და მოვლენები: ურთიერთბრძოლა დავითსა და ვახტანგს შორის, მათი ურთიერთობის დეტალები — ვახტანგის წასვლა ურდოში და იქ მეფობის დამტკიცება, დავითის გამაგრება არაგვის ხეობაში, მცირეწლოვანი ვახტანგის მთიანეთში ყოფნა, მტრული ურთიერთობა დავითსა და შალ-

---

14 ყამთააღმწერელი, გვ. 292.
15 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 111.
16 ყამთააღმწერელი, გვ. 305.
17 იქვე, გვ. 308, 309.
18 იქვე, გვ. 309.
19 ძეგლი ერისთავთა, გვ. 347.

ვა ერისთავს შორის, დავითის მიერ ცხრაზმის აოხრება და სხვ. — საკუთარი ემთხვევა იმ მოვლენებსა და ფაქტებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს ისტორიულ სინამდვილეში XIII—XIV სს. მიჯნაზე მეფე დავით VIII-სა და უფლისწულ ვახტანგს, შემდგომში მეფე ვახტანგ III-ს შორის. ყოველივე ეს საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ ძეგლის „მეფე დავითი" გაიგივებულ იქნეს დავით VIII დიმიტრის ძესთან (1293—1311)[20], ხოლო „ვახტანგი" — ვახტანგ III დიმიტრის ძესთან (1297—1308)[21]. ამის შემდეგ შესაძლებელი ხდება გაირკვეს ზოგიერთი უზუსტობა, რომელიც გვხვდება ძეგლის თხრობაში. უწინარეს ყოვლისა, ეს შეეხება დავითისა და ვახტანგის გენეალოგიას. ძეგლის ჩვენება იმის შესახებ, რომ ვახტანგის მამას ერქვა „ადარნასე", ხოლო ძმას — „დავითი", არარეალურია, რადგანაც ჩვენ უკვე ვიცით, რომ ძეგლში საუბარია ვახტანგ III-ზე, რომელიც არის ძე დიმიტრი II თავდადებულისა, ხოლო დავითი იმავე მეფის ძე და ვახტანგის უფროსი ძმაა. ასე რომ, ძეგლის ავტორი ვახტანგისა და დავითის მამისშვილობაზე მსჯელობისას უშვებს აშკარა უზუსტობას, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობისას მას სანდო წყაროები არ ჰქონდა.

„დავითისა და ვახტანგის გარდაცვალების შემდგომ, ძეგლის მიხედვით, „დაიპყრა მეფობა გიორგი, ძმან დავითისმან"[22]. დასახელებული „მეფე გიორგი, ძე დავითისა", ცხადია, საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილი გიორგი VI „მცირე", დავით VIII-ის ძეა, რომელიც გამეფდა ვახტანგ III-ის გარდაცვალების (1308) შემდეგ, მამის, და-

---

20 დავით VIII-ის მეფობის თარიღის შესახებ იხ. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1966, გვ. 238, 381, 393; ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ს. ჯანაშიას რედაქციით, თბ., 1946, გვ. 265, 269; ბ. ლომინაძე, მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყება ქართლში XIII—XIV სს. მიჯნაზე — წიგნში: სინ, III. თბ., 1979, გვ. 609, 611.

21 ვახტანგ III-ის გამეფების თარიღის შესახებ იხ. ი. სიხარულიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XIII—XIV საუკუნეებში, თბ., 1967. გვ. 162; ვ. კიკნაძე, საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა XIV ს. პირველ ნახევარში, საკანდიდატო დისერტაცია, 1986, გვ. 42—43. ტრადიციული მოსაზრებით, ვახტანგ III-ის გამეფების თარიღად მიღებულია 1302 წ. (იხ. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ 392; ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია, გვ. 209; ბ. ლომინაძე. მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ აჯანყება ქართლში XIII—XIV სს. მიჯნაზე, გვ. 611, 612). თ. ლომოურის მოსაზრებით, ვახტანგი გამეფდა 1298/99 წ. (თ. ლომოური, დავით VII-ისა და ვახტანგ III-ის ფულები, — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XV—B, თბ., 1948, გვ. 75—76).

22 ძეგლი ერისთავთა, გვ. 348.

ვით VIII-ის სიცოცხლეშივე და მეფობდა 1308—1317 წწ[23]. აღნიშნულმა მეფემ „განილაშქრა მაღაროს". ამ ლაშქრობაში მეფეს თან ახლავან შალვა ერისთავის შვილები. ამის შემდგომ, ავტორის თანახმად, გარდაიცვალა შალვა ერისთავი. ერისთავი ხდება შალვას ძე ლარგუელი, ხოლო ლარგუელის შემდეგ მისი მემკვიდრე ვირშელი. ამ უკანასკნელის ერისთავობის ხანაში „მოვიდა ამბავი, კლიტენი იერუსალიმისანი სპარსთა დაიპყრნესო, და დიდად შეწუხნა მეფე გიორგი. მაშინ წარგზავნა ძე შალვა ერისთავისაჲ, რომელსაც ერქუა პიპაჲ, გზასა კმელთასა... წინაშე ნისრელისა... ხოლო მან... მისცნა კლიტენი იერუსალიმისანი... ფრიად განიხარა გიორგი მეფემან". ამის შემდეგ საუბარია იმ გიორგი მეფეზე, რომელიც „მოადგა ოვსთა გორს მყოფთა და ჰბრძოდა სამ წელ"[24]. ამ მეფის ძეს ჰქვია დავითი. აღნიშნული რეალიები („გორის მყოფთა" ოსების წინააღმდეგ ბრძოლა, მემკვიდრის ვინაობა) შეესაბამება საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილი შეფის გიორგი V ბრწყინვალის მოღვაწეობასა და მდგომარეობას. ეს გარემოება ნათელს ხდის იმას, რომ ძეგლის „მეფე გიორგი" არის იგივე გიორგი V ბრწყინვალე, რომელიც მეფობდა 1318—1346 წწ.,[25] ხოლო „დავით ძე მეფისა" — გიორგი V-ის მემკვიდრე, ძეგლის მიხედვით, ჯერ კიდევ უფლისწული, შემდეგში მეფე დავით IX (1346—1360)[26].

ძეგლში მოხსენიებულია კიდევ ერთი მეფე გიორგი: „... მოვიდეს თურქნი წინაძღომითა ბაედარის ძისა ხოსიაჲსითა და მოკლეს შეფე გიორგი და ყოველნი მთავარნი და დიდებულნი ქართველნი. და

---

23 ეამთააღმწერელი, გვ. 323; გიორგი VI-ის მეფობის ხანგრძლივობის შესახებ იხ. ვ. კიკნაძე, საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა XIV ს. პირველ ნახევარში, გვ. 65—66.

24 ძეგლი ერისთავთა, გვ. 349—350.

25 გიორგი V-ის გამეფების თარიღის შესახებ იხ. ვ. კიკნაძე, გიორგი V ბრწყინვალის გამეფების თარიღის საკითხისათვის. — საისტორიო კრებული, VII, თბ., 1977, გვ. 219—231; ვ. კიკნაძე. XIV საუკუნის საქართველოს ისტორიიდან (გიორგი V-ის ტახტზე ასვლის თარიღი), — მაცნე. ისტორიის სერია, 1983, № 2, გვ. 178—187. 1318 წელი არის გიორგი V-ის რეალური გამეფების თარიღი. ის ფორმალურად მეფედ დასვეს გაცილებით ადრე, 1299 წ., მაგრამ ქვეყნის მართვაში ფაქტობრივად არ მონაწილეობდა. ამის შემდგომ 1308 წ. მონღოლებმა მეფედ დასვეს დავით VIII-ის ძე, გიორგი. (იხ. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ 150—151; ვ. კიკნაძე, XIV საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიიდან. გვ. 186). რაკი გიორგი V 1299 წლიდან, მართალია, ფორმალურად, მაგრამ მაინც მეფედ ითვლებოდა, მისი შემდეგ (1308 წ.) გამეფებული გიორგი დავით VIII-ის ძე ისტორიოგრაფიაში გიორგი VI-ის სახელწოდებით შეეიდა.

26 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ 406—407.

მუნ(ვე) მოკუდა ერისთავი ქვენიფნეველი". ძეგლის ქრონიკალური მინაწერით ეს მომხდარა 1373 წ. (ქ"კნი:ჲა:)[27]. ამ დროისათვის საქართველოს სამეფო ტახტზე „მეფე გიორგი", რომელიც თურქებმა „მოკლეს", ცნობილი არ არის (1360—1393 წწ. საქართველოს სამეფო ტახტზე იჯდა ბაგრატ V)[28].

აღნიშნული „მეფე გიორგის" იდენტიფიკაციის საკითხს შეეხო მ. ბროსე, რომელმაც ერთ-ერთ ადრეულ ნაშრომში დასახელებული „მეფე გიორგი" გიორგი V ბრწყინვალესთან გააიგივა[29]. შემდგომში მან ეს მოსაზრება შეცვალა და გამოთქვა ვარაუდი, რომ ჩვენთვის საინტერესო ამონაწერში უნდა იგულისხმებოდეს 1407 წ. თურქებთან ბრძოლაში მოკლული მეფე გიორგი VII, ქრონიკალური ცნობა კი სწორი არ უნდა იყოს[30]. უკანასკნელი ვარაუდი გაიზიარა გ. ალასანიამ[31].

ასეთ გაიგივებას ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ ძეგლში თხრობა წყდება 1403/4 წლის ამბებზე და, ბუნებრივია, მასში 1407 წ. ამბების გადმოცემა გამორიცხულია. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ძეგლის მიხედვით გიორგი მეფესთან ერთად დაიღუპა ცხრაზმის ერისთავი ქვენიფნეველი, ხოლო 1407 წ. ცხრაზმის ერისთავი იყო არა ქვენიფნეველი, არამედ ვირშელი (იხ. ქვემოთ). ასე რომ, გიორგი VII-ის თანამედროვე ცხრაზმის ერისთავი ქვენიფნეველი ვერ იქნებოდა. რაც შეეხება ქრონიკალურ მინაწერს, მართალია, ის ხელნაწერში ტექსტის დაწერის შემდგომაა შეტანილი კომენტატორის მიერ, მაგრამ თარიღი სანდოა (ამაზე ქვემოთ).

ქართული წერილობითი წყაროების მონაცემები შესაძლებლობას იძლევა გაირკვეს ძეგლის „მეფე გიორგის" ვინაობა. პირველ ყოვლისა, ყურადღებას იქცევს 1433 წ. „წყალობის წიგნი ალექსანდრე მეფისა სვეტიცხოველისადმი", სადაც აღნიშნულია, რომ ლორეს ციხის „თურქების" მიერ დაპყრობის დროს „ურჯულოთა ა[გარის] ნათესავთა ანდრონიკეს შვილი ალასტანელი გიორგი მოუკლავს და მრავალნი ქრისტეანენი წამებითა აღუსრულებიან"[32]. როგორც სიგლის ჩვენები-

---

27 ძეგლი ერისთავთა, გვ 354.

28 ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 409, 411.

29 M. Brosset, Chronique Géorgienne, Paris, 1831, p. 2, n. 2.

30 M. Brosset, Matériaux pour servir à l' Histoire de la Géorgie depius l'an 1201 susqu'en 1755, Extrait Mem. de l' Acad. Imp. de Sc., VI ser. Sc. pol., T. V, SPb, 1841., p. 56, n. 1.

31 გ. ალასანია, შენიშვნები. — წიგნში: ცხოვრება საქართველოს (პარიზის ქრონიკა), გვ .125—126, შენ. 1.

32 თ. ეორდანია, ქრონიკები, II, გვ. 242; ს. კაკაბაძე, მეფე გიორგი ანდრონიკეს შვილი ალასტანელი, გვ. 13; ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ.

დან ირკვევა, უცხოელთა მიერ ლორეს ციხის დაპყრობას და „გიორგი ალასტანელის“ ამ ბრძოლაში დაღუპვას ადგილი ჰქონია XIV ს. მეორე ნახევარში[33]. გიორგი ალასტანელის მოღვაწეობის ხანას რამდენადმე აკონკრეტებს 1348 წ. „წყალობის სიგელი ანდრონიკე მეფისა წითლოსან ქვენიფნეველისადმი“, რომელიც გაცემულია გიორგი ალასტანელის მამის, პროვინციელი მეფის ანდრონიკეს მიერ[34]. ანდრონიკე, იმავე სიგლის ცნობით, გამეფებულა 1339 წ.[35] ს. კაკაბაძის გამოანგარიშებით, იგი გარდაიცვალა 1355 წლის ახლო ხანებში[36]. აქედან გამომდინარე, გიორგი ალასტანელს, რომლის მამა 1355 წლის ახლო ხანებში გარდაცვლილა, სავსებით ბუნებრივია, რომ ემოღვაწნა XIV ს. მეორე ნახევარში. ამით ირკვევა ჩვენთვის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ XIV ს. მეორე ნახევარში მოღვაწეობდა გიორგი ალასტანელი, პროვინციელი მეფის ანდრონიკეს ძე, რომელიც ლორეს ციხესთან ბრძოლაში დაიღუპა. გიორგი ალასტანელი „მეფის“ ტიტულსაც ფლობდა, რასაც მოწმობს სინას მთის სულთა მატიანე[37].

ამის შემდეგ გასარკვევი რჩება, „მეფე გიორგი ალასტანელის“ კავშირი ძეგლის „გიორგი მეფესთან“. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპები. ერთ-ერთ აღაპში ვკითხულობთ: „[თუესა აგვისტოსა ვ] ფერისცვალებასა

123—124. სიგლის თარიღისათვის იხ. ს. კაკაბაძე, მეფე გიორგი ანდრონიკეს შვილი ალასტანელი, გვ 16; ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, თბ., 1967, გვ. 30; Грузинские документы IX—XV вв. Перевод и комментарии. С. С. Какабадзе, М., 1982, с. 147—148. თ. ჟორდანია სიგელს 1435 წლით ათარიღებს (თ. ჟორდანია, ქრონიკები. II, გვ. 242). ამ თარიღს იზიარებს ი. დოლიძე (იხ. ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 123).

33 ს. კაკაბაძე, მეფე გიორგი ანდრონიკეს შვილი ალასტანელი, გვ. 17; საურმაგ კაკაბაძის მოსაზრებით, სიგელში მოხსენიებული გიორგი ანდრონიკეს შვილი ალასტანელი გარდაიცვალა 1430 წ. ალექსანდრე მეფის მიერ ლორეს ციხის აღების დროს (Грузинские документы IX—XV вв. Перевод и комментарии С. С. Какабадзе, с. 148), რაც გაოგვიჩრობაზეა დამყარებული. სიგელში ნათქვამია, რომ გიორგი ანდრონიკეს შვილი ალასტანელი ადარიანებს მოუკლავთ მათ მიერ ლორეს ციხის დაპყრობის დროს და ამ ამბავს კათალიკოსი მოაგონებს 1431 წ. ლორეში გაბატონებული თურქების წინააღმდეგ საომრად მიმავალ ქართველთა ლაშქარს (იხ. ს. კაკაბაძე, მეფე გიორგი ანდრონიკეს შვილი ალასტანელი, გვ. 4—5; ჯ. ოდიშელი, აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის, გვ. 89).

34 ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 98—99.

35 ს. კაკაბაძე, მეფე გიორგი ანდრონიკეს შვილი ალასტანელი, გვ. 21; ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 98—99.

36 ს. კაკაბაძე, მეფე გიორგი ანდრონიკეს შვილი ალასტანელი, გვ. 21.

37 ი. ჯავახიშვილი, სინის მთის ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947, გვ. 242.

წირვა და აღაპი მეფეთა მეფისა ანდრონიკეს შვილისა გ(იორგ)ისი"[38]. აქ დასახელებული „მეფეთა მეფე ანდრონიკეს შვილი გიორგი" და ზემოთ ხსენებული „ანდრონიკეს შვილი გიორგი ალასტანელი", ცხადია, ერთი და იგივე პირია, რაზედაც მიუთითებს მათი მამისშვილობა და „მეფის" ტიტული. ამასთან ერთად ირკვევა სხვა მნიშვნელოვანი გარემოებაც: იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მოსახსენებელში აღნიშნული გიორგი მეფის აღაპს უშუალოდ მოსდევს „ამილახორ ქვენიფნეველის" აღაპიც, რაც ამ ორი პიროვნების კავშირზე მიუთითებს. ამ აღაპში ვკითხულობთ: „[თუესა აგვისტოსა ი და ია] ამ[ა]სვე დღ(ე)სა წირვა და აღ(ა)პ ი საუკუნოჲ ამ(ი)ლ(ა)ხ(ო)რისა ქუნიფნ(ე)ველისა"[39]. აღაპში დასახელებული „ამილახორი ქვენიფნეველი" არის იგივე ძეგლში დასახელებული ცხრაზმის ერისთავი ქვენიფნეველი, რომელიც თურქებთან ბრძოლაში მოკლეს. ერისთავ ქვენიფნეველს რომ ამილახორის თანამდებობა ჰქონია სამეფო კარზე, ამას მოწმობს ლარგვისის ოთხთავის მინაწერი, სადაც იხსენიება ამირახორი და ერისთავი ქუშნიფნეველი[40].

- ამით ჩვენთვის ცნობილი ხდება: 1) ჯვრის მონასტრის აღაპების „მეფეთა მეფე გიორგი ანდრონიკეს შვილი" და XIV ს. მეორე ნახევარში მოღვაწე „მეფე გიორგი ალასტანელი ანდრონიკეს შვილი" ერთი და იგივე პირია; 2) მეფე გიორგი ალასტანელთან დაკავშირებული ამილახორი ქვენიფნეველი ძეგლის ქვენიფნეველ ერისთავია. ეს გარემოება საფუძველს გვაძლევს ვაღიაროთ, რომ ძეგლის „მეფე გიორგი" ყოფილა სხვა წყაროებით ცნობილი პროვინციელი მეფე გიორგი ანდრონიკეს ძე ალასტანელი.

აღნიშნული იდენტიფიკაცია სხვა მხრივაც დასტურდება. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საკითხი: სანდოა თუ არა ძეგლის ქრონიკალური მინაწერის ჩვენება, რომლის თანახმად გიორგი მეფე და ერისთავი ქვენიფნეველი თურქებთან ბრძოლაში მოკლეს 1373 წ. ძეგლის განსახილველი ადგილი ქრონიკალური მინაწერითურთ შეტანილია „ქართლის ცხოვრების" გადაკეთებულ გაგრძელებაში, სადაც წელთან ერთად ნაჩვენებია თვე და რიცხვი: „შეკრბა ერი ურიცხუ

---

38 ჯვარის მონასტრის სვინაქსარის აღაპები. — წიგნში: ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962, გვ. 105, აღაპი № 285.

39 იქვე, გვ. 106, აღაპი № 291.

40 საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი. A—26, ფ. 268; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A — კოლექცია, I_1. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ და ღ. ქუთათელაძემ ე. მეტრეველის რედაქციით. თბ., 1973, გვ. 89—90.

და შოვიდა ქართლს წინაძღომითა ბაედარის ძის ხოსიაისითა. ეწყუენენ ქართველნი და თურქნი, მოკლეს მეფე გიორგი და მის თანა ქუენიფნეველი იოანე... თთუესა აგვისტოსა რვასა, ქ-კსა ჲ ა"[41]. იმავე ცნობას შეიცავს „ცხოვრება საქართველოჲსა", სადაც გიორგი მეფის გარდაცვალების თარიღად 1373 წ. 6 აგვისტოა ნაჩვენები: „ქორონიკონსა ჲ-ა (61) თურქნი მოვიდნენ; მეფე გიორგი მოკლეს; ლაშქარი ს[რულია]დ დახოცნეს; საქართველო მოარბიეს და წარტყუენეს თუესა აგვისტოსა 3(6)"[42]. იმავე თარიღს — 1373 წ. 6 აგვისტოს უჩვენებს დავით რექტორის მიერ შედგენილ კრებულში ჩართული „წიგნი ქორონიკონი ძველისა და ახლისა", სადაც ვკითხულობთ: „ქ^კსა ჲა: თურქნი მოვიდეს. მეფე გიორგი მოკლეს. ლაშქარნი სრულიად დახოცნეს. საქართველო მოარბიეს და წარტყვენეს. თვესა აგვისტოსა: 3:"[43]. აღსანიშნავია, რომ ჯვრის მონასტრის ზემოთ მოტანილი აღაპით მეფე გიორგი ანდრონიკეს ძის მოსახსენებელი დაწესებულია მისი გარდაცვალების დღეს — 6 აგვისტოს. ამით ცხადი ხდება, რომ „საქართველოს ცხოვრებისა" და „წიგნი ქორონიკონის" ჩვენება: „1373 წ. 6 აგვისტო — გიორგი მეფის მოკვლის დღე სავსებით სანდო თარიღი ყოფილა"[44]. აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს ძეგლის ქრონიკალური მინაწერის თარიღის სანდოობაც. ეს გარემოება, თავის მხრივ, ერთხელ კიდევ ადასტურებს ძეგლის „მეფე გიორგისა" და „მეფე გიორგი ალასტანელის" იგივეობას. გიორგი მეფის „ალასტანელობა" მიუთითებს იმაზე, რომ მის სამფლობელოს შეადგენდა ჯავახეთის მხარე ცენტრით ალასტანში[45]. ძეგლის ბოლო ნაწილში, სადაც საუბარია თემურ-ლენგის შემოსევებზე, რამდენიმეჯერ მოხსენიებულია „მეფე გიორგი". ცნობილია, რომ თემურ-ლენგის შემოსევების ხანაში საქართველოში მეფობდა გიორგი VII (1393—1407)[46]. ამ შემთხვევაში, ცხადია, საუბარია სწორედ გიორგი VII-ზე.

---

41 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 446, ძეგლის ჩვენთვის საინტერესო ადგილი „ქართლის ცხოვრების" გადაკეთებულ გაგრძელებაში ზუსტად არ არის შეტანილი: „იოანეს" ხსენება აქ ზედმეტია.

42 ცხოვრება საქართველოჲსა (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, გვ. 38.

43 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, A—1164; გვ. 66; თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II. გვ. 189.

44 ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, სვინაქსარის აღაპთა კომენტარები. — წიგნში: მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, გვ. 116.

45 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, მეფე გიორგი ანდრონიკეს შვილი ალასტანელი, გვ. 23.

46 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 411, 424.

ამრიგად, „ძეგლი ერისთავთაში“ დასახელებული მეფეების იდენტიფიკაცია და ქრონოლოგია შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

„დავით ბაგრატონიანი“	დავით VI ნარინი (1230—1290)
„მეფე დავით“	დავით VIII (1293—1311)
„ძე მეფისაჲ ვახტანგ“	ვახტანგ III (1297—1308)
„მეფე გიორგი ძე დავითისა“, „მეფე გიორგი“ (რომელმაც „განილაშქრა მაღაროს“, „წარგზავნა ძე შალვა ერისთავისაჲ... პიპაჲ წინაშე ნისრელისა“)	გიორგი VI „მცირე“ (1308—1317).
„მეფე გიორგი“ „მოადგა ოვსთა გორს მყოფთა“	გიორგი V ბრწყინვალე (1318—1346)
„დავით ძე მეფისაჲ“	გიორგი V-ის მემკვიდრე-უფლისწული, შემდეგში მეფე დავით IX (1346—1360).
„მეფე გიორგი“ („მოვიდეს თურქნი... და მოკლეს მეფე გიორგი...“ მინაწერი: „ქკნი: ჲა:“)	პროვინციის მეფე გიორგი ალასტანელი, ანდრონიკეს ძე (გარდ. 1373).
„გიორგი მეფე“ (რომელმაც „განილაშქრა ალინჯას...“ თუმურ ლენგის ერთ-ერთი შემოსევის შემდეგ „წარვიდა ლიხთ-იმერეთით...“ „მოვიდა მეფე გიორგი ლიხთ-იმერით და... განილაშქრა... და შემოვიდა გზასა აჩაბეთისასა...“)	გიორგი VII (1393—1407)

მატიანის ავტორის ჩვენებით, ვახტანგის მამის გამეფების ახლო ხანებში „მოკუდა ერისთავი ვირშელი და დაშთა ძე მისი შალვა სამისა წლისაჲ, და აღზარდა იგი მეფემან“[47]. როგორც ზემოთ ითქვა, მემატიანემ არ იცის ვახტანგის მამის ნამდვილი სახელი, მაგრამ ამას ამჯერად გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი ისაა, რომ ვირშელ ერისთავის გარდაცვალების თარიღი ვახტანგის მამის, ე. ი. დი-

47 ძეგლი ერისთავთა, გვ. 347.

მიტრი II-ის გამეფების თარიღთანაა (1271) დაკავშირებული. გამოდის, რომ ვირშელის ერისთავობის ხანა მოდის XIII ს. 70-იანი წლების დასაწყისის წინარე პერიოდზე. მისი ერისთავობა დაახლოებით შეიძლება განისაზღვროს XIII ს. 50—60-იანი წლებით.

„ვირშელ ერისთავის მცირეწლოვანი შვილი შალვა, ძეგლის მიხედვით, აღუზრდია ხსენებული ვახტანგის მამას, ე. ი. დიმიტრი II-ს, რომლის გამეფების დროს (1271 წ.) შალვა სამი წლის ყოფილა, აქედან გამომდინარე, შალვა დაბადებულა XIII ს. 60—70-იანი წლების მიჯნაზე. ძეგლის მიხედვით, შალვა ერისთავი თანამედროვეა დავით VIII-ისა (1293—1311), ვახტანგ III-ისა (1297—1308) და გიორგი VI „მცირისა" (1308—1317). შალვა ქვენიფნეველი XIII ს. ბოლოსა და XIV ს. დასაწყისში რომ მოღვაწეობდა, ამას ადასტურებს ქამთააღმწერელიც[48]. ამრიგად, ძეგლისა და ქამთააღმწერლის მონაცემებით, შალვა ვირშელის ძის ერისთავობა XIII ს. 80-იანი — XIV ს. 10-იანი წლებით უნდა შემოიფარგლოს.

„შალვას შემდგომ „დაჯდა ძე მისი ლარგუელი ერისთავად"[49]. ლარგუელის ერისთავობის ხანა ემთხვევა გიორგი VI-ის მეფობის (1308—1317) პირველ წლებს.

„„მოკუდა ლარგუელი და დაშთეს სამნი ძენი მისნი, და დაჯდა ერისთავად უხუცესი ძე ვირშელი"[50]. ვირშელ ერისთავი ჩანს გიორგი VI-ის მეფობის ბოლო წლებში მისი ერისთავობის დროს, 1316 წ. ელჩობა იქნა გაგზავნილი ეგვიპტის სულთანთან პიპა ქვენიფნეველის მეთაურობით[51]. ვირშელი მონაწილეობს გიორგი V-ის მიერ წარმოებულ ბრძოლაში „ოვსთა გორს მყოფთა" წინააღმდეგ, რომელიც „განგრძელდა სამ წელ". ვირშელი ცოცხალი ჩანს გორის აღების შემდეგაც[52]. ასე რომ, ვირშელის ერისთავობა დაახლოებით XIII ს. 10-იანი წლების მეორე ნახევრითა და 20-იანი წლების დასასრულით უნდა განისაზღვროს.

„ვირშელ ერისთავის გარდაცვალების შემდეგ „დარჩეს სამნი ძენი მისნი ქუენიფნეველი, იოვანე და გიორგი, რამეთუ მცირე იყუნეს. მაშინ წინამძღვარ ექმნა ცხრაზმისკეველთა წითლოსანი ბიძაჲ მისი ცხრა

---

48 ქამთააღმწერელი, გვ. 305.

49 ძეგლი ერისთავთა, გვ. 349.

50 იქვე.

51 ძეგლი ერისთავთა, გვ. 350; ელჩობის თარიღის შესახებ იხ. ბ. სილაგაძე, მასალები საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიისათვის. — ქართული წყაროთმცოდნეობა, II, თბ., 1968, გვ. 102.

52 ძეგლი ერისთავთა, გვ. 350.

წელ"[53]. წითლოსან ქვენიფნეველი ცოცხალი ჩანს 1348 წ.[54] 1348 წლის სიგელში, როგორც ზემოთ ითქვა, წითლოსანი ერისთავად არ იწოდება, რაც ადასტურებს ძეგლის ცნობას, რომლის თანახმად წითლოსანი ერისთავის მემკვიდრეების მცირეწლოვანების პერიოდში საერისთავოს განაგებდა როგორც მცირეწლოვანი ძმისშვილების მეურვე.

წითლოსანის „ცხრა წელ" „წინამძღვრობის" შემდგომ ავტორი განაგრძობს: „მაშინ აღიზარდა ქუენიფნეველი და დაჯდა ერისთავად"[55]. ქვენიფნეველის გაერისთავების თარიღთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება; 1348 წ. ზემოთ დასახელებულ სიგელში ცხრაზმის ერისთავი არ იხსენიება. ამ დროს ცხრაზმაში ერისთავი რომ მჯდარიყო, სიგელში ეს აუცილებლად აღინიშნებოდა. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ სიგლის შედგენის დროისათვის ქვენიფნეველი ჯერ კიდევ არ ყოფილა ერისთავი. ასე რომ, ქვენიფნეველის გაერისთავება 1348 წლის შემდგომ უნდა მომხდარიყო. ქვენიფნეველი, როგორც ზემოთ ითქვა, დაიღუპა თურქებთან ბრძოლაში მეფე გიორგი ალასტანელთან ერთად 1373 წ.

ქვენიფნეველის გარდაცვალების შემდეგ, იმავე 1373 წ. „დაჯდა ერისთავად" მისი მომდევნო ძმა იოვანე[56]. 1390-იანი წლებისათვის იოანე ცოცხალი არ ჩანს, ვინაიდან ამ დროისათვის ერისთავობს მისი ძე ვირშელი. ვირშელ ერისთავი მონაწილეობს 1398 წ. ალინჯის ციხესთან ქართველებსა და თემურ-ლენგის მეციხოვნე ჯარს შორის გამართულ ბრძოლაში[57]. ამაზე ადრე ვირშელ ერისთავი ლაშქრობს დვალეთსა[58] და არაგვის ხეობაში[59]. 1403/4 წ. ამბების აღწერისას (აქ წყდება კიდეც ძეგლის ტექსტი) ვირშელი ცოცხალია. ყანჩაეთის სვინაქსარის მინაწერის მიხედვით, 1422 წლისათვის ვირშელ ერისთავი ცოცხალი აღარ ყოფილა[60].

ამრიგად, „ძეგლი ერისთავთაში" დასახელებული ცხრაზმის ერისთავების თანმიმდევრობა და ქრონოლოგია ასეთი სახით წარმოგვიდგება[61]:

---

53 ძეგლი ერისთავთა, გვ. 352.

54 ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 98—99.

55 ძეგლი ერისთავთა, გვ. 352.

56 იქვე, გვ. 354.

57 იქვე, გვ. 358.

58 იქვე, გვ. 356—357.

59 იქვე, გვ. 358.

60 ვ. კიკნაძე, ყანჩაეთის სვინაქსარი და მისი მნიშვნელობა „ძეგლი ერისთავთას" დათარიღებისათვის, გვ. 54.

61 შეად. M. Brosset, Additions, p. 385; თ. ჟორდანია. ქრონიკები, II, გვ. 27.

როსტომი, ლარგველი, დიმიტრი	XIII ს. პირველი ნახევარი
ვირშელ I,	XIII ს. 50—60-იანი წლები
შალვა, ვირშელ I-ის ძე	XIII ს. 80-იანი — XIV ს. 10-იანი წლების პირველი ნახევარი.

ლარგველი შალვას ძე — XIV ს. 10-იანი წლების შუა ხანა.

ვირშელ II ლარგველის ძე — XIV ს. 10-იანი წ. მეორე ნახევარი — 20-იანი წლები.

წითლოსანი ლარგველის ძე, „წინამძღუარ ცხრაზმისხეველთა" — XIV ს. შუა წლები.

ქვენიფნეველი ვირშელ II-ის ძე — XIV ს. 50-იანი წლები — 1373 წ.

იოვანე ვირშელ II-ის ძე — 1373 წ. — 1390-იანი წლების პირველი ნახევარი.

ვირშელ III იოვანეს ძე — XIV ს. 90-იანი წლების მეორე ნახევარი არაუგვიანეს 1422 წ. (დაიბადა 1376 წ.).

მატიანეში წარმოდგენილი თანმიმდევრობა და გენეალოგიური სქემა ზემოთ დასახელებული ერისთავებისა დასტურდება მისგან დამოუკიდებული წყაროს — ლარგვისის ოთხთავის ხელნაწერში XV ს. დასაწყისში შეტანილი ცხრაზმის ერისთავების სულთა მოსახსენებლების მონაცემებითაც[62], რომლებიც მთლიანად ემთხვევა ძეგლის ცნობებს აღნიშნული საკითხის შესახებ. ამასთან ერთად მასში დაცულია ქვენიფნეველთა სახლის წარმომადგენლების შესახებ ზოგიერთი ისეთი ცნობა, რომელიც ძეგლში არ გვხვდება.

II პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ვ ი თ ა რ ე ბ ა. „ძეგლის ერისთავთას", როგორც ისტორიული წყაროს, მნიშვნელობა მდგომარეობს იმაშიც, რომ მასში დაცულია მრავალმხრივ საყურადღებო ცნობები, რომელთაც გარკვეული წვლილი შეაქვთ XIII—XV სს. აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიის არაერთი საკითხის შესწავლაში. აღნიშნული ცნობები ეხება ქვეყნის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკურ მოვლენებს.

---

62 საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, A—26, ფ. 267v—268r; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A—კოლექცია, I_1, გვ. 89—90.

* * *

მატიანის ე. წ. მეორე ნაწილში, როგორც ითქვა, თხრობა იწყება იმ პოლიტიკური მოვლენებით, რომელთაც ადგილი ჰქონდა საქართველოს ისტორიულ სინამდვილეში XIII—XIV სს. მიჯნაზე. XIII ს. ბოლო წლებისა და XIV ს. დასაწყისისათვის აღმოსავლეთ საქართველოში რთული პოლიტიკური ვითარება შეიქმნა, რაც გამოწვეული იყო მონღოლთა ნახევარსაუკუნოვანი მფლობელობის წინააღმდეგ დაწყებული აჯანყებით, რომელსაც სათავეში ედგა მეფე დავით VIII. ეს უკანასკნელი გამაგრებული იყო არაგვის ხეობაში. დავითის მომხრე ქართველთა ჯარებსა და მათ წინაღმდეგ მებრძოლ მონღოლთა დამსჯელ ექსპედიციებს შორის სამხედრო შეტაკებათა ძირითადი ასპარეზი ქართლის მთიანეთი იყო[63].

ქართული ისტორიული წყაროებიდან აღნიშნული პერიოდის ამბებზე ყველაზე ვრცლად მოთხრობილია XIV ს. ქართველი ანონიმური ისტორიკოსის ყამთააღმწერლის „ასწლოვან მატიანეში". ამ უკანასკნელს გარკვეულწილად ავსებს „ძეგლი ერისთავთას" მონაცემები.

აჯანყებულ დავით VIII-ს, თავდაპირველად, სხვა ქართველ დიდებულებთან ერთად, ცხრაზმის ერისთავი შალვა ქვენიფნეველიც მიმხრობია. მატიანეში საუბარია დავითსა და შალვა ერისთავს შორის თავდაპირველად არსებულ კეთილგანწყობილებაზე, რაც დავითის მიერ შალვა ერისთავისადმი „მრავლისა დიდების მინიჭებაში" გამოიხატა[64]. ამასვე მოწმობს ყამთააღმწერელიც[65].

შემდგომში შალვა ერისთავსა და დავით მეფეს შორის წინააღმდეგობამ იჩინა თავი. ყამთააღმწერლის ცნობით, „ქუენიფლეველი შალვა გამოექცა მეფესა" დავითს და ეახლა ყუთლუშაჰ ნოინს. ამ უკანასკნელმა მეფისაგან განდგომილი შალვა ერისთავი მონღოლთა ლაშქრის „წინამძღურად გზისა აჩინა". მონღოლთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი, რომელსაც მეგზურობას შალვა ერისთავი უწევდა, ყუთლუშაჰ ნოინის მეთაურობით არაგვის ხეობას შემოესია. მთიანეთის ბუნებრივი პირობების გამო მონღოლებმა თავიანთი რიცხობრივი უპირატესობა

---

63 ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ 242—245; დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1962, გვ. 277—286; ი. სიხარულიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 158—168; ბ. ლომინაძე, მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყება ქართლში XIII—XIV სს. მიჯნაზე, — სინ, III, გვ. 609—613; გ. ანჩაბაძე, „ძეგლი ერისთავთა", როგორც წყარო სამხედრო საქმის ისტორიისათვის ქართლის მთიანეთში. — ქართული წყაროთმცოდნეობა, VII, 1987, გვ. 79—90.

64 ძეგლი ერისთავთა, გვ. 347.

65 ყამთააღმწერელი, გვ. 305.

ვერ გამოიყენეს, აჯანყებული მეფის ხელში ჩაგდება ვერ მოახერხეს და იმედგაცრუებულნი არაგვის ხეობას გაეცალნენ[66].

შალვა ერისთავის განდგომით განრისხებული დავით მეფე „ჩამოდგა ცხრაზმასს ჯვესა... და აოკრებდა მამულსა შალვა ქუენიფლეველისასა ორგულობისათჳს. მაშინ უღონო იქმნა ქუენიფლეველი“ და მეფისაგან პატიება ითხოვა და „შეუნდო მეფემან შალვას“[67].

ქამთააღმწერელთან არაფერია ნათქვამი დავით მეფისაგან შალვა ერისთავის განდგომის მიზეზზე. ამ თვალსაზრისით გარკვეული მითითება მოცემულია „ძეგლი ერისთავთაში“, სადაც დავით მეფესა და შალვა ერისთავს შორის ჩამოვარდნილი კონფლიქტი განიხილება როგორც შედეგი შალვა ერისთავის ერთგულებისა დავითის მხრიდან მიმძლავრებული ვახტანგ უფლისწულისადმი, ვითარცა თავისი „გაზრდილისადმი“. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, მართებული ჩანს, შალვა ერისთავის დავით მეფისაგან განდგომის ერთ-ერთი მიზეზი დავით მეფესა და ვახტანგ უფლისწულს შორის ურთიერთობის გარკვეულ ეტაპზე წარმოქმნილ წინააღმდეგობაში ვეძიოთ. ცნობილია, რომ აჯანყების პირველ ხანებში ვახტანგ უფლისწული (ასევე შალვა ერისთავი) დავითის ბანაკში იყო და ამ უკანასკნელის ერთგულებაზე იდგა[68]. შემდგომში მათ შორის ურთიერთობა შეიცვალა და უნდობლობა ჩამოვარდა. ნიშანდობლივია ქამთააღმწერლის ჩვენება, რომლის თანახმად შალვა ერისთავის მონღოლთა მხარეზე გადასვლის დროს ვახტანგი „ძმისა მისისა დავითისაგან... შეპყრობილიცა იყო და პატიმრული ციხესა ჟინვანისასა“[69]. ვფიქრობთ, სწორედ დავითსა და ვახტანგს შორის მტრობის ჩამოვარდნასა და დავით მეფისგან ვახტანგის დაპატიმრების ფაქტთან უნდა იყოს დაკავშირებული შალვა ერისთავის განდგომა აჯანყებული მეფისაგან. აღნიშნულ კონფლიქტში შალვა ერისთავს, ჩანს, თავისი პოლიტიკური ანგარიშები ჰქონდა, რამაც ვახტანგის „ერთგულებაზე“ დადგომა უკარნახა. ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ „გაზრდილობის“ ფეოდალური ინსტიტუტის ბუნებას, რაც „გაზრდილ-გამზრდელის“ ურთიერთმხარდაჭერასა და თანადგომაში მდგომარეობს[70], შალვა ერისთავის ვახტანგის მხარეზე გადასვლა და დავითისაგან განდგომა საესებით გასაგები ჩანს.

---

66 ქამთააღმწერელი, გვ. 305—306; ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ერის ისტორია, III, გვ. 244.

67 ქამთააღმწერელი, გვ. 307.

68 ქამთააღმწერელი, გვ. 302—303; ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 242.

69 ქამთააღმწერელი, გვ. 307—308.

70 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, XI—XIII საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან.— წიგნში: საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, თბ., 1974, გვ. 86; ქ. ჩ ხ ა-

როგორც ჟამთააღმწერელთან, ისე „ძეგლი ერისთავთაში“ საუბარია დავით მეფის გალაშქრებაზე ცხრაზმის საერისთავოში. ორივე წყაროს ჩვენებათა შედარება ცხადჰყოფს, რომ მათში საუბარია დავით მეფის სხვადასხვა ლაშქრობაზე ცხრაზმის საერისთავოში.

ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს შალვა ერისთავის განდგომაზე და დავით მეფის ცხრაზმაში ლაშქრობაზე, რასაც ადგილი ჰქონდა ვახტანგის ილხანთა ურდოში გამგზავრებამდე. ამის შემდგომ ჟამთააღმწერელი დავითისა და შალვას ურთიერთობაზე არაფერს გვეუბნება. „ძეგლი ერისთავთაში“ კი გადმოცემულია ვახტანგისა და მასთან ერთად შალვა ერისთავის გამგზავრება ილხანთა ურდოში და ამის შემდგომ დავით მეფისაგან ცხრაზმის საერისთავოს აოხრება. აქედან ცხადია, რომ ძეგლში აღწერილი შემოსევა სხვაა, ჟამთააღმწერელთან გადმოცემული კი სხვა. აღსანიშნავია, რომ ძეგლის ავტორი, როგორც ქვენიფნეველთა საგვარეულოს მემატიანე, გვერდს უვლის დამარცხებული შალვა ერისთავის მონანიების, „თავზე ნაცრის გადაყრისა“ და პატიების თხოვნის იმ საჩოთირო ფაქტების აღნიშნვნას, რომლებიც ჟამთააღმწერელთანაა გადმოცემული[71]. ამის აღნიშვნა საჭიროა, მეტადრე, იმიტომ, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში დავით მეფისა და შალვა ერისთავის კონფლიქტის აღწერა „ძეგლი ერისთავთაში“ და ჟამთააღმწერელთან ერთი და იგივე ამბის გადმოცემადაა მიჩნეული[72].

დავით მეფისა და შალვა ერისთავის ჟამთააღმწერელთან გადმოცემული კონფლიქტი შერიგებით დამთავრდა. ამის შემდგომ დავით მეფეს შემოურიგებია მის მიერ ჟინვანის ციხეში დაპატიმრებული ვახტანგიც[73]. მაგრამ მალე დავითსა და ვახტანგს შორის კვლავ უნდობლობამ იჩინა თავი. მაშინ „ვერღარა თავს-იდგა ვახტანგ უპატიოდ ყოფნა, და წარვიდა ურდოს ყაზანის თანა“, გადმოგვცემს ჟამთააღმწერელი[74]. აღნიშნულ ამბავთან დაკავშირებით „ძეგლი ერისთავთაში“ ნათქვამია: შალვა ერისთავმა „განამაგრნა ციხენი და შეჰვედრნა ერთგულთა მონათა და თუთ წარჰყვა ძესა მას მეფის(ა)სა (ე. ი. ვახტანგს — გ. ა.) ურდოს“[75]. როგორც ვხედავთ, ურდოში გამგზავრებულ ვახტანგს გაჰყოლია შალვა ერისთავიც, რაც მოწმობს იმას, რომ ეს უკანასკნელი შერიგების შემდგომ, ამჯერად, მეორედ, განდგომია დავით მეფეს. ამის პასუხად „მეფემან დავით შეკრიბა ყოველი ლაშქარი თუსი და თათარნი

ტ ა რ ა ი შ ვ ი ლ ი, ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში, გვ. 89—93.

71 ჟამთააღმწერელი, გვ. 307.

72 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 244.

73 ჟამთააღმწერელი, გვ. 309.

74 იქვე.

75 ძეგლი ერისთავთა, გვ. 347.

შირვანელნი და ყოველნი მყოფნი კახეთს და მუხრანს, და მოადგა ცხრასავე ჯევსა შალვაჲს საერისთავოსა და ჩამოასხნა დვალნი და ჯადელ-ცხავატელნი და ყოველნი მთიულნი ქუემონი, და დაწუეს და მოაჯრეს ყოველი ცხრაზმის ჯევი გარეშე ციხეთა, და ციხეთა ჰბრძოდეს ქუენიფნევს, ქარჩოხს, ქოლოთს და ისროლს, არამედ ვერ აიხუნეს"[76]. ამასობაში მონღოლთა ურდოდან „მოვიდა ვახტანგ და შალვა სპარსთა ლაშქრითა ურიცხჳთა სპითა"[77]. მონღოლთა ურდოში გამოცხადებული ვახტანგი, როგორც ჟამთააღმწერელი გვაუწყებს, „აზან ყაენმა „კეთილად შეიწყნარა და მოსცა მეფობა" და ყუთლუშაჰ ნოინთან ერთად „სპითა უძლიერესითა" საქართველოში გამოისტუმრა[78]. ვახტანგი მეფედ დაამტკიცეს 1297 წ. ნოემბერში[79]. იმავე 1297 წლით უნდა დავათარიღოთ შალვა ერისთავის ხელმეორედ განდგომა და დავით მეფის განმეორებით ლაშქრობა ცხრაზმის საერისთავოში.

როდესაც მონღოლთა დამსჯელი ლაშქარი არაგვის ხეობისაკენ გაემართა იქ გამაგრებული დავითის წინააღმდეგ, ძეგლის ცნობით, „მაშინ დავით დგა ბაზალეთს და ვითარცა ცნა მოსლვაჲ მათი, მიჰმართა ციხესა დარ[ი]ალისასა". უკუქცეულ მეფეს კვალდაკვალ გაეკიდა მონღოლთა „სპა ყოველი და შეიარეს არაგუ და გარდავლეს ჯუართა ყელი და ჩავიდეს დარიალს და მოადგეს დავითს ციხესა გუელეთისასა"[80]. ჟამთააღმწერელთან აღნიშნული ლაშქრობის მარშრუტი შედარებით მოკლედაა აღწერილი: „თათარნი კუალად წარვიდეს მთიულეთს, და გარდავიდეს გუელეთს, რამეთუ მეფე (დავით — გ. ა.) შედგომილი იყო"[81]. ძეგლის მოტანილი ცნობა ამ მხრივაც გარკვეულწილად ავსებს ჟამთააღმწერლის თხრობას.

შალვა ერისთავმა ისარგებლა დავითის კრიტიკული მდგომარეობით და ასაოხრებლად შეესია არაგვის ხეობას, სადაც „დადგა ჯადას და ესოდენ ძლიერად ჰბრძოდა, რომელ ერთსა დღესა აიღო ცხრაჲ ციხე და დაარღჳა და მას ერთსა კჳრიასა დაარღჳა ციხე ოცდახუთი, თხუთმეტი იქით არაგჳსა[82].

---

76 ძეგლი ერისთავთა, გვ. 347.

77 ჟამთააღმწერელი, გვ. 308.

78 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 392; ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყება ქართლში. გვ. 611.

79 Р а ш и д-а д-д и н, Сборник летописей, т. III. Перевод с персидского А. К. Арендса. М.—Л., 1946. с. 178; ვ. კ ი ტ ნ ა ძ ე, საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა XIV ს. პირველ ნახევარში, გვ. 42—43; ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 160—162.

80 ძეგლი ერისთავთა, გვ. 347.

81 ჟამთააღმწერელი, გვ. 308.

82 ძეგლი ერისთავთა, გვ. 348.

ყურადღებას იქცევს მატიანის ცნობა, რომლის თანახმად მონღოლთა ურდოდან დაბრუნებისა და აღმოსავლეთ საქართველოში გამეფების შემდეგ „მისცა ვახტანგ დავითს ჯავახეთი და ალასტანი და გამოიყუანა გუელეთით“[83]. აღნიშნული ფაქტი სხვა წყაროებით ცნობილი არაა. ჟამთააღმწერლის მიხედვით, ვახტანგის გამეფების შემდგომ ხანაში დავით VIII-ის ხელისუფლება არაგვის ხეობასა და შიდა ქართლზე ვრცელდებოდა[84]. ვახტანგ III-ის განკარგულებაში რჩებოდა თბილისი და ქვემო ქართლი (დმანის-სამშვილდე)[85]. ამრიგად, ჟამთააღმწერლით თუ ცნობილია, რომ დავით VIII თავისი ძმის, ვახტანგის გამეფების შემდგომ ხანაში შიდა ქართლს (არაგვის ხეობითურთ) ფლობდა, „ძეგლი ერისთავთას“ ცნობით ცხადი ხდება ისიც, რომ მის სამფლობელოს, გარდა შიდა ქართლისა, ჯავახეთის მხარის ნაწილიც შეადგენდა ცენტრით ალასტანში[86].

მიუხედავად გარკვეული ტენდენციურობისა და ისტორიული პირების გენეალოგიის გადმოცემაში არსებული უზუსტობებისა, „ძეგლი ერისთავთას“ ცნობები XIII—XIV სს. მიჯნის აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი მომენტის შესახებ ხშირ შემთხვევაში უფრო ვრცელია და მეტი კონკრეტულობით ხასიათდება, ვიდრე ამ ეპოქის ძირითადი ქართული წყარო, ჟამთააღმწერლის თხზულება. ეს ბუნებრივიცაა. ვინაიდან, პოლიტიკური მოვლენები, რომელთა შესახებ საუბარია ხსენებულ წყაროებში, ძირითადად ქართლის მთიანეთთანაა დაკავშირებული და მათში უშუალოდ მონაწილეობს ცხრაზმის ერისთავი, ე. ი. აღნიშნული ამბები უფრო ახლოა ძეგლის ავტორის თხრობის ობიექტთან. გარდა ამისა, ძეგლში აღწერილია დავით მეფისა და შალვა ერისთავის 1302 წ. მომხდარი კონფლიქტი, შალვა ერისთავის ილხანთა ურდოში გამგზავრება ვახტანგთან ერთად, დავით VIII-ისაგან ჯავახეთის დაუფლება, რომელთა შესახებ სხვა ქართულ წყაროებში ცნობები არ გვხვდება.

---

83 ძეგლი ერისთავთა გვ. 348.

84 ჟამთააღმწერელი, გვ. 316.

85 იქვე, გვ. 310.

86 ი. სიხარულიძის მოსაზრებით, დავით VIII-ისათვის ვახტანგ III-ს და მონღოლთა ხელისუფლებს გველეთი ჩამოურთმევიათ და მის ნაცვლად მიუციათ „ჯავახეთი და ალასტანი“, ამის შემდგომ დავითი იქ დამკვიდრებულა (ი. სიხარულიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 168). ჩვენი აზრით, ამის შემდგომაც დავით VIII-ს მთიულეთსა და შიდა ქართლზე ხელი არ აუღია.

* * *

„ძეგლი ერისთავთაში“ დაცულია ერთი ფრიად საინტერესო ცნობა, რომელიც ეხება საქართველოს სამეფოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტს. ტექსტის იმ მონაკვეთში, სადაც საუბარია XIV ს. პირველი ნახევრის ამბებზე, ვკითხულობთ: „ამას ჟამსა მოვიდა ამბავი: კლიტენი იერუსალიმისანი სპარსთა დაიპყრნესო, და დიდად შეწუხნა მეფე გიორგი. მაშინ წარგზავნა ძე შალვა ერისთავისაჲ, რომელსა ერქუა პიპაჲ, გზასა ჯმელთასა მრავლითა ძღუენითა წინაშე ნისრელისა და წარჰყვა თანა ბანდასძე დეკ(ა)ნოზი იოვანე და მივიდა პიპაჲ წინაშე ნისრელისა; ხოლო მან სიხარულითა შეიწყნარა ძღუენი იგი და მისცნა კლიტენი იერუსალიმისანი. მივიდა პიპაჲ ზედა საფლავსა ქრისტესსა და შეემთხვა... მოიღოცნა წმიდანი ადგილნი... და წარმოვიდა მასვე გზასა ჯმელითა და მოვიდა წინაშე მეფისა და მოიღო იერლაყი შეწყალებისაჲ და აღსრულებაჲ ყოვლისა სათხოვლისა მისისაჲ. ფრიად განიხარა გიორგი მეფემან, რამეთუ მოეცნეს კლიტენი ქართველთა“[87].

ელჩობა, როგორც ძეგლი გვაუწყებს, წარგზავნილ იქნა „წინაშე ნისრელისა“ ანუ ეგვიპტის გამგებელთან[88].

მატიანის ზემოთ მოტანილი ცნობა ეგვიპტეში პიპა ქვენიფნეველის ელჩობის შესახებ დიდი ხანია იპყრობს მკვლევართა ყურადღებას. ი. ჯავახიშვილი აღნიშნულ ელჩობას და მის შედეგად ქრისტეს საფლავად მიჩნეული სალოცავის ქართველებისათვის გადაცემას უკავშირებს 1305 წ. საქართველოს მეფისა და ბიზანტიის იმპერატორის გაერთიანებული მისიის გაგზავნას ეგვიპტის სულთანთან, რომლის შედეგად მაჰმადიანთაგან დაპყრობილი იერუსალიმის ჯვრის მონასტერი კვლავ ქართველებს დაუბრუნდათ[89]. ამავე მოსაზრებას იზიარებს ა. მენთეშაშვილი, მხოლოდ ელჩობის თარიღად 1320 წ. მიიჩნევს[90]. პ. ინგოროყვა პიპას ელჩობას 1320 წ. ათარიღებს[91].

---

87 ძეგლი ერისთავთა, გვ. 350.

88 მუსლიმანური ეგვიპტის აღსანიშნავად XII—XIV სს. საქართველოში იხმარებოდა ქვეყნის არაბული სახელწოდება „მისრი“ ან „მისრეთი“, ეგვიპტის მუსლიმანი გამგებლისა კი „მისრელი“ (ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან. — წიგნში: XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები. — თსუ შრომები, 125, თბ., 1968, გვ. 56—57). ჩვენი მატიანის „ნისრელი“ დამახინჯებული „მისრელი“ უნდა იყოს.

89 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 269—270.

90 ა. მ ე ნ თ ე შ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან. — ჟურნ. „დროშა“, თბ., 1958, № 9, გვ. 18—19.

91 პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, რუსთაველიანას ეპილოგი — თხზულებანი, I, თბ., 1963, გვ. 697—698.

საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის შესახებ ახალი მასალების მოძიებისა და მანამდე ცნობილის კრიტიკული დამუშავების შედეგად ე. მეტრეველი და ბ. სილაგაძე მივიდნენ დასკვნამდე, რომ ჯვრის მონასტრის მაჰმადიანთა ხელიდან განთავისუფლებისა და ქართველებისათვის გადაცემის ფაქტს, რომელიც მოხდა 1305 წ., დავით VIII-ისა და ბიზანტიის იმპერატორის ანდრონიკე II-ის (1282—1328) დროს, არავითარი კავშირი არა აქვს პიპა ქვენიფნეველის ელჩობასთან[92].

ჯერ კიდევ 1305 წ. ეგვიპტეში დავით VIII-ის დიპლომატიური მისიის საქმიანობის შედეგად საქართველოს თავის განკარგულებაში დაუბრუნდა მაჰმადიანთაგან 1273 წ. მეჩეთად გადაკეთებული ქართველთა ჯვრის მონასტერი იერუსალიმში[93]. მაგრამ საქართველოს საგარეო პოლიტიკის მესვეურთა საზრუნავი ამით არ ამოწურულა. პალესტინის „წმინდა ადგილებზე" ქართველთა უფლებების სრული აღდგენის საკითხი ჯერ კიდევ გადაუჭრელი იყო. მაჰმადიანთა ხელში რჩებოდა ქრისტეს საფლავის სალოცავი (მასთან ერთად აღდგომის ეკლესია და გოლგოთა, რომლებიც ერთიან სამონასტრო კომპლექსს შეადგენდნენ)[94]. ამასთან დაკავშირებით ქრისტეს აღდგომის ეკლესიის ქართველი დეკანოზი იოანე ვარძიელი გვაუწყებს, რომ მაჰმადიანი მფლობელები, რომლებსაც ქრისტეს საფლავის სალოცავის „კლიტენი ჰქონდეს... არც ვის შესვლად უტევებდეს თუნიერ დიდისა ჭირისა და სასყიდლისა და არც ჩვენ გამოსლვად გუტევებდეს"[95].

აღნიშნული „წმინდა ადგილის" მაჰმადიანთა ხელიდან განთავისუფლებას ისახავდა მიზნად პიპა ქვენიფნეველის ელჩობა ეგვიპტის სულთნის კარზე. გიორგი მეფის დავალებით, პიპა ქვენიფნეველს ეგვიპტის სულთნისაგან უნდა მოეთხოვა „კლიტენი იერუსალიმისანი" ანუ ქრისტეს საფლავის სალოცავის გასაღები[96].

---

92 ე. მეტრეველი, იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიიდან. — წიგნში: მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, გვ. 45—98; ბ. სილაგაძე, მასალები საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიისათვის, გვ. 100—101.

93 ი. ჯაფარიძე, ქართული ერის ისტორია, III, გვ. 265—274; ბ. ლომინაძე, საქართველო XIV ს. პირველ ნახევარში. მონღოლთა ბატონობის გადაშენება. გიორგი V ბრწყინვალე. — სინ, III, გვ. 623—669.

94 ე. მეტრეველი, იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიიდან, გვ. 48; ბ. სილაგაძე, მასალები საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიისათვის, გვ. 99; А. Цагарели, Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае.—Православный Палестинский сборник, т. IV, вып. I, СПб., 1888. с. 55.

95 А. Цагарели, Памятники грузинской старины, с. 156; ე. მეტრეველი. იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიიდან, გვ. 46—47.

96 ფრაზა: „კლიტენი იერუსალიმისანი", ცხადია, ქალაქ იერუსალიმის გასაღებს

ეგვიპტის სულთნის კარზე, როგორც მატიანის ზემოთ მოტანილი ცნობა გვაუწყებს, საკითხი დადებითად გადაწყდა, საქართველოს მეფის ელჩს სულთანმა „მისცა კლიტენი იერუსალიმისანი“ ანუ ქრისტეს საფლავის სალოცავის გასაღები, ამის დასტურად კი „იერლაყი შეწყალებისა“, აგრეთვე „აღსრულება ყოვლისა სათხოვლისა“, საფიქრებელია, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით. ქრისტეს საფლავის სალოცავის გასაღების დაუფლება ნიშნავდა ქართველების (ამასთანავე, ქრისტიანობისა საერთოდ) უფლებების აღდგენას აღნიშნულ „წმინდა“ ადგილზე, რაც უზრუნველყოფდა მათს თავისუფალ მიმოსვლას და ადრე არსებული შევიწროებული მდგომარეობის გაუქმებას (ასეთი ვითარება XV ს. შუა ხანებამდე გრძელდებოდა)[97]. ეს ფაქტი, თავის მხრივ შიუთითებს მაშინდელ აღმოსავლეთში საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტისა და პრესტიჟის ამაღლებას და მისი პოლიტიკური წონის აღიარებას აღმოსავლეთის მუსლიმანური სამყაროს მიერ.

სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია, რომ XIV ს. 10—20-იან წლებში საქართველოდან ეგვიპტეში დიპლომატიური მისია გაუგზავნიათ პირველად 1316 წ., მეორედ 1320 წ[98]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არაბულენოვანი წყაროებით ცნობილია აღნიშნულ ელჩობათა მხოლოდ თარიღები, მაგრამ მისიათა შემადგენლობის, მიზნისა და შედეგების შესახებ პირდაპირი მითითება, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი იქნებოდა პიპა ქვენიფნეველის ელჩობის დათარიღება, აღნიშნულ წყაროებში არა გვაქვს, აქედან გამომდინარე, პიპას ელჩობა ან 1316 წლით უნდა დავათარიღოთ, ან 1320 წლით[99]. ელჩობის თარიღის დასადგენად გარკვეული საფუძველი თვით მატიანის ცნობაშია მოცემული. მატიანეში, როგორც ვიცით, საუბარია ქრისტეს საფლავის სალოცავის გასაღების ქართველებისათვის გადაცემის შესახებ, საიდანაც ცხადი ხდება, რომ ადრე ქრისტეს საფლავის სალოცავი და მისი გასაღები მაჰმადიანთა ხელში ყოფილა. მატიანეში გადმოცემული აღნიშ-

---

არ ნიშნავს (ასეთ მოთხოვნას ქართველი მეფეები ეგვიპტის სულთანს ვერც წაუყენებდნენ), არამედ აქ ნაგულისხმევია ქრისტეს საფლავის სალოცავის გასაღები. ამას მოწმობს მატიანის ის ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ პიპა ქვენიფნეველი, მიიღო რა „კლიტენი იერუსალიმისანი, „მივიდა ზედა საფლავსა ქრისტესსა და შეემთხვა“ (იხ. ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 270—271; ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიიდან. გვ. 46).

97 ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიიდან, გვ. 48.

98 იქვე, გვ. 47; ბ. ს ი ლ ა გ ა ძ ე, მასალები საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიისათვის, გვ. 101.

99 ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიიდან, გვ. 47; ბ. ს ი ლ ა გ ა ძ ე, მასალები საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიისათვის, გვ. 101.

ნული ფაქტი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა პიპას ელჩობის დასათარიღებლად. ამასთან დაკავშირებით ბ. სილაგაძემ ყურადღება მიაპყრო XIV ს. არაბი ისტორიკოსის სარიმ ად-დინ იბრაჰიმ იბნ დოკმაკის ცნობებს, რომელთა საფუძველზე ირკვევა, რომ ჰიჯრის 715 წელს (1315 წ. იანვარი — 1316 წ. 25 მარტი), იერუსალიმის აღნიშნული წმინდა ადგილი მაჰმადიანების განკარგულებაში ყოფილა, ხოლო ჰიჯრის 718 წელს (1318 წ. 5 მარტი — 1319 წ. 21 თებერვალი), ე. ი. ნასირ ად-დინ მუჰამადის (1309—1340)[100] სულთნობის ხანაში, ის უკვე ქრისტიანების ხელშია. აქედან გამომდინარე, ბ. სილაგაძე ასკვნის: „პიპა ქვეინფნეველის ეგვიპტეში წასვლაც, რომლის მიზანი იყო სწორედ „კლიტენი იერუსალიმისანის" მიღება ანუ „იესოს საფლავად მიჩნეული სალოცავის" დახსნა, უნდა მომხდარიყო 1318 წლამდე, კერძოდ, 1316 წელს, რადგანაც მაჰმადიან მწერალთა ცნობებით, ქართველი მეფის ელჩები ამ დროს ჩანან ეგვიპტის გამგებლის კარზე"[101].

ე. მეტრეველი და ბ. სილაგაძე ამ ელჩობის ინიციატორად მიიჩნევენ გიორგი V ბრწყინვალეს, რადგანაც ისინი იზიარებენ აღნიშნული მეფის ტახტზე ასვლის ტრადიციულ თარიღს (1314 წ.). უკანასკნელ ხანებში საკითხის საგანგებო კვლევამ ცხადყო, რომ 1316 წლისათვის მეფის ტახტზე იჯდა გიორგი VI მცირე[102]. აქედან გამომდინარე „ძეგლი ერისთავთას" განსახილველ ცნობაში მოხსენიებული გიორგი მეფე უნდა გაიგივებულ იქნეს გიორგი VI მცირესთან.

* * *

„აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით ინტერესს იწვევს „ძეგლი ერისთავთას" შემდეგი ცნობა: „ამათ ჟამთა მოვიდეს თურქნი წინაძღომითა ბაედარის ძისა ხოსიადსითა და მოკლეს მეფე გიორგი და ყოველნი მთავარნი და დიდებულნი ქართველნი. და მუნ(ვე) მოკუდა ერისთავი ქუენიფნეველი". იქვე, ხელნაწერის აშიაზე შესრულებულია ასომთავრული მინაწერი: „ქ(ანი) ჲ(ა)": [103], ე. ი. ქრონიკონი 61, რაც უდრის 1373 წელს.

---

[100] К. Э. Босворт, Мусульманские династии. М., 1971, с. 99; შდრ: С. Лэн-Пуль, Мусульманские династии. СПб., 1899, с. 63.

[101] ბ. სილაგაძე, მასალები საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიისათვის, გვ. 102—103.

[102] ვრცლად იხ. ვ. კიკნაძე, XIV ს. დასაწყისის საქართველოს ისტორიიდან (გიორგი V გამეფების თარიღი). — მაცნე. ისტორიის სერია, 1983, № 2, გვ. 178 და შმდ.

[103] ძეგლი ერისთავთა, გვ. 354.

მატიანის მოტანილ ცნობაში მითითებული არ არის, კონკრეტულად რომელ ბრძოლაზეა საუბარი. მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ მასში დასახელებული „მეფე გიორგი“ იგივე გიორგი ალასტანელია, XIV ს. მეორე ნახევარში მოღვაწე პროვინციელი მეფე. აღნიშნული იდენტიფიკაცია საშუალებას იძლევა გაირკვეს, თუ რომელ ბრძოლაზეა საუბარი მატიანის ჩვენთვის საინტერესო ცნობაში. 1433 წლის „წყალობის წიგნი ალექსანდრე მეფისა სვეტიცხოვლისადმი“ გვაუწყებს, რომ გიორგი ალასტანელი, მატიანის „მეფე გიორგი“, დაღუპულა ლორეს ციხესთან დამპყრობელი „აგარიანების“ წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში[104]. რადგანაც ძეგლის „მეფე გიორგი“ და დასახელებული სიგლის „გიორგი ალასტანელი“ ერთი და იგივე პირია, აქედან თავისთავად გამომდინარეობს დასკვნა, რომ „ძეგლი ერისთავთას“ ჩვენთვის საინტერესო ამონაწერში საუბარი ეხება ლორეს ციხესთან ბრძოლას, რომელიც ძეგლის ქრონიკალური მინაწერით 1373 წ. მომხდარა.

ამის შემდეგ ლორე ქართველებს დაუბრუნებიათ 1420—1424 წლებს შორის, მაგრამ მალე კვლავ დამპყრობთა ხელში გადასულა[105].

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ დღეისათვის ცნობილ არც ერთ ქართულ წყაროში არ გვხვდება ცნობები XIV ს. მეორე ნახევარში ლორეს ციხის თურქების მიერ დაპყრობის კონკრეტული თარიღის და ბრძოლაში მონაწილე პირთა შესახებ, მაშინ ნათლად წარმოჩნდება განსაკუთრებული მნიშვნელობა ძეგლის აღნიშნული ცნობისა, სადაც გადმოცემულია ამ ბრძოლის თარიღი (მინაწერის სახით), დასახელებულია მოწინააღმდეგე მხარეები და პირთა ვინაობა.

ლორეს მხარის დამპყრობთა მიერ პირველად მიტაცების დროისა და ვითარების გასარკვევად მკვლევრები მხოლოდ ალექსანდრე I-ის ზემოთ დასახელებული სიგლის მონაცემებს ეყრდნობიან. ლორეს მხარე ალექსანდრე I-მა 1431 წ. შემოიერთა[106]. მეფემ შემოერთებულ მხარეში სოფელი ამუჯი სვეტიცხოვლის საკათალიკოსოს შესწირა და შეწირულობის სიგელიც გასცა 1433 წ. სიგელში აღნიშნულია, რომ ლორეს მხარეში ქართველი ფეოდალების ძველი მფლობელობის გამორკვევა შესაძლებელი გამხდარა მხოლოდ წერილობითი დოკუმენტებისა და „პაპათა და მამათაგან... მაჯსოვრობის“ საშუალებით[107]. აქე-

---

104 ს. კაკაბაძე, მეფე გიორგი ანდრონიკეს შვილი ალასტანელი, გვ. 13.

105 იხ. ა. აბდალაძე, XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიიდან — მაცნე, ისტორიის სერია, 1976, № 3, გვ. 76—79.

106 ს. კაკაბაძე, მეფე გიორგი ანდრონიკეს შვილი ალასტანელი, გვ. 16—17; თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 236; ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 427; ბ. ლომინაძე, საქართველო XV საუკუნის პირველ ნახევარში. — III, გვ. 724.

107 ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 123.

დან გამომდინარე, ს. კაკაბაძე ასკვნის, რომ „ლორეს ციხის თურქთაგან დაპყრას შორის. ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, 1431 წლამდის, რომელსაც ლორის ციხე უკან დაბრუნებულ იქნა, საკმაო დრო უნდა გასულიყო, არა ნაკლებ 2 თაობისა"[108]. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ 1431 წლისათვის ლორეს მხარის დაპყრობა „უკვე ორი-სამი თაობის წინათ მომხდარი ამბავი იყო"[109]. ბ. ლომინაძის მოსაზრებით, „ლორეს მიტაცება 1386—1387 წლებში უნდა მომხდარიყო თემურ-ლენგის პირველი შემოსევების დროს"[110]. როგორც ვხედავთ, სამეცნიერო ლიტერატურაში ლორეს მხარის XIV საუკუნეში უცხო დამპყრობთაგან მიტაცების დრო დაახლოებითაა გარკვეული, რადგანაც წყარო, რომელიც საფუძვლად უდევს მკვლევართა აღნიშნულ თვალსაზრისებს, მეტის საშუალებას არ იძლევა.

მატიანის განსახილველ ცნობას გარკვეული წვლილი შეაქვს აღნიშნული საკითხის დაზუსტებაში. ამ ცნობით ირკვევა, რომ ლორეს მხარე „თურქებს" დაუპყრიათ 1373 წ. ხოსია ბაედარის ძის მეთაურობით. ამ დროიდან ლორეს კვლავ საქართველოსთან შემოერთებამდე (1431) 58 წელი გასულა. შემოსეულ მტრებთან უთანასწორო ბრძოლას შეეწირნენ პროვინციის მეფე გიორგი ალასტანელი და ცხრაზმის ერისთავი ქვენიფნეველი და მრავალნი „მთავარნი და დიდებულნი ქართველნი"[111].

* * *

„ძეგლი ერისთავთა" ერთ-ერთი საყურადღებო წყაროა, რომელშიც აისახა XIV—XV სს. მიჯნაზე თემურ-ლენგის ურდოების საქართველოში შემოსევებისა და თემურის წინააღმდეგ ქართველი ხალხის

---

108 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, მეფე გიორგი ანდრონიკეს შვილი ალასტანელი, გვ. 17.

109 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 426.

110 ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, საქართველო XV საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 724—725.

111 არ არის მთლად ნათელი ძეგლის „თურქებისა" და მათი წინამძღოლის „ხოსია ბაედარის ძის" ვინაობა, რამეთუ ქართულ წყაროებში „თურქი" ზოგჯერ ზოგადად მაჰმადიანების აღსანიშნავად იხმარება. ამის გამო ჭირს გარკვევა იმაში, თუ „თურქის" ქვეშ კონკრეტულად რომელი ხალხი ან პოლიტიკური ერთეული იგულისხმება. შეიძლება ძეგლის „თურქები" XIV ს. მეორე ნახევარში საქართველოს მეზობელ ჯალაირიანთა სახელმწიფოს გულისხმობდა (ჯალაირიანთა სახელმწიფოს შესახებ XIV ს. მეორე ნახევარში იხ. А. А. А л и-з а д е, Социально-экономическая и политическая история Азербайджана XIII—XIV вв., Баку, 1956, с. 330 и др.). გამორიცხული არაა ისიც, რომ მატიანის ცნობაში საქმე გვქონდეს შცირეზღელი თურქების რომელიმე ტომთან.

ბრძოლის ცალკეული ეპიზოდები.-აღნიშნულ ხანაში შექმნილი საქართველოს ისტორიის ქართული ნარატიული წყაროებიდან ერთადერთია „ძეგლი ერისთავთა“, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია. ამდენად განსაკუთრებულია ინტერესი თემურ-ლენგის შემოსევათა პერიოდის ამსახველი ძეგლის ცნობებისადმი, რომლებიც გადმოცემულია ამ პერიოდის თანამედროვე და თვითმხილველი ავტორისაგან.

მატიანის იმ მონაკვეთში, სადაც გადმოცემულია XIV ს. მიწურულის ამბები, ნათქვამია: „გიორგი მეფე განილაშქრა ალინჯას ყოველითა სპითა ქართველითა, იმერლითა, მესხითა და შირვანელითა. მივიდა ალინჯას და გამოიყვანა ძე სულტნისაჲ, შეყენებული ციხესა ალინჯისასა და დაჴოცა ლაშქარი თემურ ყანისაჲ და მოვიდა განმარჯვებული“[112].

• მოტანილ ცნობაში დასახელებული ალინჯის ციხე ნახჭევნის სანაზღვრებში მდებარეობს. მიუხედავად მრავალგზისი შეტევისა და ხანგრძლივი ალყისა, თემურ-ლენგმა აღნიშნული ციხის აღება ვერ მოახერხა.' ძეგლის იმავე ცნობაში დასახელებული „ძე სულტნისაჲ, შეყენებული ციხესა ალინჯისასა“ არის ჯალაირიანთა დინასტიის წარმომადგენელი სულთან აჰმედ ჯალაირის მემკვიდრე უფლისწული თაჰერი. ეს უკანასკნელი, მიუხედავად დამარცხებისა, თემურ-ლენგს არ დანებდა და ალინჯის მიუვალ ციხეში გამაგრდა. ამის შემდგომ ალინჯის ციხე და მასში გამაგრებული თაჰერი თემურის ლაშქრის ხანგრძლივ ალყაში აღმოჩნდა[113]. 1395 წ. თოხთამიშ-ხანის განადგურების შემდეგ შარვანში დაბრუნებულმა თემურ-ლენგმა ირანისა და ამიერკავკასიის გამგებლობა თავის შვილს მირანშაჰს ჩააბარა, მასვე დაავალა ალინჯის ციხის აღება, თვითონ სამარყანდში გაბრუნდა და 1398 წ. შემოდგომაზე ინდოეთისაკენ სალაშქროდ დაიძრა. ამ დროიდან ალინჯის ციხის ალყა ახალი ჯარით გააძლიერეს და გარე სამყაროსთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტის მიზნით ციხეს მაღალი კედელი შემოავლეს. ამის შემდეგ ალინჯის ციხეში ალყაშემორტყმული თაჰერ ჯალაირი და ციხის გარნიზონი კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. საფრთხე, რომე-

---

112 ძეგლი ერისთავთა, გვ. 358. იმავე ფაქტზე მოგვითხრობს ვახუშტი (იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 270); ალინჯის ციხეზე ლაშქრობის შესახებ საუბარია ლარგვისის პარაკლიტონის გრიგოლ ბანდაიასძის მინაწერში: „მეფობასა შინა მეფეთ-მეფისა გიორგი, ბაგრატის ძისასა, და ერისთაობასა შინა ერისთავთ-ერისთავისა ქვენიფნეველისა ვირშელისასა, ოდეს იგი დიდთა ომთაგან გამარჯვებული ალინჯით მოვიდეს...“ (თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 204; ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 298).

113 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 412—413; კ. ტ ა ბ ა ტ ა ძ ე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ XIV—XV სს. მიჯნაზე. თბ., 1974, გვ. 97—101; დ. კ ა ც ი ტ ა ძ ე, საქართველო XIV—XV სს. მიჯნაზე. თბ., 1974, გვ. 141—142.

ლიც ამიერკავკასიაში წინააღმდეგობის ერთ-ერთ ძლიერ კერას დაემუქრა, საქართველოს პოლიტიკურ მესვეურებს სწორად შეუფასებიათ და მისთვის დახმარების აღმოჩენაც გადაუწყვეტიათ. ამას ისახავდა მიზნად საქართველოს მეფის გიორგი VII-ის ლაშქრობა ალინჯის ციხეზე, რაზედაც საუბარია მატიანის ზემოთ მოტანილ ამონაწერში.

ალინჯის ციხესთან გამართული ბრძოლა ვრცლადაა აღწერილი სპარსულენოვან წყაროებში[114]. მიუხედავად საკითხის გარშემო არსებული უცხოური წყაროების სიუხვისა, „ძეგლი ერისთავთას" ზემოთ მოტანილი ცნობა ინტერესსმოკლებული არ რჩება. ძეგლში, როგორც ქართულ სინამდვილეში შექმნილ მატიანეში, ყურადღება გამახვილებულია ჩვენთვის საინტერესო ფაქტის სწორედ იმ მხარეზე, რომელიც უცხოელი ავტორებისათვის, ბუნებრივია, შეუმჩნეველი რჩებოდა. საქმე ეხება საქართველოს ლაშქრის შემადგენლობას, რომელიც ძეგლში დაწვრილებითაა გადმოცემული. გიორგი VII-ს სალაშქროდ გაუმზადებია — ქართლი, იმერეთი, მესხეთი — თითქმის მთელი საქართველო მოკავშირე შარვანითურთ. ამასთანავე, აღნიშნული ჩვენებით ცხადი ხდება ისიც, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და რა დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა საქართველოს სამეფო კარი ალინჯის ციხეზე ლაშქრობას.

* * *

„ძეგლი ერისთავთაში" აღწერილია თემურ-ლენგის მარბიელი ლაშქრის შემოსევა ქსნის ხეობაში: „მოვიდა თემურ სამანგნელი ყოვლითა სპითა ჩაღანელ-ქაშანელ-სიყალბელ-ნაჰრომელ-ინდუსტანელითა და ყოვლითა სპარსეთისა და აღმოსავლისა ლაშქრითა... დიდითა რისხვითა და გულისწყრომითა". უთანასწორო ბრძოლების შედეგად „გიორგი მეფე წარვიდა ლიხთიმერით". მეფის დასავლეთ საქართველოში გადასვლის შემდეგ „ერისთავი ვირშელი უკუდგა ციხესა ბეხუშისასა დედა-წულითა და ჯოგითა და თანაპყვა" მტრის მოძალების გამო მცხეთიდან ქსნის ხეობაში შემოხიზნული „კათალიკოზი ელიაზ ყოვლით საყდრისშვილითურთ და ხიზნითა დიდითა..."[115] მტრის ბანაკში გამოცხადებულა ვინმე ბურდიასშვილი ვირშელი, რომელსაც ქსნის ხეობაში თემურ-ლენგის ლაშქრისათვის მეგზურობა გაუწევია.

---

114 კ. ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ, გვ. 100—101; დ. კაციტაძე, საქართველო XIV—XV სს. მიჯნაზე, გვ. 141—142.

115 ძეგლი ერისთავთა, გვ. 358.

თემურის მარბიელმა ლაშქარმა ქსნის ხეობაში დაუნდობელი სისასტიკით „შემუსრა ყოველნი ციხენი და დააქცივნა ყოველნი საყდარნი, მონასტერნი და ეკლესიანი და დაფარნა ლაშქარმან მათმან ყოველნი მინდორნი, მთანი და ტყენი, კლდენი და ჯევნი". როდესაც თემურ-ლენგის მარბეველი ლაშქარი ქსნის ხეობაში შემოვიდა, ვირშელ ერისთავმა მასთან შემოხიზნული კათალიკოსი და „დედა-წულნი" მტრის მოახლოების გამო ბეხუშეს ციხიდან გამოიყვანა და „უკუაყენა... ქნოღოს", ხოლო თვითონ საერისთავოს ლაშქრით „დადგა ბეხუშეს გარეშე ციხესა". მოწინააღმდეგის პირველი შემოტევის დროს ერისთავმა „მიაგება წინა მშვილდოსანნი", რომლებმაც მტერი ადვილად მოიგერიეს, მაგრამ მალე მოწინააღმდეგეებმა „მოირთეს ძალი" და გაძლიერებული ლაშქრით შეტევაზე გადმოვიდნენ და ციხეს მოადგნენ. ციხესთან მოახლოებისთანავე „ჩამოეგებნეს აზნაურისშვილები და იწყეს სროლად ისრითა და დაუჯოცეს ცხენები და დაკოდეს მრავალი ისრითა და გამოსხნეს ჰომითა". უკანდახეულმა მოწინააღმდეგემ ამჯერად უფრო მრავალრიცხოვან ძალებს მოუყარა თავი, „შეკრბეს სიმრავლითა დიდითა და წარმოემართნეს ჯევთა, ტყეთა, კლდეთა და მოჰმართეს ციხესა ბეხუშისასა". ერისთავმა თავი აარიდა მტრის ჭარბ ძალებთან შებმას და „ბეხუშის გარეშე ციხიდან" გადაინაცვლა „ზემოადთ ციხესა", სადაც ხეობის ვიწრო გასასვლელი ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მისი მცირერიცხოვანი ჯარის ეფექტური მოქმედებისათვის. ხეობის ვიწრობებში შემოსულ დამპყრობთა მეწინავეებს ქვეითად „ჩამოეგებნეს წინა ვირშელი და მოახლენი მისნი" და ხელჩართული ბრძოლა გაუმართეს. მომხვდურთა რიცხობრივმა უპირატესობამ მნიშვნელობა დაკარგა, რადგანაც ხეობის სივიწროვის გამო „ვერ მოეტეოდა ლაშქარი მრავალი". ციხის დამცველთა მედგარი წინააღმდეგობის შედეგად „მიბრუნდნენ წინანი მბრძოლნი, რამეთუ მრავალი მოკუდა მათგანი". დამარცხებული და უკანდახეული მეწინავეების კვალდაკვალ „წარმოვიდა ყოველი სპაჲ" თემურ-ლენგისა. ამის შემდგომ თემურ-ლენგის მარბიელი ლაშქარი იძულებული გახდა გასცლოდა ქსნის ხეობას, ვირშელ „ერისთავი განმარჯუებული მოვიდა ქნოღოს ხილვად დედა-წულთა"[116].

თემურ-ლენგის აღნიშნული შემოსევა ქსნის ხეობაში, ლარგვისის პარაკლიტონის მინაწერის მიხედვით, 1400 წ. მაისში მომხდარა[117]. აღნიშნული ამბები თემურ-ლენგის კარის ისტორიკოსებს არ აღუ-

---

116 ძეგლი ერისთავთა, გვ. 358—359; შდრ; კ. ტ ა ბ ა ტ ა ძ ე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ XIV—XV სს. მიჯნაზე, გვ. 130—131;

117 თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 204; ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 298—299; კ. ტ ა ბ ა ტ ა ძ ე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ XIV—XV სს. მიჯნაზე, გვ. 132.

წერიათ[118]. ამის შესახებ ცნობები არ გვხვდება თემურ-ლენგის შემოსევათა ამსახველ ქართულ საისტორიო თხზულებებშიც. „ძეგლი ერისთავთა“ ერთადერთი ქართული ნარატიული (ამავე დროს, თანადროული) წყაროა, სადაც გადმოცემულია თემურ-ლენგის მარბიელი ლაშქრის შემოსევა ქსნის ხეობაში. ამ თვალსაზრისით მატიანის ცნობების მნიშვნელობა განსაკუთრებულია.

* * *

„ძეგლი ერისთავთა“ ცხრაზმის ერისთავების მეზობელ თემებთან ურთიერთობის ფონზე XIII—XV სს. ქართლის მთიანეთის პოლიტიკური ცხოვრების ცოცხალ სურათს გვიხატავს.

XIII—XV სს. მანძილზე ცხრაზმის საერისთავოს პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთ ცენტრალურ უბანს წარმოადგენს ურთიერთობა მეზობელი დვალეთის მოსახლეობასთან, რაც გამუდმებით ურთიერთთავდასხმებისა და ბრძოლების ხასიათს ატარებს[119].

დვალეთი, მართალია, ადრიდანვე საქართველოს სამეფოს პოლიტიკურ საზღვრებში შემოდიოდა[120], მაგრამ სახელმწიფოს ჩრდილოეთის საზღვრის ამ უკიდურეს ნაწილს ცენტრალურ ხელისუფლებასთან ურთიერთობაში შედარებით დამოუკიდებლად ეჭირა თავი.

ცხრაზმის ერისთავებს, ძეგლის მიხედვით, განუწყვეტელი ბრძოლების წარმოება უხდებათ როგორც საკუთრივ დვალეთთან, ისე მაღრან-დვალეთთან.

1302 წ. მონღოლთა ურდოდან დაბრუნების შემდგომ შალვა ერისთავმა „მიჰმართა ჯევთა დვალეთისათა და მოაოჯრნა ყოველნი“. მაგრამ მალე, ერისთავის ლაშქარს „მოუჯდეს შავდვალნი“. ეს უკანასკნელნი „მიაწყუდივნეს მთხრებლსა კლდისასა... და მოსრეს სიმრავლე არამცირედი დვალთაჲ. მაშინ მოწუნეს და მოაოჯრნეს ყოველნი ციხენი თრუსეთით აჩაბეთამდის“[121].

ურთიერთთავდასხმები განახლდა XIV ს. 60-იან წლებში ქვენიფნელის ერისთავობის დროს. ამჯერად ჟამურის ხეობის მოსახლეობას

---

118 კ. ტ ა ბ ა ტ ა ძ ე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ XIV—XV სს. მიჯნაზე, გვ. 132.

119 იხ. ვ. გ ა მ რ ე კ ე ლ ი, სოციალური ბრძოლის ისტორიიდან ქართლის მთიანეთში XIII—XIV საუკუნეებში, გვ. 239, 240—241; В. Н. Гамрекели, Двалы и Двалетия в I—XV вв. н. э., Тбилиси. 1961, с. 99—102.

120 იხ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, ტფ., 1919, გვ. 6—9.

121 ძეგლი ერისთავთა, გვ. 348.

(რომელიც ცხრაზმის საერისთავოში შემოდიოდა) „მოუჯდეს ყოველნი დვალნი. მაშინ ბრძოლა — უყვეს ჟამურელთა". ამ დროს ჟამურში იმყოფებოდნენ „ბეგრის მკრეფელნი ცხრაზმელნი", რომლებიც ჟამურელებს შეეწივნენ. დამარცხებული დვალები „შეიხუეწნეს ციხეთა ქნოღოჲსათა. მაშინ სთხოვდეს ჟამურელნი (დვალთა გაცემას — გ. ა.), ხოლო მათ (ქნოღოელებმა — გ. ა.) არღარა მისცენეს". ამის შემდეგ ჟამურელნი „მოვიდეს წინაშე ერისთავისა და შეასმინნეს ქნოღოელნი". პასუხად ერისთავმა ქვენიფნეველმა „განილაშქრა ქნოღოს და დაარღვნა ციხენი მათნი და მოწუა ქუეყანაჲ მათი"[122]. მიუხედავად ამისა, მოკლე ხანში დვალებმა „წაასხეს ხუასდაგი ჟამურით. ესმა ერისთავსა და წარვიდა, მივიდა სოსხოს და ნახევარი ლაშქარი დასხა მალულად და ნახევარითა მოადგა სამსა მას სოფელსა და ციხესა ზემოსა". შუაში მოქცეული დვალები ერისთავის მეომრებმა ადვილად დაამარცხეს, „აღივსნეს ყოველნი ლაშქარნი ალაფითა და წარმოვიდა განმარჯვებული"[123].

1376 წ. ახლო ხანებში „იყო შფოთი და პოე[ს]ჟამი დვალთა და წაასხეს ღუდით ზროხაჲ". ერისთავმაც არ დააყოვნა საპასუხო ლაშქრობა, თავისი მეომრებით „მივიდა ერემას, წუხლეთს და წუბენს და დაარღვნა ციხენი მათნი და დაწუა და აღაოჯრე ქუეყანაჲ მათი და წარმოვიდა განმარჯვებული"[124].

ამის შემდგომ დვალები თავს ესხმიან საერისთავოს ჩრდილო-დასავლეთიდან: „ქუემო დვალთა წაა[ს]ხეს ზროხაჲ აწერისჴევით. ესმა იოვანეს (ერისთავს — გ. ა.) და განილაშქრა... და ჩავიდეს თლისისჴევს და მოაოჯრეს თლე ბიბილურთაჲ და წერღუჸ, და აღ[ი]ვსნეს ლაშქარნი ყოვლითა ალაფითა და ნატყუენავითა და წარმოვიდეს განმარჯუებულნი"[125].

როგორც მოტანილი ამონაწერებიდან ჩანს, დვალეთში ერისთავთა ლაშქრობების აღწერისას მატიანის ავტორი საგანგებოდ ხაზს უსვამს ერისთავთა მიერ დვალების ციხეთა დაპყრობას თუ დანგრევას, რაც აიხსნება იმით, რომ ციხე-სიმაგრეები შეადგენდნენ დვალთა დამოუკიდებლობის საფუძველს. ციხეთა დაპყრობით ან შემოერთებით საერისთავო ბოლოს უღებდა დვალთა დამოუკიდებლობას და მორჩილების გზაზე აყენებდა მათ, ციხეთა დანგრევით კი თავდაცვისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნების საშუალებას, ასევე, საერისთავოზე მეკობრული თავდასხმების შესაძლებლობას უსპობდა მათ.

---

122 ძეგლი ერისთავთა, გვ. 353.
123 იქვე.
124 იქვე.
125 იქვე.

აღნიშნული გარემოება ნათელს ხდის დვალთა წინააღმდეგ ერისთავების ბრძოლების მიზნებსა და ამოცანებს, რაც მდგომარეობდა ერისთავების მისწრაფებაში დვალეთის ტერიტორიის საერისთავოსთან შემოერთებისა და დამორჩილებისაკენ, რაც საბოლოო შედეგში დვალეთის ცენტრალური ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებასაც ნიშნავდა. ამიტომ სამეფო ხელისუფლება მტკიცედ უჭერდა მხარს ერისთავებს დვალეთის დამორჩილებაში.

ცხრაზმის ერისთავები დვალეთზე თავიანთი ხელისუფლების გავრცელებას ცდილობდნენ როგორც იარაღის საშუალებით, ისე მშვიდობიანი გზით. ეს კარგად ჩანს მატიანის ცნობიდან, სადაც აღნიშნულია, რომ ცხრაზმის ერისთავებმა დვალებს „ესეოდენი მოაწია, რომელთამე წვითა. კლვითა, დაფორიაქებითა, დაქცევითა ციხეთაჲთა, ტყუეობითა, შიშითა და პატიჯებითა და კუალად სხუათა სიყუარულითა, გამოსუენებითა, მიცემითა და შემოსითა ფერად-ფერადითა სამოსელთაჲთა“. მიუხედავად ამისა, „პოონ ჟამი ჩუენ ზედა, ოდეს ჩუენ უცალო ვიყუნეთ სხჳსა შფოთისაგან, მათ შური იგონ და დატყუენონ ნაპირი, მათ კერძო სოფელი ჩუენი“[126], — ნათქვამია საერისთავოს ლაშქრისადმი ერისთავ ვირშელის მიმართვაში.

დვალეთის დამორჩილებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებული ეტაპი შეინიშნება XIV ს. 90-იანი წლებიდან, როდესაც ერისთავი ვირშელ III ცდილობს საერისთავოს მთელი ძალებით გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდეს დვალეთის სრული დამორჩილების მიზნით. ვირშელმა, მატიანის თანახმად, „შეკრიბა ყოველი ლაშქარი მისი და ჰრქუა თავადთა და ლაშქართა ყოველთა“, რომ დვალები „სამარადისოდ ჟამისა პოვნასა მოელოდიან. ან ჩუენცა მოვიცალოთ მათთჳს, ანუ ავაოჯროთ ქუეყანაჲ მათი და ანუ შევქმნეთ მსახურ და მობეგრედ ჩუენდა“[127].

საერისთავოს ლაშქარი ვირშელის წინამძღოლობით „წარემართნეს და შედგეს მთასა ბეხუშისასა. და ესმა ქუემო დვალთა კოშკელ-იოსებურთა. თლეველ-მუღისველელთა, ზღურბრელ-როკაელთა“, რომლებმაც ერისთავის ლაშქართან ბრძოლის გამართვას მშვიდობიანი მორჩილება არჩიეს. „მ[ო]უსხეს მძევლები, ძღუენი და ბეგარა და ფიცით აღუთქუეს ერთგულად მსახურებაჲ“. ამის შემდეგ ერისთავმა „შეიწყალა ქუეყანაჲ მათი და არაჲ ბოროტი უყო მათ“[128]. აქედან ერისთავი მაღრან-დვალეთში გადავიდა. მაღრან-დვალები „ბრუტასშვილნი და კელეურ-კაბუშეურნი და ყოველი სისხოელ-წუბენისკეველნი, ხოჯაელ-

---

126 ძეგლი ერისთავთა, გვ. 356.

127 იქვე.

128 იქვე, გვ. 357.

წაელნი მძევლითა, ბეგარითა და ძღუენისა სიმრავლითა“ ეახლნენ ერისთავს. ამ უკანასკნელმა „მოიმტკიცნა ფიცითა და აღუთქუეს (მაღრან-დვალებმა — გ. ა.) ერთგულებით მონებაჲ“[129]. ასევე „ძღუენის სიმრავლითა და ერთგულებისა ჩუენებითა მოეგებნეს თრუსუელნი“[130].

ამრიგად, ოცხრაზმის ერისთავს დვალეთის დიდმა ნაწილმა უბრძოლველად გამოუცხადა მორჩილება. მაგრამ დვალთა გარკვეულმა ნაწილმა, კერძოდ, მნაველებმა, უარი განაცხადეს მორჩილებაზე და „არა ინებეს“ „მოსლვად წინაშე“ ერისთავისა. ეს უკანასკნელი თავისი ლაშქრით „მოადგეს... ციხეთა მნისათა... შესტეხეს კარები და შეიპყრეს ყოველი მბრძოლი და მოიყვანეს წინაშე ერისთავისა და დაწუ[ნ]ეს და დაარღჳ[ვ]ნეს ციხენი და სოფელნი მათნი“[131].

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, დვალების სრული დამორჩილება საბოლოო ანგარიშით ვერ მოხერხდა. დვალები ცდილობენ ისარგებლონ ყოველი მარჯვე შემთხვევით, რომ თავი დააღწიონ ერისთავების ხელისუფლების გავლენას.

როდესაც თემურ-ლენგის მარბიელ ლაშქართან ბრძოლაში გამარჯვებული ერისთავი ვირშელი „მოვიდა ქნოღოს ხილვად დედა-წულთა“, რომლებიც საერისთავოში უცხოელთა შემოსევის გამო ქნოღოს ციხეში ჰყავდა შეხიზნული, „კაცმან ქნოღოელმან, რომელსა ერქუა ხარება, აუწყა ყოველთა დვალთა, ვითარმედ მტერი თქუენი ყოველთა სახლსა შინა ჩემსა არს, აწ მოვიდით და მოვკლათ ესე, რამეთუ ჴელთა შინა ჩუენთა არს. მაშინ შეკრბეს ყოველნი დვალნი სიხარული[თა] და წარმოვიდეს“. შეიტყო რა დვალების განზრახვა, ვირშელ ერისთავი იძულებული გახდა სასწრაფოდ გაცლოდა იქაურობას. უკანდახეულ ერისთავს გზად „მი[ე]წივა ხარება და ზოგი რაჲმე სალაროჲ წ[არ]ეულო“[132]. ამის შემდგომ „ვირშელმან შეკრიბა ლაშქარი, რომელი დაჰრჩომოდა“ და მოადგა ქნოღოს ციხეს, სადაც „შეაწყუდივნა“ ხარება და მისი მეთაურობით აჯანყებული დვალები. ერისთავი მკაცრად გაუსწორდა დამარცხებულებს და „დიდად შურ იგო მათ ზედა“[133]. ამასობაში ერისთავის ლაშქრის წინააღმდეგ აღდგა დვალების დანარჩენი მოსახლეობაც, რომლებიც „მიუჴდეს... ბრძოლად, არამედ ვერ შეუძლეს“. ლაშქრის სიმცირის გამო ვერც ერისთავმა გაბედა მათთან შებმა და მუქარით უკან გამობრუნდა[134].

როგორც ვხედავთ, დვალთა წინააღმდეგობის გატეხვა და მათზე

---

129 ძეგლი ერისთავთა, გვ. 357.
130 იქვე.
131 იქვე, გვ. 357—358.
132 იქვე, გვ. 359—360.
133 იქვე, გვ. 360.
134 იქვე.

ერისთავის ხელისუფლების განმტკიცება საერისთავომ საკუთარი ძალებით ვერ უზრუნველყო. მდგომარეობის მოსაწესრიგებლად აუცილებელი შეიქმნა სამეფო ხელისუფლების ღონისძიებები.

„თემურ-ლენგის უკანასკნელი შემოსევის (1403 წ.) შემდეგ სამეფო ხელისუფლებას საშუალება მიეცა ქვეყნის საშინაო მდგომარეობის განმტკიცებაზე ეზრუნა. გიორგი VII-მ ლიხთიმერეთიდან აღმოსავლეთ საქართველოში გადმოსვლისთანავე სამეფოს მნიშვნელოვანი ძალებით დვალეთის წინააღმდეგ გაილაშქრა. ბრძოლა წარიმართა სამი მიმართულებით: გიორგი მეფე „შემოვიდა გზასა აჩაბეთისასა და იწყო ტყუენვაჲ და ოჯრებაჲ მათი"; ვირშელი საერისთავოს ლაშქრით „ჩავიდა სოსხოს და აიღო მას დღესა რვაჲ ციხე და სოფელი ხუთი"; ქართლის ერისთავთერისთავი სურამელი შიდა ქართლისა და არაგვის საერისთავოს ლაშქრით „ბრძოლილ იყუნეს კლდესა ხოჯისასა ორ დღე".

ორი დღის ბრძოლის შემდეგ „აიყარნეს ორნივე ერისთავნი (სურამელი და ვირშელი — გ. ა.) და ჩაიარეს მაღრან-დვალეთი". ვირშელ ერისთავი როკაში შეჩერდა, „რამეთუ ვერ ეძლო სლვად ლაშქარსა სიმძიმისაგან ალაფისა", სურამელმა და მისმა მეომრებმა კი „მიჰმართეს კარად მეფისა". ხოლო „მეორესა დღესა მივიდა ვირშელი წინაშე მეფისა". ბრძოლაში მოპოვებული ალაფი მეფემ იქვე გაანაწილა[135].

ამ ლაშქრობის შედეგად გადაწყვეტილ იქნა თუ არა დვალეთის საერისთავოსადმი დამორჩილების საკითხი, მატიანიდან არ ჩანს, რადგანაც ტექსტი წყდება ამ ლაშქრობის დასასრულის აღწერაზე და ის ნაწილი, სადაც ლაშქრობის შედეგები იქნებოდა გადმოცემული, ხელნაწერს აკლია.

* * *

„ძეგლი ერისთავთას" ცნობები რელიეფურად ასახავს ცხრაზმის საერისთავოსა და არაგვის ხეობის მოსახლეობის ურთიერთობას, რომელიც. ძეგლის მიხედვით, უპირატესად, ურთიერთქიშპითა და მტრული დამოკიდებულებით ხასიათდება.

1302 წ. ვახტანგ III-სთან ერთად ილხანთა საყაენოდან დაბრუნების შემდგომ შალვა ერისთავი თავისი ლაშქრით შეესია არაგვის ხეობას: „შალვა დადგა ჴადას და ესოდენ ძლიერად ჰბრძოდა, რომელ ერთსა დღესა აიღო ცხრაჲ ციხე და დაარღჳა და მას ერთსა კჳრიასა დაარღჳა ციხე ოცდახუთი, თხუთმეტი იქით არაგჳსა"[136].

---

135 ძეგლი ერისთავთა, გვ. 361—362.

136 იქვე, გვ. 348.

ცხრაზმელებსა და არაგვისხველებს შორის არსებული ქიშპი და მტრობა განსაკუთრებულ მწვავე წინააღმდეგობაში გადაიზარდა 1320-იან წლებში..ამ დროს გიორგი V ბრწყინვალემ (1314—1346) გადამჭრელი ზომები მიიღო ქართლში მოძალებული ოსების წინააღმდეგ და სამეფოს ლაშქრით მოადგა „ოვსთა გორს მყოფთა და ჰბრძოდა სამ წელ“. აღნიშნულ ბრძოლაში მონაწილეობდნენ ცხრაზმის საერისთავოს ლაშქარი ვირშელ II-ის მეთაურობით და „მთიულნი არაგუსანი“. მემატიანის სიტყვებით, „ვირშელი და ლაშქარი მისი უმჯობეს ჰბრძოდა სპისა ყოვლისაგან და აქებდეს ქებითა დიდითა“, რამაც, ავტორის განცხადებით, არაგვის მთიელებში შურის გრძნობა აღძრა: „ესე შეშურევეს მთიულთა არაგუსათა და თქუეს: უკუეთუ ჰომსა ამას გარეგანსა უმჯობეს არიან, არამედ მივიდეთ მთასა ლომისისასა და ბუნ შემებნენ ჩუენ და იხილოთ, რომელნი უმჯობეს ვართ“[137]. დათქვეს ბრძოლის დრო და ადგილი და „შემდგომად გორისა აღებისა აუწყეს ურთიერთას და შევიდეს ვირშელი და ყოველი ლაშქარი მისი მთასა ლომისისასა, ხოლო არაგ(ვ)სა მთიუ(ლ)ნი დადგეს ღოჟსთავს და აწუევდეს ლომისას, ხოლო იგი ტყესა [მცირ]ესა ღოჟსთავისასა და ქარაფსა კლდეთასა არა განეშორნეს“[138]. საქმეში ჩაერია უფლისწული დავით გიორგის ძე (შემდგომში მეფე დავით IX), რომელმაც ერისთავი ვირშელი და მისი ლაშქარი „არ[ა] ჩაუშუნა ჰომად, არამედ განყა[რნა] [ყოველნი]“[139]. ერისთავმა ლაშქრის ძირითადი ნაწილი შინ გაისტუმრა, ხოლო თვითონ დაიტოვა საერისთავოს სამი ხევიდან შეკრებილი მეომრები. ამის შემდგომ ვირშელი მცირერიცხოვანი ლაშქრით ლომისის მთიდან „შთამოვიდა ვაკედ“, ამის დანახვაზე „არაგვს მთიულნი“ უკან გაეკიდნენ ერისთავის ლაშქარს. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით დავით უფლისწული „მუკლთა დაუყრიდა და ლომისას მყოფნი ხატთა დაუსუენებდეს და ეკედრებოდეს, რაჲთა არა სდევნენ. ხოლო მათ („არაგვს მთიულებმა“ — გ. ა.) არა ისმინეს“[140].

ერისთავი ვირშელი, რომელსაც ამ დროისათვის, ლაშქრის ძირითადი ნაწილის დათხოვნის შემდეგ ბავის განკარგულებაში დარჩა მხოლოდ „ლაშქარნი სამისა... ჯევისანი“, ბრძოლის გამართვას არახელსაყრელად თვლიდა, მაგრამ შეტაკება მაინც გარდუვალი გახდა. ერისთავის ლაშქარი ორად გაიყო და „აღემართნეს ორსა მას ქედსა მთასა ლომისისასა და ჩამოეგებნეს ერთსა მას ქედსა ცხავატელ-გარეთნი და ყოველნი მიმდგომი მათი და ერთსა მას ჯადელ-მოჯევენი და მიმდგომნი

137 ძეგლი ერისთავთა, გვ. 350.
138 იქვე.
139 იქვე, გვ. 351.
140 იქვე.

მათნი.". სისხლისმღვრელ ბრძოლაში ერისთავის ლაშქარმა დაამარცხა არაგვისხეველნი და უკუაქცია[141].

ქართლის მთიანეთის თემებს შორის თავდასხმები, ურთიერთმიხდომა, ძარცვა-რბევა და სხვა „მრავალნი უწესობანი" და „შფოთი" ამ დროისათვის თითქმის ყოველდღიურ ცხოვრებად ყოფილა გადაქცეული. რაზედაც თვალნათლივ მიუთითებს „ძეგლის დადება", — გიორგი V ბრწყინვალის სამართალი[142].

მიუხედავად სამეფო ხელისუფლების ღონისძიებებისა, ცხრაზმის საერისთავოსა და არაგვის ხეობის მოსახლეობას შორის მძარცველური თავდასხმები ამის შემდგომაც არ აღმოფხვრილა. ქვეინფნეველის ერისთავობის დროს „ჩამოვიდეს ცხავატელნი ჟამურს. და მისცა ღმერთმან გამარჯუებაჲ გიორგის, ძმასა ერისთავისასა და გააქცივნეს აღმა მთისა სიმაღლესა". ამ ბრძოლაში „მომკუდარ იყო გარეშე წურილისა ერისა: ი҃Თ: თავადი ჯევისბერი ცხავატელი"[143]. ქუენიფნეველის ძმა გიორგი, როგორც მატიანე გვაუწყებს, ხშირად „ლაშქრობდ(ი)ს იქით არაგვსა და ტყუენვიდის, რამეთუ იყო კაცი გონიერი და შემმართებელი"[144].

იოვანეს ერისთავობის დროს „მთიულნი არაგვსანი ყოველნი დაესხნეს გრემისკევს, ხოლო გრემი[ს]ჯეველნი შეკრბეს, შეიბნე[ს] და სუემან პატრონისა მათისამან მისცა ძლევაჲ გრემისჯეველთა და გააქცივნეს და დევნა-უყვეს და კაცი არცა ერთი მოკლეს, არამედ ძარცვიდე[ს]"...[145].

ერისთავ ვირშელ III-ის მნაველ დვალთა წინააღმდეგ ლაშქრობის დროს მნაველთა დამარცხება „ესმა მოჯეველთა და მოვიდეს ბრძოლად" ერისთავის წინააღმდეგ, მაგრამ მოხეველებმა ერისთავის მრავალრიცხოვან ლაშქართან შებმა ვერ გაბედეს და „სიმრავლითა ძღუენისათა მოეგებნეს" ერისთავს. ახლა ხადელ-ცხავატელებმა სცადეს ერისთავის ლაშქართან „ბრძოლის ყოფა", მაგრამ „ვითარცა იხილეს სიმრავლე ლაშქრისა, სიმრავლითა ძღუენისაჲთა მოეგებნეს... ხოლო ვირშელმან დაიდვა ნადიმი ვაკესა ჯადისასა და ძღუენი ყოველი მიითუალა"[146].

„როგორც მატიანის მოტანილი ამონაწერებიდან ჩანს, ცხრაზმის საერისთავოს ურთიერთობა მეზობლად მდებარე არაგვის ხეობის მოსახლეობასთან ძეგლში აღწერილი პერიოდის (XIII ს. ბოლო — XV ს.

---

141 ძეგლი ერისთავთა, გვ. 351—352, შდრ. ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 261—262.

142 გიორგი ბრწყინვალის სამართალი, დასახ. გამოცემა, ტექსტის შესავალი.

143 ძეგლი ერისთავთა, გვ. 352.

144 იქვე, გვ. 353.

145 იქვე, გვ. 355.

146 იქვე, გვ. 358.

დასაწყისი) მანძილზე მტრულ ვითარებაში წარიმართებოდა. ქართველ მთიელთა შორის ურთიერთთავდასხმები, უნდა ითქვას, აღნიშნულ ხანაში არც დაწყებულა და არც დამთავრებულა. ამ მოვლენას, ცხადია, გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური საფუძველი ასაზრდოებდა. ამ თვალსაზრისით, საგულისხმოა, რომ ძეგლში აღწერილი შინაბრძოლები უმეტესწილად მძარცველურ ხასიათს ატარებენ და შედეგად მოსდევს ერთმანეთის ქონების მიტაცება, რაც განპირობებულია იმით, რომ „საარსებო რესურსების ნაკლებობის კომპენსაციას მთის მოსახლეობა ხშირად მეზობლებზე თავდასხმით და ამ გზით გარკვეული დოვლათის მოპოვებით ცდილობდა"[147].

---

147 გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ქართველ მთიელთა სოციალურ-ეკონომიკური წყობილების დახასიათებისათვის, გვ. 35.

თავი მეოთხე

„ძეგლი ერისთავთას“ ცნობები სამოხელეო წყობილებაზე

„ძეგლი ერისთავთა“ მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს XIII—XV სს. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების, მათი გამგებლობისა და „საქვეყნოდ გამრიგე“ მოხელეების — ერისთავების შესახებ. მატიანე, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი, კერძოდ, ცხრაზმის საერისთავოს ისტორიის გადმოცემას ეძღვნება, პირველ რიგში საინტერესოა ამ საერისთავოს ისტორიული წარსულის შესწავლისათვის. ძეგლის ცნობები ამ თვალსაზრისით მრავალმხრივია. ისინი ეხებიან ცხრაზმის საერისთავოს წარმოშობის დროსა და ვითარებას, ერისთავების გენეალოგიას, ერისთავების ურთიერთობას სამეფო ხელისუფლებასთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან, ერისთავების ხელისუფლების სტატუსს და გარეგან ინვესტიტურას და სხვ.

უწინარეს ყოვლისა, შევეხოთ მატიანის ცნობებს ცხრაზმის საერისთავოს წარმოშობის დროის შესახებ. საერისთავოს წარმოშობის შესახებ საუბარია ძეგლის დასაწყის ნაწილში, რომელიც ძირითადად ზეპირგადმოცემებს ემყარება და მრავალ საეჭვო მონაცემს შეიცავს.

ძეგლის მიხედვით, დვალეთიდან გადმოხვეწილი როსტომ ბიბილურისა და მისი ძმების ცხრაზმაში დამკვიდრების შემდგომ „იქმნა დიდებულთა და აზნაურთაგან თხოვად ერისთავობისა ბირებითა ერისაჲთა, რამეთუ იტყოდეს: ვისიც იყოს საფლავი, მას შეჰგავს ეკლესიაჲ და ყოველი მიმდგომი მისი. მაშინ მეფემან ისტკნიანე ბრძანა მოწოდებაჲ ყოველთა ცხრაზმისკეველთაჲ წინაშე მათსა“. ერისთავობის მაძიებელთა შორის ყველაზე მეტი უპირატესობა როსტომ ქვენიფნეველს აღმოაჩნდა. მეფემ „მიუბოძნა შკდნი ესე ჴევნი, განსაგებელნი ეკლესიისანი და ყოველნი აზნაურნი მკკდრნი მას შინა და უწოდა ერისთავ ცხრაზმისკევისა... მოკუდა როსტომ და დაჯდა ერისთავად ძე მისი ლარგუელი და შემდგომად ისტკნიანესსა დაჯდა მეფედ დავით ბაგრატონიანი. ამან ფრიად განადიდა ქუენიფნეველი ლარგუელი და სახელ-სდვა ერისთავთ-ერისთავად და მისცა მთავრობაჲ ყოველთა დიდებულთა და აზნაურთაჲ, რომელ მკკდრ არიან შუა არაგუსა და

ლიახუსა... და მოკუდა ლარგუელი და დაჯდა ძე მათი დიმიტრი და გარდაიცვალნეს მეფენი: კვ-ნი (26—გ. ა.) და ერისთავნი: კდ:-ნი (24—გ. ა.) და წელიწადნი არამცირედნი"[1]. ამის შემდგომ იწყება გაბმული თხრობა XIII ს. ამბებით.

როგორც მოტანილი ამონაწერიდან ჩანს, მატიანის ავტორის თანახმად, როსტომ ქვენიფნეველის ცხრაზმაში გაერისთავება და. მაშასადამე, ცხრაზმის საერისთავოს წარმოშობა ბიზანტიის იმპერატორის იუსტინიანეს (527—565) ზეობის ხანას უკავშირდება და, ამდენად, VI საუკუნით თარიღდება.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცხრაზმის საერისთავოს წარმოშობის დროის შესახებ განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული. თ. ჟორდანიას მიხედვით, ქვენიფნეველთა გაერისთავება VI საუკუნეში (567—575 წლებს შორის) უნდა მომხდარიყო[2]. დ. გვრიტიშვილის აზრით, ქსნის (resp. ცხრაზმის) საერისთავო უნდა წარმოშობილიყო მაშინ, „როდესაც საერთოდ საერისთავოები წარმოიქმნენ საქართველოში", ხოლო საერისთავოების წარმოშობას მკვლევარი, XI ს. ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის მიხედვით, ქართლის პირველი მეფის ფარნავაზის (ძვ. წ. IV—III სს. მიჯნა) ხანას უკავშირებს. მისივე მოსაზრებით, ცხრაზმის საერისთავო ტერიტორიულად იმთავითვე ქართლის საერისთავთერისთავოში შედიოდა. ხოლო ქვენიფნეველთა ცხრაზმაში გადმოსვლას და გაერისთავებას XIII საუკუნით (მონღოლთა შემოსევების პერიოდი) ათარიღებს[3]. ე. ხოშტარია-ბროსეს ვარაუდით, ცხრაზმაში როსტომისა და მისი რაზმის გადმოსვლა და დამკვიდრება, ასევე ქვენიფნეველთა გაერისთავება არ შეიძლებოდა მომხდარიყო უადრეს XIII ს. მეორე ნახევრისა და XIV ს. დასაწყისისა[4].

ძეგლის ცნობები ცხრაზმის საერისთავოს ჩამოყალიბების დროის შესახებ, როგორც ითქვა, მრავალ ეჭვის აღმძვრელ მომენტს შეიცავს. ცხადია, დაუჯერებელია ბიზანტიის იმპერატორის ასეთი აქტიური ჩარევა საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთ მხარის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ლაპარაკიც ზედმეტია იმის რეალურობაზე. რომ იუსტინიანემ ერისთავობის მაძიებელი ცხრაზმის წარჩინებულებს და მთელ ერს „მოუწოდა წინაშე" მისსა. ეჭვს იწვევს აგრეთვე, ავტორის

---

1 ძეგლი ერისთავთა, გვ. 346—347.

2 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 3, შენ. 4.

3 დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 60—67.

4 ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა-ბ რ ო ს ე, „ძეგლი ერისთავთას" ზოგიერთი რეალიის გაგებისათვის, გვ. 147—148.

თვალსაზრისი, რომლის თანახმად როსტომის ცხრაზმაში დამკვიდრება და გაერისთავება ერთდროულ მოვლენებადაა წარმოდგენილი.

ყურადღების გარეშეც რომ დავტოვოთ თვით ტექსტში არსებული აღნიშნული შეუსაბამობანი ან ასეთ შეუსაბამოებებს ტექსტში ადგილიც არ ჰქონდეს და აქ ყველაფერი ლოგიკურად გამართულიც რომ იყოს, ქართული წერილობითი წყაროების მონაცემებით ქსნის ხეობაში საერთოდ და, კერძოდ, ცხრაზმაში ავტორის მიერ ნაგულისხმევ ხანაში (VI ს.) საერისთავოს არსებობა არ დასტურდება. არათუ VI საუკუნეში, X საუკუნის დასაწყისისათვის დოკუმენტურად დასტურდება, რომ ცხრაზმა არ შეადგენდა ცალკე საერისთავოს. ამაზე მიუთითებს, ჭალისუბნის (მეჯუდის ხეობა) ხელის გამოსახულებიან სტელაზე („ჯელი") ამოკვეთილი წარწერა, სადაც ვკითხულობთ: „სახ[ელით]ა ღ(მრთისაჲ)თა, ესე ჯელი [ჩ(უე)ნ ბე]რმ(ა)ნ და გ(ორგ)ი დ(ა)ვწ(ე)რ(ე)თ, ოდეს [კ(ო)სტ(ა)]ნტი ქ(ა)რთლ(ი)სა გამგებელი იყო. ჩუენ ცხრაზმისჯევის ჯევისუფლად ვიყვენით. მ(ა)ს ჟ(ა)მსა ავაგეთ წ(ი)სქ(კი)ლნი და ზემო(ოჲ)თ ს(ა)ხლი ერთი. სამსახური ჰკიდავს Ꙋ კაცი"[5]. მოტანილი წარწერების თანახმად, ცხრაზმის ტერიტორიაზე ადგილობრივ ადმინისტრაციულ მოხელედ ჯევისუფალი[6] ჩანს, რომელიც, თავის მხრივ, ქართლის გამგებლისადმი დაქვემდებარებულ მოხელედ განიხილება. ცხრაზმაში ერისთავის ინსტიტუტის არსებობას გამორიცხავს ის ფაქტი, რომ ცხრაზმის ჯევისუფალის შემდეგ უმაღლეს ხელისუფლად დასახელებულია ქართლის გამგებელი, — ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ტახტის მემკვიდრე უფლისწული კონსტანტი, რომელიც 923—926 წწ. ქართლის საერისთავოს განაგებდა და, ფაქტობრივად, ქართლის ერისთავის ხელისუფლება ჰქონდა მითვისებული[7]. ცხრაზმის ხევისუფალი ქართლის გამგებელთან ერთად, ცხადია, ცხრაზმის ერისთავსაც მოიხსენიებდა, რომ აქ ერისთავის ხელისუფლება არსებულიყო, რამდენადაც იურიდიული აქტის (ამ შემთხვევაში („ჯელის") სპეციფიკა მის შემდგენელს ვალდებულს ხდიდა ადგილობრივი ერისთავიც დაესახელებინა[8].

როგორც ზემოთ დასახელებული წარწერის შინაარსიდან ჩანს, X ს.

---

5 ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 143—144.

6 ხევისუფალის შესახებ იხ. ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკვ. I, გვ. 207; მ. ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველო XI—XII საუკუნეებში, გვ. 127—128.

7 გ. ბ ო ჭ ო რ ი ძ ე, ორი ფიქალწერილი. — საისტორიო მოამბე, I, წელიწადი II, ს. ყაყაბაძის რედაქციით, ტფ., 1925; გვ. 98—99; მატიანე ქართლისაჲ. — ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 266—267.

8 ა. ბ ა ქ რ ა ძ ე, X საუკუნის წარწერა მეჯუდის ხეობიდან. — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIX—B, თბ., 1956, გვ. 9.

20-იანი წლებისათვის ცხრაზმა წარმოადგენს მცირე ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულს — სახევისუფლოს. ეს ფაქტი თვალნათლივ მოწმობს „ძეგლი ერისთავთას“ ცნობების არარეალურობას ცხრაზმაში საერისთავოს წარმოშობის დროის საკითხში[9].

ქართული წერილობითი წყაროების საფუძველზე შესაძლებელი ხდება ცხრაზმის საერისთავოს წარმოშობის დროის მიახლოებითი განსაზღვრა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან ცნობას შეიცავს ვახუშტი ბაგრატიონის საისტორიო ნაშრომი, სადაც ავტორი წერს: „შემდგომად თამარ მეფისა ქართლის ერისთავი სხუა. კსნის (resp. ცხრაზმის) ერისთავი სხუა“[10]. მართალია, ვახუშტის ცნობა მოცემულ საკითხზე ნაკლებად კონკრეტულია („შემდგომად თამარ მეფისა...“), მაგრამ მასში მიახლოებით ნაჩვენებია საერისთავოს წარმოშობის ქვედა ზღვარი, — თამარის მეფობის დასასრული ანუ 1207 წ[11]. საერისთავოს ჩამოყალიბების ზედა ზღვარის გარკვევა შესაძლებელი ხდება თვით მატიანის მონაცემების საფუძველზე. როგორც ზემოთ ვნახეთ, მატიანეში დასახელებულ ერისთავთა შორის პირველი, რომლის მოღვაწეობის დროის განსაზღვრა შესაძლებელია, ესაა ვირშელ I. მისი ერისთავობა XIII ს. 50—60-იან წლებზე მოდის. ესაა საერისთავოს წარმოშობის მიახლოებითი ზედა ზღვარი. ვირშელს წინ უსწრებდა სამი ერისთავი — როსტომი, ლარგველი, დიმიტრი. აქედან გამომდინარე, ცხრაზმის საერისთავოს წარმოშობა XIII ს. პირველი ნახევრით უნდა დათარიღდეს.

XIII საუკუნემდე ცხრაზმა ცალკე საერისთავოს რომ არ წარმოადგენდა, ამას ნათელჰყოფს ცხრაზმის სტატუსიც ძველი საქართველოს ადმინისტრაციული გამგებლობის სისტემაში. ცხრაზმის ტერიტორია XIII საუკუნემდე ადმინისტრაციულად დაკავშირებული იყო ქართლის საერისთავოსთან. ცხრაზმისხევი, ქართლის მთიანეთი სხვა ისტორიულ თემებთან ერთად, ადრიდანვე შეადგენდა ქართლის საერისთავოს, რომელიც ფაქტობრივად შიდა ქართლის ტერიტორიას მოიცავდა. ქართლის საერისთავოს შემადგენლობაში ცხრაზმის ადმინისტრაციული სტატუსის შესახებ გარკვეულ მითითებას შეიცავს თვით ძეგლის ტექსტიც. მატიანის თანახმად, ცხრაზმაში ერისთავის ხელისუფლების წარ-

---

9 ა. ბ ა ქ რ ა ძ ე, X საუკუნის წარწერა მეჯუდის ხეობიდან. გვ. 8—9.

10 ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფო საქართველოსა, გვ. 382.

11 ბ. ს ი ლ ა გ ა ძ ე, XII—XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბნ. ალ- ასირის ცნობათა შუქზე. — საქართველო რუსთაველის ხანაში. თბ., 1966, გვ. 124—129; რ. კ ი კ ნ ა ძ ე, ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. თბ., 1975, გვ. 129—132; ჯ. ო დ ი შ ე ლ ი, ქართული ისტორიული ქრონოლოგიის ერთი საკითხი, — ცისკარი, 1976, № 1, გვ. 118—125. ლიტერატურა საკითხის გარშემო იხ. იქვე.

მოშობას წინ უსწრებდა ციხისთავის ხელისუფლების არსებობა. ციხისთავის კომპეტენციებს, როგორც ცნობილია, საერისთავოს ფარგლებში მცირე ადმინისტრაციული ერთეულის მართვა-გამგებლობა შეადგენდა[12]. ძეგლის მიხედვით, ცხრაზმაში გადმოსული როსტომი ფაქტობრივად ციხისთავის ადგილს იკავებს (ავტორი ამის შემდგომ მოგვითხრობს მის „გაერისთავებაზე"). ერისთავობამდელი ხანისათვის ძეგლში საუბარია ციხისთავის კუთვნილი ადგილ-მამულის, მისი „საჯდომი სახლის" შესახებ. მართალია, ერისთავობის დაწესების დროის შესახებ ავტორის ცნობა არარეალურია, მაგრამ მატიანის ჩვენება იმის შესახებ, რომ ერისთავის ინსტიტუტს ციხისთავის ხელი უსწრებდა, რეალური ჩანს. X საუკუნის 20-იანი წლებისათვის ცხრაზმა, როგორც ითქვა, სახევისუფლოს წარმოადგენს. ასე რომ, XIII საუკუნემდე (საერისთავოს წარმოშობამდე) ცხრაზმისხევი მსხვილი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის — ქართლის საერისთავოს შემადგენლობაში შემოდიოდა მცირე შიდა ადმინისტრაციული ერთეულის, — ჯერ სახევისუფლოს, ხოლო შემდგომში საციხისთავოს სტატუსით.

ცხრაზმის საერისთავო ჩამოყალიბდა იმ ტერიტორიულ ფარგლებში, რომელსაც მოიცავდა ცხრაზმის საციხისთავო და რომელიც ისტორიულად ჩამოყალიბდა ქსნის ხეობის ზემო ნაწილში საკუთრივ ცხრაზმისხევის გარშემო. ეს უკანასკნელი აერთიანებდა მიწა-წყალს არაგვსა და პატარა ლიახვს შორის, ამ მდინარეების ზემო დინების სექტორში. ეს ტერიტორია, გარდა საკუთრივ ცხრაზმისხევისა, მოიცავდა ჭურთის ხეობას, ისროლისხევს, ქარჩოხისა და ჟამურის ხეობებს[13].

როგორც ზემოთ ითქვა, ძეგლის დასაწყისი ნაწილის იმ ცნობებს, რომლებიც ეხება ცხრაზმაში ქვენიფნეველთა გაერისთავებას, მათს ერისთავთერისთავად განდიდებას, სამოხელეო რეგალიებისა და ინვესტიტურის გადაცემას, არავითარი კავშირი არა აქვთ VI საუკუნის სინამდვილესთან. ისინი ფაქტობრივად XIII ს. მოვლენებთანაა დაკავშირებული. რით უნდა აიხსნას აღნიშნული ცნობების ასეთი ქრონოლოგიური აღრევა? როგორც ცნობილია, ძეგლის უძველეს ნაწილში ავტორი ეყრდნობა, უპირატესად, ქვენიფნეველთა საგვარეულოში შემუშავებულ ტრადიციას, რომლის თანახმად ამ საგვარეულოს ცხრაზმაში დამკვიდრება და გაერისთავება დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში ხდება და უშუალოდ დაკავშირებულია იუსტინიანე ბიზანტიის იმპე-

---

12 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკვ. I, — თხზ., VI, თბ., 1982, გვ. 331—332; მ. ბ ერ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველო XI—XII საუკუნეებში, გვ. 127.

13 ჯ. ლ ე ვ ა ს ა ლ ი ა, შიდა ქართლის ისტორიული გეოგრაფიისათვის. — მაცნე, ისტორიის სერია, I, 1976, გვ. 144.

რატორის სახელთან. ამით მატიანის ავტორს წინ ედო მზა თვალსაზრისი, შემუშავებული ამ საგვარეულოს წიაღში, რომლის ისტორიასაც იგი წერდა და რომელსაც, ამის საწინააღმდეგო ფაქტების არსებობის შემთხვევაშიც ის გვერდს ვერ აუვლიდა. ვფიქრობთ, ამ გარემოებას უნდა გამოეწვია აღნიშნული ანაქრონიზმი.

მიუხედავად იმისა, რომ ძეგლი სანდო ცნობებს არ გვაწვდის ცხრაზმის საერისთავოს წარმოშობის თარიღის შესახებ, განუზომელია მისი მნიშვნელობა ერისთავის ინსტიტუტის ხასიათისა და განვითარების ზოგიერთი ტენდენციის გასათვალისწინებლად XIII—XV სს. საქართველოში ცხრაზმის სინამდვილის მაგალითზე.

მატიანის ცნობებში თვალნათლივ აისახა XIII—XV სს. ცხრაზმის ერისთავის ხელისუფლების ხასიათი და საერისთავოს ადმინისტრაციული სტატუსი.

ძეგლის მიხედვით, ქვენიფნეველთა საგვარეულოს ერისთავის ხელისუფლება და სათანადო რეგალიები უშუალოდ სამეფო ხელისუფლებისაგან აქვს მიღებული. მატიანეში საგანგებოდ ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ ქვენიფნეველთა გაერისთავება სამეფო ხელისუფლების სანქციებთანაა დაკავშირებული. შემდგომში ერისთავების ურთიერთოობა სამეფო ხელისუფლებასთან მორჩილების ხასიათს ატარებს. შალვა ქვენიფნეველი ერთგულ სამსახურს უწევს მეფე ვახტანგ III-ს (1297—1308)[14]. გიორგი „მეფემან უბრძანა შალვას მოდგომად ციხესა ლოწობნისასა. მაშინ შალვა მოადგა ლოწობანს და ჰბრძოდა სასტიკად[15]: „მეფე გიორგი განიშალქრა მაღაროს...", სადაც მეფეს ახლდნენ ერისთავის შვილები[16]; მეფე გიორგი V (1318—1346) „მოადგა ოესთა გორს მყოფთა, და ჰბრძოდა სამ წელ, ხოლო ვირშელი და ლაშქარი მისი უმჯობეს ჰბრძოდა სპისა ყოვლისაგან"[17]. იოვანე ქვენიფნეველი „მარადის იყვის წინაშე მეფისა", მას „პატივ-სცემდეს მეფენი და საკუთრებაჲ და თანამზრახველობაჲ მისი, ვითარცა დიდი შესაძენელი შეერაცხა"[18]. ქვენიფნეველი „იყო ფრიად წარჩინებულ წინაშე მეფეთა"[19]. 1373 წ. ლორის ციხესთან „თურქთა" წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობდნენ ერისთავი ქვენიფნეველი და მისი ძმა იოვანე[20]. ერისთავების გამუდმებული ბრძოლები დვალეთის დასამორჩილებლად განიხილება როგორც სამეფო ხელისუფლების მიერ სან-

---

14 ძეგლი ერისთავთა, გვ. 347—348.
15 იქვე, გვ. 348.
16 იქვე, გვ. 349.
17 იქვე, გვ. 350.
18 იქვე, გვ. 353.
19 იქვე, გვ. 352.
20 იქვე, გვ. 354.

ქციონირებული აქტი და მისივე მხარდაჭერით სარგებლობს. ერისთავის სახლის წარმომადგენლებს ცენტრალური მმართველობის სხვადასხვა „ჯელი“ (თანამდებობა) ეკავათ სამეფო კარზე. როგორც წყაროებიდან ჩანს, ერისთავ ქვენიფნეველს (გარდ. 1373 წ.) ამირახორის თანამდებობა ეკავა, ხოლო მის ძმას იოვანეს (შემდგომში ცხრაზმის ერისთავს) — ამირეჯიბისა[21].

ყველაფერი ეს მიუთითებს იმაზე, რომ ცხრაზმის ერისთავები ცენტრალური ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებული „საქვეყნოდ გამრიგე“ მოხელეები არიან, ხოლო საერისთავო ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულია.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმად XIV ს. ბოლოსათვის ქსნის (resp. ცხრაზმის) საერისთავო ჩამოყალიბდა ფეოდალურ სენიორიად, „სათავადოდ“, ხოლო „ძეგლი ერისთავთა“ შეიქმნა როგორც ამ პროცესის იდეური გამართლება. ამ მოსაზრების დასამტკიცებლად მკვლევრები მიუთითებენ იმაზე, რომ XIV ს. დასასრულისათვის ერისთავებს უკვე გააჩნიათ საგვარეულო საძვალე, ციხე-დარბაზები, ერთიანი ტერიტორია შესაფერი ყმა-მამულით, ე. ი. ყველაფერი ის, რითაც ხასიათდება ფეოდალური სენიორია — „სათავადო“[22]. აღნიშნული ნიშნებით XIV ს. ბოლოსათვის ცხრაზმის საერისთავოს სათავადო-სენიორიად გადაქცევა ვერ დამტკიცდება. საქმე ისაა, რომ დასახელებული ატრიბუტები, რომლის საფუძველზედაც ასაბუთებენ ცხრაზმის საერისთავოს „სათავადოდ“ გადაქცევას, დამახასიათებელია არა მარტო „სათავადოსათვის“, არამედ ფეოდალის მამულისათვის საერთოდ ფეოდალური ურთიერთობების განვითარების მთელ მანძილზე და სრულებით არ წარმოადგენს „სათავადოს“ სპეციფიკურ ნიშნებს[23]. ქვენიფნეველები, უწინარეს ყოვლისა, ფეოდალთა კლასის წარმომადგენლები არიან და, ცხადია, გააჩნიათ ფეოდალისათვის დამახასიათებელი ყველა ატრიბუტი. საგვარეულო საძვალე ლარგვისში, ციხე-დარბაზები ქვენიფნევში, ადგილმამული და ყმები. ყველაფერი ეს ქმნის ქვენიფნეველთა სახლის პატრიმონიუმს ანუ საფეოდალო მამულს, რომელსაც ეს სახლი ფლობს

---

21 საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, A—26, ფ. 267v — 268r; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა A — კოლექცია, I_1, გვ. 89; ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ჯვარის მონასტრის სვინაქსარის აღაპები, გვ. 106.

22 შ. მ ე ს ხ ი ა, გამოკვლევა, გვ. 316; დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 68.

23 გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, სათავადოთა საკითხისათვის, — საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, I, თბ., 170, გვ. 4—7; ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, XI—XV საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, თბ., 1980, გვ. 19—20.

კერძოუფლებრივი საწყისის საფუძველზე. რაც შეეხება ცხრაზმისხევს, მისი, როგორც ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის მიმართ ერისთავი — ცენტრალური ხელისუფლების მოხელე, საჯარო ხელისუფლებას ახორციელებს. აქედან გამომდინარე, მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან ქვენიფნეველთა საფეოდალო მამული და სამოხელეო ქვეყანა: პირველის მიმართ ისინი მემამულე-ფეოდალები არიან, მეორის მიმართ კი მოხელე-გამგებლები. მართალია, ერისთავთა საფეოდალო მამულის დიდი ნაწილი ტერიტორიულად მათი სამოხელეო ქვეყნის — ცხრაზმის ფარგლებში მდებარეობს, მაგრამ ამ უკანასკნელს არავითარ შემთხვევაში არ ფარავს.

საერისთავოს სენიორიად გადაქცევა შედარებით გვიანდელ ხანაში ხორციელდება, როდესაც მეფის მოხელე-ერისთავის საგამგებლო ტერიტორია თანდათანობით ფეოდალის კერძოუფლებრივ კომპეტენციებს უმორჩილდება და სახელმწიფო მიწა-წყალი ფეოდალის საკუთრებად იქცევა. ხოლო XIII—XIV სს. ანუ იმ პერიოდში, რომელსაც „ძეგლი ერისთავთა" ასახავს, ცხრაზმის საერისთავო ტიპური ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულია, ცხრაზმის ერისთავი კი ცენტრალური ხელისუფლების მოხელე.

ძეგლი საყურადღებო ცნობებს შეიცავს ერისთავის ხელდასხმის და სამოხელეო რეგალიების შესახებ. მატიანის მიხედვით, იუსტინიანემ როსტომ ქვენიფნეველს „მიუბოძნა" საგამგებლო ტერიტორია, „უწოდა ერისთავ ცხრაზმისკევისა" და ერისთავად ხელდასხმის ცერემონიალზე „შემოსა სამოსლითა მით, რომელ ემოსა მაშინ მეფესა, და შეაცუა ბეჭედი და საყური და სარტყელი თვსი, საჭურველი და ცხენი თორნოსანი, დროშაჲ და შუბი"[24]. საგულისხმოა, რომ ძეგლის მოტანილ ჩვენებას ეხმაურება ერისთავთა დადგინების წესი: — „კურთხევაჲ ერისთავისაჲ, სადაც ნათქვამია: „რაჟამს მიანიჭებდეს ღმერთი პატივსა ერისმთავრისასა... შეიმოსოს სამოსელი, ვითარცა შუენის მეფეთა"[25].

აშკარაა, რომ ძეგლის მოტანილ ამონაწერში გადმოცემულია ერისთავის ინვენსტიციის გარკვეულ ნორმებში ჩამოყალიბებული და ტრადიციულად შემუშავებული ცერემონიალი. ძეგლში, როგორც ვხედავთ, დაწვრილებითაა აღწერილი ერისთავის გარეგნული ნიშნები: სამეფო სამოსელი, ბეჭედი, საყურე და სარტყელი, საერისთავო დროშა და შუბი. იგივე რეგალიები, ცხადია, ერისთავთერისთავსაც ჰქონდა[26].

---

24 ძეგლი ერისთავთა, გვ. 346.

25 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბ., 1965, გვ. 161, 162—165; ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 54.

26 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკვ. I, გვ. 205.

ერისთავის გარეგნული ნიშნები იმის აშკარა მოწმობაა, რომ ერისთავი თავის საგამგებლოში მეფის პიროვნებას განასახიერებს და სახელმწიფოს გარკვეულ ტერიტორიაზე თავის ხელისუფლებას მეფის სახელით ახორციელებს. ძეგლის იმავე ცნობიდან თვალნათლივ გამოსჩვივის ერისთავის ხელისუფლების იურიდიული სტატუსიც, რაც გამოიხატება ერისთავის სამეფო ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებულ მდგომარეობაში, რამდენადაც ის ხელდასხმულია მეფისგან და სამოხელეო ნიშნები უშუალოდ მისგან აქვს მიღებული.

ძეგლის თხრობაში რელიეფურად აისახა ერისთავის ხელისუფლების მემკვიდრეობის წესი. ძეგლის მიხედვით, ერისთავის „ჯელი" (თანამდებობა), როგორც წესი, მამიდან უფროს შვილზე გადადის. ამ მხრივ დამახასიათებელია მატიანის შემდეგი ცნობა: „მოკუდა ლარგუელი. დ[ა] [1]დაშთეს სამნი ძენი მისნი, და დაჯდა ერისთავად უხუცესი ძე ვირშელი"[27]. ვირშელ ერისთავის გარდაცვალების შემდეგ დარჩეს სამნი ძენი მისნი ქუენიფნეველი, იოვანე და გიორგი, რამეთუ მცირე იყუნეს. მაშინ წინამძღვარ ექმნა ცხრაზმისჯეველთა წითლოსანი ბიძაჲ მისი ცხრა წელ. მაშინ აღიზარდა ქუენიფნეველი და დაჯდა ერისთავად"[28]. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც გარდაცვლილი ერისთავის ხელისუფლებას უფროსი შვილი ღებულობს (ერისთავის ძმის წითლოსანის ფუნქციების შესახებ ქვემოთ).

დასტურდება ისეთი შემთხვევაც, როდესაც ერისთავობა გვერდითი ხაზით — ძმიდან მომდევნო ძმაზე გადადის. მაგრამ ეს ნებისმიერად არ ხდება. ერისთავის ხელისუფლება ძმაზე გადადის ისეთ შემთხვევაში, როდესაც გარდაცვლილ ერისთავს მემკვიდრე შვილი არ რჩება. 1373 წ. თურქებთან ბრძოლაში მოკლულ ერისთავ ქვენიფნეველს მემკვიდრე შვილი არ დარჩენია. ამის გამო მისი მომდევნო ძმა იოანე „დაჯდა ერისთავად".

ერისთავის ხელისუფლების მამიდან უფროს შვილზე გადასვლის ანუ პირმშოობის პრინციპი რომ მტკიცედ ყოფილა შემუშავებული და უცილობელ ხასიათს ატარებდა, ამაზე მიუთითებს წითლოსან ქვენიფნეველის მდგომარეობაც. ერისთავ ლარგველის გარდაცვალების შემდეგ, როგორც ითქვა, დარჩა მისი სამი მცირეწლოვანი შვილი. მათი მცირეწლოვანების პერიოდში საერისთავოს მესვეურობა მცირეწლოვანთა ბიძამ და ერისთავის ძმამ — წითლოსანმა იკისრა. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ წითლოსანი ამ პერიოდში, ძეგლის ჩვენებით, „ცხრაზმისჯეველთა წინამძღვარია" და არა

---

27 ძეგლი ერისთავთა, გვ. 349.

28 იქვე, 352.

„ერისთავი“. ეს ფაქტი არ შეიძლება შემთხვევითი იყოს. ეს რომ ასეა, ამას მოწმობს 1348 წ. „წყალობის წიგნი ანდრონიკე მეფისა წითლოსან ქვენიფნეველისადმი“[29], სადაც წითლოსანი „ერისთავად“ არ იწოდება. მას რომ „ერისთავის“ ტიტული ჰქონოდა, ცხადია, სიგელში ეს აღნიშნული იქნებოდა. ის ფაქტი, რომ წითლოსანი, მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივად „ერისთავის“ ფუნქციებს ასრულებდა, „ერისთავის“ ტიტულს არ ატარებდა, ერთხელ კიდევ მოწმობს იმას, რომ ერისთავის პირდაპირი მემკვიდრის არსებობის პირობებში გვერდითი შტოს წარმომადგენელი ამ ტიტულს ვერ მიიღებდა. ამიტომ სავსებით კანონზომიერი ჩანს ძეგლის ჩვენება წითლოსანის „ცხრაზმისჯეველთა წინამძღვრობის“ შესახებ.

ძეგლიდან ცხადად ჩანს ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც: ერისთავის ტიტულს „სახლის“ მხოლოდ ერთი წევრი ატარებს, ხოლო ერისთავის ოჯახის სხვა წევრები (ძმები, შვილები) ერისთავებად არ იწოდებიან. მართალია, აღნიშნული „ჯელი“ ქვენიფნეველთა საგვარეულოს შიგნით რჩება, ე. ი. ის „სახლის პატივია“, მაგრამ ამ „ჯელს“ ყოველთვის „სახლის“ უხუცესი წევრი (სახლის მეთაური) ფლობს. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ მას შემდეგ, რაც ქვენიფნეველთა სამოხელეო მიწა-წყალი მათ ფეოდალურ მამულად, პატრიმონიუმად გარდაიქმნა (XVI—XVIII სს.) და „ერისთავმა“, როგორც ცენტრალური ხელისუფლების მოხელის აღმნიშვნელმა ცნებამ თავისი შინაარსი დაკარგა, ქვენიფნეველთა სახლის მეთაური, იგივე სახლის „თავადი“, კვლავ „ერისთავად“ იწოდება, ამის ფესვები, როგორც ითქვა, XIII—XV სს. ქვენიფნეველთა „სახლში“ ერისთავობის მემკვიდრეობის პირმშოობის პრინციპში უნდა ვეძიოთ[30].

ცნობილია, რომ საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მმართველობის სისტემაში საგანგებო ადგილი უჭირავს ერისთავთერისთავის ინსტიტუტს. ქართულ ისტორიოგრაფიაში ფართოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ერისთავთერისთავი წარმოადგენს მსხვილი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის (საერისთავთერისთავოს) გამგებელს, რომელსაც ექვემდებარება რამდენიმე ერისთავი, ხოლო საერისთავთერისთავო აერთიანებს რამდენსამე (ერთზე მეტ) საერისთავოს. ამის საილუსტრაციოდ წერილობით წყაროებში არაერთი პირდაპირი მითითება მოიპოვება[31]. გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრება, რომლის მიხედვით,

---

29 ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 98—99.

30 გ. არახამია, ცხრაზმის ერისთავთა საგვარეულო მატიანე. — განთიადი, 1982, № 5, გვ. 159—162.

31 ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკვ. I, გვ. 205—

XI—XV სს. საქართველოში ერისთავთერისთავებს „ხელქვეითი ერისთავები არ ჰყავდათ და ამდენად ერისთავთ-ერისთავის პირდაპირი მნიშვნელობა რეალურ ვითარებას არ ასახავდა“[32]. აბსოლუტიზაცია როგორც პირველი, ისე მეორე მოსაზრებისა, არ იქნებოდა სწორი, რადგანაც ფაქტობრივი ვითარება მოწმობს იმას, რომ აღნიშნულ ხანაში იყვნენ ერისთავთერისთავები, რომლებსაც ჰყავდათ ხელქვეითი ერისთავები და იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც არ ექვემდებარებოდნენ ერისთავები. თუ რა იყო მიზეზი იმისა, რომ აღნიშნული ტიტული ერთ შემთხვევაში რეალურ ვითარებას შეესაბამება, ხოლო სხვა შემთხვევაში არა, ამას საგანგებო ახსნა სჭირდება. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, გარკვეული მნიშვნელობა ექნება „ძეგლი ერისთავთას“ ცნობების გათვალისწინებას. აქვე აღვნიშნავთ, რომ დასახელებულ ინსტიტუტთან დაკავშირებული ყველა საკითხის დაწვრილებით განხილვა სცილდება ჩვენი ინტერესების სფეროს.

ძეგლის მიხედვით, მეფემ როსტომ ქვენიფნეველს „მიუბოძნა შჳდნი ესე ჯევნი, გასაგებელნი ეკლესიისანი და ყოველნი აზნაურნი მკჳდრნი მას შინა და უწოდა ერისთავ ცხრაზმისჯევისა“... და ამასთან ერთად გადასცა საერისთავო რეგალიები. როსტომის შემდგომ „დაჯდა ერისთავად ძე მისი ლარგუელი“, რომელიც მეფე დავით ბაგრატონიანმა „ფრიად განადიდა და სახელ-სდვა ერისთავთ-ერისთავად და მისცა მთავრობაჲ ყოველთა დიდებულთა და აზნაურთაჲ, რომელ მკჳდრ არიან შუა არაგუსა და ლიახუსა და ზემოჲთ შარჰასა მინდორისასა. ამათ ყოველთა უბრძანა, რაჲთა შემდგომად მეფისა იყუნენ მორჩილ და თანამოლაშქრე ერისთავთ-ერისთავისა ლარგუელისა“[33].

აღსანიშნავია, რომ „ძეგლი ერისთავთა“ დღეისათვის ცნობილი ერთადერთი ნარატიული წყაროა, სადაც საგანგებოდ ხაზგასმულია განსხვავება ერისთავსა და ერისთავთერისთავს შორის. ძეგლის მოტანილი ცნობით, ერისთავთერისთავობა ერისთავობასთან შედარებით განიხილება როგორც „განდიდება“[34].

საინტერესოა, რა ფაქტორებმა განაპირობეს ერისთავის „განდიდება“ ერისთავთერისთავად. თუ ამოვალთ ამ ტიტულის შინაარსიდან, მაშინ ცხრაზმის ერისთავის ერისთავთერისთავად გადაქცევა უნდა მი-

---

906; ვ. ბერძენიშვილი, საქართველო XI—XII საუკუნეებში, გვ. 49—55; М. Д. Лордкипанидзе. История Грузии XI—начала XIII века, Тбилиси 1974, с. 171.

32 ნ. შოშიაშვილი, ერისთავთ-ერისთავი. — ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, IV. თბ., 1979, გვ. 191.

33 ძეგლი ერისთავთა, გვ. 346—347.

34 იქვე.

ვაწეროთ ცხრაზმის ერისთავისადმი კიდევ სხვა ერისთავის დაქვემდებარებას ანუ რამდენიმე (ერთზე მეტი) საერისთავოს გაერთიანებას ქვენიფნეველთა ხელში. აღებულ შემთხვევაში ფაქტობრივი ვითარება ასეთ თვალსაზრისს გამორიცხავს, ვინაიდან 1. ტერიტორიული ცვლილება ერისთავის საგამგებლოს ერისთავთერისთავის საგამგებლოსთან შედარებით არ განუცდია, ის „შვიდი ჯევი", რომელიც შეადგენდა „ერისთავის" საგამგებლო ცხრაზმას, ტერიტორიულად იგივეა, რაც „ერისთავთერისთავის" საგამგებლო მიწა-წყალი „შუა არაგუსა და ლიახუსა". 2. ცხრაზმის საერისთავოს არავითარი სხვა საერისთავო არ დაქვემდებარებია ანუ ცხრაზმის ერისთავის ხელისუფლება სხვა ერისთავზე არ გავრცელებულა. ცხრაზმის ერისთავთერისთავის სამოხელეო ქვეყანაში ერისთავის ტიტულის მატარებელი მოხელე არ ჩანს: არც „ძეგლი ერისთავთა", არც ერთი სხვა წყარო XIII—XV სს. ცხრაზმაში ასეთ მოხელეს არ იცნობს. თუნდაც ეს წყაროთა ნაკლულობით აიხსნას, ფაქტობრივი ვითარებიდან გამომდინარე, მოსალოდნელი არაა ქვენიფნეველთა ხელქვეშეთი ერისთავის არსებობა, რადგანაც ასეთი მოხელისათვის აქ ადგილი არ რჩება. ასე რომ, ცხრაზმის ერისთავის ერისთავთერისთავად გადაქცევა საგამგებლო ერთეულის ტერიტორიულ და ადმინისტრაციულ ცვლილებებს (რამდენიმე საერისთავოს გაერთიანების ან ცხრაზმის შიგნით რამდენიმე საერისთავოს ჩამოყალიბების თვალსაზრისით) არ უკავშირდება.

ძეგლის განსახილველი ცნობის საფუძველზე ი. ჯავახიშვილი ერისთავსა და ერისთავთერისთავს შორის სხვაობის ერთ-ერთ გადამწყვეტ მომენტს დაქვემდებარებული მოსახლეობის მიმართ სამოხელეო კომპეტენციების განხორციელების სფეროში არსებულ განსხვავებაში ხედავდა. ამის მოწმობად მკვლევარმა მიიჩნია ძეგლის ხსენებული ადგილი, სადაც ერისთავის ხელქვეითად დასახელებულია „ყოველნი აზნაურნი მკჳდრნი მას (ე. ი. ცხრაზმისკენსა — გ. ა.) შინა", ხოლო ერისთავთერისთავს მიემართება „მთავრობაჲ ყოველთა დიდებულთა და აზნაურთაჲ, რომელ მკჳდარ არიან" მის საგამგებლოში. აქედან ი. ჯავახიშვილი დაასკვნის: ერისთავის ხელისუფლება აზნაურისა და უფრო დაბლა მდგომი სოციალური კატეგორიებისაგან განსხვავებით, დიდებულებზე არ ვრცელდება. ამ უკანასკნელზე ხელი მიუწვდება მხოლოდ ერისთავთერისთავს[35].

ძეგლის მოტანილი ცნობის ასეთი ინტერპრეტაცია და მისგან მიღებული დასკვნა, ვფიქრობთ, უდავო არ არის. ერისთავი, რომელიც მეფის გარეგნულ ნიშნებს ატარებს ანუ სახელმწიფოს გარკვეულ ტე-

---

35 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკვ. I, გვ. 204—205.

რიტორიაზე მეფის პიროვნებას განასახიერებს და მისი სახელით მოქმედებს, ბუნებრივია, თავის სამოხელეო უფლებებს (ლაშქრის გამოყვანა, სახელმწიფო გადასახადების აკრეფა და სხვ.) თანაბრად ავრცელებს მისადმი დაქვემდებარებული მიწა-წყლის ყველა მკვიდრზე სოციალური განსხვავებისდა მიუხედავად, იქნება ეს დიდებული თუ აზნაური. რაც შეეხება ძეგლის ცნობას, რომ ერისთავის ხელქვეშეთად დასახელებულია მხოლოდ „აზნაურნი", ხოლო ერისთავთერისთავისა — „დიდებულნი და აზნაურნი", ეს აიხსნება პირველ და მეორე შემთხვევაში მატიანის თხრობის მეტ-ნაკლები სისრულითა და კონკრეტულობით. ერთგან ავტორი იძლევა ფეოდალთა კლასის ზოგად დასახელებას — „აზნაურნი", ხოლო მეორეგან ასახელებს იმავე კლასის კონკრეტულ კატეგორიებს — „დიდებულნი" და „აზნაურნი". ასე რომ, ცხრაზმის ერისთავის ერისთავთერისთავად გადაქცევა არც ქვეშევრდომთა სოციალური შემადგენლობის გაფართოებას გამოუწვევია (ამ მხრივ ერისთავსა და ერისთავთერისთავს შორის პრინციპული სხვაობა არა გვაქვს).

ამრიგად, დასტურდება საინტერესო ფაქტი: მოხელე-გამგებელი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულისა, რომელიც მხოლოდ ერთ საერისთავოს შეადგენს, ღებულობს ერისთავთერისთავის ტიტულს, ხოლო საგამგებლო ერთეული იგივე რჩება ანუ ერისთავთერისთავის ტიტული არ გულისხმობს რამდენიმე ერისთავის დაქვემდებარებას. ეს მაშინ, როდესაც, თუ ამოვალთ ტიტულის ძირითადი შინაარსიდან, მოსალოდნელი იყო პირიქით. მაშ, რით აიხსნება აღნიშნული შეუსაბამობა ტიტულის ფორმასა და ამოსავალ შინაარსს შორის? აღნიშნულ კითხვაზე პასუხი ნათელს მოჰფენს ზემოთ დასმულ კითხვასაც, თუ რამ განაპირობა ცხრაზმის ერისთავის გადაქცევა ერისთავთერისთავად.

აღნიშნული ფაქტის პოზიტიური ახსნა შესაძლებელი ხდება ძეგლის შემდეგ ცნობაზე დაკვირვებით: მეფემ ერისთავთერისთავისადმი დაქვემდებარებული ტერიტორიის დიდებულ-აზნაურებს „ყოველთა უბრძანა, რადთა შემდგომად მეფისა იყუნენ მორჩილ და თანა-მოლაშქრე ერისთავთ-ერისთავისა" (ხაზგასმა ჩვენია). მოტანილ ამონაწერში ყურადღებას იქცევს ხაზგასმა იმისა, რომ ერისთავთერისთავი არის ის მოხელე, რომელსაც, განსხვავებით ერისთავისაგან, „შემდგომად მეფისა" მორჩილებს საგამგებლო ტერიტორიის მოსახლეობა. აქედან აშკარაა, რომ ერისთავის მიერ ერისთავთერისთავის ტიტულის მიღება გამოიხატება იმაში, რომ ის ამიერიდან თავისი საგამგებლო ტერიტორიის მიმართ პირველი და უმაღლესი ხელისუფლების მატარებელი მოხელეა „შემდგომად მეფისა", რაც ნიშნავს იმასაც, რომ ერისთავი ასეთ უფლებებს მოკლებულია ანუ ერისთავი არ არის თა-

ვისი სამოხელეო მხარის ხელისუფალი „შემდგომად მეფისა“, არამედ მეფესა და ერისთავს შორის დგას უფრო მაღალი რანგის მოხელე — ერისთავთერისთავი.

ცხრაზმის ერისთავის გაერისთავთერისთავება ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით უნდა გავიგოთ როგორც ცხრაზმის ერისთავის გამოსვლა უფრო დიდი მოხელის, კერძოდ, ქართლის ერისთავთერისთავის (რომლის საგამგებლოშიც შედიოდა ცხრაზმის საერისთავო) იურისდიქციიდან და უშუალოდ მეფისადმი დაქვემდებარება. სწორედ აშაში გამოიხატა ის „განდიდება“, რომელიც ცხრაზმის ერისთავმა ერისთავთერისთავის ტიტულის ბოძებით მიიღო.

ამრიგად, ერთი შეხედვით უცნაური ფაქტი — ერისთავის ტრანსფორმირება ერისთავთერისთავად, ისე რომ ადგილი არ ჰქონია საერისთავოთა გაერთიანებას, გამოწვეულია ერისთავის განთავისუფლებით ერისთავთერისთავის სამოხელეო ხელისუფლებისაგან და უშუალოდ შეფისადმი დაქვემდებარებით. სწორედ ეს მომენტი იგულისხმება რიცხვით ერთი საერისთავოს გამგებლის ერისთავთერისთავობაში.

განსახილველი მოვლენა დაკავშირებულია ცხრაზმის საერისთავოს ადმინისტრაციულ სტატუსში მომხდარ ცვლილებებთან: აღნიშნული საერისთავო ქართლის საერისთავთერისთავოს შიდაადმინისტრაციული ერთეულიდან სამეფოს დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულად იქცევა უშუალოდ მხოლოდ მეფისადმი დაქვემდებარების პირობით.

ამრიგად, თუ ქართული წერილობითი წყაროების ერთი რიგის მონაცემების საფუძველზე უეჭველობით მტკიცდება, რომ ერისთავთერისთავი, როგორც წესი, რამდენიმე საერისთავოს გამგებელია, „ძეგლი ერისთავთას“ ცნობებით აშკარა ხდება, რომ ერისთავთერისთავი ზოგიერთ შემთხვევაში მხოლოდ ერთ საერისთავოს გამგებლობს. აქედან გამომდინარე, ერისთავთერისთავის ტიტული ყოველთვის არ გულისხმობს რამდენიმე საერისთავოს გაერთიანებას.

ძეგლის ცნობებით ცხადი ხდება ისიც, რომ საერისთავოთა გაერთიანების ერისთავთერისთავისა და რიცხვით ერთი საერისთავოს ერისთავთერისთავის უფლებრივი მდგომარეობა სამოხელეო იერარქიაში თანასწორია: ორივე თანაბრად უშუალოდ და პირდაპირ მეფეს ექვემდებარება. მათ შორის განსხვავება მდგომარეობს მათი საგამგებლო ტერიტორიების შიდაადმინისტრაციულ დანაწილებაში. პირველი რამდენიმე საერისთავოს აერთიანებს, მეორე მხოლოდ ერთ საერისთავოს განაგებს.

არანაკლებ ყურადღებას იქცევს ძეგლის ცნობები შიდა ქართლის ადმინისტრაციული გამგებლობის შესახებ XIV—XV სს. მიჯნაზე. ცნობა ეხება XV ს. დასაწყისის ამბებს. 1403 წ. თემურ-ლენგის მორიგი შემოსევის შედეგად მეფე გიორგი VII იძულებული გახდა დასავლეთ

საქართველოში გადასულიყო. იმავე წლის შემოდგომაზე დასავლეთ საქართველოში შემოსული თემურ-ლენგის მარბიელი ლაშქრის უკან გაბრუნების შემდეგ გიორგი VII დასავლეთიდან აღმოსავლეთ საქართველოში გადმოდის: „მაშინ მოვიდა მეფე გიორგი ლიხთიმერით და ესმა დვალთაგან ღალატი ერისთავისა (იგულისხმება ცხრაზმის ერისთავი — გ. ა.), განრისხნა და განილაშქრა მათ ზედა". დვალებთან ბრძოლაში მონაწილეობდა ცხრაზმის ერისთავი. ამავე ლაშქრობაში მონაწილეობას იღებდა არაგვის ხეობის მოსახლეობაც: „მთიულნი არაგვსა ზედაზნით დარიალამდისნი ყოველნი [ე]რთად შეკრებით იყუნე[ს] და უძღოდა მათ ერისთავი მათი სურამელი"[36]. როგორც ვხედავთ, არაგვის ხეობის ერისთავად დასახელებულია სურამელი.

სურამელთა ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენლები XII ს. 70-იანი წლებიდან ქართლის ერისთავთერისთავები იყვნენ[37]. XIV ს. შუა წლებიდან სურამელთა შესახებ წყაროებში ცნობები არ გვხვდება. ამის საფუძველზე მკვლევრები ფიქრობენ, რომ XIV ს. მეორე ნახევარში ქართლის საერისთავო როგორც ადმინისტრაციული ერთეული აღარ არსებობს[38]. ძეგლის იმავე ცნობაზე დაყრდნობით საურმაგ კაკაბაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ სურამელები ქართლის საერისთავოს გაქრობის შემდგომ, XIV ს. მეორე ნახევარსა და XV ს. დასაწყისში არაგვის ერისთავები იყვნენ[39].

ძეგლის დასახელებულ ცნობასთან დაკავშირებით ერთგვარ წინააღმდეგობას ქმნის 1398 წ. მცხეთის გუჯარი. ამ დოკუმენტს ხელს ურთავს არაგვის ერისთავი შაბურისძე მიქაჲ: „მე ერისთავი შაბურისძე მიქაჲ მოწამე ვარ". ამავე საბუთს ხელს აწერს ცხრაზმის ერისთავი ვირშელ III[40]. 1416 წ. არაგვის ერისთავად ჩანს შაბურისძე ნუგზარ[41]. ასე რომ, დოკუმენტური წყაროების ჩვენებით დასტურდება უცილობელი ფაქტი რომ XIV ს. ბოლოსა და XV ს. დასაწყისში არაგვის ერისთავებად შაბურისძეები არიან. ძეგლის მიხედვით კი იმავე პერიოდში, კერძოდ, 1404/5 წლისათვის არაგვის ხეობის მოსახლეობას „უძღოდა ერისთავი მათი სურამელი". ამასთანავე დამაფიქრებელია ის

---

36 ძეგლი ერისთავთა, გვ. 361.

37 ვ. ბერძენიშვილი, საქართველო XI—XII საუკუნეებში, გვ. 52.

38 დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 55; С. С. Какабадзе. Примечания к переводу хроники, с. 46, прим. 104.

39 С. С. Какабадзе, Примечания к переводу хроники, с. 46, прим. 104.

40 თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 203; დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 84—85.

41 თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 225.

გარემოება, რომ ძეგლის ავტორი აღნიშნული ამბების თანამედროვეა-ეს კი ნაკლებ საფუძველს იძლევა ძეგლის ცნობის სანდოობაში ეჭვის შეტანისათვის. ე. ხოშტარია-ბროსეს აზრით, ძეგლის ცნობა მაჩვენებელია ცენტრალური ხელისუფლების კიდევ ერთი ცდისა, განახორციელოს თავისი ძალაუფლება არაგვის ხეობაში ძველი ტრადიციის (იგულისხმება არაგვის ხეობის დაქვემდებარება სურამელისადმი) შესაბამისად[42].

ძეგლის ჩვენთვის საინტერესო ცნობის ინტერპრეტაციისას უნდა გავითვალისწინოთ ორი მნიშვნელოვანი გარემოება: პირველი, სურამელების სამოხელეო სტატუსი XIV—XV სს. მიჯნაზე და არაგვის ხეობის ადმინისტრაციული სტუტუსი იმავე ხანაში; მეორე, ის კონკრეტული სიტუაცია, რომელიც ძეგლშია აღწერილი და რომლის ფონზეც შემოჰყავს ავტორს თხრობაში „ერისთავი სურამელი".

სურამელების სამოხელეო სტატუსის საკითხი XIV—XV სს. მიჯნაზე მჭიდროდაა დაკავშირებული ქართლის საერისთავთერისთავოს როგორც ადმინისტრაციული ერთეულის გაქრობის თარიღთან. ზემოთ აღნიშნული მტკიცება იმის შესახებ, რომ ქართლის საერისთავთერისთავო XIV ს. მეორე ნახევარში მოიშალა, ვფიქრობთ, უდავო არ არის. აღნიშნული მტკიცება, უპირატესად, ემყარება იმას, რომ სურამელები XIV ს. პირველი ნახევრის შემდეგ წყაროებში არ იხსენიებიან. სურამელების მოუხსენებლობა XIV ს. მეორე ნახევრის წყაროებში არ იძლევა იმის მყარ საფუძველს, რომ გადაჭრით ვამტკიცოთ ქართლის საერისთავთერისთავოს გაქრობა XIV ს. მეორე ნახევარში. ამას მოწმობს 1460 წლით დათარიღებული მეფე გიორგი VIII-ის მიერ გიორგი ჟურულისადმი გაცემული სიგელი და 1470 წ. შალვა ქვენიფნეველ ერისთავის ლარგვისისადმი შეწირულობის წიგნი. მეფის სიგელში ვკითხულობთ: „ქართლისა კათალიკოზნო და ებისკოპოზნო, ქ ა რ თ ლ ი ს ა ე რ ი ს თ ა ვ ნ ო დ ა ე რ ი ს თ ა ვ თ-ე რ ი ს თ ა ვ ნ ო და ყოველნო თავადნო ქართლისანო... ნუ ვინ უშლით ჩუენგან წყალობით ბოძებულსა სასისხლოსა განაჩენსა სიგელსა თვინიერ შეწევნისა და თანადგომისა"[43]. შალვა ერისთავის შეწირულობის წიგნში ნათქვამია: „... ჩემგან მონაღუაწებნი და უკაცურნი სოფელნი, სამნი აგარაკნი აღმიშენებიან მეფეთა, ერისთავ[თ]ა, ქ ა რ თ ლ ი ს ა ე რ ი ს თ ა ვ თ ა და ყოველთა პატრონთა და ხელისუფალთაგან შეუვალი და თავისუფალი და მო-

---

42 ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა-ბ რ ო ს ე, არაგვის ხეობის სოციალურ-პოლიტიკური განვითარების საკითხები XIV—XV სს. ქართული საისტორიო ძეგლების მიხედვით. გვ. 94.

43 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 279 (ხაზგასმა აქ და ქვემოთ ჩვენია).

უსარჩელ-მოუდევარი"[44]. როგორც ვხედავთ, XV ს. 60—70-იან წლებშიც ქართლის ერისთავთერისთავის თანამდებობა ჯერ კიდევ არსებობს. დასახელება არარსებული მოხელისა, რომლისაგან, ერთ შემთხვევაში, წყალობის განაჩენის უშლელობის დაცვას მოითხოვს საბუთის გამცემი, მეორე შემთხვევაში კი შეწირულობის მოუსარჩლებობა-მოუდევრობას ამტკიცებს დოკუმენტის შემდგენელი, ცხადია, უაზრობა იქნებოდა.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ XV ს. 60—70-იან წლებში არსებული ქართლის საერისთავთერისთავო XIV ს. მეორე ნახევარში ვერ მოიშლებოდა. ცხადია, ასეთი ადმინისტრაციული ერთეული არსებობდა XIV—XV სს. მიჯნაზე. აქედან თავისთავად გამომდინარეობს ისიც, რომ სურამელები XIV—XV სს. მიჯნაზე, ე. ი. იმ დროისათვის, რომელსაც ძეგლის ჩვენთვის საინტერესო ცნობა ეხება, ტრადიციულად კვლავ ქართლის ერისთავთერისთავები არიან.

სურამელები, როგორც ქართლის ერისთავთერისთავები უმაღლეს სამხელეო იურისდიქციას ავრცელებენ არაგვის ერისთავებზე (შაბურისძეებზე), როგორც ქართლის საერისთავთერისთავოს შიდასაერისთავოს გამგებლებზე.

ამრიგად, XIV—XV სს. მიჯნაზე სურამელები ქართლის ერისთავთერისთავები არიან, ხოლო შაბურისძეები მათდამი დაქვემდებარებული არაგვის ერისთავები.

ძეგლში აღწერილია კონკრეტული სიტუაცია, რომლის დროსაც არაგვის ხეობის მოსახლეობას „უძღოდა ერისთავი მათი სურამელი". აღნიშნული სიტუაცია მდგომარეობს შემდეგში: გიორგი VII სამეფოს უმეტესი ძალებით გადამწყვეტ შეტევას ახორციელებს დვალეთზე. ბრძოლა მიმდინარეობს სამი მიმართულებით: სამეფოს ჯარების ძირითადი ნაწილი მეფის მეთაურობით მიემართება „აჩაბეთის გზით", ცხრაზმის საერისთავოს ლაშქარი ვირშელ III-ის მეთაურობით იბრძვის სოსხოს მიმართულებით. მესამე მიმართულებით ბრძოლას ხელმძღვანელობს ერისთავი სურამელი, რომლის ხელქვეშეთ, ძეგლის ცნობით, იბრძვიან „მთიულნი არაგვსა ზედაზნით დარიალამდისნი" (ე. ი. მთელი არაგვის ხეობა)[45]. გარდა „არაგვის მთიულებისა" სურამელის ხელქვეშეთ, ცხადია, იბრძვის ქართლის საერისთავთერისთავოს დანარჩენი ტერიტორიიდან გამოსული ლაშქარიც, მაგრამ ძეგლის ავტორი ამის შესახებ არაფერს გვეუბნება. არ გვეუბნება იმიტომ, რომ მისი ყურადღების, დაინტერესების სფეროში მხოლოდ არაგვის ხეობის მოსახლეობა შემოდის. ამას მოწმობს კონტექსტი, სადაც საუბა-

---

44 ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 141.

45 ძეგლი ერისთავთა, გვ. 361.

რია არაგვის მთიულებზე და „მათ ერისთავზე". ავტორი ქება-დიდებას ასხამს ცხრაზმის საერისთავოს ლაშქრის საბრძოლო მოქმედებას, ხოლო ამის საპირისპიროდ ხაზს უსვამს არაგვის მთიულთა საბრძოლო წარუმატებლობას. არაგვის მთიულები ავტორს თხრობაში შემოჰყავს იმდენად, რამდენადაც მას ეს საშუალებას აძლევს შექმნას კონტრასტული სურათი და ასეთი დაპირისპირების ფონზე წარმოაჩინოს ცხრაზმისხეველთა მამაცობა არაგვის ხეობელებთან შედარებით, რომელთა შორის გამუდმებული ქიშპი და მეტოქეობაა გამეფებული (გავიხსენოთ თუნდაც გორის ციხესთან ბრძოლის დროს და მის შემდგომ მომხდარი კონფლიქტი. იხ. ზემოთ). რამდენადაც ავტორის ძირითადი მიზანი შემოფარგლულია ცხრაზმის ერისთავთა ისტორიის გადმოცემით საერთოდ, ხოლო აღებულ კონკრეტულ შემთხვევაში ერისთავ ვირშელის საომარი მოქმედების აღწერით და, ვინაიდან მას აღნიშნული მიზნის მისაღწევად სურამელის მეთაურობით მებრძოლი ლაშქრის არა მთლიანად, არამედ მისი მხოლოდ ერთი ნაწილის — არაგვის ხეობელთა საბრძოლო საქმიანობა აინტერესებს, ამდენად სავსებით გასაგები გვეჩვენება ფრაზა, რომლის მიხედვით „მთიულთა არაგჳსათა... უძღოდა ერისთავი მათი სურამელი". აქ რომ საკუთრივ არაგვის ერისთავი შაბურისძე დასახელებული არაა, გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ არაგვის საერისთავოს მეომრების, როგორც მთლიანად ქართლის საერისთავთერისთავოდან გამოსული ლაშქრის შემადგენელი ნაწილის უმაღლეს სამხედრო ხელმძღვანელობას ქართლის ერისთავთერისთავი სურამელი ახორციელებს. ხოლო საკუთრივ არაგვის ერისთავი როგორც ერისთავთერისთავ სურამელის ხელქვეშეთი მოხელე აღებულ კონკრეტულ სიტუაციაში მეორე პლანზე გადადის.

ვფიქრობთ, ზემოთ აღნიშნულ გარემოებების გათვალისწინებით ძეგლის ჩვენთვის საინტერესო ცნობის საფუძველზე სურამელის მხოლოდ არაგვის ერისთავად მიჩნევა უმართებულოა. ძეგლის ცნობაში უნდა დავინახოთ სურამელის როგორც ქართლის ერისთავთერისთავის მისადმი დაქვემდებარებული არაგვის ერისთავზე უმაღლესი სამოხელეო იურისდიქციის გავრცელების რეალურ-ისტორიული ფაქტის ანარეკლი თხრობის მოცემულ კონტექსტში.

ДРЕВНЕГРУЗИНСКИЕ РОДОВЫЕ ЛЕТОПИСИ

Резюме

Книга посвящается источниковедческому изучению древнегрузинских родовых летописей — «Истории и повествования о Багратионах» Сумбата Давитис-дзе и «Памятника эриставов».

В первой главе рассматриваются вопросы источниковедческой критики родовых летописей. На основе сопоставительного анализа начальной части сочинения Сумбата и одного из его источников, т. н. исторической хроники «Обращения Грузии в христианство», выяснено своеобразие приемов использования источника. Результаты проведенного сравнительного текстологического изучения заключительной части сочинения Сумбата, содержащей рассказ о событиях 1021—1031 гг., и соответствующего раздела сочинения из сборника «Картлис цховреба» («История Грузии») т. н. «Летописи Картли», подтвердили соображение, высказанное в научной литературе по вопросу о взаимоотношении текстов названных сочинений, согласно которому оба автора пользовались каким-то общим письменным источником.

Дошедший до нас текст сочинения Сумбата завершается описанием событий 1031 г. Примечательно, что текст обрывается на неоконченной фразе и, таким образом, нам неизвестны первоначальный объем сочинения, а также дата завершения повествования. Заключительные строки названного текста заимствованы из письменного источника. Эти обстоятельства, по нашему мнению, опровергают общепринятое предположение, согласно которому Сумбат Давитис-дзе являлся очевидцем событий, описываемых им в заключительной части сочинения. В том же параграфе дается попытка восстановления нескольких искаженных мест текста.

В той же главе рассмотрены вопросы источниковедческой критики родовой летописи эриставов (правителей) провинции Цхразма (Восточная Грузия), известной в

научной литературе под условным названием «Памятника эриставов» (далее ПЭ). Названная летопись не датирована. По косвенным данным, ранним рубежом составления летописи следует считать 1404 год, а поздним — 1422 год. Разделяется и некоторыми новыми данными аргументируется мнение, согласно которому автором ПЭ следует считать Григола Бандасдзе — церковного деятеля конца XIV в. и начала XV в., подвизавшегося в Ларгвисском монастыре. Цель летописи — изложение истории рода цхразмийских эриставов Квенипневели. Создание ее обусловлено важной ролью феодального рода Квенипневели в политической жизни Восточной Грузии. Вместе с тем, составление летописи имело важное практическое назначение. Выполняя «заказ» феодального рода Квенипневели, автор развивает в летописи точку зрения предводителей данного рода и рассматривает прошлые и настоящие события с позиции их интересов. Это обстоятельство в значительной мере определяет однобокость и тенденциозность сведений летописи. Тем не менее критический подход к летописи позволяет получить реальную информацию.

События, связанные с историей Квенипневели, излагаются на фоне социально-экономической и общественно-политической обстановки, в которой проходила деятельность представителей вышеназванного рода. Поэтому сведения летописи могут быть использованы для изучения различных сфер исторического прошлого соответствующего общества и региона. Критическому анализу сведений летописи об экономическом и социальном развитии Цхразма и соседних провинций посвящается вторая глава.

В третьей главе рассматривается вопрос об идентификации исторических лиц, упоминаемых в летописи, позволяющий хронологически определить ее сведения и верно использовать их при выявлении, уточнении и пополнении ряда фактов о событиях политической истории Восточной Грузии XIII—XIV вв.

В четвертой главе анализируются сведения ПЭ о местном управлении. Несмотря на то, что указание автора в начальной части ПЭ о дате возникновения эриставства в Цхразма (VI в.) не соответствует реальности, неоценимы сведения летописи об административном статусе Цхразма, некоторых особенностях, характерных для эристава и эристава эриставов в XIII—XV вв. и других вопросах, связанных с изучением чиновничьего строя средневековой Грузии.

შემოკლებანი

1 ენიმკი — ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი.

2 თსუ — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

3 მსკი — მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის.

4 სინ — საქართველოს ისტორიის ნარკვევები.

5 АКАК — Акты собранные Кавказской археографической комиссией.

6 СМОМПК — Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа.

შინაარსი

შესავალი 3

თავი პირველი. საგვარეულო მატიანეების წყაროთმცოდნეობითი კრიტიკის საკითხები 13

თავი მეორე. „ძეგლი ერისთავთას“ ცნობები ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე 55

თავი მესამე. „ძეგლი ერისთავთას“ ცნობები პოლიტიკური ისტორიისათვის 80

თავი მეოთხე. „ძეგლი ერისთავთას“ ცნობები სამოხელეო წყობილებაზე 118

Древнегрузинские родовые летописи (резюме) 136

შემოკლებანი 139

Гонели Михайлович Арахамия

ДРЕВНЕГРУЗИНСКИЕ РОДОВЫЕ ЛЕТОПИСИ

(Источниковедческое исследование)

(на грузинском языке)

«МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1988

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 3939

გამომცემლობის რედაქტორი ლ. კოტრიკაძე
მხატვარი გ. ლომიძე
მხატვრული რედაქტორი ი. სიხარულიძე
ტექრედაქტორი ნ. ბოკერია
კორექტორი ე. ჩხარტიშვილი
გამომშვები ლ. მაისურაძე

გადაეცა წარმოებას 30.6. 1988; ხელმოწერილია დასაბეჭდად 3.11.1988;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობით-საბეჭდი თაბახი 8.75;
პირ. სღ. გატ. 9.0; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7.76;

უე 02528; ტირაჟი 1500; შეკვეთა № 2183;

ფასი 1 მან. 40 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19